30 ქან.

161816

3022

სვიმონ ჯამსახურდია

სწავლა-განათლება ძველ საქართველოში

განათლება

ISBN
ბიბლიოთეკა
0000031307

ხვიმონ გამსახურდია

სწავლა-განათლება ძველ საქართველოში

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1975

37 (C 41) (09)
37(47.922) (09)
ა 197

37(47.922)(09)
ა 19



ბ-161816

775/756

ს 60300 016 / M—602 (08) — 75 132—74

© „განათლება", 1975

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია სწავლა-განათლების ისტორია უძველესი ხანიდან მე-19 საუკუნემდე.

აღნიშნული პერიოდის სწავლა-განათლების ისტორიის მეცნიერული შესწავლა საბჭოური ხანიდან დაიწყო, მაგრამ ამ მხრივ წარმოებული კვლევა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ასე რომ მუშაობის გაგრძელება კვლავაც აუცილებელია, რამდენადაც სხვა შემთხვევაში სწავლა-განათლებისა და ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიის მთლიან სურათს, ეტაპების კანონზომიერი განვითარებით ვერ წარმოვაჩენთ, მითუმეტეს, რომ შემდგომი პერიოდის, მე-19 და მე-20 საუკუნეთა მასალები უკეთ დამუშავებული და სისტემატიზებულია.

წარმოდგენილი საკითხის კვლევის ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა, დოკუმენტური მასალების სიმცირემ განაპირობა. იგივე სიძნელეები ნაწილობრივ დღესაც გვეღობება წინ, თუმცა ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის შესწავლის დღევანდელი დონე უფრო მეტის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ნაშრომი მოწოდებულია შეძლებისამებრ შეავსოს წარმოდგენილი საკითხის კვლევაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე, დოკუმენტურ წყაროთა გამოვლენითა და მათზე დაყრდნობით გააშუქოს დღემდე შეუსწავლელი საკითხები.

ძველ საქართველოში არსებული სწავლა-განათლების ისტორიის სისტემატური და კანონზომიერი განვითარების ეტაპებად განხილვა, ვფიქრობთ, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული კულტურის განვითარების შესწავლის

საქმეში, რამდენადაც სწავლა-განათლება კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია.

ნაშრომში სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აზრის განვითარების ის მიღწევებია ნაჩვენები, რაც დროთა ვითარებაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რომელთაგან ზოგი დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ამდენად, ნაშრომი თანადროული პედაგოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიაშიც გარკვეულ წვლილს შეიტანს. იგი ერთგვარ სამსახურს გაუწევს ჩვენი სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიურ კოლექტივებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და ფართო საზოგადოებრიობას.

ნაწილი პირველი

სწავლა-განათლება საქართველოში უძველესი დროიდან მე-11 საუკუნემდე

აქემენიდური ხანიდან მოყოლებული ამიერკავკასიის ქვეყნები და მათ შორის საქართველო ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში იდგა. ამ ფაქტს, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და ბუნებრივი სიმდიდრე განაპირობებდა, ხოლო მეორე მხრივ, სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი მდებარეობა.

საუკუნეთა მანძილზე ამიერკავკასიის ქვეყნებს, და კერძოდ საქართველოს, სხვადასხვა სახელმწიფოების (აქემენიდური სპარსეთის, პონტოს სამეფოს, რომაელთა, სპარსეთის, ბიზანტიისა და ბოლოს არაბთა) მოლაშქრე ძალების წინააღმდეგ ბრძოლა და მათგან თავდაცვა უხდებოდა.

ამრიგად, საქართველო ნებით თუ უნებლიედ ძველთაგან ეზიარა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ მიმდინარეობებს, რომელთა განვითარებაში თავადაც შეჰქონდა გარკვეული წვლილი. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი წინა აზიისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა შეასრულეს.

ქართველი ფილოსოფოსები ცნობილნი იყვნენ როგორც საქართველოში, ისე წინა აზიურ თუ ბერძნულ სამყაროში. ასეთი იყო, მაგალითად, მე-4 საუკუნეში მოღვაწე ბაკური, რომლის სახითაც ფართო ერუდიციის მქონე, ნეოპლატონური მიმართულების ფილოსოფოსი წარმოგვიდგება; მე-5 საუკუნეში მოღვაწე პეტრე იბერი, რომელმაც გარკვეული მიმდინარეობის სკოლა შექმნა სირიაში.

პეტრე იბერის სირიულ სკოლასთან იყვნენ დაკავშირებული მე-6 საუკუნის საქართველოში შემობრუნებული ასურელი მამები, რომლებიც თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი. საქართველოში შემოსვლის შემდეგ მათი საქმიანობა ქრისტიანობის განმტკიცებასა და წინა აზიური ცოდნის შემოტანა-გავრცელებას ისახავდა მიზნად.

* * *

ადრეული ხანის ქართული აზროვნებითი კულტურის შესასწავლად გარკვეული ისტორიული ვითარება მასალათა ნაკლებობის პირობებს

იმთავითვე ქმნიდა. საქმე იმაშია, რომ ყოველი რელიგიურ-იდეოლოგიური მიმდინარეობა ხშირად პოლიტიკურ საბურველში ეხვეოდა. მაგალითად, მე-5—6 საუკუნეებში ირანი იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები ბიზანტიის გავლენისაგან ჩამოეშორებინა, ყოველნაირად უწყობდა ხელს ამ ქვეყნებში განხეთქილების ზრდას და თვით ქრისტიანულ მოძღვრებაში ისეთი რელიგიური მიმდინარეობის დამკვიდრებას, რომელიც ბიზანტიურისაგან განსხვავებული იქნებოდა. მე-10 საუკუნის ქართლის კათალიკოსის არსენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ირანელებს სურდათ აღნიშნულ ქვეყნებსა და ბიზანტიას შორის. „სიძულვილი შთავარდეს განშორებითა სჯულითა და ამით უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსთასა“.[1] ირანის ასეთი მეცადინეობით ჯერ სომხეთში, ხოლო შემდეგ თითქმის მთელს ამიერკავკასიაში დიოფიზიტური მოძღვრების საწინააღმდეგო მონოფიზიტური მიმართულება გავრცელდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებამ მე-7 საუკუნეშივე იცვალა სახე. ამიერკავკასიაში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობას თან მოჰყვა „ქრისტეს სჯულის განწმენდაც“.

რელიგიურ-იდეოლოგიური მიმართულებათა ასეთ ცვალებადობას თავისთავად მოჰქონდა ზიანი კულტურული მემკვიდრეობისათვის. როგორც მიქაელ ეპისკოპოსმა (მე-5 ს.) საქართველოში მანიქეველი მოძღვრების ნაწერები დააწვევინა, ასევე სპობდნენ, ხოლო ზოგ შემთხვევაში ასწორებდნენ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები ერთმანეთის თხზულებებს. ამის კვალი მე-5—10 საუკუნეების საქართველოში აშკარად შეიმჩნევა. ბრძოლის ასეთი მეთოდების მეოხებით, აშკარაა, ჩვენთვის საჭირო მრავალი დოკუმენტიც დაიკარგებოდა, რადგან ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ისე როგორც უველგან, საქართველოშიც, ეკლესია სწავლა-განათლების საქმეს უშუალოდ თავის სფეროში და კონტროლის ქვეშ აქცევს. ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო გარკვეული პერიოდებისათვის სწავლა-განათლების შესახებ ცნობების ამოკრება, მეტაფრასული თხზულებებიდან თუ შეიძლება. ასე, მაგალითად, მე-6 საუკუნეში მოღვაწე ასურელ მამათა ცხოვრების აღწერა მე-9—10 საუკუნეებისა და შემდგომი ხანის ნაწერებში გვხვდება. სადაც მათი მსოფლგაგები შემცველი ცნობები ფრაგმენტული და სახეშეცვლილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული და მთლიანობაში წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოდან შედარებით სრული და კარგად დაცული სახით დღემდე შემორჩენილ თხზულებათაგან ყურადღებას იქცევს ჰაგიოგრაფიული ჟანრის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა კერძოდ, იაკობ ხუცესის—„წამება წმიდისა შუშანიკისი“ (მე-5 ს.), ანონიმი ავტორის — „ევსტატე მცხეთელის მარტვილობა“ (მე-6 ს.), იოანე საბანის ძის — „წამება.... ჰაბოსი“ (მე-8 ს.), ბასილ ზარზმელის „ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონისი“ (მე-10 ს.), გიორგი მერჩულეს — „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

აღნიშნულ თხზულებათა შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვითაა დაწერილი. მათში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს, ბასილ ზარზმელის სიტყვით რომ ვთქვათ, გარკვეული „წესი თხრობისაჲ“. საერთოდ შემუშავებულია სამწერლობო ტერმინოლოგია, წერის მეთოდები. ნაწარმოებში მოთხრობილი ამბების დამაჯერებლობისათვის და უტყუარობისათვის პირველწყაროებია დასახელებული. ამ თხზულებათა ყველა ავტორი თავისი დროისათვის საკმაოდ ერუდირებული, მწერლობაში დახელოვნებული და ამავე დროს გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელნი არიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი სახით მოაზროვნე ისტორიკოსები წარმოგვიდგებიან, რომლებიც გარკვეულ პროგრესულ იდეებს ქმნიან.

რა თქმა უნდა, ადრეფეოდალური ხანის ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნება, რომელიც თავის მხრივ მომამზადებელი ეტაპი იყო მე-11—12 საუკუნეთა საქართველოს კულტურული აღორძინებისა, გარკვეული ტრადიციული გზის გაგრძელება უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ქართულ დამწერლობას, მის შესახებ ზუსტი მსჯელობა მხოლოდ ადრეფეოდალური ხანიდან შეგვიძლია. ადრემონათმფლობელური ხანის ნიმუშები საქართველოში დღემდე სამწუხაროდ არ შემორჩა.

ლეონტი მროველის ცნობით უძველეს ქართლში გარდა ქართულისა სხვა ენებიც „იზრახებოდა“, ე. ი. იმხანად სხვა ენებზეც ლაპარაკობდნენო.[1] აღნიშნული ცნობის სისწორე 1940 წელს აღმოჩენილმა არმაზის ბილინგვამ დაადასტურა, რომელიც ჩვ. წ. აღრიცხვამდე მე—2 საუკუნით თარიღდება. ბილინგვის ასოთა დაწერილობა არამეულია, რომლის შინაარსი წარჩინებული წოდების ახალგაზრდა განთქმული ქალის, სერაფიტას უდროოდ სიკვდილს გვაუწყებს. ამავე სტელაზე შინაარსის მცირე სხვაობით გაკეთებულია ტექსტის ბერძნული დაწერილობაც.[2]

მცხეთის არქეოლოგიური გათხრებით ბერძნული და არამეული დამწერლობის სხვა ნიმუშებიც აღმოჩნდა. ასე რომ, არამეული დამწერ-

[1] თ. ქორდანია, ქრონიკები I, თბილისი, 1892, გვ. 324.

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 16.

[2] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბილისი, 1942, გვ. 16.

ლობის თავისებური შტოს განვითარებაც კი შეიმჩნევა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზულის“ სახელითაა ცნობილი.

როგორც ჩანს, ბერძნულ—არამეულ დამწერლობას, ჩვ. წ. აღრიცხვამდე და ჩვ. წ. აღრიცხვის პირველ საუკუნეებში, მცხეთის არისტოკრატია იყენებდა როგორც იმ დროის საერთაშორისო ხასიათის დამწერლობას. ამაზე ის ფაქტიც მიგვითითებს, რომ აღნიშნული წარწერები წარჩინებული წოდების წარმომადგენელთა აკლდამებთან დაკავშირებით გვხვდება.

ადრეული ქართული დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია პალესტინაში, ბეთლემის ტაძრის კედელზე, რომელიც მე-5 საუკუნის 30-იან წლებშია შესრულებული.[1] ასეთივე ნიმუშია მე-5 საუკუნის ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა და სხვ.

როგორც აღვნიშნავდით, ქრისტიანობამ პირისაგან მიწისა აღგავა წარმართული დროის შემოქმედება და ყველგან და ყველაფერში თავისი მიმართულება დაამკვიდრა.

საფიქრებელია, რომ ძველ საქართველოში „მეფეთა წიგნებიც“ იწერებოდა, რომლებიც წარმართული დროის მეფეთა საქმიანობას და მნიშვნელოვან მოვლენებს აღნუსხავდნენ. ასეთი წიგნები როგორც სომეხი ისტორიკოსის, მოსე ხორენელის, გადმოცემით ირკვევა სომხეთშიც არსებულა, რასაც „მატიან ტაგავარაც“ — მეფეთა მატიანე— ამბავი, ისტორია ერქვა.[2] უფრო გვიან, როგორც ცნობილია, ასეთი მატიანეები ქრონიკების სახით იწერებოდა ევროპაშიც, გვხვდება სპარსეთში, რომელსაც მეფეთა წიგნი („შაჰ-ნამე“, ძველ სპარსულად „ხვადაი-ნამაკ“) ერქვა.

საგულისხმოა, რომ „მეფეთა წიგნების“ გავლენის კვალი ატყვია მე-11 საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ გარკვეულ მონაკვეთებს. შესაძლოა ლეონტის ხელთ ჰქონდა ამგვარ მატიანეთა ზოგიერთი გადარჩენილი ვარიანტი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ თვით ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომის სახელწოდებაც — „ჰამბავი მეფეთა“, როგორც მას ქართლის კათალიკოსი არსენი უწოდებს, ძველი მატიანეების სახელდების ანარეკლი უნდა იყოს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ლეონტის საისტორიო ნაშრომში სწორედ წარმართული ხანის მეფეთა ისტორიაა მოთხრობილი.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მობიდანის ერეტიკული ხასიათის ნაშრომები მოსპო. მისივე მსხვერპლი შეიქმნა შემდგომში კოლხეთის რიტორიკული სკოლაც, სადაც განათლებისა და სააზროვნო კულტურის საკითხების შესასწავლად მრავალი საინტერესო დოკუმენტი იქნებოდა დაცული.

მაშასადამე, აღნიშნული გარემოება გარკვეულად ბოჭავს ადრეული პერიოდების განათლებისა და სააზროვნო კულტურის შესწავლის საქმეს, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფრაგმენტული ცნობების არსებობას, რაც განათლების საკითხის შესახებ ზოგადი წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

1. სწავლა-აღზრდის საქმე

ადრეული თაობის აღზრდის პრობლემა თავისი განვითარების სათავეს მონათმფლობელურ საზოგადოებაში იღებს.

აღზრდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში კლასობრივ ხასიათს ატარებდა და ამდენად მისი შინაარსიც კლასობრივ მოთხოვნებს ექვემდებარებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ძველ საბერძნეთში არსებული განათლების სისტემის მიზანდასახულება, სადაც ბავშვის სულიერი და ფიზიკური აღზრდა ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. ინტელექტისა და ზნეობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხეულის ფიზიკურ ვარჯიშს.

ასე იყო ეს ყველა მონათმფლობელურ სახელმწიფოში და, რა თქმა უნდა, ასე უნდა ყოფილიყო საქართველოს მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც. დიოს კასიუსის ცნობით, მე-2 საუკუნის პირველ ნახევარში რომის კეისარს ანტონიუს პიუსს ქართველთა მეფე ფარსმანი თავისი ოჯახით და წარჩინებულებით სტუმრად სწვევია, ანტონიუსს ფარსმანი კეთილად მიუღია. კაპიტოლის ტაძარში მსხვერპლის შეწირვის უფლებაც მიუცია და უხვადაც დაუსაჩუქრებია.[1] ერთ-ერთი საზეიმო თავყრილობის დროს ფარსმანის მხლებლებს ისეთი მომხიბვლელი ფიზიკური ვარჯიში შეუსრულებიათ, რომ ამ სანახაობით აღტაცებულ ანტონიუსს მარსის ველზე ფარსმანის ცხენიანი ქანდაკების აღმართვა უბრძანებია.

საგულისხმოა, რომ ვარჯიშს მხოლოდ მეფე, მისი შვილი და წარჩინებულები (კასიუსთან—პირველი იბერები) ასრულებდნენ. ამასთანავე, ვარჯიში სანახაობრივი ხასიათის უნდა ყოფილიყო, რომ გარკვეული საშემსრულებლო ოსტატობით მოეხიბლა მაყურებელი და მისთვის ესთე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბილისი, 1960, გვ. 28.

[2] **История Армении, Моисея Хоренского**, ნ. ემინის გამოც., 1888, გვ. 51. შენიშვნა — 250.

[1] **Dios Cassius, Hist. Bomana epït**, L XIX, 3 — ვ. ვ. ლატიშევი, **Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе**, СПБ, 1890—1900, გვ. 622.

ტიკური სიამოვნება განეცდევინებინა. მართლაც, წარმოდგენილი ვარჯიში, როგორც ჩანს, იმდენად მშვენიერი იყო, რომ რომის იმპერატორის ყურადღება და აღფრთოვანება დაუმსახურებია. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ იბერიის არისტოკრატიის განსწავლის პროცესში ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია დათმობილი.

ფიზიკური აღზრდის კვალდაკვალ იმჟამინდელ საქართველოში გონებრივ განათლებასაც ღებულობდნენ.

მე-4 საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლოებით 317—388 წწ.) ერთ-ერთ წერილში მოტანილი ცნობით ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად რიტორიკული სკოლა არსებულა, სადაც თემისტიოსის მამას და თვით მასაც „რიტორიკული განათლება“ მიუღია.[1] აღნიშნული სასწავლებლიდან იმდენად განათლებული და განსწავლული პირები გამოდიოდნენ, რომ თურმე რიტორიკაში დახელოვნებულ ბერძნებს ეჯიბრებოდნენ და სჯობნიდნენ კიდეც.

სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არაა დაცული იმის შესახებ, თუ რა სახის პროგრამებით მიმდინარეობდა სწავლა ან ვინ ასწავლიდა კოლხეთის „რიტორიკულ“ სასწავლებელში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებით კოლხეთის რიტორიკული სკოლა დღევანდელი ფოთის მახლობლად არსებულა მე-3—4 საუკუნეებში. რომ იგი მე-3 საუკუნეშიც არსებობდა, ამას თვით თემისტიოსის წერილში მოტანილი ცნობა ადასტურებს, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევგენიოსსაც ამავე სასწავლებელში უსწავლია.

კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ ერთადერთი ცნობა თემისტიოსის წერილშია დაცული; თუ რა ენაზე მიმდინარეობდა აქ სწავლა, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი. როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს „რაკი ფოთის მახლობლად ისეთი რიტორიკული სკოლა მოიპოვებოდა, სადაც ბიზანტიიდან წარმოგზავნილი ახალგაზრდები სწავლობდნენ, თავისთავად იგულისხმება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე სასწავლებელი დაარსებული იქნებოდა არა მარტო უცხოელებისათვის, არამედ პირველ რიგში ადგილობრივი კოლხებისათვის.“[2] აკად. შ. ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კოლხეთის სანაპიროზე ბერძნული დასახლებაც უნდა არსებულიყო. „ბერძნები ისევე ლაპარაკობდნენ ადგილობრივ, ე. ი. ქართულ ენაზე, როგორც

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტ. ისტ. II, თბილისი, 1949, გვ. 350—357.
[2] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 116.

კოლხეთის ადგილობრივნი — ბერძნულზე. აქედან ისიც ნათელია, რომ კოლხეთის აკადემიაში სწავლება თავისუფლად შეიძლებოდა ორივე ენაზე წარმოებულიყო: ბერძნულსა და ქართულზე“[1].

თემისტიოსი არ ასახელებს კოლხეთის რიტორიკული სკოლის დამარსებლის სახელს, თუმცა ამ საქმის მომჭმედად ვიღაცას გულისხმობს, რომლის დასახასიათებლად თემისტიოსი წინა პლანზე „სიბრძნეს“ და „სათნოებას“ აყენებს. აქ ისიცაა ნათქვამი, რომ აღნიშნულ სკოლაში არა „ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა, ან ჯირითი“ ისწავლებოდა მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ, „თუ როგორ გაიწრთვნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდა ელინთა დღეობებზე“.

რიტორიკულ ხელოვნებაში გაწვრთნა სიტყვაკაზმულობას, ორატორობის შესაძლებლობას გულისხმობს და ეს ამოცანა აღნიშნული სკოლის სასწავლო პროგრამაში წინა პლანზე უნდა ყოფილიყო წამოწეული.

ორატორული ხელოვნების დაუფლებას განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ სამყაროში ექცეოდა. კარგი ორატორი, რიტორი მეტყველების ისეთ ფორმებს უნდა ყოფილიყო დაუფლებული, რომ მსმენელზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოეხდინა. ამდენად, რიტორიკული ხელოვნება ხშირად წმინდა პრაქტიკული მიზნებითაც იყო გამოყენებული სახალხო კრებებზე, ჯარში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც სიტყვის ძალის გამოყენება აუცილებელი ხდებოდა.

თავისთავად, ორატორობა, აშკარაა, ცოდნის გარკვეულ დიაპაზონს მოითხოვდა. ცნობილი რომაელი ორატორისა და პოლიტიკური მოღვაწის — ციცერონის შეხედულებით ორატორი უპირველესად დაუფლებული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიურ მეცნიერებას. ციცერონი წინა პლანზე აყენებს საერთოდ ჰუმანიტარულ განათლებას. აქედან, კერძოდ, იურიდიული განათლება ხელს უწყობს ცხოვრებისეულ საკითხებში გარკვევას. ისტორიის ცოდნაში ძირითადად ფაქტებისა და მოვლენების დამახსოვრებაა ნაგულისხმევი, რაც ორატორს მაგალითების მოტანის და მოვლენების ურთიერთშეპირისპირებისათვის დასჭირდება და სხვ.[2] მაგრამ მარტო ცოდნა, ციცერონის გაგებით, ვერ შექმნის ორატორს. ამისათვის ისეთი ბუნებრივი მონაცემებია საჭირო, როგორიცაა ადამიანის ხმა, თავისუფალი მეტყველება, მაგარი ფილტვები, აგებულება, სახის ნაკვთების გარკვეული მოხაზულობა და სხვ.

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1956, გვ. 98.
[2] **Цицерон, De oratore.** იხ. კორშის თარგმ. **«Филологические исследования».** т. IV. 1893.

აღნიშნულ საკითხზე ციცერონის შეხედულება გაიზიარა და შემდგომ განავითარა 1-ლი საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა კვინტილიანემ, რომელმაც რიტორიკული ხელოვნების საკითხებს 12 წიგნისაგან შემდგარი ტრაქტატი უძღვნა.[1]

მეათე წიგნში კვინტილიანე ფართო სარეკომენდაციო ლიტერატურას წარმოადგენს (მხატვრული, ფილოსოფიური და იურიდიული), რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ორატორის საერთო განათლება.

რიტორიკულ სკოლამდე, კვინტილიანეს მიხედვით, აღსაზრდელი ჯერ გრამატიკულ სკოლაში უნდა სწავლობდეს, რიტორიკულ სკოლაში სწავლების ვადა მას განსაზღვრული არა აქვს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საამისოდ რამდენად მომზადებული იქნება მოსწავლე. ამ შემთხვევისათვის მოსწავლის ასაკი კი არაა აღებული კრიტერიუმად, არამედ სწავლაში წარმატება.

რომის იმპერიაში ჩვენს წ. აღ-მდე მე-2-1 და ჩვ. წ. აღ-ით 1-ელ, მე-2 საუკუნეებში არსებული რიტორიკული სკოლების სასწავლო პროგრამები ძირითადად ციცერონისა და კვინტილიანეს მოთხოვნებს ეთანხმებოდა. ისწავლებოდა ბერძნული და რომაული ლიტერატურა, გარკვეული მასშტაბით მათემატიკის ელემენტები, ასტრონომია, მუსიკა, სამართლის საფუძვლები და შედარებით ვრცლად ფილოსოფია.

თემისტიოსის წერილში დაცულ ცნობას თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით, გასაგები უნდა იყოს, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსით და მიზანდასახულებით ძველბერძნული და, კერძოდ, რომაული რიტორიკული სკოლებისაგან ბევრად არ უნდა განსხვავებულიყო, სადაც დაახლოებით ანალოგიური პროგრამებით წარიმართებოდა სწავლა. თემისტიოსის განცხადებებით გარკვევით ჩანს, რომ აქაც სწავლების ძირითადი მიზანი „რიტორიკულ ხელოვნებაში გაწვრთნა“ ყოფილა. ეს უკანასკნელი კი ცოდნის იმავე მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებებითაა გათვალისწინებული. ისევე როგორც რომაულ რიტორიკულ სასწავლებელში, კოლხეთის რიტორიკულ სკოლაშიც სასწავლო პროგრამა ლიტერატურის, ასტრონომიის, შესაძლოა მუსიკის და მათემატიკის ელემენტების და ძირითადად ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლების ციკლს შეიცავდა. სწორედ ასეთი განათლება იყო საჭირო, რომ ორატორი გამოჩენილიყო „ელინთა დღეობებზე“.

რიტორიკული მეცნიერება იმჟამინდელ საქართველოში, ისე, როგორც ბერძნულ და რომაულ სამყაროში, წმიდა პრაქტიკული მიზნითაც იყო გაგებული და არა მხოლოდ „ელინთა დღეობებზე“ ორატორული ხელოვნების გამოსაჩენად. ამის დამადასტურებელი საბუთები თვით ბიზანტიელ მწერლებთანაც გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია აგათია სქოლასტიკოსის (536—582 წწ.) საისტორიო თხზულებაში დაცული ცნობა ბიზანტიელი სარდლების მიერ გუბაზ მეფის ვერაგული მკვლელობის შედეგად კოლხეთში მოწვეულ სახალხო კრებაზე ქართველი ორატორების გამოსვლის თაობაზე. აღნიშნულ კრებაზე ორი პოლიტიკური ორიენტაცია (ირანული და ბიზანტიური) დაუპირისპირდა ერთმანეთს. აგათია სქოლასტიკოსი დაწვრილებით გადმოსცემს სხვადასხვა ორიენტაციის მჭონე ქართველი წარჩინებულების—აიეტისა და ფარტაზის სიტყვებს, რომლებიც ღრმა პოლიტიკური აღღოთი, ლოგიკური დასკვნებით და სიტყვაკაზმულადაა წარმოთქმული. საქმე ისე წარიმართა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ბედი (სახელდობრ, ის, თუ რა გზას დასდგომოდნენ კოლხები და რა ორიენტაცია აეღოთ) გამოსულ ორატორთა სიტყვების დამარწმუნებელ ძალას უნდა გადაეწყვიტა. აიეტის მჭევრმეტყველურ სიტყვას ფარტაზის ასეთივე გამოსვლა დაუპირისპირდა, რომელმაც აიეტის მიერ ირანული ორიენტაციისათვის მომზადებული კრება ბიზანტიური ორიენტაციისაკენ შეაბრუნა. საინტერესოდაა გადმოცემული ფარტაზის სიტყვის დასაწყისი, სადაც იგი რიტორიკული ხელოვნების ერთგვარ დახასიათებასაც იძლევა—ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, — განაცხადა ფარტაზმა — რომ მეტად მოხერხებულად და წარმატებით თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს, უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ განუცდია; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ეყრდნობა. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოგეწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო და სხვ. ამის შემდეგ ფარტაზი თვით საკითხის პოლიტიკური შინაარსის გარჩევას იძლევა.

როგორც აღნიშნულ კრებაზე წარმოთქმული სიტყვები, ისე შემდეგ მკვლელთა გასამართლებაზე (რაც იუსტინიანე კეისრის ბრძანებით 554 წ. კოლხეთშივე დაინიშნა) კოლხთა წარმომადგენლის საბრალდებულო სიტყვა,[1] აშკარას ხდის რომ აქ ჩვენ საქმე პოლიტიკური და იურიდიული განათლების მქონე რიტორიკულ ხელოვნებაში გამოწრთობილ პირებთან გვაქვს, რომელთა ცოდნის დიაპაზონი, რა

[1] **Р. Е. Жураковский. Очерки по истории Античной педагогики**, учп. М. 1940, გვ. 406.

[1] ორატორის სახელს აგათია არ ასახელებს, იხ. გეორგიკა, ტ. III, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანთა და ტექსტის დართვით, თბილისი, 1936, გვ. 129—140.

თქმა უნდა, კიდევ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამ კონკრეტულ ვითარებაში ჩანს. ეს ცოდნა მათ გარკვეულ დროში თანმიმდევრული და საფუძვლიანი სწავლებით უნდა ეთვისებინათ.

როგორც წინათაც აღინიშნა, კოლხეთის სანაპიროზე ადრევე არსებობდა ბერძნული ახალშენები. მაგრამ საეჭვოა, როცა თემისტიოსი „ელინთა დღეობებს“ ახსენებს, აქ დასახლებულ „ელინთა“ დღესასწაულებზე საუბრობდეს. ბერძნული ახალშენები არც თუ ისე დიდი იყო კოლხეთის სანაპიროზე და რაც იყო ვაჭრობის ინტერესებს ემსახურებოდა. „ბერძენი ვაჭარი-საქმოსნები“ სწავლითა და მეცნიერების ცოდნით იმდენად როდი იყვნენ დაინტერესებული, რამდენადაც წმიდა პრაქტიკული სავაჭრო საქმიანობით. თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ზოგიერთი თითო-ოროლა გამდიდრებული ბერძენი ვაჭარი, თუ კი იგი თავისი შეძლებით არისტოკრატის დონემდე ამაღლდებოდა, თავისი შვილის რიტორიკულ სასწავლებელში განსწავლას შეეცდებოდა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ.

ელინთა დღეობებზე ქართველ ორატორთა გამოჩენის ცნობას ჩვენთვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა იმდენად აქვს, რამდენადაც კოლხეთის სკოლის აღზრდილების ბერძნულ ენაში გაწვრთნილობაზე მიგვითითებს. აღნიშნულ სასწავლებელში ევგენიოსის და თემისტიოსის განსასწავლად ყოფნის ფაქტიც იმას გვაფიქრებინებს, რომ აქ სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელის შესწავლა კი აუცილებელი იყო, რამდენადაც რიტორიკული ხელოვნების დაუფლება ბერძნული კლასიკური ლიტერატურის ცოდნას ითხოვდა. ესეც არ იყოს ბერძნული ენა იმხანად საერთაშორისო ენად ითვლებოდა მოწინავე მსოფლიოში და მით უმეტეს უნდა სცოდნოდა იგი რიტორს, ფართო ჰორიზონტისა და განათლების მქონე პიროვნებას. ბერძული ენა იმ დროისათვის კოლხეთის არისტოკრატიაში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. ბერძნული წყაროების ცნობით კოლხები (იგულისხმება წარჩინებული წოდება) მას დიდიხანია ფლობენ. ამავე ფაქტს ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბერძნული წარწერები.

რიტორიკულ სასწავლებელში ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდა უნდა მისულიყო, სადაც ამ ცოდნას შემდგომ გააღრმავებდა და განამტკიცებდა. ბერძნულ ენას, ისევე როგორც სხვა გარკვეულ დისციპლინებს, წარჩინებულთა შვილები სპეციალური, გრამატიკული სწავლებით თუ აითვისებდნენ. თვით ის ფაქტი, რომ 1—4 საუკუნეების კოლხეთში უმაღლესი საფეხურის რიტორიკული სკოლა არსებობდა (რაც შესაძლოა ერთადერთი არ იყო), მოსამზადებელი საფეხურის სკოლების არსებობაზეც მიგვითითებს. ასეთი სკოლები იმ „აყვავებულ ქალაქებში“ იქნებოდა მიმობნეული, რომლებზედაც პლინიუსი, სტრაბონი და სხვა ბერძენი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

კოლხეთსა და ქართლში წარჩინებულთა შვილებს შინ ასწავლიდნენ, განსაკუთრებით მეფის შთამომავალთ. მაგალითად, ბაქარ მეფის შვილს (მე-5 ს. დასაწყ.) მურმანოზს ასეთ აღმზრდელად ვინმე მითრიდატე ლაზი ჰყოლია. უფრო გვიან ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით კი შემდეგი ცნობა გვხვდება—„მაშინ ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა.“[1] როგორც ჩანს ვახტანგის აღზრდა მიქაელ ეპისკოპოსს უკისრია, მაგრამ იგი მარტო როდია ამ საქმეში. თხუთმეტი წლის ვახტანგის ქართლის წარჩინებულებთან შეხვედრასთან დაკავშირებით ნათქვამია „მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მაღლითა“. ე. ი. ვახტანგი ფილოსოფოსთა მიერაც ყოფილა აღზრდილი და თხუთმეტი წლის ასაკისა უკვე გონებრივად „ვითარცა მოხუცებული და ბრძენი“ ისე მოწიფულა. საგულისხმოა, რომ ვახტანგის აღზრდაში პედაგოგების მთელი ჯგუფი იღებს მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ეს „ფილოსოფოსნი“ ერთ და იმავე საგანს არ შეასწავლიდნენ მას, არამედ სხვადასხვა დისციპლინებს, მათ შორის შესაძლოა რიტორიკასაც, რომელში დახელოვნება იმავე სხვადასხვა დისციპლინების და განსაკუთრებით ფილოსოფიის შესწავლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

ვახტანგის აღზრდაში მიქაელ ეპისკოპოსის ჩარევა შემთხვევითი როდია. როგორც წინა მონაკვეთში განმარტებული გვქონდა, ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ წარმართული მსოფლმხედველობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. ეპისკოპოსი ბინქარანი „მწვალებლურ“ იდეებს ავრცელებდა ქართლის მოსახლეობაში, რის შედეგადაც „მიიქცა... მრავალი ცეცხლმსახურებასა“. მიქაელ ეპისკოპოსი, ვახტანგის დედის, საგდუხტ დედოფლის მიერ სწორედ ამ ამბების გამოსასწორებლად იყო საბერძნეთიდან გამოთხოვილი. „მწვალებლობასთან“ ბრძოლის კვალდაკვალ მიქაელის მთავარ საზრუნავს, აშკარაა, ისიც შეადგენდა, რომ მცირეწლოვანი მეფე ვახტანგი რაიმე გზით ერეტიკოსთა ცდუნე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 146.

ბას არ აჰყოლოდა. მიქაელი ამ საქმეს სხვას არ ანდობს, თავად კისრულობს ვახტანგის თეოლოგიურ მეცნიერებაში გაწაფვას.

„მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი ერეტიკოსობის ბასტიკი მტერია და ამ საქმეში მას დიდი სიმკაცრეც ემჩნევა. ამაზე მეტყველებს მიქაელისა და ვახტანგ მეფის ინციდენტი. ვახტანგ გორგასალის სპარსეთს ყოფნის ჟამს მიქაელისათვის შეუსმენიათ, თითქოს ვახტანგი ცეცხლთაყვანისმცემელი გაბზდარიყო. ამაზე მიქაელი ფრიად განრისხებულა. ამ განრისხების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ვახტანგი სწვევია მას და პატივისცემის ნიშნად ფეხზე მთხვევაც დაუპირებია. ამ დროს კი მიქაელს უტაქტო საქციელი უკადრებია „განძრა მან ფეხი და მიამთხვია პირსა მეფისასა“[1]... აღნიშნულმა ინციდენტმა იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო ბოლოს, რომ მიქაელი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ეპისკოპოსობიდან გადააყენა და საქართველოში (ვახტანგის თხოვნისამებრ), უკვე პეტრე იკურთხა.

მიქაელის სიფიცხე არცაა გასაკვირი, რადგან საგდუხტ დედოფლის თხოვნით მიქაელი იმ დროს გამოემგზავრა საბერძნეთიდან (მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი), როცა იქ ქრისტიანული რელიგია სხვა მოძღვრებათა მიმართ ბრძოლაში თავის გამარჯვებას აშკარად გრძნობდა. ცოტა უფრო გვიან (529 წ.), როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიის დაჟინებული მოთხოვნით იმპერატორმა იუსტინიანემ ათენის ფილოსოფიური სკოლა გააუქმა, ხოლო მის ქონებას იმავე ეკლესიის სასარგებლოდ კონფისკაცია უყვეს. ასე რომ ათენის ფილოსოფიური სკოლის უკანასკნელმა მესვეურებმა თავს საბერძნეთიდან გაქცევით უშველეს.

მიქაელის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ვახტანგის ფილოსოფიაში გათვითცნობიერება გარკვეულად რეგლამენტირებული იქნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის გაწვრთნა უფრო რიტორიკული მეცნიერების დაუფლების ასპექტით ხდებოდა იმავე პრაქტიკული მიზნებით, როგორც ახასიათებდა ეს რიტორიკის შესწავლას საერთოდ. ამ შემთხვევაში გასაგები ხდება მემატიანეს განცხადებაც ვახტანგის „ფილოსოფოსთა თანა“ აღზრდის შესახებ, რომელიც რამდენიმე ფილოსოფოსს მასწავლებელს გულისხმობს, რამდენადაც რიტორიკული მეცნიერების დაუფლება, ფილოსოფიის, სამართლის საფუძვლების, მათემატიკის ელემენტების, ასტრონომიის, ლიტერატურის და სხვა ცოდნის მიღებას გულისხმობდა. მიქაელ ეკისკოპოსს ფილოსოფიის საფუძვლების სწავლების წინააღმდეგ წასვლა არც შეეძლო, რადგან ამის ტრადიცია იმჟამინდელ საქართველოშიც არსებობდა და თვით საბერძნეთშიც, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებდა ათენის ფილოსოფიური სკოლა და ნეოპლატონური მიმართულების მეთაური პროკლე დიადოხოსი. და, ბოლოს, ამ საქმეთა კარგად მცოდნე თავად მიქაელიც ხომ საბერძნეთიდან იყო მოსული. მას შეეძლო სწორად წარემართა ვახტანგის მსოფლმხედველობის განვითარება, ქრისტიანული თეოლოგიის ნიადაგზე დაყრდნობით.

ვახტანგისდროინდელ ქართლში, როგორც ჩანს, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სწავლების ურთიერთ შეთანხმება უკვე ხდებოდა, რაც თავისთავად, ფილოსოფიის „გამორჩევით“ შესწავლაზეც მიგვითითებს.

დასასრულ, ვახტანგ გორგასალის აღზრდის საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ქართლის ცხოვრების იმ ცნობასაც, რომელიც პირდაპირ გვაუწყებს — „შემდგომად ამისა მოხადა მეფემან ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად, და დღეთა მრავალთა ყო პურობა და განცხრომა, და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისსა. მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან“.[1] ეს წესი საქართველოში უძველეს ხანიდან ჩანს გავრცელებული და იგი მარტო მეფეთა სახლის შვილთათვის კი არა, არამედ წარჩინებული წოდების შვილთათვისაც იყო დაწესებული. ასეთ აღმზრდელს, რომელთანაც შვილს გააბარებდნენ, „მამამძუძე“ ერქვა, მის მოვალეობას მიბარებული ბავშვის აღზრდაზე მეთვალყურეობა შეადგენდა.

„მამამძუძეს“ შესახებ ცნობა გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, სადაც ნათქვამია — „ესე აზო წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი **მამამძუძეთანი**“.[2] ლეონტი მროველის ერთ-ერთი ცნობით, ქართლის მეფის ფარნაჯომის მტერთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მისი ძე „მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძუძემან მისმან და იქცტოდა სპარსეთს“, აქვეა დასახელებული შვიდი წლის მირიანის მამამძუძედ მირვანოზ და სხვ. „მამამძუძე“ როგორც გამზრდელი, მეუღლე და მამის შემცვლელი ისეა მიჩნეული. იაკობ ხუცესის თქმით შუშანიკი სიკვდილის წინ თავისთან მოუხმობდა მისი სახლის ეპისკოპოსს აფოცს, „ვი-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 196.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 143 (ბახი ყველგან ჩვენია — სვ. გ.).

[2] „მოქცევაი ქართლისაი“, იხ. ექვთ. თაყაიშვილის გამოც. ტ. II, გვ. 702.

ს-161816

თარცა მამასა და **მამა-მძუძესა**[1]". მამამძუძეობა ხშირად ნათესაურ დაახლოებაში გადადიოდა. იგივე ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთ ბრძოლაში დაღუპულ მის ეჯიბს საურმაგს „იგლოვდა... ვითარცა ძმისა საუყარელისასა. რამეთუ თანზრდილ იყო მისი, ძმისწული **მამამძუძისა მისისა,** არტავაზის მამისა, ერთგული, მისანდობელი და ქუელი".

მაშასადამე, ვახტანგის აღზრდას წარჩინებული საურმაგ სპასპეტი ხელმძღვანელობდა, ვითარცა „მამამძუძე". საგულისხმოა, რომ თვით საურმაგი, როგორც არისტოკრატული წრის წარმომადგენელი, აგრეთვე, „ფილოსოფოსთა თანა" და „კეთილად აღზრდილი" უნდა ყოფილიყო, რაკი იგი ვახტანგის ცოდნის გამდიდრებაზე ასე ზრუნავდა.

ფილოსოფიური ცოდნის მიღების ტრადიცია საქართველოში ვახტანგის შემდგომ დროშიც გრძელდება. ასურელ მამათა განათლების შესახებ საუბრისას, წინა მონაკვეთში, ასურელ მამათა სირიული სკოლის გავლენაზე მივუთითებდით. აშკარაა, საქართველოში მოსული ასურელი მამები თავიანთ ფილოსოფიურ ცოდნასაც გადასცემდნენ, როცა აქ „მოძღურებითა" მოღვაწეობას შეუდგნენ. ასურელ მამებზე ცოტა უფრო გვიან, მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე ფილოსოფიურ მეცნიერებაში განისწავლებოდა, ასევე, გრიგოლ ხანძთელი.

გრიგოლმაო — მოგვითხრობს მისი ცხოვრების აღმწერი გიორგი მერჩულე — „სიბრძნეჲცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ" ისწავლა, ოღონდ ისე, რომ „რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი (ე. ი. ფილოსოფიურ თხზულებებში, — სვ. გ.) შეიწყნარის, ხოლო ჯირკუალი განაგდის"[2]. სქოლასტიკურ პერიოდში ფილოსოფიური თხუზულებებისადმი გრიგოლის ასეთი დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. ასეა ეს სქოლასტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის იოანე დამასკელის კონცეფციითაც. იოანე, როგორც აღვნიშნავდით, ანტიკური ფილოსოფიიდან მხოლოდ ქრისტიანული თეოლოგიისათვის საჭირო სიბრძნეს ამოკრებს. მისი აზრით, ის რაც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში, კერძოდ, არისტოტელესთან ქრისტიანული თეოლოგიისათვის მისაღებია, ღვთის მიერაა ნაკარნახევი და ამდენადაა გამოსადეგი, ხოლო დანარჩენი დასაგმობია. ფილოსოფია დამასკელთან თეოლოგიის სამსახურშია ჩაყენებული, რათა მას ღვთის ჭეშმარიტების ახსნაში დაეხმაროს. არისტოტელეს მოძღვრებიდან, მაგალითად, ამ მიზნით მისაღებია

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 43 (ხაზი ჩვენია — სვ. გ.).

[2] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 14.

„ლოგიკა", რომლის ჭეშმარიტების კანონები საფუძვლად ედება ღვთაების და სარწმუნოების ჭეშმარიტების დამტკიცებას.

ზემოთ ნათქვამის შემდეგ გასაგებია, რომ გრიგოლი სქოლასტიკური ფილოსოფიის რეგლამენტაციითაა განსწავლული. რაც მთავარია იგი ფილოსოფიას, ვითარცა საგანს სწავლობს. გიორგი მერჩულე აღნიშნულ საგანს სხვა სასწავლო საგნებთან ერთად ახახელებს.

აქ მეორე გარემოებაც იქცევს ყურადღებას. კერძოდ ის, რომ გრიგოლი ფილოსოფიას თავდაპირველად „ჯირკუალითურთ" ეცნობა, ე. ი. თეოლოგიისათვის მიუღებელ, „გარეშე" ფილოსოფიასაც კითხულობს. აღნიშნული გარემოება თვით გიორგი მერჩულეს განათლების დონის გასათვალისწინებლადაცაა საინტერესო. საინტერესოა იგი, აგრეთვე, ვახტანგ გორგასალის ფილოსოფიურ მეცნიერებაში განსწავლასთან მიმართებაში. მართალია, ვახტანგის დროს „გარეშე ფილოსოფიის" საკითხი ისე მტკივნეულად არ იდგა, როგორც გრიგოლის სქოლასტიკურ გარემოში, მაგრამ გარკვეული მასშტაბის რეგლამენტირების მსგავსი ფორმა იქაც სავარაუდოა. სხვა შემთხვევაში ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთშეხამება შეუძლებელი იქნებოდა.

ამგვარად, საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღების ძველთაგანვე არსებული ტრადიცია ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ პერიოდშიც გრძელდება, ოღონდ ამიერიდან იგი თეოლოგიის სამსახურშია გახვეული და მის სამსახურში ჩაყენებული.

სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მწიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ და, კერძოდ, ცნობილ ნიზიბინის სკოლაში. მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სადაც სასწავლო პროგრამა ძირითადად ეგზეგეტიკას და ლიტურგიკას მოიცავდა, საქართველოში თეოლოგიურ-ფილოსოფიური მეცნიერების შესწავლასაც ჰქონდა ყურადღება დათმობილი.

ძირითადი სასწავლო საგანი თეოლოგია იყო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, მაგალითად, ვკითხულობთ, რომ მისთვის შეუსწავლებიათ „დავითი და ხმითა სასწავლო სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოძღურიაჲ ქართულსა ენასა შინა". მან თურმე „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწურთნა". ილარიონ ქართველზე ნათქვამია, რომ ექვსი წელი როცა შეუსრულდა, „მიეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა". როგორც გრიგოლის, ასევე ილარიონის სწავლებით საეკლესიო მსახურის აღზრდას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ ისეთ შემთხვევაშიც, როცა საეკლესიო მსახურს არ ამზადებდნენ, თეოლოგიას, როგორც მთავარ სასწავლო

საგანს, ისე ასწავლიდნენ. როცა საქართველოში გადმოხვეწილი არაბი ჰაბუკის, აბოს სწავლებას შეუდგნენ, მან თურმე „იწყო ზედა მიწევნად და სწავლად ჴალმრთთთა წიგნთა ძუელი'ა და ახლისა ჰსჯულისათ: და საკითხავთა საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთასა და მრავალთაგან ჰსჯულისა მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებენ". ჯერ კიდევ ადრე ვახტანგ გორგასალი „მიქაელ ეპისკოპოსისაგან ისწავლიდა ყოველსა მცნებასა უფლისასა" და სხვ.

გარდა თეოლოგიისა და ფილოსოფიისა, ერთ-ერთი შესასწავლი საგანი, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, გალობა იყო. ამისათვის გამოყენებული იყო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები. როგორც მე-10 საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფის, მიქელ მოდრეკილის მიერ შეკრებილი საგალობლები გვამცნობს, ასეთი ნაწარმოებები მრავლად იწერებოდა ძველ საქართველოში. თვით საუკეთესო მგალობელს გრიგოლ ხანძთელსაც დაუწერია „საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან". აღნიშნული იადგარი სამწუხაროდ დღემდე არ შემორჩენილა და ძნელი დასადგენია მიქელ მოდრეკილის კრებულში გრიგოლის რომელი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებებია შეტანილი, რამდენადაც ზედწერა ამას არ გვამცნობს. საგალობლებს ცოტა უფრო გვიან მე-10 ს თვით მიქელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და სხვა მრავალი საეკლესიო მოღვაწენი წერდნენ.

ჰიმნოგრაფიას რომ ცალკე ასწავლიდნენ, ამას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობა გვისურათებს. გრიგოლის შესასწავლ საგნებში დასახელებულია „ხმითა სასწაულო სწაელაჲ". პროფ. ვ. ჭანტურია მიიჩნევს, რომ აქ ხმით დასწავლის მეთოდთან უნდა გვქონდეს საქმე.[1] ჩვენის აზრით, „ხმითა სასწაულო სწაელაჲ" უფრო ჰიმნოგრაფიის შესწავლაზე და საერთოდ ლიტურგიკაზე უნდა მიგვითითებდეს, ვიდრე ხმით დასწავლის მეთოდზე. გრიგოლ ხანძთელს, როგორც გიორგი მერჩულე გვამცნობს, იმთავითვე თურმე მღვდლად ამზადებდნენ. თვით მასაც საეკლესიო სამსახურისადმი ძლიერი მისწრაფება ჰქონია. ასეთ შემთხვევაში კი ლიტურგიკა ერთ-ერთი აუცილებელი საცოდნელი დარგი იყო, რომელსაც ხმით წართქმა და გალობა ესაჭიროებოდა. შიო მღვიმელს, მაგალითად, როცა ასწავლიდნენ „საღმრთოთა წერილთასა და ასწავეს ყოველი წერილი ძუელი და ახალი თარგმანებაჲ მათი". მან თურმე, „დაისწავლა უმრავლესი მათი ზეპირით" (ხაზი ჩვენია — სვ. გ.). აშკარაა, აქაც ჰაგიოგრაფი იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ შიო ასე გულმოდგინედ ლიტურგიკისათვის ემზადებოდა.

პროფ. ვ. ჭანტურია მიიჩნევს, რომ გრიგოლ ხანძთელის შესასწავლ საგნების რიცხვში შედიოდა: გრამატიკა, რიტორიკა და ბუნებისმეტყველება. რა თქმა უნდა, გრიგოლს გრამატიკას აუცილებლად შეასწავლიდნენ. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მან რიტორიკაც შეისწავლა, მაგრამ ბუნებისმეტყველება, როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ცალკე საგნად არ არსებობდა. შეიძლება მკვლევარი გულისხმობს, რომ გრიგოლს ბუნებისმეტყველების საფუძვლებს ასწავლიდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ტექსტი ყოველივე ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

ამავე დროს პროფ. ვ. ჭანტურია ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც სწერია, რომ გრიგოლმა — „სამოძღუაროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა", საერო მწერლობას გულისხმობს. იქვე კი თვით აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის საერო მწერლობა ნიმუში არა გვაქვს.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მე-9—10 სს. საქართველოში ეკლესიას, როგორც ძლიერ ფეოდალურ ინსტიტუტს, მეტად მტკიცედ ჰქონდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეხი გადგმული, რის მკაფიო ანარეკლს თვით მერჩულეს, ან გინდაც ბასილ ზარზმელის თხზულებები შეიცავენ. სწავლა-განათლების საქმეც ამ დროს ეკლესიის ხელში იყო. ამ ასპექტით საკითხის განხილვა კი აშკარას ხდის, რომ „სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა", ქართულ ენაზე არსებულ თეოლოგიური მიმართულების მეცნიერებებს უნდა ნიშნავდეს და არა საერო მწერლობას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" იმასაც ვგებულობთ, რომ მისთვის (ე. ი. გრიგოლისათვის) უცხო ენებიც შეუსწავლებიათ — „მწიგნობრობაჲცა" ასწავლეს „მრავალთა ენათაჲ". სამწუხაროდ ეს ერთადერთი პირდაპირი ცნობაა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს საისტორიო-ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან შემორჩენილი უცხო ენათა სწავლების შესახებ. ასურელი მამები უცხო ენაში რომ გაწაფულნი იყვნენ ეს აშკარაა, რამდენადაც უცხო ენათა ცოდნა მათ წინა აზიიდან მოჰყვათ.

შიოზე, მაგალითად, ნათქვამია, რომ „ლოცვასა შინა და ფსალმუნებასა ასურებსა და ბერძნულსა იხმარებდა, რაჲთუ ორივე ესე ესწავა ნეტარსა მას".[1] ე. ი. შიოს ასურული და ბერძნული ენები ცოდნია. ასეთივე ცოდნა ექნებოდა სხვა ასურელ მამებსაც. ხოლო ასწავლიდნენ თუ არა ისინი თავიანთ მოსწავლეებს გრიგოლისამებრ „მწიგნობრობას... მრავალთა ენათაჲ", ამის შესახებ მხოლოდ არაპირდაპირი ცნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გრიგოლ ხანძთელის უცხო ენასა და მწიგნობრობაში გაწაფვის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობით ჩვენ ერთეული შემთხვევის აღწერას-

[1] В. Д. Чантурия, Педагогика грузинского гуманизма XI-XII в. в., Батуми, 1954, გვ. 57.

[1] ასურელ მოღვაწეთა წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები, ლექსიკ. და გამოკვლ. გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 119.

თან გვაქვს საქმე, მაგრამ როგორც ჩანს, უცხო ენათა შესწავლას აღნიშნული პერიოდის საქართველოში არსებულ სასწავლო პროგრამებში გარკვეული ადგილი ეკავა და მას ზოგადი ხასიათი ჰქონდა. ეს დასტურდება მე-9—10 სს. შესანიშნავი ძეგლის — „შატბერდის კრებულის“ იმ მონაკვეთითაც, რომელსაც ებრაული და ბერძნული ალფაბეტის შესწავლისათვის სასწავლო სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ წარმოდგენილი ნაწილი ბერძნული ანბანისა, აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, სახელმძღვანელოს შემდგენელს მოტანილი აქვს დიონისო თრაკელის შრომის Τέχνη γραμματική გავლენით წარმოშობილი სქოლიოებიდან, რომლებიც შემდეგდროინდელ ბერძენ-ბიზანტიელ მწერალთაგან შემორჩა. ავტორი ფიქრობს, რომ გრამატიკის პირველი ნაწილის სქოლიოები უნდა ეკუთვნოდეს ბიზანტიელ გრამატიკოსს — დიომიდეს. სწორედ ამ სქოლიოებიდანაა ამოღებული წარმოდგენილი „სასწავლო წიგნის“ ნაწილი.

შატბერდის „სასწავლო წიგნში“ ებრაული და ბერძნული ანბანის შესახებ მსჯელობა ასეა წარმოდგენილი:

„არიან ესენი: ანბანი ებრაელებრი: ალეფ; ბეთ; გიშელ; დალე; ლე; ვავ; ზანავ; ეთ; ტეთ; იოთ; ქაფ; ლაბედ; მემ; ნონ; სამექ; აინ; ფე; წადე; კოფ; რე; შინ; თავ; ამისთვის: კბ: წიგნარიან მოვილიელისაგან შჯოველისა: ესე მოვიხლნი ებრაელთა შორის: კზ რაიმე არიან: ხოლო კბ აღირაცხები ან: რომელი ხოვითნი იგი ასონი მათ შორის ორკეც არიან: ქაფ მრჩობლარს: მემ და ნონ: და ფე: და წადე ესრეთცა წიგნნი აღირაცხებიან და ა აბესით რომელარს შობაჲ სოფლისაჲ: ბ ელისმოთ რომელსა ჰქვიან გამოსულათაი: გ. ოდოისკრა: რომელარს ლევიტელთაი“ და სხვ.[1]

ბერძნულ ანბანთან დაკავშირებული ფრაგმენტი — „ჰეშმარიტად წმიდათაგან წიგნთა მოვიელისაგან შჯულისა და ახლისაგან, რომელი იგი მათ შორის იპოვოს, მიზეზი აქუნდეს პირველად წარმართთა შორის ასოისა შემოღებაი ალეფისაგან, რომელი ითარგმანების სწავლისა მცნებაი მიყვანებულსა მას ყრმასა და იტყვის ისწავე ალეფისაგან და მითა მიმსგავსებულად ალფა სახელი დასდევს, და შეეტყუა გამოთქუმაი იგი გამოთარგმანებულისაი ბერძენთა ენასა, რათა ჰრქუას ყმასა ისწავე ძიებად ალფინ, რამეთუ ალფინს ძიებაჲ ჰრქვიან ბერძენთა ენასა. არამედ რამეთუ თავცა არს ასოი იგი ალფაი და ღმრთისა მიერ მოცემულ არს ნათესავსა

[1] მოგვაქვს ს. ყაუხჩიშვილის მიერ შესწორებული ვარიანტი, იხ. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 183, 184.

ჭაცთასა აღებად პირისა და გულისხმობს ყოფად, რომელი იგი წიგნსა ისწავებდეთ, დიდითა აღებითა პირისაჲ თა ითქუმის. ხოლო სხუაჲ იგი ასოჲ მცირედითა აღებითა პირისაჲ თა მიეთხრობვის და ითქუმის“. შემდგომ ჩამოთვლილია სხვა ასოები და მათი წარმოშობაცაა ახსნილი. ამის მიხედვით მიჩნეულია, რომ ბერძნებს თავიანთი ანბანი ფინიკიელებისგან აუღიათ — „რამეთუ ეგრეთვე ხმითა და სახელისდებითა, ვითარცა ებრაელთაი, მიმსგავსებულად ჰებრაელთაებრვე პინიკთა მათგანვე იპოვა. პილამიდის ვინმე უკუანასკნელ მოვიდა და იწყო ალფაბეტა: ი ̃ვ ხოლო ასოჲ ბერძენთა უპოვა მარტოდ, ესე იგი არს: ალფა A, ბეტა B, გამა Γ, დელტა Δ, იოტა [I ,ე]E, კაპა K, ლამდა Λ, მვი M, ნვი N, ოვ O, პი Π, რო ρ, სიმა Σ, ტავ T, Ȝ, Y. შესძინა კადმოს მილისელმან ასოჲ სამი თეტა Θ, ფვი Φ, ქი X. ამისთვისცა მრავალჟამ ი ̃თ ხოლო იხმევდეს. ამისთვისცა რამეთუ პირველთა მათ არა აქუნდა ლიტონი პალიდა სახელსდვეს სამაისაგან და პისა და ალფასა წერდეს... სიმონიდოს ჯონელმან შესძინა ორი ასოი ჰეტა H, ჭ, Ω, ეპიქარმოს სირაკელმან სამი სხუაი ზეტა, ქსი Z, ფსი Ψ და სხვ.

შატბერდის კრებულის წარმოდგენილი „სასწავლო წიგნი“ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა სახის სახელმძღვანელოები არსებობდა მე-9—10 სს. საქართველოში. შატბერდი კულტურის ერთ-ერთი კერა იყო, ისევე როგორც ამ დროის საქართველოში არსებული სხვა სამონასტრო ცენტრები და ამავე დროს, როგორც ჩანს, აქ სასწავლო ცენტრიც არსებობდა. თუ შატბერდის კრებულში შეტანილი სხვა შრომებითაც ვიმსჯელებთ, კერძოდ, გრიგოლ ნოსელის ადამიანის ბუნების შესახებ ცოდნის შემცველი თხზულების — „კაცისა შესაქმისათვის“, საისტორიო მატიანის — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ბასილი დიდის ცხოველთა ქცევების შემცველ თხზულების, იპოლიტე რომაელის ძველი და ახალი საღმრთო წერილების შესახებ მოცემულ განმარტებების, ეპიფანე კვიპრელის ნაშრომის თორმეტი ძვირფასი თვლის შესახებ, დავითის ფსალმუნების დაჩისეულ თარგმანს, ქრონოლოგიურ ცნობებს გამოჩენილ ებრაელთა, სპარსთა, რომაელთა და ბიზანტიელ მეფეთა შესახებ და ბოლოს „სასწავლო წიგნსაც“, სადაც ებრაულ და ბერძნულ ანბანზე და ძველი აღქმის წიგნთა შესახებ გვხვდება მსჯელობა, მაშინ მე-5—10 სს. საქართველოში არსებული სასწავლო პროგრამების შესახებ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვექმნება. ამის მიხედვით, გარდა იმ საგნებისა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი (თეოლოგიის, ფილოსოფიის, გალობის, უცხო ენების), ისწავლებოდა საქართველოს ისტორია, რომლისთვისაც მოკ-

ლე ცნობების შემცველი სახელმძღვანელო წიგნი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იყო განკუთვნილი, ასევე, საზღვარსგარეთა ქვეყნების (გამორჩენილ ებრაელ, სპარსთა, რომაელ და ბიზანტიელ მეფეთა) მოკლე ქრონოლოგიური ცნობების შემცველი ისტორიაც.

აღნიშნულ კრებულში შეტანილი გრიგოლ ნოსელის თხზულება „კაცისა შესაქმისათვის“ ადამიანის ბუნების, მისი ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობების შესწავლისათვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულ თხზულებაში, მისი დაწერის დროის შესაფერისად (მე-4 ს.), სწორედ იმ საკითხებზეა საუბარი, რაც ბერძნული ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და ანთროპოლოგიის ცოდნას ეყრდნობა (ძირითადად ჰიპოკრატეს, არისტოტელესა და გალენის) და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მისაღები ცნობებითაა წარმოდგენილი.

მისანიშნებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შესახებ თავისი დროის შესაფერისი მეცნიერული გაგებით ქართველი მოღვაწეები ჯერ კიდევ მე-5—7 სს. მსჯელობდნენ. ამის მაგალითია პეტრე იბერიელისად მიჩნეული „პეროპაგისტული“ თხზულებანი, მარტვირი ქართველის თხზულება „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ და სხვა, სადაც საინტერესო მსჯელობაა წარმოდგენილი ადამიანის როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური ბუნების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული თხზულებები, როგორც სახელმძღვანელოები, საშუალო განათლების მისაღებად იყო განკუთვნილი. ისინი თავიანთი შინაარსითაც და თხრობის მეთოდით უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის სავსებით მისაწვდომია. ახასიათებთ თხრობის ლაკონიურობა, საკითხების შინაარსს ძირითადი არსის წარმოჩენით გადმოსცემენ.

სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა. მაგალითად, შიო მღვიმელს ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნი დაუწერია თავისი მოსწავლეებისათვის, როცა შეევედრნენ „რათა მისცეს მათ სწავლანი მის მიერნი.“ მაშინ „აღუწერა მათ“ შიომ „ას სამოცი თავი სწავლაჲ ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდა ყოველნი იგი კრებულნი“.

160 თავისაგან შემდგარი წიგნი იმჟამინდელ მონასტერთან არსებული სკოლის მიზნებს ეშსახურებოდა, შიოსადმი „სწავლანი მის მიერნის“ დაწერის მოთხოვნა თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მის მოწაფეებს სხვა, უცხოთაგან დაწერილი სახელმძღვანელოები ჰქონდათ ხელთ. ასეთი უცხოთაგან დაწერილი და სახელმძღვანელოდ გამოყენებული წიგნები იმ დროისათვის არცთუ მრავალად იქნებოდა, რამდენადაც ასურელ მამათა მოღვაწეობის პერიოდი (მე-6 ს.) ფაქტიურად

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების მე-3 საუკუნეზე მოდის, როცა თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურა, ორიგინალური თუ ნათარგმნი სახით, ჯერ კიდევ შექმნის პროცესში იყო. ქართულ ენაზე თარგმნილი თეოლოგიური ხასიათის წიგნთა ნაკლებობა უფრო გვიან მე-10 საუკუნეშიც შეიმჩნეოდა, რასაც ექვთიმე ათონელის მამის, იოანეს, სიტყვები გვამცნობს — „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალი წიგნნი აკლან“ (საუბარია თეოლოგიური შინაარსის შემცველ წიგნებზე).[1] როგორც ცნობილია, ეს დანაკლისი ათონის სკოლის მოღვაწეებმა მე-11 საუკუნეში შეავსეს. მე-6 საუკუნეში, მითუმეტეს, შესამჩნევი იყო აღნიშნული ხასიათის წიგნების ნაკლებობა, რაც აშკარაა უცხო ენაზე დაწერილი ლიტერატურის გამოყენების აუცილებლობას გამოიწვევდა და თავისთავად უცხო ენათა ცოდნას მოითხოვდა. ეს გარემოება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ასურელი მამები უცხო ენებსაც ასწავლიდნენ თავიანთ მოსწავლეებს. და არა მარტო ასურელი მამები — ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო ასეთი ტენდენცია საერთოდაც უნდა არსებულიყო იმჟამინდელ საქართველოში, რის შესახებაც სამწუხაროდ მხოლოდ ერთადერთი ფაქტიური ცნობა შემოგვრჩა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობის სახით.

სასწავლო დანიშნულებით გამოყენებული ყოფილა, ასევე, ჰაგიოგრაფიული თხზულებები. ამაზე მიგვითითებს, მაგალითად, მე-8 საუკუნის ძეგლის „აბოს წამების“ პირველი თავის დასათაურება, სადაც წარმოდგენილ თხრობას ავტორი სასწავლო დანიშნულებასაც აძლევს — „ღმრთის მსახურებისათვის შეკრებულთა მათ უწყებაჲ და მარტვილთმოყუარეთა მათ სწავლაჲ ახლისა და ამის მოწამისა მოხსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი“.

შესავალში ავტორი, როცა თხზულების დანიშნულებაზე საუბრობს, ერთგან აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ნაშრომის თხრობით „სიმტკიცე და სიხარულ ექმნის ჰაბუკთა“ „და სიქადულ და მხიარულება მოხუცებულთა ხსენებაჲ იგი ღუაწლისაჲ მის მარტვილითაჲსაჲ, და საწადელ და სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიისათა კრებაჲ იგი დღესასწაულისა მის წმიდათაჲსაჲ“[2].

ნაშრომის მოცულობა, არქიტექტონიკა, თავებად დაყოფა და ში-

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1075 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901, გვ. 26.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 58.

ნაარსი, მას მართლაც სახელმძღვანელო წიგნის ელფერს აძლევს. როგორც ავტორი გვამცნობს, თხზულება ეკლესიის მრევლისა და „ყრმათა მათ მოწაფეთათვისაცა“ აქვს გათვალისწინებული.

ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემები — პატრიოტული მოტივი, ეროვნული ღირსებისა და ქრისტიანული რელიგიის არაბთა აგრესიისაგან დაცვა, აშკარაა, ახალგაზრდობის აღზრდასა და მათ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას უნდა მომსახურებოდა.

იმ ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებთაგან, რომელთა შესახებაც წინა მონაკვეთში საუბარი გვქონდა, მოსწავლეებს მრავალმხრივი ცოდნა შეეძლოთ მიეღოთ — ისტორიული, თეოლოგიურ-ფილოსოფიური, ლიტერატურული, საეკლესიო ცხოვრების, სამართლებრივი ნორმების და სხვათა შესახებ. თითოეული ამ ნაშრომის თხრობა ლაკონური, გასაგები და გეგმაზომიერია. ხშირად ავტორები პირდაპირ მხატვრულ ტილოებს ქმნიან თხრობისას, ასე რომ მეტყველებისა და ესთეტიკური განვითარებისათვის საჭირო მოთხოვნებსაც სავსებით აკმაყოფილებენ. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, გიორგი მერჩულეს თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ სხვათაგან განსაკუთრებით ვამოირჩევა. ამის საილუსტრაციოდ აქვე მცირე ნაწყვეტს მოვიტანთ.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში ერთგან სამონასტრო მშენებლობისათვის შერჩეული ადგილის ასეთი დახასიათებაა მოცემული: — „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხუნვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო, და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გადმომდინარეჲ შუენიერი, გრილი და ჰამოჲ, და ბაღნართა სიმრავლე ურიცხვი, და მცირედი რაჲ მე სხუაჲცა ნუგეშინის საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანა რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღილოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთასა“.[1]

იოანე საბანის ძე, მაგალითად, არაბთაგან აბოს სიკვდილით დასჯის აღწერის შემდეგ მხატვრულად გვიხატავს მისტიკურ სურათს — „ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოაველინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარე, ვითარცა ლამპარი ცეცხლისა, რომელი მყოვარ-ჟამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუვეს ნეტარი იგი მოწამე ქრისტესი. და დგა იგი ზე ჰაერთა, ვიდრე სამ ჟამადმდე, გინა უმეტეს, ღამისა მის, და გამოუტევებდა ბრწყინვალებასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელებაჲ ელვისაჲ“ ...იაკობ ხუცესი ვარსქენ პიტიახშის ბრძანებით გადახვეწილი შუშანიკის „ტაძრად“, ე. ი. სასახლეში მიყვანის ფაქტს (რაკი ქრისტეს სჯულის დამთმობ ქმართან შეხვედრა შუშანიკს აღარ ეწადა) ასე აგვიწერს: „და ეგრეთ წმიდაი შუშანიკ, თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე, ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძვი დაეფინა. და თვით ფერხნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წულილ-წულიდად დაებმარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად“ და სხვ.

მსგავსი ადგილები როგორც დასახელებულ, ასევე, ამავე ჟანრის სხვა თხზულებებშიც მოიძებნება, სადაც ბუნებისა თუ მოქმედებათა აღწერისას ავტორები მხატვრულ ფორმებს, შედარებებს მიმართავენ ხოლმე და ცხოველი სურათების წარმოჩენას ცდილობენ. აშკარაა, ასეთი მონათხრობის კითხვა მოსწავლეთა ესთეტიკურ განვითარებას ხელს შეუწყობდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებლად მივიჩნევთ დავასკვნათ, რომ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომი ხანიდან (ე. ი. მე-4 ს.), ვიდრე მე-10—11 საუკუნეებამდე აღზრდის პროცესში ძირითადი სასწავლო საგნები იყო: ქართული მწიგნობრობა, რისთვისაც ძირითადად ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები გამოიყენებოდა, თეოლოგია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა (ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში), უცხო ენა, ან ენები, მშობლიური ქვეყნისა და უცხოური ქვეყნების მოკლე ისტორია, და ბოლოს მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ.

* * *

იმჟამინდელი სკოლების სწავლების სისტემის შესახებ მსჯელობა დოკუმენტური მასალების ნაკლებობის გამო მეტად ძნელდება. მხოლოდ ზოგიერთი ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა გვეძლევა და ისიც ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების შესახებ. რაც შეეხება საერო სკოლებს, დოკუმენტური მასალა მათ შესახებ გარკვეულს არაფერს გვეუბნება. ერთი გარემოება კი ყურადღებას იქცევს. ძველ წყაროებში ხშირად გვხვდება განათლებული ერისკაცი, რომელთა აღზრდა საეკლესიო მოღვაწეთაგან განსხვავებით ეკლესია-მონასტრების გარეთ ხდებოდა. მაგალითად, შიო მღვიმელის ცხოვრების აღწერილობაში ერთ ადგილას მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შეასწრო მცხეთის ზემოთ დასადგურებულმა შიომ ერთხელ

[1] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 40.

თვალი „შვილთა და მონათა თვისთა თანა ნადირობად“ გამოსულ კაცს, რომელიც „საჩინოჲ მთავარი ციხე დიდისაჲ სახელით ევაგრე იყო“.[1] ევაგრეს დახასიათებისას სხვათა შორის ისიცაა ნათქვამი, რომ მისთვის ღვთისმორწმუნე მშობლებს „სიყრმით თვისგან“, ე. ი. ბავშვობიდან კარგი განათლება მიუციათ და „საღმრთოსთა წერილთა წურთასა შინაც აღზრდილი“ ყოფილა.

სხვა შემთხვევაში განსწავლული ჩანან, მაგალითად, ერის კაცნი დავით და კონსტანტინე — „ხოლო იყუნეს წმიდანი ესე ქალწულ ხორცითაჲ და მეცნიერ ძუელისა და ახლისა აღთქმასა“, და სხვ.[2]

სად მიიღეს აღნიშნულმა ერის კაცებმა განათლება? ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, ისევე როგორც მის წინარე პერიოდებში განათლების მიღების საშუალება და უფლებაც მხოლოდ მაღალი წოდების შვილებს ჰქონდათ. წარჩინებული ოჯახები შინაც იწვევდნენ მასწავლებლებს. ეს უპირველეს მეფეთა და დიდმოხელე ფეოდალების ოჯახებზე ითქმ.ის. მაგრამ უმეტესად მეორე შემთხვევას ვაწყდებით, კერძოდ, იმავე წარჩინებული ოჯახის შვილთა მიიყვანენ ხოლმე და „მოძღუარსა“ მღვდელს ჩააბარებენ განსასწავლად. ასე მაგალითად, ილარიონ ქართველი „იყო... სამთავროთაგან კახეთისა, მ შ ო ბ ე ლ თ ა გ ა ნ დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა და ს ი მ დ ი დ რ ი თ ა გ ა რ დ ა ს უ ლ თ ა, ხ ო ლ ო მ ა მ ა მ ი ს ი მ ხ ე დ ა რ თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ი ყ ო.“[3]. ამ წარჩინებულმა ერის კაცმა, როცა მის შვილს ილარიონს ექვსი წელი შეუსრულდა, მიიყვანა „სწავლად საღმრთოთა წერილთა, მღუდელსა ვისმე მოზუცებულსა ფრიად და სათნოებითა შემკულსა“, შემდეგ ილარიონი თეოლოგიურ მეცნიერებაში „იწურთიდა მარადის“ ვიდრე თექვსმეტ წლამდე.

წარჩინებული წოდების შვილი ჩანს გიორგი მთაწმიდელიც, რომლის მამა იაკობი იყო „ერთგულთაგანნი და საკუთართა ღუთის მსახურისა მეფისა გიორგისთა“. ასე რომ იაკობი „საერთგულოსა მოციქულად წარიველინა მეფისა მიერ სპარსეთს“.[4] მაშასადამე, იაკობს სადესპანო საქმეც ჰქონია მინდობილი, იგი იძდენად დაახლოებული, „ერთგულთაგანი“ პირია სამეფოს კარზე. როცა იაკობს შვილი გიორგი წამოეზარდა დაწყებითი განათლების მისაღებად ჯერ ტაძრისის მონასტერში მისცეს, ხოლო შემდეგ ხახულს გადაიყვანეს, სადაც „მოძღვრებათა (ე. ი. მსწავლებლობაში) შინა განთქმულ“ ილარიონ თუალელს ჩააბარეს.

წარჩინებული ოჯახიდან იყო გამოსული გრიგოლ ხანძთელიც, რომელიც ქართლის ერისმთავარმა ნერსემ იშვილა და თავისი ზედამხედველობის ქვეშ ზრდიდა. გიორგი მერჩულე არ ახსენებს სად სწავლობდა გრიგოლი, მაგრამ ჩანს, რომ მას შინ მოწვეული მასწავლებლები ასწავლიდნენ. ხოლო როცა გრიგოლი გაიზარდა და უკვე „იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულად გუამითა მრთელ, და სულითა უბიწო“, „მაშინ ხელმწიფეთა მათ აღმ ზ რ დ ე ლ თ ა მ ი ს თ ა (იგულისხმება ნერსე ერისთავი და მისი მეუღლე, გრიგოლის მამის და) და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაჲ ამისა ნეტარისაჲ“. გრიგოლი თავისი ახალგაზრდობისა გამო მიცემულ წინადადებაზე შიშობდა, ვაითუ ვერ შევძლო ეგზომ საპატიო მოვალეობის შესრულებაო, მაგრამ ბოლოს დაჰყვა მათ ნებას.

მაშასადამე, ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, ერთი მხრივ, ე კ ლ ე ს ი ა-მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ თ ა ნ ა რ ს ე ბ უ ლ ს კ ო ლ ე ბ თ ა ნ გ ვ ა ქ ვ ს ს ა ქ მ ე, ს ა დ ა ც „მ ო ძ ღ უ რ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა“ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი, ც ნ ო ბ ი ლ ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი ც მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ დ ნ ე ნ და რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა მ თ ე ლ ჯ გ უ ფ ს ა ს წ ა ვ ლ ი დ ნ ე ნ. ც ა ლ კ ე უ ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ში ს ა მ ე ფ ო კ ა რ ს ა და დ ი დ მ ო ხ ე ლ ე ა ზ ნ ა უ რ თ ა წ რ ე ში ვ ხ ვ დ ე ბ ი თ ს ა შ ი ნ ა ო ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ს ა ც.

აღებული დოკუმენტების მიხედვით საერო სკოლები არ ჩანს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორც ყველგან, საქართველოშიც სწავლა-განათლების საქმე, იდეოლოგიის ყველა სფეროსთან ერთად, ეკლესიის გავლენის ქვეშ იყო.

იმჟამინდელი ქართული სკოლების სწავლების სისტემიდან ჩვენს ყურადღებას საგანთა მრავალფეროვნება იქცევს, მათ შორის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნის მიღების თავისებურება.

ცოტა უფრო გვიან, მე-9—10 საუკუნეებისა და მომდევნო ხანებშიც სწავლა-განათლების სისტემაში საერო ფორმა იჭრება, რის შესახებ უფრო ვრცლად მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

•
• •

ა დ რ ე ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ხ ა ნ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ში და უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ ა ც სწავლას ბავშვებს 6—7 წლის ასაკში აწყებინებდნენ. ილარიონ ქართველის ცხოვრების აღ-

[1] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 98.

[2] საქართველოს სამოთხე, გ. საბინინის გამოცემა, პეტერბურგი, 1882, გვ. 324.

[3] იქვე, გვ. 372.

[4] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოც., თბილისი 1901, გვ. 285.

წერილობაში, მაგალითად, პირდაპირ წერია, რომ ილარიონი „ექუსისა წლისა მიეცა სწავლად“, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით არსენი, შემდეგში ქართლისა კათალიკოსი „ყრმაჲ იგი მცირე იყო ქამითა, ვითარ ექუსისა წლისაჲ“, როცა მოწაფედ აქციეს, გიორგი მთაწმიდელს და მის დას თეკლას კი, ეს უკვე მე-11 საუკუნეში, 7 წლისას დაუწყიათ სწავლა.

სწავლის დამთავრების პერიოდად 16 წელია მიჩნეული. შიო მღვიმელის სწავლის დამთავრების ასაკად, მაგალითად, 16 წელია დასახელებული. ზემოთხსენებული ილარიონიც „ათექუსმეტი წლისა განეშორა მოღუაწეთა მამათა“.

ასწავლიდნენ სპეციალურად გამოყოფილი მასწავლებლები, რომლებსაც ძველი ქართული წყაროებით „მასწაელელი“, „მოძღუარი“ და „მზრდელი“ ჰქვია. მაგალითად, იოანე ზედაზნელის მასწავლებლობაზე ნათქვამია—„ამის უკუე ღირსისა მიერ ესევითარისა სულიერისა მასწავლელისა აღზრდილ იქმნა და განისწავლა“. იქვე ნათქვამია, რომ იოანეს მიერ აღზრდილი დავით, შემდგომ გარეჯელად წოდებული, „ყოველითურთ მიბაძებასა მოძღუარისასა მოსწრაფე იყო.“ ილარიონ ქართველი მისი ცხოვრების აღწერილობაში როგორც „მზრდელი“, ისეა დახასიათებული.[1]

საინტერესოა, რომ ზემოთ მოტანილ ციტატაში სწავლება და აღზრდა ერთ მთლიან პროცესადაა წარმოდგენილი. ასევეა შიოს ცხოვრების აღწერაშიც — „აღზრდის მრავლითა მოღუაწებითა და ზედადგომითა სწავლათა შინა“. ევაგრეც, მაგალითად, „საღმრთოთა წერილთა შინა აღზრდილი“ იყო.

თვით სწავლის პროცესის გამომხატველი ცნებებია „სწავლაჲ“ და „წურთნა“. ილარიონი სასწავლებლად მიბარებულ მღვდელთან „იწურთიდა მარადის“, შიო მღვიმელი „აღორძინდებოდა ...წურთითა მათითა“, ე. ი. მასწავლებლებისა. აბო თბილელი კი „ჰსჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ“ და სხვ.

სწავლების, ე. ი. ცოდნის გადაცემის ტერმინად იხმარება „მოძღურება“ — „ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოველითა მოძღურებითა“, ე. ი. სწავლებით, ნათქვამია აბო თბილელზე[2].

საგულისხმოა, რომ ტერმინი „მოძღურება“ შემდგომ ხანებში (მე-11 ს.), როგორც ქვემოთაც დავინახავთ, სწავლების პროცესის გამომხატველი ძირითადი ცნება ხდება. ადრე კი სწავლების პროცესი იმავე „სწავლითა“ და „წურთით“ გამოიხატებოდა, რითაც სწავლა-შესწავლა, ოღონდ სხვა კონტექსტში. ასურელმა მამებმაო, მაგალითად, „იწყეს სწავლად და წურთად სამწყსოთა თვისთა“, შიო იზრდებოდა „წურთითა მათითა“, ე. ი. სწავლებით. „განათლდებოდეს სწავლითა მათითა და ვითარცა მდინარისაგან დიდისა ირწყუებოდეს სწავლათაგან ნეტარისა იოანესთან“ და სხვ.

ჩვენს ხელთ არსებულ ძველ ტექსტებში ჯგუფური სწავლების არსებობის ფაქტიცაა ასახული. შიოს ცხოვრებაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ სწავლების პროცესში იგი „წარემატებოდა... ყოველთა ჰასაკითა სწორთა“. აქ ისიცაა მინიშნებული, რომ შიოსთან ერთად სხვა მოსწავლეები სწავლობდნენ და რომ ისინი ერთი ასაკის მიხედვით არიან დაჯგუფებული.

ჰაგიოგრაფთა ნაწერებში ყურადღება აქვს დათმობილი მოსწავლეთა გონების სიმახვილეს, ნიჭს, სწავლისათვის საჭირო თვისებებისა და მოთხოვნების აუცილებლობას, როგორც მოსწავლეთა, ასევე, მასწავლებელთა მხრივ[1]. მაგალითად, ილარიონ ქართველი თურმე გამოირჩეოდა „სიმახვილითა გონებისათა“, განსაცვიფრებელი იყოო „სიბრძნე და სიმკვირცხლე ყრმისა მის და კუალად შემკულება იგი და დაწყნარებულება წესისა მისისა და ყოვლისა მიმართ ჰათნოებისა წარმართება“. ასევე, გრიგოლ ხანძთელის „გულისხმიერებაი სწავლისა გასაკვირველი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა“ სხვადასხვა სავნები და სხვ.[2]

ისიც აღინიშნება, რომ სწავლება სიმშვიდით და მოთმინებით უნდა მიმდინარეობდეს. მასწავლებელს განსაკუთრებული მიდგომა ესაჭიროება მოსწაელეებისადმი — „სიმშვიდით და სიტკბოებით“. მაგალითად, იოანე ზედაზნელის მოსწავლე ისემ, რომელიც განმანათლებლობის მისიით წილკანს ჩავიდა „იწყო სწავლად მათდა (მოსწავლეები იგულისხმება) სიმშვიდით და მოთმინებით“. რომ სწავლას მოთმინება, თანგაყოლა და მორჩილება უნდა, ეს კარგად იცოდა შიო მღვიმელმაც, იგი თავის მოსწაელეებისადმი მიცემულ შეგონებაში აღნიშნავდა — „იყვენით მორჩილ სწავლათა შინა და მსახურებასა შინა აღუზევებელ“, ე. ი. სწავლაში მორჩილება, სწავლისადმი თანმიყოლა, მოთმინებაა საჭირო, ხოლო შემდეგ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავმდაბლობა—ასწაელიდა თავის მოსწავლეებს შიო.

[1] საქართველოს სამოთხე, გ. საბინინის გამოც. პეტერბურგი, 1882, გვ. 379. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 71, 148.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 61.

[1] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი. 1955, გვ. 71, 84 89, 373.

[2] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი. 1949, გვ. 14.

ამგვარად, ადრეფეოდალური ხანის საქართველოში (მე-5—10 სს) სწავლება ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მიმდინარეობდა. სწავლის დაწყების დროდ 6—7 წლის ასაკი იყო მიჩნეული, ხოლო დამთავრებისა—16 წლის ასაკი. ჯგუფურ სწავლებას სპეციალურად გამოყოფილი პირები ხელმძღვანელობდნენ, რომელთაც ძველი ტექსტების მიხედვით, „მასწავლელი", „მოძღუარი" და „მზრდელი" ჰქვია. სწავლება და აღზრდა ერთ მთლიან პროცესადაა წარმოდგენილი. სწავლის პროცესის გამომხატველი ცნებებია — „სწავლა" და „წურთნა", ხოლო სწავლებისა — „მოძღურება". აღნიშნული ტერმინი სწავლების პროცესის გამომხატველადაც ხმარებულ ცნებებს „სწავლას" და „წურთნას" ცვლის, ყურადღებააქვს დათმობილი მოზარდის ასაკობრივ და გონებრივ განვითარებას. სწავლის პროცესის ნორმალიზაციისათვის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული თანამიმდევრობა, სწავლისადმი თანმიყოლა, ბეჯითობა და სიმტკიცე.

ნაწილი მეორე

სწავლა-განათლება მე-11—12 სს საქართველოში

მე-12 საუკუნეში საქართველო გაერთიანებული და ერთმმართველური სახელმწიფო იყო.

ფარტიკულიარიზმის ტენდენციების მატაოებელ დიდაზნაურთათვის საქართველოს გაერთიანება და ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა ხელსაყრელი არ იყო, რადგან მათ თვითნებობას ბოლო ეძლებოდა. ასე რომ ბაგრატ III-ეს იმთავითვე გარკვეული ბრძოლა მოუხდა დიდგვაროვანთა თვითნებობის დათრგუნვისა და თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა ბაგრატის შემდეგაც გაგრძელდა, რაც საბოლოოდ ძლიერი მონარქიული ხელისუფლების შექმნით დამთავრდა დავით აღმაშენებლის დროს. ასე იყო ეს დავითის შვილიშვილის გიორგი III-ის გარდაცვალებამდე (1184 წ). გიორგის გარდაცვალების შემდეგ კი დიდაზნაურებმა კვლავ თავი წამოყვეს და აბალგაზრდა მეფე თამარს „უგვაროთა", ე. ი. აზნაურთა წრიდან აღზევებული იმ პირების გადაყენება მოსთხოვეს, რომელთაც ცენტრალიზებული ხელისუფლება დიდაზნაურების წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდა. ასე რომ თამარს განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარება და დიდაზნაურებთან შეთანხმება მოუხდა, რათა ცენტრალიზებული მმართველის უფლებები შეენარჩუნებინა.

დავით აღმაშენებლის დროს მოხერხდა შუა აზიიდან წამოსული და სპარსულ-ირანულ ქვეყნებში დამკვიდრებული თურქმანული ტომების საქართველოს საზღვრებიდან განდევნა, რომელთა შემოსევები 1065—1068 წწ. დაიწყო. მანვე მოახდინა თბილისისა და მისი მიდამოების დაბრუნება, საქართველოს საზღვრების გაფართოება და განმტკიცება.

დავითის მონაპოვარს ღირსეულად იცავდნენ მისი მემკვიდრენი—დემეტრე, გიორგი III, შემდეგ ფამარ მეფე და დაეით სოსლანი. ასე რომ მე-12 ს. საქართველო თავის სამფლობელო საზღვრებს „ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე" აღრიცხავდა.

ქვეყნის გაერთიანებამ, რამდენადაც კი ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში შესაძლებელი იყო, საქართველოს სხვადასხვა რაიონის ეკონომიურ დაახლოებას შეუწყო ხელი. გაჩნდნენ ქალაქები

(ატენი ციხითურთ, გორი) და დაბა-ქალაქები (ბარალეთი, ჟინვანი, სურამი, ზორვეთი), ყურადღება ექცეოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარის დამაკავშირებელი გზების გაყვანას, ქალაქების კეთილმოწყობას და ა. შ.

მე-11—12 სს საქართველოში აგებული მატერიალური კულტურის ძეგლები თავიანთი მონოლითურობით და არქიტექტურული გაფორმებით დღესაც ყურადღებას იპყრობენ (ბაგრატის ტაძარი ჭუთაისში, სვეტიცხოველი — მცხეთაში, ბედიისა — აფხაზეთში, ალავერდი — კახეთში, სამთავისი — ქარელში, ნიკორწმინდა — რაჭაში, იკორთის, ბერთუბნის, ბეთანიის, გელათისა და სხვა ტაძრები).

განვითარებული იყო კედლის მხატვრობა, ჰედური ხელოვნება. ყურადღებას იქცევს ხელნაწერთა მინიატურები და წიგნის დეკორის რეპროდუქციები.

როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ ქართველთა ექსტერიტორიალურ დასახლებათა გაჩენასთან ერთად შენდებოდა ეკლესიები, მონასტრები, რომლებიც ხშირად კულტურის უმნიშვნელოვანესი კერები იყო. ძირითადად წარმოებდა კულტურული და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ათონის ივერიის მონასტერს (საბერძნეთის ტერიტორიაზე), სადაც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები მოღვაწეობდნენ, და პეტრიწონის ქართველთა მონასტერს (დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე), სადაც თავდაპირველად ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა.

ქართულ მონასტრებში იწერებოდა როგორც ჰაგიოგრაფიული, ასევე საისტორიო ხასიათის ლიტერატურა, ეს უკანასკნელი ისეთი თვისებებით ხასიათდება, როგორც მე-15—17 საუკუნეების ჰუმანისტური ისტორიოგრაფია (საბუთიანობა, წყაროთა დამოწმების წესი, ინტერპრეტაცია, ელემენტარული კრიტიკის გამოყენების შემთხვევები, საისტორიო თხრობის კომპოზიციური მთლიანობა, გეგმიანობა და სხვ.).

საქართველოს გაერთიანებამ მისი ერთიანი ისტორიის დაწერაც მოითხოვა. მე-11 ს. მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა „ქართლის ცხოვრების“ (საქართველოს ისტორიის) შექმნას, რომელშიც თხრობა ქართველთა შორეული ისტორიით იწყება. შემდეგში ეს თხზულება ახალი დროის ისტორიკოსთა თხზულებებით ივსებოდა ხოლმე.

მე-12 ს. განვითარდა საერო მწერლობა. ამის მაგალითია „ვისრამიანის“ მაღალმხატვრული პროზაული თარგმანი, იოანე შავთელის „აბდულმესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

აშკარაა, რომ იმ ეპოქაში, რომელშიაც ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეიქმნა, საერთო ხასიათის სხვა თხზულებებიც დაიწერებოდა, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

მე-11—12 საუკუნეების საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. „მოძღუარი“. განათლების სისტემის საერთო მიმოხილვა. სახელმძღვანელო წიგნები

მე-11—12 საუკუნეების საქართველოში მასწავლებლის აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად „მოძღუარი“ გვხვდება. ექვთიმე მთაწმიდელი, მაგალითად, პროხორეს მიერ დაწერილ ღვთისმეტყველების თარგმნისას „მოძღუარს“ მასწავლებლის მნიშვნელობით ახსენებს. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ერთ-ერთმა მოსწავლემ, როცა „აღასრულა სწავლაჲ, ჰრქუა მან: მოძღუარ, აღმიხილენ თუალნი, რათა ვიხილო პირი შენი და განვიხარო“ (მოწაფე უსინათლო იყო)[1]... როგორც ვხედავთ, აქ სწავლაზე და მოსწავლისა და მა'სწავლებლის ანუ „მოძღუარის“ ურთიერთობაზეა საუბარი. ამ მხრივ საგულისხმოა სხვა ცნობაც. დავით აღმაშენებელმა საეკლესიო სფეროში დაშვებული შეცდომების გასასწორებლად „ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოსი, მღვდელთმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოიკრიბა წინაშე მისსა“[2]. „მოძღუარი“ მემატიანეს აქ მასწავლებლის მნიშვნელობითა აქვს ნახსენები, რომ ეს ასეა, მკაფიოდ ჩანს ჩვე მოტანილ თხრობაში.

სომეხთა და ქართველ სამღვდელო პირთა სჯულის საკითხებზე გამართულ პაექრობას დავით აღმაშენებელი ესწრებოდა. პაექრობას სერიოზული ხასიათი მიუღია და მისი სხდომები ფრიად გაჭიანურებულა, ასე რომ „შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა“. მაშინ თავად დავით აღმაშენებელი ჩარეულა საუბარში, რომელსაც თავისი ცოდნითა და მჭევრმეტყველებით დამსწრენი განუცვიფრებია. სომეხთა მხრიდან მოპაექრეთა ერთმა ნაწილმა აღრფთოვანებით მიმართა დავითს: „ჩუენ, მეფეო, მ ო წ ა ფ ე გუეგონე ამათ მ ო ძ ღ უ ა რ თ ა თ ქ უ ე ნ თ ა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ, მ ო ძ ღ უ ა რ ი მ ო ძ-

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოც., თბილისი, 1901, გვ. 167.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 327.

ღ უ ა რ თ ა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“[1], ე. ი. ამ მასწავლებელთა მოწაფე გვეგონეო, მიმართეს დაეთს სომხებმა, მაგრამ როგორც ირკვევა, შენ პირიქით მ ო ძ ღ უ ა რ ი მ ო ძ ღ უ ა რ თ ა“, ე. ი. მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა ყ ო ფ ი ლ ხ ა რ ო.

აქვე ისიც უნდა მივანიშნოთ, რომ „მოძღუარი“ აღნიშნული ხანის ქართულ დოკუმენტებში სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა და იგი „მოძღუარის“, როგორც მასწავლებლის ცნებაში არ უნდა ავურიოთ. „მატიანე ქართლისაჲ“. მაგალითად, ახსენებს „მღვდელთ-მოძღუარს“, რაც მღვდელთა წინამძღოლს, მეთაურს ნიშნავს. „ეფუცნეს წინაშე სუეტსა ცხოველსა კათოლიკოსი, მ ღ ვ დ ე ლ თ-მ ო ძ ღ უ ა რ ნ ი და დიდებულნი ყოველნი“. იმავე „მატიანე ქართლისაჲს“ ერთ-ერთ ჩანართში ეკითხულობთ, რომ ბაგრატ მეფემ (IV), რომელიც გიორგი მთაწმიდელის საბერძნეთიდან საქართველოში სამოღვაწეოდ ჩამოსელის მოსურნე იყო, მისცა „მღვდელთ მოძღურობა ჴყონდიდისა საყდრისაჲ“[3].

წინამძღოლის მნიშვნელობით ახსენებს „მოძღუარს“ გიორგი მთაწმიდელიც. მისი თქმით, იოანე და ექვთიმე „განაგებდეს და იპყრობდეს წესსა წინა მოძღუროებისასა, რომელნი იგი ყოვლითურთ, მსგავსად პირველთა მათ ღმერთშემოსილთა მამათა, უძღოდეს მათდა რწმუნებულსა მას სამწყოსასა.[4]

სათანადო მასალების უქონლობის გამო ძნელია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ იყო ორგანიზებული სწავლება. ის კი აშკარაა, რომ იქ სადაც ათი ან ოცი მასწავლებელი, „მოძღუარია“ თავმოყრილი, გარკვეულ სასწავლო ცენტრთან გვაქვს საქმე. ამასთან დაკავშირებით ის ვარაუდიც შეიძლება დავუშვათ, რომ მოსწავლეები თანაბარი ოდენობით ნაწილდებოდა აღნიშნულ „მოძღუართა“ შორის. თითოეული „მოძღუარი“ მოსწავლეებს რამდენიმე მონათესავე საგანს შეასწავლიდა. შესასწავლი საგნების ოდენობა იმ დროისათვის არცთუ ისე დიდი იყო. ამავე დროს ეს საგნები ერთმანეთთან ისე იყო დაკავშირებული, რომ მართლაც რამდენიმე საგნის სწავლება ერთ კაცს შეეძლო. მაგალითად, ერთ „მოძღუარს“ შეეძლო ესწავლებინა თეოლოგია და ფილოსოფია. ეს აუცილებელიც იყო, რამდენადაც მე-4—10 სს მსგავსად, მე-11—12 საუკუნეებშიც ფილოსოფია თეოლოგიის სამსახურში იყო ჩაყენებული და ამ უკანასკნელთან შერწყმით სწავლებას მოითხოვდა.

განსხვავებული ასაკის მოსწავლეებს მე-11—12 საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა მასწავლებლები ასწავლიდნენ. რომ ეს ასე იყო, კარგად ჩანს გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის ცნობითაც. ამ ცნობის მიხედვით გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმიდელის და) შვიდი წლისა შეიქმნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც „შეითვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“. როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან“, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული „დისა მისისაგან.“

დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო. ათი წლის რომ შეიქმნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა „მოძღუარს“ და „ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბავრატის ძესა“ წარუდგინეს, რის შემდეგაც ჩააბარეს „მოძღურებათა შინა“ განთქმულ ილარიონ თუალელს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის „წურთა იწყო“.

ზემოთ მოტანილი მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ხახული არა მარტო სამონასტრო, არამედ სამოსწავლო ცენტრიც იყო, სადაც საკმაოდ მომზადებული „მოძღუარნი“, მასწავლებლები იმყოფებოდნენ. ასევე სასწავლო დანიშნულების მისია უნდა ჰქონოდა დაკისრებული ხმელამად ბევრ სხვა სამონასტრო ცენტრსაც საქართველოში.

მისანიშნებელია, რომ ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკის, ოპიზას, შატბერდის, ბერთას, ხანძთას, ოთხთთა ეკლესია) ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის ჰქონე შენობები. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარიებისათვის იყო განკუთვნილი, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში მონასტრის მამათა საერთო კრებას ემსახურებოდა.[1]

ოშკის მონასტრის კომპლექსში ძირითადი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ასეთი შენობა ოთხკუთხა დარბაზია, რომელიც ერთი შეხედვით ქართველი გლეხის დარბაზს გვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შენობის დარბაზს ბოძები არა აქვს. თვით დარბაზი საკმაოდ ნათელი ყოფილა.

---

[1] ჭართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 357.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 271.

[3] იქვე, გვ. 303, 304.

[4] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბებით „საეკლ. მუზეუმის გამოც., თბილისი. 1901, გვ. 5.

[1] **Е. Такаишвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1952, გვ. 55.

ასეთივე თაღოვანი ოთხი ფანჯრით იყო განათებული ოთხთთა ეკლესიის სემინარია და სხვ.

სემინარიების შენობები აღნიშნულ მონასტრებთან ცალკე დგას ისევე, როგორც გელათისა და იყალთოს აკადემიების შენობები.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველ „მოძღუარს“ გარკვეული ასაკისა და რაოდენობის მოსწავლეები ჰყავდა. ამის დამადასტურებელი საინტერესო ცნობა იმავე გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფს გიორგი მცირეს აქვს დაცული. გიორგი მთაწმიდელის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე როცა საუბრობს, ერთგან იგი აღნიშნავს, რომ ქალაქში იქმნება ეს თუ სოფელში, ზოგი მასწავლებელი ათს, ზოგი ხუთმეტს, ან ოცს ასწავლისო ერთად — „რალაცათუ ვინ სადა ხელჰყოფს ესე ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა, მცირეთაგანმან ვინმე წარმართა კუალად ათნი ვინმე გინა თუ ათუთხმეტნი, გინა თუ ოცნი შეიწყნარნა“ და სხვ.[1]

თვით გიორგი მთაწმიდელი ილარიონთან როცა სწავლობდა, „უმეტეს ყოველთა ჰასაკისა სწორთა მისთასა წარემატა“[2]. ამ ცნობით, მაშასადამე, ილარიონთან გიორგის გარდა სხვა მოსწავლეებიც სწავლობდნენ და ისინი „ჰასაკით სწორნი“ ყოფილან.

ასაკის მიხედვით მოსწავლეთა დაჯგუფების აუცილებლობაზე დაკვირვება მე-11 საუკუნეზე ადრეულ წყაროშიც გვხვდება, კერძოდ, შიო მღვიმელის ცხოვრების მეტაფრასულ თხზულებაში, სადაც ნათქვამია, რომ სწავლაში შიო „წარემატებოდა... ყოველთა ჰასაკითა სწორთა“. მაშასადამე, შიოს სხვა მისი ასაკის მოსწავლეებთან ერთად უსწავლია, რომლებსაც სწავლაში „წარემატებოდა“.

ათონის ივერიის მონასტერში წასაყვანად საქართველოში 80-მდე შეკრებილ ბავშვს ჯგუფური წესით ასწავლიდა გიორგი მთაწმიდელიც მე-11 საუკუნეში.[3] მემატიანის თქმით, გიორგის ეს 80 მოსწავლე ასაკის მიხედვით დაუყვია და ისე ასწავლიდა „მოძღურინ-მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა“. აშკარაა, აქ საქმე გვაქვს იმ ტრადიციული წესის გადაღებასთან გიორგი მთაწმიდელის მიერ, რაც საქართველოს სკოლებში უკვე დამკვიდრებული იყო. არსებულ სკოლებთან შედარებით გიორგი მთაწმიდელის სკოლა იმით განსხვავდებოდა სხვა სკოლებისაგან, რომ იგი „სხვათა მოძღუართა მიერ“ კი არ „ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა (ანუ თუ სხვათა თანა შემწეთა იხუმევდა), არამედ ყოველითურთ თვით ასწავებნ და მოძღურინ“, ე. ი. ყველაფერს თვით ასწავლიდა და არა სხვა მასწავლებლებთან ერთად, როგორც ეს საერთოდ წესად იყო მიღებული. ყოველივე ამას კი იგი დაუღალავი, თავდადებული შრომით აკეთებდა. გიორგი ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეხდინა სწავლული კადრის სრულყოფა ათონის ივერიის მონასტრისათვის, სადაც ისინი მიღებული ცოდნის შემდგომ განმტკიცებას შესძლებდნენ.

სამწუხაროდ, იმის შესახებ, თუ რას ასწავლიდა გიორგი მთაწმიდელი თავის მოსწავლეებს, მემატიანეს გარკვევით არაფერი აქვს ნათქვამი. მაგრამ იმ მიზანდასახულობის მიხედვით, რისთვისაც ამზადებდა იგი შეკრებილ ბავშვებს (ათონის ივერიის მონასტრის მემკვიდრეობის შესწავლა და ქვეყნისათვის გამოყენება, გადაწერა და გავრცელება), გასაგები უნდა იყოს, რომ პირველ რიგში გიორგი მათ „ქართულ მწიგნობრობას“, აგრეთვე ბერძნულ ენას და თეოლოგიის საფუძვლებს შეასწავლიდა.

ის, რაც ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს, გიორგი მთაწმიდელის მიერ მოსწავლეთა სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო ასაკის მიხედვით დაყოფაა, ამას ექვემდებარება სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის აღწერა. მოსწავლეთა ასაკობრივი დაყოფის ასეთი მკვეთრი სურათი ძველ ქართულ წყაროებში არსად მოგვეპოვება, აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნული ცნობის გარდა, მოსწავლეთა ასაკობრივი დაყოფისა და ჯგუფური წესით სწავლების შესახებ, როგორც ზემოთ დავინახეთ, გარკვეული ცნობები სხვაცა გვაქვს.

ამ ცნობათაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გიორგი მცირეს განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ქალაქად თუ სოფლად მასწავლებლები ათს, ხუთმეტს ან ოც მოსწავლეს ერთად ასწავლიან. აქ პირდაპირაა მითითებული ჯგუფური წესით სწავლების შესახებ. ჯგუფურად ასწავლიდა, როგორც დავინახეთ, ხახულის მონასტრის სახელმოხვეჭილი „მოძღუარი“ ილარიონ თუალელი.

[როგორც ირკვევა, მე-11 საუკუნის საქართველოში სწავლება ჯგუფური, საკლასო სისტემით მიმდინარეობდა, სადაც მოსწავლეები ასაკობრივი პრინციპის მიხედვით იყვნენ დაყოფილი.] აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ მონასტერთან მრავალი მასწავლებელი გვხვდება, ხოლო გიორგი მცირესათვის გასაოცარი შეიქმნა ის ფაქტი, რომ გიორგი მთაწმიდელი თავის მოსწავლეებს „არა სხუათა მოძღუართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა ანუ თუ სხვათა თანა შემწეთა იხუმევდა“, არამედ, მარტო შეეჭიდა ამხელა

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნ. აღწ. საკლ. მუზ. გამოც., თბ, 1901, გვ. 329

[2] იქვე, გვ. 290.

[3] იქვე, გვ. 327.

საქმეს, გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ მე-11 საუკუნის საქართველოს სკოლებში ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლიდა.

სამწუხაროდ, მე-11 საუკუნის საქართველოს სკოლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესახებ წყაროებში გარკვევით არაფერია ნათქვამი, გვაქვს ერთი ცნობა, რომლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ამ პერიოდში თითქმის იმავე საგნების შესწავლა ხდებოდა, რაც აღრეფეოდალური ხანის საქართველოში იყო გათვალისწინებული (თეოლოგია-ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა — ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, ქართული მწიგნობრობა და უცხო ენა).

აღნიშნული ცნობა იმავე გიორგი მცირეს აქვს დაცული, როცა იგი გიორგი მთაწმიდელის ხახულის მონასტრის „სკოლაში“ სწავლაზე გვიამბობს, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხახულში გიორგისათვის უსწავლებიათ თეოლოგია—„საღმრთოთა კულაჲ წიგნთა კითხვისათვის რაჲ სახმარ არს სიტყუაჲ“. ამგვარად, „ესრეთ, ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა სჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“.[1] გარდა ამისა, გიორგისათვის გალობა, ჰიმნოგრაფია უსწავლებიათ. მემატიანის სიტყვით, „აუწყეს სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთა, რომელთა შინა, უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარემატა, და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე, მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა“. რაც შეეხება „სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთას“ მემატიანეს ნაგულისხმევი აქვს ლიტურგიკა.

გიორგი მთაწმიდელის სწავლაზე საუბრისას მემატიანე ცდილობს წარმოაჩინოს მისი მისწრაფება „საეკლესიო სწავლასა“ და თეოლოგიისადმი.

ხახულში გიორგი ათი წლისა მიიყვანეს. მაშასადამე, ზემოთდასახელებული საგნები (რომლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართული მწიგნობრობაც უნდა ვიგულისხმოთ) მას 10-დან 12—13 წლამდე შეასწავლეს. თუ ამ ფაქტს განვაზოგადებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეოლოგიის, ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკისა და ქართული მწიგნობრობის შესწავლა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში საშუალო ასაკის მოსწავლეთა მიერ ხდებოდა. რაც შეეხება ფილოსოფიას, იგი ამ დროისათვის ცალკე საგნად არ ისწავლებოდა, არამედ თეოლოგიასთან შერწყმით და მას შესაძლოა შედარებით უფროს ასაკშიც ასწავლიდნენ.

[1] ათონის იუერიის მონასტრის 1074 წ. ხელნ. აღაპებით, საეკლ. მუზ. გამოც., თბილისი, 1901, გვ. 290.

რაც შეეხება ადრეულ შუასაუკუნეთა საქართველოში სახელმძღვანელოდ გამოყენებულ წიგნებს, მათ შესახებ ვარაუდით თუ ვიმსჯელებთ, რადგან ცნობები ნაკლებად გვხვდება და თვით სახელმძღვანელოებიც აღარ შემორჩა. როგორც წინა თავში ვნახეთ, გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ მე-6 საუკუნეში შიო მღვიმელს 160 თავისაგან შემდგარი ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნი დაუწერია, რომელშიც წარმოდგენილი იყო „სწავლანი მის მიერნი.“

„სწავლანის“ სახელწოდებით, როგორც ადრე, ისე გვიანი ხანის საქართველოშიც, გვხვდება ნაშრომები, რომლებიც ადრე დაწერილთაგან განსხვავებით უკვე წმინდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნის შემცველი კრებულებია.

იოანე ბატონიშვილი მის მიერ შედგენილ „სწავლანის“ წინასიტყვაობაში, სხვათაშორის შენიშნავს, რომ ასეთი წიგნები ძველ საქართველოში მრავლად იწერებოდაო, ხოლო ეხლა კი, დასძენს იოანე — „მცირედ არიან ესე გუარნი უკუე წერილნი ქართულსა ენასა ზედა, არა თუ უგულმოდგინებისა გამო ერთა მექუეყნეთა ჩუენისათა, არამედ ხშირად ზედა დასხმისა გამო ძველთა დროთა შინა მტერთაგან სარკინოზთა მხარესა ამას შინა ქართლისასა მრავალნი წერილნი ესე გუარნი დაჰკარგოდნენ“.[1]

ადრე მითითებული გვქონდა იმის შესახებაც, რომ ქართული მწიგნობრობის შესწავლის მიზნით ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებს იყენებდნენ. რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, იოანე საბანისძე გვიდასტურებს მე-8 საუკუნეში დაწერილი ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულების—„აბოს წამების“ შესავალში. როცა თხზულების დანიშნულებაზე საუბრობს, სხვათაშორის იმასაც აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი თხზულებით „სიმტკიცე და სიხარული ექმნის ჰაბუკთა“ „და სიქადულ და მხიარულება მოხუცებულთა ხსენებაი იგი ღუაწლისაი მის‘ი მარტვილთა-ისაი. და საწადელ და ‘სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა“ და სხვ. (ხაზი ჩვენია—სვ. გ.).

რაც შეეხება თეოლოგიის საფუძვლების შესასწავლ სახელმძღვანელოებს, სამწუხაროდ ჩვენამდე მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა მოაღწია. ეს გახლავთ ბერძნულიდან გადმოღებული კატეხიზმო, რომელიც შემდეგ ხანებშია გადაწერილი, მაგრამ სრული სახითაა შემორჩენილი[2].

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერების ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი H-2196.

[2] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნ. ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A-381.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი შეკითხვების პასუხებში მოცემულია ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და წესების შინაარსი, საეკლესიო კრებების, მწვალებლობის, წმინდანთა მოკლე ისტორია და სხვ.

პასუხები დაწერილია გასაგები, მისაწვდომი ენითა და შინაარსით. კითხვები წინა პასუხების შინაარსიდანაა გამომდინარე და ლოგიკურ თანმიმდევრობას ექვემდებარება.

სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე ადგილს:

„კ-ი (კითხვა, — ღვთისმეტყველებათა შინა რაოდენთა ბუნებათა აღიარებ?

მ-ი (მიგებაჲ — პასუხი) — ერთსა.

კ-ი — რომელსა?

მ-ი — ღვთაებისასა.

კ-ი — რაჲ არს ღმერთი?[1]

მ-ი — არსება უმიზეზო, მიზეზი, ყოვლად ძლიერი, ყოვლისა მიზეზისა და ბუნებისა უზესთაესი არსებათა.

კ-ი — რაჲ არს არსებაჲ?

მ-ი — თვით არსი, რომლისა სხუა არავინ ეხმარებიან თავის თვისისა შემზადებად“ და ა. შ.

სხვა ადგილას ვკითხულობთ:

კ-ი — კრებათა მსოფლიოთა რაოდენთა აღიარებ?

მ-ი — ყოველთა.

კ-ი — რომელთა?

მ-ი — უპირველეს ნიკეას კონსტანტინოპოლისა, ეთესოს პირველსა, ქალკედონს, კონსტანტინოპოლის მეორესა, და კუალად მუნვე მესამესა, და მისსა შემდგომად კუალად ნიკეას მე'ოთხესა.

კ-ი — ნიკეას კრება პირველ რაოდენისა წლისა შემდგომად იქმნა ქრისტეს განკაცებიდან, გინა რომლისა მეფისაზე, გინა რომლისა პატრიარხისა, ანუ თუ რაოდენთით იყუნენ წმინდანი მამანი“.

ამ კითხვის პასუხს მოჰყვება თვით კრების მოწვევის მიზეზის განმარტება და სხვ. ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოში ღვთისმეტყველების სხვა პრობლემატური საკითხები.

ექვთიმეს კატეხიზმო მრავლად შეიცავს ისტორიული თხრობის ელემენტებს, რომელიც ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასა, საეკლესიო კრებების შინაარსსა და ამ კრებათა მოწვევის ადგილსა და მეფეთა მოღვაწეობის დროს შეეხება.

ისტორიული თხრობის ელემენტები უფრო ვრცლად გვხვდება ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებში. მაგრამ კმაყოფილდებოდა ყოველივე ამით ადრეული ხანის საეკლესიო-სამონასტრო სკოლები, თუ ცალკე ასწავლიდნენ ისტორიას, ცნობათა უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით.

მე-11 საუკუნიდან კი როცა საისტორიო ნაწარმოებები შეიქმნა და საფუძველი ჩაეყარა „ქართლის ცხოვრების“ (საქართველოს ისტორიის) შედგენას, ისტორია სასწავლო პროგრამებში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე სასწავლო საგანი. ამას მე-14 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი მინაწერი გვიდასტურებს, რომლის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აღნიშნული მინაწერით ისწავლებოდა „სჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფოსებაჲ, მამათა ცხორებაჲ, ქართლისა ცხორებაჲ და ცხორებაჲ ალვანისა, ესე იგი არს სავანისაჲ, რომელი დაწერა პეტრე ლაბაძემან“.

აქ წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების“, ე. ი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო წიგნებად აშკარაა, ჩვენთვის ცნობილი „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული თხზულებები იქნებოდა გამოყენებული, რომელთაც საყოველთაო სახელმწიფოებრივი აღიარება ჰქონდათ. მაგრამ აქ, კერძოდ, ალვანის ისტორიაც (ე. ი. იმ კუთხის, რომელზედაც საუბარია) იხსენიება, რომლის ავტორი პეტრე ლაბაძე ყოფილა და რომელიც თურმე სახელმძღვანელოდ გამოუყენებიათ.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცოდნის მისაღებად, უმეტესად ბერძნულიდან თარგმნილი წიგნები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. თუ მე-11 საუკუნემდე ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო იოანე დამასკელის ფილოსოფიური თხზულებები, რომლის ერთგვარ გავლენას განიცდის გიორგი მერჩულეს თხზულება — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მე-11 საუკუნიდან მოყოლებული აშკარად შეიმჩნევა თარგმნილი ფილოსოფიური თხზულებების სიუხვე. ამ მხრივ, სხვათა შორის, განსაკუთრებით იოანე პეტრიწის მოღვაწეობაა მისანიშნებელი, რომელსაც უკვე აღარ აკმაყოფილებდა ადრე ნათარგმნი ფილოსოფიური თხზულებები და ნემესიოს-ემესელის, პროკლე დიადოხოსის, არისტოტელეს შრომებს თარგმნის, და თავისი ცნობილი კომენტარებით გელათის უმაღლესი სასწავლებლისათვის ქართულ სახელმძღვანელო ფილოსოფიურ თხზულებას ქმნის.

სავარაუდოა, რომ სასწავლებელში ფილოსოფიური ცოდნის მიღებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო, ასევე, სხვადასხვა ფილოსოფოსთა შრომებიდან შედგენილი კრებულები, რომლებიც „სწავლანის“ სახელწოდებას ატარებდა.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ-ერთი ოფიციალური სახის სკოლები იყო მე-11—12 საუკუნის საქართველოში. ამ

[1] ტექსტის ქარაგმიან სიტყვებს ყველგან სრული სახით წარმოვადგენთ — სვ. გ.

დროისათვის გავრცელებული ყოფილა კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგან არსებულა საქართველოში, რის შესახებ წინა მონაკვეთში გვქონდა საუბარი და იგი კერძოდ სამეფო კარისა და სხვა დიდგვაროვანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

მე-12 საუკუნეში თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი. რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა“.

2. უმაღლესი განათლების კერები

„მოძღუართ-მოძღუარი“

ვინაიდან მე-5 საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მე-12 საუკუნემდე საქართველოში უმაღლესი განათლების ცენტრი არ არსებობდა, სწავლის გაგრძელების მოსურნე დიდგვაროვანნი უკვე მე-11 საუკუნიდან ბიზანტიაში მიემგზავრებოდნენ, სადაც უმაღლეს განათლებას მანგანის აკადემიაში ღებულობდნენ.[1] აღნიშნულ აკადემიაში უსწავლიათ, მაგალითად, ცნობილ ქართველ ფილოსოფოსებს იოანე პეტრიწონელს, არსენ იყალთოელს, იეზიკიელს, იოანე ტარიჭიძეს და სხვათა.

საქართველოს გაერთიანებისა და ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის საჭიროება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა და მე-12 საუკუნის დასაწყისში, 1106 წ., მეფე დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით გელათის აკადემია დაარსდა.

მემატიანეს თხრობით გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ დავით აღმაშენებელმა „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა პატიოსნებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყნის კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძია და კეთილად გამოიძია, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“.[2]

მაშასადამე, მემატიანეს გადმოცემით, დავითს გელათში სამოღვაწეოდ მოუწვევია როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ მყოფი ღირსეული სწავლული ხალხი. როგორც ცნობილია, საქართველოს გარეთ მყოფ სწავლულთაგან პეტრიწონის ქართველთა მონასტრის სემინარიაში მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწიც იყო მოწვეული.

გელათში კულტურული ძალების შემოკრებამ იგი „სხუად ათინად“, ე. ი. ათინის მსგავს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად აქცია თურმე, როგორც მემატიანე გადმოგვცემს — „აწ წინამძღვარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა, საღმრთოთა შინა წესად, კანონად ყოვლისა საეკლესიოჲსა შუენიერებისად.“[1]

აშკარაა, აქ ათინის აკადემიის მსგავს სასწავლო ცენტრზეა საუბარი, რომელსაც შემდეგ იოანე შავთელი თავის ცნობილ ოდაში უფრო დიდი მასშტაბით წარმოგვიდგენს, ვიდრე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი:

„ახალო რომო, შენთჳს თქუეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა
ჴსნტრი ელადსა, თჳით მას გელათსა...“[2]

გელათის აკადემიას, როგორც ირკვევა, სპეციალური თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოძღუართ-მოძღუარის“ ტიტულს ატარებდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „მოძღუართ-მოძღუარის“ ცნება სულ სხვაა, ვიდრე „წინამძღვარისა“, რომელიც გელათშივე იმყოფება, მაგრამ სამონასტრო საქმეებს განაგებს. მრავალი სიგელ-გუჯარი, რომელიც გელათს ეხება, „მოძღუართ-მუძღუარსა“ და „წინამძღუარს“ ცალ-ცალკე ახსენებს.[3] „მოძღუართ-მოძღუარი“, როგორც ეს აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგების“ წინასიტყვაობაში საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენა, მეტად პატივცემული, განათლებული პირია, რომელიც მასწავლებელთა მასწავლებლის შინაარსითაა მოხსენებული და იგი აშკარად გელათში ზის, ვითარცა იქ არსებული აკადემიის „რექტორი“.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: როდესაც „მოძღუართ-მოძღუარი“ დარბაზს (უნდა — ს. გ.) აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღუართ-მოძღური-

[1] კონსტანტინოპოლში წმ. გიორგის მონასტერთან კონსტანტინე იმპერატორის მიერ 1045 წელს დაარსებული აკადემია.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნ. მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 330.

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნ. მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 331. (ხაზგასმა ჩვენია — ს. გ.).

[2] აბდულ მესიანი, 50 (105) Н. Марр, Древнегрузинские одописцы, გვ. 24 და 105.

[3] ექვთ. თაყაიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგება“, ტფილისი, 1920, გვ. XXX—XXXI.

სათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის“[1] მაშასადამე, წარმოდგენილი დებულების მიხედვით, დარბაზს მოწვეულ „მოძღუართ-მოძღუარს“ ერთი ჯორი და სამი ცხენი (ერთი მისთვის, ორიც მისი მოწაფეებისათვის) უნდა გაუგზავნონ, ხოლო დარბაზს მოსულს დარბაზის ერნი, ე. ი. კარისკაცნი, დიდებულნი აახლონ. სხვა შემთხვევისათვის ქვემოთ ეკითხულობთ: „აწ ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან. მოძღუართ-მოძღუარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს... მეფე ნოხთა პირსა მოეგებოს და მიესალმოს“.

„მოძღუართ-მოძღუარი,“ „კარის გარიგების“ მიხედვით, სასულიერო პირად იხსენიება, იგი „ბერია და ეპისკოპოსის ტიტული უნდა ქონდეს“ და დიდხარისხოვან მონაზონთა შორის ყველგან პირველი იხსენიება (მაგალითად, „მოძღუართ-მოძღუარი“, ჰყონდიდელი და კათალიკოზნი ქართლისა და აბხაზეთისა“ და სხვ.).

„მოძღუართ-მოძღუარის“ თანამდებობისათვის ასეთი უპირატესი უფლების მინიჭება, აშკარაა, იმ მნიშვნელობას უნდა ეთანხმებოდეს, რაც გელათში დაარსებულ აკადემიას ენიჭებოდა. თვით „კარის გარიგების“ ტექსტშიც, იქ სადაც „მოძღუართ-მოძღუარის“ განსაკუთრებულ პატივისცემაზეა საუბარი, გელათის აკადემიის მეთაური, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „რექტორია“ წარმოდგენილი.

აქვე ის ფაქტიც უნდა მივიღიშნოთ, რომ გელათის „მოძღუართ-მოძღუარის“, აწ უკვე თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი არ უნდა ავურიოთ შემდეგი დროის ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად ხმარებულ „მოძღუართ-მოძღუარის“ ტერმინთან, რომელიც მონასტრების წინამძღვრებსაც ერქვათ, ალბათ იმიტომ, რომ მათ მონასტრებთან გარკვეული სახის სკოლებიც არსებობდა.

„მოძღუართ-მოძღუარი“ რომ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის აღმნიშვნელი ტერმინია, ამას აკად. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებაც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტერმინი ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის სახელწოდებას ენათესავება.[2]

დღემდე შემორჩენილი ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, მე-11—12 სს საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არსებობის შესახებ ერთადერთი პირდაპირი ცნობა გელათის აკადემიას ეხება.

არის შემდეგდროინდელი ცნობა იმის შესახებ, რომ უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. იყალთოში აკადემიის არსებობის ფაქტზე მიუთითებს თეიმურაზ ბატონიშვილი[3]. ამ აზრს იზიარებდნენ

[1] ექვთ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920, გვ. 13 (23).

[2] ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948, გვ. 18.

[3] იხ. მისი „ისტორია, ივერიისა“, სპ, 1948, გვ. 282—283.

შემდეგ ურბნელი, პლ. იოსელიანი, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, დიმ. ბაქრაძე, მ. ბროსე, ალ. ცაგარელი და სხვ.

იყალთოში აკადემიის არსებობის შესახებ ხალხური გადმოცემაც არსებობს. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ხუროთმოძღვრული შენობის ნაშთები, რომელიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამონასტროს. აქვე კათედრის ფუძეა მინიშნებული, დამახასიათებელი ფახჩა-ფანჯრები. საერთოდ შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო. საინტერესოა ისიც, რომ მკვლევარები აღიარებენ იყალთოსა და გელათის აკადემიების შენობათა მსგავსებას, მიუხედავად იმისა, რომ გელათისაგან განსხვავებით იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია.

არსენ იყალთოელს თავდაპირველად გელათში არ უმოღვაწნია. კონსტანტინოპოლის მანგანის წმ. გიორგის მონასტერთან არსებული აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი შავ მთაზე ეფრემ მცირესთან მოღვაწეობს. აქედან ის ისევ მანგანის აკადემიაში ბრუნდება. აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებით, არსენის კონსტანტინოპოლში დაბრუნება, სადაც იგი სწავლას განაგრძობს, მე-12 საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.[1] რაც შეეხება საქართველოში მის ჩამოსვლას, დავით აღმაშენებლის მიერ იმ გამორჩეულ პირთა მოწვევასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებიც მან „არა თავისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყნისა კიდეთათ სადათცა ესმა“ „იძია და კეთილად გამოიძია, მოიყვანნა და დაამკვიდრნა“ გელათის მონასტერში სამოღვაწეოდ. ხოლო იყალთოში არსენი გელათიდან გადასულა, სადაც, გადმოცემის მიხედვით, მას აკადემია დაუარსებია.

ცოტა უფრო გვიანი დროისათვის არსენი „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, სომეხ-ქართველ სამღვდელო პირთა სჯულის საკითხებზე გამართულ იმ პაექრობაზე ჩანს მოწვეული, რომელსაც თავად დავით აღმაშენებელიც ესწრებოდა და კამათშიც მონაწილეობდა.

აქ არსენი მემატიანეს მიერ დახასიათებულია როგორც მეცნიერი „თარგმანსა... ბერძენთა და ქართველთა ენათასა“, „განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა, და სხვათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა“.[2]

მემატიანეს ამ სიტყვებს ადასტურებს არსენის ნამოღვაწარის ის ნუსხაც, რომელიც სხვადასხვა სახით დღემდე შემორჩა.

არსენ იყალთოელის საქართველოში შემოსვლის თარიღად მიჩნეულია 1114 წელი. საქართველოში შემოსვლის შემდეგ იგი თავდაპირველად გელათში მოღვაწეობს. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 274.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1966, გვ. 356.

გელათში ყოფნისას მას „დიდი სჯულის კანონი“ უთარგმნია, რამდენ ხანს იყო არსენი გელათში, გაურკვეველია, ყოველ შემთხვევაში ის იქ რამდენიმე წელიწადს მაინც დაჰყოფდა, რაც ზემოაღნიშნული თარგმანისათვის და სხვა სამოღვაწეო საქმეთათვის იყო საჭირო. სომეხ-ქართველთა სჯულის საკითხებზე კამათი, აკად. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, 1123 წლის უადრეს არ უნდა მომხდარიყო, როცა დავითმა ქალაქი ანისი აიღო და სომეხთა-ეპისკოპოსნი, ხუცესნი და მოწესენი საზეიმოდ შეკრიბა.[1] აღნიშნულ კრებაზე კი არსენ იყალთოელი ყველასათვის ცნობილი და საპატივცემულო პიროვნებაა, ვითარცა მეცნიერი და ბრძენი. ასე რომ, იყალთოს აკადემიის დაარსების თარიღი 1117—1123 წლებს შორის თავსდება, უფრო ზუსტად 1118—1120 წლებში.

არსენ იყალთოელის მსოფლმხედველობა თეოლოგიური დოგმატიკის მიხედვით ვითარდებოდა, რისთვისაც იგი სქოლასტიკური თეოლოგიის ფუძემდებლის იოანე დამასკელის თეორიებს იყენებდა. ამ მხრივ არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს შორის, რომელიც იმავე მანგანის აკადემიის აღზრდილი იყო, გარკვეული ზღვარი ჩანს. იოანე პეტრიწი იმთავითვე ადრინდელი რენესანსის მიმდევარი გახდა, რომლის ფილოსოფიურ მოძღვრებაში საერო ფილოსოფიური ტენდენციებით ნეოპლატონური მიმართულება იჩენს თავს.

გარკვევით არ შეიძლება ითქვას, იყო თუ არა არსენ იყალთოელი იმ პირთა რიცხვში, რომლებიც იოანე პეტრიწს მისი ფილოსოფიური მიმართების გამო საქართველოში ებრძოდნენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვით დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშივე, სამეცნიერო კადრების შემოკრების შემდეგ, თავისთავად შეიქმნებოდა უმაღლესი განათლების ცენტრების გამრავლების ტენდენცია, მაშინ არსენ იყალთოელის გელათიდან წასვლა შესაძლოა იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან შეუთავსებლობამ განაპირობა.

ამ ფაქტის დასადასტურებლად რაიმე დოკუმენტური წყარო არ გაგვაჩნია. ვარაუდით კი პირველი აზრი უფრო მისაღებია, ე. ი. რომ არსენის იყალთოში გადასვლა მეორე უმაღლესი სასწავლებლის გახსნით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ იოანე პეტრიწს საქართველოში ბრძოლა გამოუცხადეს, იგი გელათში მტკიცედ იკიდებს ფეხს, ვინაიდან მას თვით დავით აღმაშენებელი წყალობდა „არამედ აწ შეძლებისამებრ და ძალისა ჩემისა აწცა ვიღონო სწორედვე წყალობითა ღმრთისათა დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილმან,[2] —

[1] ქ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 274.
[2] იოანე პეტრიწის შრომები, II, თბილისი, 1937, გვ. 222.

აცხადებს იგი. ვაშასადამე, დავითს ესმოდა და უჭერებდა იოანეს. ეს არც გასაკვირია, რადგან თვით დავით აღმაშენებელი ფრიად ნაკითხი და განათლებული კაცის სახით ჰყავს ისტორიკოს წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მას იმთავითვე საფუძვლიანი აღზრდა და განათლება მიუღია. თვით სამეფო საქმეთა გამგებლობის პერიოდში დავითი წიგნების კითხვის მოყვარულია. მემატიანეს თქმით, იგი თურმე „ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა, წიგნები ეტვირთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდახდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ხელითა, არა დააცადის კითხვა, ვიდრე არ დაშურის“. ზოგიერთ წიგნს დავითი რამდენჯერმე წაიკითხავდა თურმე და წაკითხვის შემდეგ „ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა“.[1] ასეთი ნიშნების დათვლის შედეგად გამორკვეულია, რომ მას ერთ-ერთი წიგნი „ოცდაოთხჯერ წარეკითხა“ და სხვ.

იოანე პეტრიწის თანამდგომელი და შემწე დავით აღმაშენებელი აშკარად არა, მაგრამ ფარულად კი მისი მსოფლმხედველობის თანაზიარი და მიმყოლი ჩანს; სხვა შემთხვევაში იგი მისი მფარველი და მეურვე ვერ იქნებოდა.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიური კონცეფციების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებით პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმანზე მის მიერვე გაკეთებულ კომენტარებში, წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში ჩანს, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ გელათის აკადემიაში სწავლება მაღალ აკადემიურ დონეზე იდგა. გარდა აღნიშნული თხზულებისა, იოანეს ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, აგრეთვე არისტოტელეს შრომები, რომლებმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგრამ ისიც, რაც ხელთა გვაქვს, აშკარას ხდის, რომ იოანე საფუძვლიანად იცნობს წინარე ეპოქის ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაშრომებს. ანტიკური მწერლობიდან იგი ჰომეროსს, ჰესიოდეს, პითაგორეს, პარმენიდეს, ემპედოკლეს, ჰიპოკრატეს, სოკრატეს ასახელებს. მოჰყავს ციტატები პლატონის „პარმენიდედან“, „ალკივიადედან“, აგრეთვე, არისტოტელეს „ორგანონიდან“, არისტოტელეს ლოგიკის თეორიას იყენებს თავისი ფილოსოფიური კონცეფციების წარმოსახვისას და სხვ. გვიანი პერიოდიდან იგი პლოტინს, იამბლიხოს, პორფირეს ასახელებს. მასვე ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს ებრაელთა ისტორიკოსის წიგნი „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყვა დასაბამობისა ჲ“, რომლის 15 წიგნი შემორჩა დღემდე, ხოლო 5 დაკარგულია.

იოანე პეტრიწი მრავალმხრივ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნ. მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 349.

(ფილოსოფია, გრამატიკა, ჰაგიოგრაფია, ასტრონომია, ასტროლოგია, ლიტურგიკა და სხვ.), მაგრამ მისი ძირითადი შემოქმედებითი სფერო ფილოსოფია იყო. აქ იოანე არაა სხვათა აზრების გადმომღები და პოპულარიზატორი, არამედ ორიგინალური აზრებისა და მსოფლმხედველობითი მიმართულების შემქმნელია. ასე, რომ ხშირ შემთხვევაში იგი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს წინამორბედ ფილოსოფოსთა მიმართ. იოანე პეტრიწის პოზიცია ბოლომდე ნეოპლატონური მიმართულებისაა. იგი როგორც ფილოსოფოსი იკვლევს თავისი დროისათვის მეტად საინტერესო პრობლემებს, რომლებიც ანტიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებებში იღებენ სათავეს, ხოლო პეტრიწთან თავისი დროის ვითარებასთან შეფარდებით ახლებურ პლანშია განვითარებული და გადაწყვეტილი.

აქვე ყურადღებას იქცევს იოანე პეტრიწის მსჯელობა იმ სამეცნიერო დისციპლინებზე, რომელთა მიხედვით იმხანად ასწავლიდნენ ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებელში და რაც გელათის აკადემიის სასწავლო პროგრამასაც უნდა დასდებოდა საფუძვლად. ეს სამეცნიერო დისციპლინები გახლავთ ე. წ. **trivium-quadrivium**-ის კიკლი. პეტრიწი ჯერ **trivium**-ში შემავალ დისციპლინებზე — გეომეტრიაზე (ქვეყნის საზომლოგი), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსოგი) მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ კიკლად აქვს წარმოდგენილი.[1]

ცოტა უფრო ქვემოთ იოანე მსჯელობს მეორე კიკლის (**quadrivium**) შესახებ, სადაც გრიგოლ ნიზიანზელის გამონათქვამებზე დაყრდნობით თითოეული დისციპლინის განმარტებას იძლევა. აღნიშნული დისციპლინებია, კერძოდ, ფილოსოფია, რომელი „ანუ ბუნებითმეტყველებს და ითქუმის მხედველობითად, ანუ ქცევათა და ჩვეულებათა შეამკობს და ითქუმის საქმითად; ანუ იწოდების წინააღდგომობათ მეტყველებითად და განმსიტყუელობითად“[2] ე. ი. ფილოსოფია სამგვარი სახით წარმოგვიდგებაო—პრაქტიკული (საქმითი), თეორიული (მხედველობითი) და დიალექტიკური (განმსიტყუელობითა). ცალკეა დახასიათებული რიტორიკა, რომელიც „სამად განიყოფების: თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დაღესასწაულობისა“, ე. ი. სათათბირო, ანუ ბჭობისათვის გამოსაყენებელი რიტორიკა, საპაექრო, რომელსაც ძველ საბერძნეთში და საქართველოში პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, და დღესასწაულებზე გამოსაყენებელი რიტორიკა.

იმავე კიკლში შემავალი დანარჩენი დისციპლინებია — გრამატიკა და ასტრონომია (ვარსკვლავთ-მრიცხველობაი).

მე-12 საუკუნის ქართული აკადემიის შესახებ იმ ცნობების გარდა,

[1] იოანე პეტრიწის შრომები, II, თბილისი 1937, გვ. 16, 17.

[2] იქვე, გვ. 224.

რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. საისტორიო წყაროები, სამწუხაროდ, არაფერს გვეუბნებიან. მაგრამ თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ გელათის აკადემიის შექმნისთანავე სხვებთან ერთად მანგანის აკადემიის აღზრდილნი იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი იყვნენ მოწვეულნი, გასაგები უნდა იყოს, რომ აქ ჩვენ ბიზანტიური აკადემიის მსგავს სტრუქტურასთან გვაქვს საქმე.

მისანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ისევე, როგორც კონსტანტინოპოლის აკადემია, გელათის აკადემიაც მონასტერთან იყო დაარსებული (პირველი წმინდა გიორგის მონასტერთან, ხოლო მეორე გელათის მონასტერთან).

მანგანის ცნობილი აკადემია, რომელიც კონსტანტინე მონომახმა 1045 წელს დააარსა კონსტანტინოპოლში, გარკვეული მასშტაბით ანტიკური აკადემიის აღორძინებას წარმოადგენდა. აღმოსავლეთში არსებული ბაღდადის აკადემია (მე-10—11 სს.) ფაქტიურად მანგანის აკადემიის შექმნისათვის მოსამზადებელი საფეხური იყო. მაგრამ ბაღდადის აკადემიას მაინც არ ჰქონია ისეთი პრიმატი აღმოსავლური აზროვნების განვითარების საქმეში, როგორიც დაიმკვიდრა შემდეგ მანგანის აკადემიამ.

მანგანის აკადემიაში, რომელსაც ფილოსოფიური და იურიდიული ფაკულტეტები ჰქონდა, თითქმის იმავე საგნებს ასწავლიდნენ, რაზედაც იოანე პეტრიწი პროკლეს წიგნის თარგმანზე დართულ ბოლოსიტყვაობაში მსჯელობს. კერძოდ, აქ ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, თეოლოგიას, რიტორიკას, ასტრონომიას, დიალექტიკას, ფიზიკასა და მეტაფიზიკას, საერო და საღვთისმეტყველო ისტორიას.[1]

მანგანის აკადემია იმჟამინდელი მოწინავე მსოფლიოს უმაღლესი განათლების კერად იქცა. ამიტომაც აქ თავი მოუყრია სხვადასხვა ქვეყნიდან სასწავლებლად ჩამოსულ ახალგაზრდობას, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ.

დავით აღმაშენებლის მიერ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, „ქუეყანისა კიდეთათ“ მყოფ სწავლულ ხალხთა მოწვევა და გელათს „დამკვიდრება“, მიზნად ისახავდა როგორც აკადემიის მოწყობას, აგრეთვე, სხვადასხვა დისციპლინების სწავლებას. პროფ. გ. თავზიშვილის სამართლიანი შენიშვნით, აქ „თუ ფაკულტეტები არა, სათანადო განყოფილებები, ანუ დარგები მაინც“ უნდა ყოფილიყო, რაკი სხვადასხვა დის-

[1] დაწვრ. იხ. **Успенский, Очерки по истории Византийской образованности, СПБ, 1891, გვ. 159, 174, Н. Скабаланович, Византийская наука и школа в X веке — «Христианское чтение», 1884, № 3—4, 5—6. აგრეთვე, К. Шмидт, История педагогики, т. 2, М., 1879, გვ. 86—91.**

ციპლინები ისწავლებოდა.[1] მართალია მოწვეული სწავლული ხალხი, რომლებიც გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ, ფართო ერუდიციის მქონენი არიან, რაც იოანე პეტრიწის მაგალითითაც დავინახეთ, მაგრამ როგორც თვით იოანე, ასევე ყოველი მათგანი მაინც ამა თუ იმ ძირითად სფეროში იყვნენ დაოსტატებულნი. ასე რომ, ორი ან სამი მონათესავე დისციპლინის მეტს კაცი ვერ ასწავლიდა.

გარდა ზემოთ აღნიშნული **trivium quadrivium**-ის დისციპლინებისა გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, მედიცინაც ისწავლებოდა (ისე როგორც ეს დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ხდებოდა)[2].

პროფ. მიხ. შენგელიას სამართლიანი დაკვირვებით მე-13 საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმოჲ,, სწორედ სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ გელათში, მედიცინის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა[3]. ამაზე მეტყველებს თვით წიგნის აღნაგობა და შინაარსი, აგრეთვე, ავტორისეული, თუ მთარგმნელის განცხადებები, რომლებიც სწავლაზე მიუთითებს. მაგალითად, „აწ რაჲზედაც სწავლაჲ უნდა მოსწავლესა, სრულიად ვახსენო ამას წიგნსა შინა“. „ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს“, „და ვისცა სწადიან რომელ კარგად იცოდეს, პირველ შირიანსა მეცნიერობასა უნდა სწავლაჲ, და დასწავლა რომელ ესე მეცნიერება ესალებოდეს, მით რომელ ამის მეცნიერობისა სრულიად სწავლაჲ დია ძნელ არს და დიდი ხანი უნდა ამისსა უკანა დგომასა, მაგრამ მსწავლებელსა ესე ეყოფის რაჲ კარგად დაისწავლოს.. მე თვითონ მისი გამოგიცხადო აგრე, რომელ მოსწავლემან ადვილად ისწავლოს“ და სხვ.

მისასანიშნებელია, რომ მე-11—12 სს საქართველოში მედიცინისადმი ყურადღება საერთოდაც გამახვილებული იყო. ამაზეც მეტყველებს დავით აღმაშენებლის მიერ ქსენონის (საავადმყოფოს) დაარსების ფაქტიც. აშკარაა, ასეთ ვითარებაში ექიმთა გარკვეული კადრი საჭირო იყო, რისი უზრუნველყოფაც სპეციალური მომზადებით უნდა მომხდარიყო. ასე რომ გელათის აკადემიის სხვადასხვა განყოფილებებს შორის მედიცინის განყოფილება ცალკეც შეიძლება ვიგულისხმოთ. მითუმეტეს, რომ ამ დროისათვის იოანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ემესელის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური საკითხების შემცველი სახელმძღვანელო წიგნის „ბუნებისათვის კაცისა“ ითარგმნა, რომელიც, სხვათაშორის, ექიმ-ფილოსოფოსის გალენის შრომების გავლენას განიცდის და მედიცინის საფუძვლების შესახებ გარკვეული მასალების შემცველია.

„წიგნი სააქიმოჲს“ ქართულ ენაზე მთარგმნელ-შემდგენელი (ხოჯაყოფილი) სამედიცინო ცოდნას ამჟღავნებს. სამედიცინო ტერმინოლოგიას, მედიცინის საფუძვლებსა და საერთოდ მოძღვრებას ადამიანის ბუნების შესახებ საკმაოდ კარგად იცნობდა მე-11—12 სს ქართველ მოღვაწეთა თითქმის უმეტესობა, მათ შრომებში არაერთგან ვხვდებით ამის დამადასტურებელ ფაქტობრივ მასალებს. ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული პერიოდის ქართველი მოღვაწეები სპეციალურ, ან ზოგად ცოდნას ღებულობდნენ მედიცინის და კერძოდ ადამიანის ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ბუნების საფუძვლების შესახებ.

ქართულ აკადემიებში, კერძოდ გელათისაში, სწავლება, რომელიც ძირითადად **trivium quadrivium**-ის ციკლის დისციპლინათა შესწავლას ითვალისწინებდა, თავისი დროისათვის მაღალი აკადემიური დონით ხასიათდებოდა, რაც თანამედროვე ისტორიკოსთა და მწერალთა სამართლიან აღტაცებას იწვევდა.

ქართულ ექსტერიტორიალურ დასახლებათა შორის ცნობა ერთადერთი სასწავლებლის არსებობის შესახებ მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან გვხვდება.

სემინარიად წოდებული აღნიშნული სასწავლებელი პეტრიწონის მონასტრისათვის მღვდლებს ამზადებდა. ამის შესახებ ცნობას გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1084 წელს დაწერილი ტიპოკონი შეიცავს, რომელიც მან მის მიერვე აშენებულ მონასტერს დაუტოვა.[1] ტიპოკონის 31-ე პარაგრაფი ითვალისწინებდა უწვერულვაშო მოზარდების მოთავსებას წმინდა ნიკოლოზის მონასტერში, სადაც მათთვის მოხუცებულ მღვდელთაგანს სამღვთო წერილი უნდა ესწავლებინა. აღნიშნული პარაგრაფი მოსწავლეთა კონტინგენტს ექვსი ბავშვის ოდენობით განსაზღვრავს, ამ ბავშვებს სარჩოსა და ტანსაცმელს თვით მონასტერი მისცემდა და აქ მანამდე დაჰყოფდნენ, სანამ გარკვეულ ცოდნას არ მიიღებ-

[1] გ. თაყაიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვ. პირველი, თბილისი, 1938, გვ. 70.

[2] პროფ. ოჰანესიანის აზრით მედიცინა, როგორც საგანი მე-11—12 სს. ტარონისა და სანაინის სომხურ აკადემიებშიც ისწავლებოდა. ამ უკანასკნელში მედიცინას ასწავლიდა ბერძნული ფილოსოფიური მეცნიერების კარგად მცოდნე, პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომების მთარგმნელი გრიგოლ მაგისტროსი. იხ. **Л. Оганесян, История медицины в Армении, ტ. 11, 1946, გვ. 17.**

ცნობილია ის ფაქტიც, რომ მედიცინა ბაღდადის აკადემიაში ცალკე საგნად ისწავლებოდა.

[3] გ. შენგელია, რუსთაველი და გელათი, იხ. ჟურნ. „ცისკარი“, 1968, № 12, გვ. 131.

[1] **Georgica**, ტ. 5. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და დართული ტექსტი, თბილისი, 1963, გვ. 235.

დნენ და სამღვდელო ხარისხისათვის არ მოემზადებოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი სათანადოდ არ მოემზადებოდნენ, ან სხვადასხვა მიზეზით სამღვდელო ხარისხისათვის არ გამოდგებოდნენ, გააძევებდნენ მონასტრიდან.

რაკი აღნიშნული სემინარია მღვდლებს პეტრიწონის მონასტრისათვის ამზადებდა, თავისთავად ცხადია, რომ სწავლება აქ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან ტიპოკონი აღნიშნულ მონასტერში მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბერების ყოფნას ითვალისწინებდა. მათგან ძირითადი ნაწილი ქართველები იქნებოდნენ, თუმცა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, თუკი ქართული წერა-კითხვა ეცოდინებოდათ, გარდა ბერძნებისა, რადგან ეს უკანასკნელი უცხო ერების მონასტერში შესვლით აგრესიულად განეწყობოდნენ ხოლმე და სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში.

პეტრიწონის მონასტერთან არსებული სემინარიის მიერ მომზადებული კადრი შემდეგში გარკვეულ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამის მაჩვენებელია იმ ლიტერატურული სკოლის შექმნა, რომელსაც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში „პეტრიწონული“ ჰქვია და რომელმაც ფილოსოფიური თუ დოგმატიკური ხასიათის ნაშრომების დამუშავებით ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნაში გარკვეული როლი შეასრულა.

მე-11—12 სს საქართველოს საზღვრისგარეთა ექსტერიტორიალურ დასახლებებში პეტრიწონის მონასტერი ერთ-ერთი ძნიშვნელოვანი კულტურის კერა იყო ათონის ივერიის მონასტერთან ერთად, სადაც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების თაოსნობით დიდი სალიტერატურო მუშაობა იყო გაჩაღებული.

8. გიორგი მთაწმიდელი და გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი)

გიორგი მთაწმიდელი ერთი იმ პირთაგანია მე-11 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართული კულტურის განვითარებას.

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს მისი მოწაფე და მუდამ თანამყოფელი გიორგი ხუცესმონაზონი გვაწვდის.[1] მისი თხრობის მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი მსახურეულ აზნაურთა ოჯახიდანაა წარმოშობილი. დედას მარიამი ერქვა, ხოლო მამას იაკობი, რომელიც „იყო ერთგულთაგანნი და საკუთართა ღუთის მსახურისა მეფისა გიორგისთა“. ცხოვრობდნენ ისინი თრიალეთს, სადაც მათ ექვსი შვილი, მათ შორის, რიგით მესამე, გიორგი ჰყავდათ. უფროსს დას თეკლა ერქვა. როცა იგი შვიდი წლისა შეიქმნა, მშობლებმა ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხე) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც შეითვისა და „კეთილად აღზარდა“. შვიდი წლის გიორგი მშობლებმა ტაძრისში მიიყვანეს, სადაც იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“. ტაძრისში გიორგიმ სამი წელი დაჰყო.

ათი წლისა რომ შეიქმნა, ბიძებმა ხახულს წაიყვანეს, ლავრის მოძღვარს და „ეგრეთვე დიდსა მასცა ბასილის, ბაგრატის ძესა, მიჰგუარეს, და წმიდაჲ კურთხევაჲ მისი მიღებად სცეს“. — „რომელი იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღვარი და განმანათლებელი ქვეყნისა ჩუენისა“. ამის შემდეგ „საღმრთოთა მათ სწავლათა მისაღებად“ „მოძღვრებაჲთა შინა“ განთქმულს ილარიონ თუალელს ჩააბარეს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის „წურთად იწყო“. აქ გიორგი, მემატიანეს თქმით, ისე კარგად სწავლობდა, რომ „უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთასა მისთასა წარემატა“.

ხახულის მონასტრიდან, დაახლოებით 1022 წელს, 13 წლის გიორგი თან წაუყვანია მის ბიძას გიორგი მწერალს, რომელიც თავისთან მიიწვია დიდებულთა წრის კაცმა ფერსო ჯოჯიკისძემ და მისმა მეუღლემ, ზემოხსენებული ბასილის დამ „სულისა მასწავლებლად და უწესოებისა დამაყენებლად“. პატარა გიორგი როგორც კარგი მკითხველი და „კანანატი“ გიორგი მწერალმა თან იახლა. ფერსო ჯოჯიკისძე მალე ბიზანტიის იმპერატორს, ბასილს, რაღაც ღალატისათვის დაუსჯია, ხოლო მისი მეუღლე კონსტანტინოპოლს გადაუსახლებია, სადაც მას გიორგი მწერალი პატარა გიორგითურთ თან გაჰყოლია. კონსტანტინოპოლში ფერსოს ქვრივსა და გიორგი მწერალს პატარა გიორგი სასწავლებლად მიუციათ „კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთათვის“, ოღონდ არა ერისკაცთა, არამედ „ღუთის მოშიშთა მონაზონთა“, სადაც იგი 12 წელიწადს სწავლობდა და განსაკუთრებულის გონებამახვილობითა და ნიჭით გამოირჩეოდა.

ფერსოს ქვრივს საქართველოში, კერძოდ, თავის სამკვიდრებელ

[1] „ცხოვრება და მოქალაქეობაჲ... გიორგი მთაწმიდელისა“, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, საეკლ. მუზეუმ. გამოც., თბილისი, 1901, გვ. 282.

წვარწატაფს დაბრუნებისას მთელი ამალაც თან გამოჰყვა. აქედან გიორგი კვლავ ხახულს დაბრუნდა და როცა 25 წლისა გამხდარა, მაშინ კურთხეულა მონაზვნად. გარკვეული ხნის შემდეგ გიორგის იერუსალიმში სალოცავად წასვლა განუზრახავს. ეს განზრახვა მას კიდევაც შეუსრულებია მალულად. სვიმონ საკვირველთმომქმედის მონასტერში შავ მთაზე ქართველი ბერი გიორგი შეყენებული მოუნახულებია, რომელსაც დაემოწაფა. გიორგი შეყენებული ფრიად განათლებული, თეოლოგი და ლიტერატორი კაცი იყო, რომელმაც შთაუნერგა კიდეც გიორგი მთაწმიდელს მომავალი შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი სიყვარული. იერუსალიმიდან უკან მობრუნებულ გიორგი მთაწმიდელს მისი მოძღვარი გიორგი შეყენებული ურჩევს გამოიყენოს ნიჭი და ის ცოდნა, რაც მას საერთოდ და კერძოდ ბერძნულ ენაში აქვს და ხელი მიჰყოს წიგნების თარგმნას.

ამ შეგონების საფუძველზე, დაახლოებით 1040 წელს გიორგი საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე გაემგზავრა (აქედან მიიღო მან, იოანე და ექვთიმეს მსგავსად, მთაწმიდელის სახელწოდება). ათონის მონასტერში, რომელიც იმ დროისათვის უკვე ქართველთა ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრად იყო ქცეული. გარკვეული ხნის შემდეგ, უკვე მღვდლად კურთხეული გიორგი იწყებს მთარგმნელობით მუშაობას. მალე ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღოლი ცნობილი ექვთიმე გარდაიცვალა და მის ნაცვლად გიორგი აირჩიეს. ასე რომ მას მონასტრის ადმინისტარაციული საქმიანობის აღსრულებაც მოუხდა.

ათონის ივერიის მონასტერში გიორგი მთაწმიდელმა დააგვირგვინა ექვთიმეს მიერ დაწყებული შემოქმედებითი მუშაობა. გიორგი ხუცეს-მონაზონის თხრობით „რომელიმე წიგნნი, სრულად არა ყოფილნი და ენისაგან ჩუენისა უცხონი, სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვნა". ეს წიგნები, რომლებიც ოდესღაც ბერძნულიდან ქართულ ენაზე ცუდად ყოფილა ნათარგმნი, შეასწორა, ან ხელახლა თარგმნა. „ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი მიერ თარგმნილი და უცალობითა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნნი, განასრულა და განავრცვნა". და სხვ. გიორგი დაუღალავად მუშაობდა, როგორც ათონის მთაზე, ასევე, „შავ მთასა ოდენ თარგმნიდა" წიგნებს, „სამეუფოსა გზასა, სულუმბრას, ანტიოქიას სვიმონ წმიდისა და კალიპოსს და სხუათა ესე ვითართა ადგილთა, რამეთუ რომელიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გადაწერილ არიან".[1] აქედან ნათელი უნდა იყოს ის ინტენსიური შრომა, რომელსაც

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901. გვ. 310.

ეწეოდა გიორგი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ათონზე იყო იგი. გზად მავალი, შავ მთაზე თუ ანტიოქიას და სხვ.

თარგმანებითა და ორიგინალური შრომებით გიორგი მთაწმიდელი თავისი დროისათვის ფრიად განათლებულ კაცად წარმოგვიდგება, რომელიც იყო მთარგმნელი, თეოლოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

ჩვენ ამჟამად გორგი მთაწმიდელის, როგორც პედაგოგის სახის წარმოჩენა გვაინტერესებს.

* * *

ათონის მთის ივერთა მონასტრიდან აწ უკვე მხცოვანი და სახელმოხვეჭილი გიორგი მთაწმიდელი მეფე ბაგრატ IV-ის თხოვნით 1060 წელს საქართველოში ჩამოსულა. ბაგრატი თხოვდა გიორგის სამშობლოში ჩამოსულიყო იმიტომ, რომ აქ განათლების საქმეც აღემაღლებინა და თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მშობლიურ ქვეყანას მოხმარებოდა. „ჩემი სამეფო ვრცელ არს, — წერდა იგი,—და დიდ ფრიად და მაღალ და ეკლესიანი სამღვდელთმოძღრონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ", „აწ ბრძანო და მოშურნე და ჩუენ ვიკურთხეთ თქუენ მიერ და განვნათლდეთ" და სხვ.

საქართველოში ყოფნის ჟამს გიორგის ოთხმოცი უპატრონი ბავშვი, ღატაკი მშობლების შვილები შეუკრებია ათონის ივერიის მონასტერში წასაყვანად და მათი განსწავლა დაუწყია. მემატიანეს სიტყვით — „რაკი ქუეყანა ჩუენი შორს იყო ამის ქუეყანისაგან (ე. ი. საბერძნეთიდან) და მცირედი მოვიდიან სწავლულნი, და რომელნი იგი მოვიდიან, შემდგომად მცირედისა კუალადცა წავიდიან", ამიტომ გიორგის იქ განსწავლული კადრის თავმოყრა და შევსება განუზრახავს, რათა ექვთიმე მთაწმიდელის, თავად გიორგისა და სხვათა ნამოღვაწარი „ნათესავმან ჩუენმან დაისწავლა." ე. ი. შეესწავლათ და ქვეყნისათვის გამოეყენებინათ.

როცა გიორგი მთაწმიდელის საქველმოქმედო საქმის წამოწყება ცნობილი შეიქმნა „იწყეს ყოვლით კერძო შემოკრებაჲდ, რომელნი მშობელთა თჳსთა მოიყვანიან და ევედრებიან შეწყნარებაჲდ, და რომელთამე წინაშე კართა დაუტევიან და იცლტოდიან, სხუაჲნი კუალად, გონებითა მახვილნი რე, მშობელთა თჳისთაგან თჳთ ლტოლვილნი, წმიდისაჲ ამის ნავთ საყუდელსა შემოევედრიან". ასე და ამგვარად გიორგის ოთხმოცი მოსწავლე შეუგროვებია განსასწავლად.

გიორგი მთაწმიდელს თვით უკისრია ოთხმოცივე ბავშვის განსწავლა, მაგრამ თუ როგორ, ამის გასარკვევად მემატიანეს სიტყვებს მოვი-

ტანთ: „რამეთუ არა სხუათა მოძღუართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა ანუ თუ სხუათა თანა შემწეთა იხუმევდა, რათამცა, თვით მცირედ რამედ განისუენა, არამედ ყოველითურთ თვით ასწავებნ და მოძღურინ მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა, ხოლო წესსა და კანონსა ლოცვათა არა დააცადებდა არცა მარხვისა და მოღვაწეებისაგან განისუენებდა, ვიდრემდის უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა, ხოლო შესწორებულთა მათ შემდგომნი მათი წარსწივნა, და ესრეთ დაღაცა თუ ჰასაკითა ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულებისა მიერ ურთიერთას მოჰასაკე იყუნეს“.[1] ე. ი. მემატიანეს სიტყვით ამდენ მოსწავლეს გიორგიმ არა სხვა მასწავლებლები მიუჩინა (როგორც ეს წესად იყო), არც არავინ მოუხმარებია, არამედ თვით მასწავლებლობდა და ყოველივეს ასწავლიდა „მწყობრთა და მწყობრთა“, ე. ი. ჯგუფებად (დღევანდელ კლასებად) დაყოფილთ და „ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა“, ე. ი. წლოვანების მიხედვით. გიორგის თავი არ დაუზოგავს და თავგანწირვით უშრომია მანამ, სანამ „უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა, ე. ი. სანამ ჩამორჩენილი, ძნელად ამთვისებლები და მცირე ასაკოვანნი წარჩინებულთ და ასაკოვანთ არ გაუთანასწორა და ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ, ასაკის განსხვავების მიუხედავად, ყველა ისინი ერთნაირად მცოდნე გახადა, ასე რომ, „სწავლულებისა მიერ ურთიერთას მოჰასაკე იყუნეს“.

მეტად საინტერესო სურათია მოცემული სწავლების პროცესის ორგანიზაციის მხრივ. ამ მონათხრობის მიხედვით გიორგის „სკოლა“ მოსწავლეთა ასაკის მიხედვით კლასებად დაყოფას ითვალისწინებს. ასაკის განსხვავების გამო თავდაპირველად მათ სასწავლო პროგრამაც განსხვავებული ჰქონიათ: მცირე ასაკოვანთა — სხვა, ხოლო უფროსთ — სხვა პროგრამა, როცა უმცროს ასაკოვანთა და ჩამორჩენილთა მოსწრება გაუთანასწორა, „უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა“, მაშინ უკვე „შესწორებულთა მათ შემდგომნი მათნი წარსწივნა“, ე. ი. გათანაბრებულნი კიდევ წინ წასწია და მიაღწია ზემოხსენებულ მიზანს.

გიორგი მთაწმიდელის სკოლა, აშკარაა, იმჟამინდელი სასკოლო სტრუქტურითაა მოწყობილი. განსხვავება იმაშია, რომ სხვა სკოლებში ერთი კი არა, რამდენიმე „მოძღვარი“, მასწავლებელი ასწავლიდა, როგორც ეს ზემოთ მოტანილი ცნობებითაც დავინახეთ.

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901, გვ. 321 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — სე. გ.).

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელის სკოლა ძირითადად იმჟამინდელ საქართველოში არსებული სკოლების სტრუქტურის მიხედვით იყო მოწყობილი. ბევრი რამ ამ სტრუქტურაში თანამედროვე პედაგოგიკის თვალსაზრისითაც გამართლებულია, რაც იმას ამტკიცებს, რომ მე-12 საუკუნის საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე შედარებით მაღალ დონეზე იდგა.

არაა სწორი ის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც გიორგი მთაწმიდელის სკოლა ორიგინალურ და ახალი ტიპის სკოლადაა მიჩნეული, რომელსაც თითქო ახლებური სასწავლო სისტემა ჰქონდა.[1] ყოველივე ის, რაზედაც მემატიანეს მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით დაკვირვება შეგვიძლია (მოსწავლეთა ასაკის მიხედვით კლასებად, ჯგუფური წესით დაყოფა), არაფერს ორიგინალურს არ შეიცავს. ეს გარემოება ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მოსწავლეთა მიერ ასაკის მიხედვით და ჯგუფური წესით სწავლების შემთხვევები სხვა წყაროთა მონაცემებითაც გვხვდება როგორც ადრეულ, ისე მე-11—12 სს საქართველოში. გიორგი მთაწმიდელი არსებული სასწავლო სისტემის მიხედვით აწყობს თავის სკოლას, ორიგინალური აქ ისაა, რომ იგი თავის მოსწავლეებს სხვა მასწავლებლების დახმარების გარეშე ასწავლიდა, რასაც აშკარაა იგი იმ დროის მანძილზე, რომელსაც მემატიანე გვისახელებს (5 წელი) შეკუმშული პროგრამით თუ მოახერხებდა. სამწუხაროდ, არ ვიცით რა პროგრამებით ასწავლიდა გიორგი თავის მოსწავლეებს. ის კი აშკარაა, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან მას თავისებური პროგრამები და პედაგოგიური მიდგომა აქვს გამოყენებული. აქვე ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ მოსწავლეებს გიორგი მთაწმიდელი მხოლოდ ცოდნის მინიმუმს აძლევს, რომელთა გაღრმავება ათონის ივერიის მონასტერში მისვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

გიორგი მთაწმიდელის ზემოთ წარმოდგენილ მოღვაწეობას მისი პედაგოგიური შეხედულებები უდევს საფუძვლად, რის შესახებ გარკვეულ ცნობებს გიორგი ხუცესმონაზონი გვაწვდის. იგი ვითარცა მოწაფე და თანამზრახველი მუდამ თან ახლდა გიორგი მთაწმიდელს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი და ხუცესმონაზონი განსაკუთრებულ ყურადღებას მოსწავლეთა ასაკობრივ განვითარებას უთმობენ. მათ კარგად ესმით, რომ სწავლება, პირველ ყოვლისა, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, ამ თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებლობებს უნდა შეუფარდონ, ამის მიხედვით ბავშვის განვითარების დასაწყის საფეხურად მათ სკოლამდელი ასაკი მიაჩნიათ, „პირველსა მას ჰასაკსა ქცევასა შინა

[1] **В. Д. Чантурия, Педагогика грузинского гуманизма XI—XII вв., Батуми, 1954, გვ. 71.**

იყვნენ, რომელთაგან წუთ არც მარჯუენე უწყოდეს სძესა დედისასა საზრდელად მათდა“.

მოსწავლეთა მეორე წყება დაწყებითი სკოლის ასაკისა ყოფილა, „ხოლო სხვანი მეორესა მას ასაკ'სა შინა შესრულნი საჩჩოებისაგან მცირედ ოდენ დაკლებულნი“. რაც შეეხება შემდგომ წყებას, ესენი საშუალო ასაკის მოსწავლეებად ჰყავს შემატიანეს გამოყვანილი — „კუალად მწყობრნი მესამენი, მესამესა მას ჰასაკსა შინა სიჭაბუკისათა მომლოდენი“. მეოთხეთა რიცხვში მას უფროსი ასაკი და ის პირები ჰყავს წარმოდგენილი, რომელნი იგი „ნებსით თვისით დაემოწაფნეს“.[1]

მაშასადამე, როდესაც გიორგი მთაწმიდელი ჯგუფებად („მწყობრთა და მწყობრთა“) ყოფდა თავის მოსწავლეებს წლოვანების მიხედვით („ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა“) მის ამ მოქმედებას სწორედ ზემოთ მოტანილი პრინციპი ედო საფუძვლად.

გიორგი მთაწმიდელს და ხუცესმონაზონს კარგად ესმოდათ, რომ სხვადასხვა ასაკში მოსწავლეთა შესაძლებლობანი სხვადასხვაგვარია. ამასთან დაკავშირებით პირდაპირაა მითითებული, რომ სწავლება გარკვეულ პერიოდში უნდა ხდებოდეს. ზრდადასრულებულთა, „ჰასაკითა სრულთა და განმწყსებელთაგან სწავლა“ უკვე „შეუძლებელ არს“. ამ დროს გონება აღარც თუ ისე ამთვისებელია, ხოლო, პირიქით, მოზარდის „ბუნება იგი ლბილი და ჩჩვილი, რომელი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლებასა“ შესაფერისი პერიოდია აღზრდისა და სწავლებისათვის. სწორედ ამ დროს უნდა ხდებოდე'ს ბავშვის სწავლება და საერთოდ აღზრდა. აქ საინტერესო ისაა, რომ ბავშვის აღზრდა აუცილებლადაა მიჩნეული და უფრო ფართო ცნებადაა წარმოდგენილი, ვიდრე სწავლება. აღზრდასა და სწავლებას თავისი კანონზომიერება აქვს. არც ისაა დავიწყებული, რომ დაწყებითი სკოლის ასაკში სწავლასთან ერთად ბავშვს თამაშიც უნდა — „არს ჩვეულება ყრმათა ველად განსვლასა მღერად და განცხრომად“[2]. ამ სიტყვების ავტორს, რა თქმა უნდა, ესმის რომ აღნიშნულ ასაკში ბავშვის სწავლებას გარკვეული რეგლამენტაცია სჭირდება, რომ მას სათამაშო დრო უნდა დარჩეს, რაც მისი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვისაა აუცილებელი, რომ აღზრდა ბავშვის ბუნებას უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვის ძალების განვითარებისათვის თამაშის მნიშვნელობის შეფასება საგულისხმოა ამჟამადაც. თამაში ბავშვის ქცევის ძირითად ფორმადაა მიჩნე-

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლ. მუზეუმის გამოც., თბილისი, 1901, გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 287.

ული, რომლის შინაგან არსს, შინაგან ბუნებას, ბავშვის ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივიზაცია შეადგენს.

მემატიანე გონებრივ განვითარებასთან ერთად მოგვითხრობს ბავშვის ფიზიკური განვითარების აუცილებლობაზეც. გიორგიო — „იზრდებოდა ხორციელისა თანა ჰასაკისა სულიერითაცა ჰასაკითა“.

მაგრამ აქვე დასაშვებადაა მიჩნეული ფიზიკური და გონებრივი ზრდის თანაფარდობის დარღვევა, ე. ი. გონებრივი განვითარება აუცილებლად ასაკობრივი განვითარებიდან არ გამომდინარეობს, როგორც ეს XX საუკუნემდე ზოგიერთ ფსიქოლოგსაც კი ეგონა[1]. გიორგი მთაწმიდელი, მაგალითად, დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ გონებრივად იმდენად განვითარებულა, რომ „გონებითა ვითარცა მხცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა“, მაშინ იგი „ჰასაკითა ათისა წლისა“ ყოფილა“[2].

სწავლაში წარმატების მოპოვებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ნიჭს. მინიშნებულია, რომ თანაბარი ასაკის მოსწავლეებში ნიჭიერ მოსწავლეებს მეტი წარმატება აქვთ. მაგალითად, როდესაც მემატიანე გიორგი მთაწმიდელის ხახულის მონასტერში სწავლაზე მოგვითხრობს, აღნიშნავს, რომ „იგი უმეტეს ყოველთა ჰასაკითა სწორთა მისთასა წარემატა“. ასეთ თვისებას გიორგი კონსტანტინოპოლშიც იჩენდა, რითაც „დიდად განკვირდეს ყრმანი იგი ბრძენთანი (იგულისხმება გიორგის თანამოსწავლენი —სვ. გ.) მისსა მას ესოდენსა მისწრაფებასა და სიმახვილესა გონებისასა აღიძრებოდეს“.[3] აქ გიორგის ბუნებრივი მონაცემები — გონების სიმახვილეცაა ნახსენები და ამასთანავე, სწავლისადმი მისწრაფება. საინტერესოა ავტორის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ეს „ორკერძივე სრულქმნილობა“ აუცილებელია წარმატებით სწავლისათვის, ე. ი. რომ მხოლოდ ნიჭით არაფერი გამოვა, არამედ ამასთანავე შრომა, ბეჯითობა, სწავლისადმი მისწრაფებაა საჭირო. ორივე ეს კი აუცილებელ კომპონენტებადაა მიჩნეული მოსწავლის წარმატებისათვის.

და ბოლოს, ყოველივე ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გიორგი მთაწმიდელის შეხედულება საერთოდ სწავლის შესახებ. იგი მის მიერ დაწერილი ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების დასაწყისში აცხადებს, რომ „ღმერთს, ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლა,

[1] იხ. Л. С. **Выготский, Избранное психологические исследования, М., 1955.** გვ. 251.

[2] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნ. აღაპებით, საეკლ. მუზეუმის გამოც., თბილისი, 1901, გვ. 287.

[3] იქვე, გვ. 290, 291.

რომელი-იგი გამოუთქმელითა მით განგებულებითა თვისითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მიუწთომელითა ხაზიერებითა თჳსითა თვითოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თვისთა გამოაჩინებს — სარგებლად კაცთა ნათესავისა და სადიდებლად ღმრთეებისა თჳსისა“[1].

მაშასადამე, ღმერთს, გიორგი მთაწმიდელის თქმით, — ყოველი ადამიანის ცხოვრება და ჰეშმარიტი მეცნიერებისათვის ღვაწლმოსილება სურს. თუ კაცს გარკვეული მონაცემები გააჩნია (სათნოება, ღვთისმსახურება, ნიჭი) და იგი ამქვეყნიურს „მეცნიერებასა“ მოვა. ღმერთი მას გამოაჩენს კიდეც. ასეთი კაცის ღირსება ადამიანთა საზოგადოებას და ღვთის დიდებას მოხმარდება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ყოველთა კაცთა“ მეცნიერებისასა ჰეშმარიტებისსა მოსვლაზე“ საუბარი. აქ ღვთის დიდებაზე, ღვთის მეცნიერებაზეა საუბარი. ამ შეგნებით და მეცნიერებით ღირსეული ადამიანები „სარგებელად კაცთა ნათესავისა“, ე. ი. ადამიანთა მოდგმისათვის მოქმედებენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ყოველთა კაცთაჲს“ გაგება გიორგი მთაწმიდელის საერთო მსოფლმხედველობრივი მიმართულების გამომხატველია. თვით „მეცნიერებისასა ჰეშმარიტებისასა მოსვლა“ ცოდნის მიღებით, განათლების შეძენით უნდა მოხდეს, მაშასადამე, სწავლა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო და ყ ო ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს მ ი ს ა წ ვ დ ო მ ა დ ა ა მ ი ჩ ნ ე უ ლ ი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთ გაგებას გიორგი მთაწმიდელი იმ პერიოდში გვაძლევს, როცა ევროპული სამყარო ჯერ კიდევ სქოლასტიზმის ბურუსში ტრიალებდა. რომ აქ შემთხვევითობასთან არა გვაქვს საქმე და რომ წარმოდგენილი აზრის ინტერპრეტაცია სწორია, ამას გიორგი მთაწმიდელის პრაქტიკული საქმიანობაც ადასტურებს. მის მიერ ათონის ივერიის მონასტერში წასაყვანად შეკრებილი 80 ბავშვი, რომლებსაც მან განათლება მისცა, არა წარჩინებული კლასის შვილებისაგან „არამედ ყოველთა კაცთაჲ“ შვილთაგან შედგებოდა. ამ ფაქტს გიორგი ხუცესმონაზონმა შესანიშნავი გამართლება მოუპოვა: „ესე ნუ ვის უკვირს, რამეთუ მამათ მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და მეფე იქმნა ეგვიპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყუნესა, რომელი იგი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყველნი?“ მაშასადამე, თუკი კაცი ღირსეულია, იგი შეიძლება მონობიდან და მწყემსის ყოფიდანაც აღზევდეს. თუ ამას გიორგი მთაწმიდელის სიტყვებსაც დავუმატებთ, გასაგები იქნება რომ ასეთი ხალხის ღირსება საქველმოქმედო, საზოგადოებრივ საქმეს მოხმარდება — „სარგებელად კაცთა ნათესავისა“. ასეთი რამ არ იცოდა სქოლასტიკურმა პერიოდმა, რომელიც ერთის პრიმატიდან გამოდიოდა და მის ქვემოთ არაფერს ხედავდა. ეს სრულიად ახალი შეხედულებაა მე-11—12 საუკუნეების საქართველოში, გარკვეული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ძვრების შედეგი, იდეოლოგიური მიმართულება, რომლის ერთ-ერთი განმავითარებელნი არიან გიორგი მთაწმიდელი და მისი მოწაფე გიორგი მცირე, ხუცესმონაზონი.

[1] ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა აკ. შანიძემ—გიორგი მთაწმიდელის ენა იოვანესი და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით. თბ., 1964, გვ. 13.

ამ იდეოლოგიის კრედო გახლავთ „გათანასწორების“ პრობლემა. ეს პრობლემა არ გულისხმობდა გათანასწორებას საყოველთაო მასშტაბით. ასეთი რამ მე-11 საუკუნეში შეუძლებელიც იყო. ამ შემთხვევაში დიდ აზნაურებთან, მსხვილ ფეოდალებთან იმ სოციალური ფენის გათანასწორების შესაძლებლობაა ნაგულისხმევი, რომელსაც შეადგენდა „მსახურეული აზნაურობა“, რომელსაც საქართველოს გაერთიანებისა და მისი შინაპოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად დიდაზნაურებთან ბრძოლაში მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება ეყრდნობოდა. მეფის მფარველობის ქვეშ „მსახურეულთა“ ჯგუფი აყენებს პრობლემას აღზევების, გათანასწორების შესაძლებლობის შესახებ ფეოდალური კლასის შიგნით.[1]

გიორგი მთაწმიდელის მსოფლგაგებასა და საქმიანობაში აღნიშნული იდეოლოგია, ასე ვთქვათ, „დემოკრატიზმის“ უფრო ფართო გაგებისაკენ იხრება. გარკვეული მასშტაბით ამავე იდეოლოგიის გამგრძელებლად გვესახება იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი მე-12 საუკუნეში.

4. იოანე პეტრიწი

იოანე პეტრიწის ცხოვრების შესახებ ცნობები შედარებით ნაკლებადაა შემორჩენილი, რისი გარკვევაც შესაძლებელი შეიქმნა, მისი ჰაბუკობის ხანასა და შემდგომ პერიოდებს ეშთხვევა.

დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1050 წელს. დღეისათვის დადგენილია, რომ იოანე კონსტანტინოპოლში არსებული მანგანის აკადემიაში სწავლობდა. აქ იგი, როგორც ჩანს, იმ ფილოსოფიურ წრეების მოძრაობაში ჩაება, რომელსაც მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი მეთაურობდნენ. კონსერვატიული წრეების მიერ ისინი ძველი ბერძნული აზრების განახლებისათვის დევნილნი შეიქმნენ. იოანე იტალი 1082—1084 წლებში გაასამართლეს და შეაჩვენეს. იოანე იტალისა და მისი თანამოაზრეების დევნის შემდეგ მის მოწაფეს იოანე პეტრიწსაც, რაღა თქმა უნდა, კონსტანტინოპოლში აღარ დაედგომებოდა.

[1] ვრცლად იხ. სვ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, საზოგადოებრივ-ისტორიული აზრის განვითარება მე-11 ს. საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 54—58.

იოანე პეტრიწის მჭიდრო ურთიერთობაზე იოანე იტალთან ამ უკანასკნელის მიერ ვინმე ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსსა და გრამატიკოსთან (იოანე აბხაზთან) მიწერილი წერილი მიგვითითებს, რომელიც 1082 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამ დროისათვის იმპერატორ ალექსი კომნენის მიერ იოანე იტალის საქმე, როგორც ბრალდებულისა, სამოქალაქო და საეკლესიო სასამართლოზე იყო უკვე გადაცემული. ახალგაზრდა ქართველი ფილოსოფოსი სასამართლოზე მოწმედ ყოფილა გამოძახებული. თავის თანამოაზრეს იოანე იტალი სასამართლოზე თავის დაჭერას უწონებს.

1083 წლის შემდეგ ბიზანტიიდან დევნილი იოანე პეტრიწი მაკედონიის სოფელ პეტრიწონში (დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორია) გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ ქართველთა მონასტერში, კერძოდ, მის სემინარიაში მოღვაწეობს (საიდანაც მიიღო მან პეტრიწონელის, პეტრიწის სახელწოდება). აქ პეტრიწს საკმაოდ დიდი ხანი დაუყვია, ვიდრე დავით აღმაშენებლის მოწვევით 1114 წელს საქართველოში, კერძოდ, გელათის სამოღვაწეოდ ჩამოვიდოდა.

როგორც აღვნიშნავდით, იოანე პეტრიწის შემოქმედებითი მოღვაწეობა მრავალ დარგს მოიცავდა — ფილოსოფიურს, ისტორიულს, გრამატიკულს, ჰაგიოგრაფიულს, ასტრონომიულ-ასტროლოგიურს. მისი შემოქმედებითი მუშაობის პერიოდები ძირითადად პეტრიწონისა და გელათის აკადემიის კედლებში იშლება. დღეისათვის პეტრიწის მემკვიდრეობა სრული სახით არაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ ისიც, რაც შემორჩა, საკმარისია იმ როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად, რაც მას ქართული კულტურის წინაშე მიუძღვის.

განსაკუთრებით საინტერესოა იოანე პეტრიწის მიერ გელათში ყოფნის ჟამს თარგმნილი შრომები—ნემესიოს ემესელის, პროკლე დიადოხოსის და არისტოტელესი, რომელთაგან ორი უკანასკნელი დაკარგულია. დღემდე მოაღწია ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის“ პეტრიწისეულმა თარგმანმა. ამ უკანასკნელის თარგმანზე გაკეთებული კომენტარები, წინასიტყვა და ბოლოსიტყვა თვით პეტრიწს ეკუთვნის, სადაც მისი, ვითარცა ფილოსოფოსის, ორიგინალური აზრებია მოცემული. აღნიშნულ მონაკვეთებში წარმოდგენილი ფილოსოფიური კონცეფციები სადღეისოდ საკმაოდ შესწავლილი და გამომზეურებულია მეცნიერთა მიერ,[1] ასე რომ აქ მხოლოდ მოკლე მიმოხილვას გავაკეთებთ და ისიც ზოგიერთ საკითხზე, რათა ზოგადი წარმოდგენის შექმნით უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკვლევ თემას—იოანე პეტრიწის პედაგოგიურ იდეებს შევეხოთ.

[1] იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, II, წინასიტყვაობა., შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958 და სხვა.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „ერთის“ პრობლემას. იგი ეძებს ერთის, როგორც სიმრავლის საფუძველს — „ჰაზრი ამის წიგნისა, — ამბობს იგი პროკლეს წიგნის თარგმანის წინასიტყვაობაში, — მათ შინა შემოიცვის: პირველად რაჲთა ერთი წარმოაჩინოს, თუ არს ერთი, და იძულებითა მიერ თანშესიტყუათაჲსა აღმოაჩინოს ესე მრავალი საქადაქოჲ ერთი, რაჲთა არა იქმნეს და შეიმთჳოს, რაჲთამცა არა ერთსა ჰაზრობდეს და იტყოდეს.“[1] სიმრავლის საფუძველი ერთია, მაგრამ ყოველ მოვლენას როდი აქვს ერთის პრეტენზია. აქ პეტრიწი „უზადო“, ნამდვილი „ერთის“ აღმოჩენას პროკლეს მიაწერს. ესაა „ყოვლისა გონიერისა და ზესთ გონიერისა აღმკულისათვის“. ეს ერთი მთელი ანტიკური სამყაროსათვის და თვით პლატონისათვისაც შეუცნობელი დარჩა—„ვიტყვი პლატონისთა და მის უმწუერვალესისაცა გონებისაგან მიუწდომელსა ერთსა“. ამიტომ ჭვია პროკლეს „დიადოხობა (ე. ი. დიადოხი—სვ. გ.) რომელ არს მონაცვლეობა პლატონისი“.

პეტრიწი უფრო შორს მიდის — ერთის, როგორც რიცხვის და მისი მხოლოობითობის დასაბუთების შემდეგ იგი ლოგიკური თანმიმდევრობით სამს, როგორც რიცხვს ახასიათებს, რომელიც „დასაწყისი არს რიცხვთა შობისაჲ“. აქ პეტრიწმა „ერთი“ და „სამი“ ერთურთს დაუკავშირა და ქრისტიანული და ნეოპლატონური მსოფლმხედველობის ურთიერთშერწყმა მოახდინა. მაგრამ ერთის პრიმატი პეტრიწის ფილოსოფიაშიც ნათლად ჩანს, მისი თქმით იგი „დასაბამობასაცა, ვითარცა ხურო ნახუროებათა და ბუნებაჲ ნაბუნებებათა.“ „რამეთუ თან მოაქუს მას ყოველი, ხოლო ყოველნი ერთბამად ვერ უკმაებენ თან მოქონებად მისდა“.[2] მაშასადამე, ერთი მეტი ყოფილა ვიდრე „ყოველნი“. ამ ერთს ყოველივეში სინათლე შეაქვს „ზესთ ჰმნათობენ ყოველთა, ღმრთებრივთა და ერთებრივთა თჳსთა ნათელთაჲთ, და თან მისცემენ თჳსთა კეთილობათაჲთ და აკეთილებენ ყოველთა“.[3] ერთი იშლება რა ამ ქვეყანაზე მისი სინათლე ყოველივეს ეფინება. ეს ყოველივე, რომელიც „თან მოაქუს“ ერთს, ხატებაა მისი. აქედან „არს პირველი გონებაჲ“ და „მხოლოობა სულთა და ერთ და ხატ ერთისა“.[4]

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი., 1937, გვ. 3.
[2] იქვე, გვ. 16.
[3] იქვე, გვ. 14.
[4] იქვე, გვ. 21.

თვით ერთის შემეცნებისათვის რიცხვის კანონები კი არაა საკმარისი" არამედ „შეუნიერის ხილვა".

იოანე პეტრიწი ადამიანის შემეცნების ორ წყაროს წარმოაჩენს, ესაა—სული და გონება. ამათგან გონებას პრიმატი ეძლევა, იგი განსხვავებით სულისაგან, რომელიც „მიდგების მცირედ მცირედ, ვიდრემდის არა ყოველი შემოსახოს და შემოიცვას გასაგონონი და თვის გუარ ყოს", პირდაპირი გზით მიდის შესამეცნებელი ობიექტისაკენ. თვით პროცესი შემეცნებისა—არ ცოდნიდან ცოდნისაკენ სვლაა „წადიერი გაგონებად". გონებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიმეცნებს, სხვა მდგომარეობაშია „ერთი", რომელსაც ეს შემეცნება არ სჭირდება. მან ყოველივე იცის და „რაჲ ცნას", რაღა შეიმეცნოს. მითუმეტეს, რომ მისგანაა „აღმკული" „არსება გონებისაჲ" „და კუალად გონებას ყოველსავე თითოეულად გაიგონებს და მრავალსა მრავლად, ხოლო ერთი ყოველთა და თითოეულთა ერთებრივ და განუნაწილებლად"[1], ე. ი. ყოვლის მცოდნე „ერთი" ყოველივეს ამქვეყნიურს მთლიანობაში, ერთობაში ხედავს. მაშასადამე, გონება, რომელსაც სულის მიმართ ერთგვარი პრიმატი აქვს დათმობილი, „ერთის" მიმართ ქვემო საფეხურზე მდგომია. ფაქტიურად გონება ამ „ერთის" შემეცნებულობამდე უნდა ამაღლდეს შემეცნების პროცესით. მაგრამ გონებას შეუძლია ყოველივეს ბოლომდე შემეცნება?... ამ შემთხვევაში ჩვენ უსაზღვროობაში გადავდივართ—„ხოლო გასაგონი — სწორად ყოველთაგან ზესთ მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილობა, რომელსა წადილმან პატივისამან ჰკადრა მას და მამადცა წოდებაჲ".[2]

ასე თანდათან, დიალექტიკური მტკიცების გზით იოანე პეტრიწი ღმერთამდე (იგივე „ერთი") მიდის, რომელიც თავისთავად შეუცნობელია. ამ მტკიცებათა გზაზე იგი იყენებს პლატონის, არისტოტელეს, პროკლეს და სხვათა დებულებებს, მაგრამ მანამ სანამ ისინი მას სჭირდება, სხვა შემთხვევაში პეტრიწი ემიჯნება მათ და ორიგინალური გზით ანვითარებს თხრობას. ბერძენი ფილოსოფოსები მას, სხვათაშორის, „ხედვითი", ე. ი. თეორეტიული ცოდნის გამოყენებისათვის სჭირდება, რომელზე დაყრდნობითაც ანვითარებს პეტრიწი საკუთარ მსოფლმხედველობას. „ხედვა" გამოყენებულია „ერთის" სიმრავლესთან მიმართებაში — „გესმა აწ კუალად, და შესწავებით უწყოდე — ამბობს პეტრიწი — ვითარმედ სამსახე არს ხედვაჲ ერთისა, ვითარ ზესთაჲსა პირველისა, რომელი ზესთა ძეს ყოველსა გასაზიდსა რიცხუთასა, და არცა რას ეზიარების პირველ თ სსა, და არცა რას იზიარებს შემდგომად თ სსა"... მაშასადამე, „ხედვის" პირველსახეა ის, რომელიც თავისთავადია და თავის ადგილზე დგას და არც მის იქით რასმე „ეზიარების" და არც მის შემდგომს „იზიარებს". მაგრამ ამის გარდა „ხედვა" „არს სხუაჲ ერთი ხილული სიმრავლესა შორის" და აგრეთვე „მესამესა ერთი თჳებასა შორის გუართასა"[1] „ერთი" სიმრავლეშიც შეიცნობა და ასევე „გუართასა", ე. ი. ცნებაშიც. თავისთავად აქაც შემეცნების პროცესთან გვაქვს საქმე. შემეცნების ერთი გზაა „ხედვითი"—თეორეტიული, ხოლო მეორე „სიტყვიერებითი" — ლოგიკური, ე. ი. ცნებათა საშუალებით შემეცნებული.

* * *

ამჯერად ჩვენთვის სწორედ ეს საკითხია საინტერესო, თუ როგორ ესმის იოანე პეტრიწს ცნება და როგორ წარმოსახავს მას.

პეტრიწის „გუარით" ცნების ზოგადობა გამოიხატება, მისი კლასიფიკაცია ხდება. ამ „გუარით", ე. ი. ზოგადით მოვლენათა და საგანთა შინა წყება შეიცნობა.

თვით ცნების განმარტება პეტრიწს საინტერესოდ აქვს მოცემული, მაგალითისათვის მას მოტანილი აქვს ცის, როგორც ცნებათა სისტემის, ერთობლიობის გამომხატველი ცნების, დახასიათება: „ვითარ ქვეყანა, წყალი, აირი, ცეცხლი, სფეროჲ მოქცევი მთოვარისაჲ, აფრიდიტისი, ერმისი, მზისა, არიასი, დიოჲსი, კრონოჲსი და გარემომრთხმელ ყოველთა თვით უცთომელი სფეროჲ. აწ ესე ყოველნი ნაწილნი არიან ცისანი. ხოლო თვით იგიცა (ე. ი. ცა) გუარ და გარემომცველ ყოველთა". მას „ყოვლობაჲ", ე. ი. ზოგადობა ახასიათებს. ასევეა, აგრეთვე, „გული, ღვიძლი, ტვინი, ტყირბი და სხუანი ყოველნივე სხვა და სხვა არიან აგებულებითაც და ცხოვრებითაც, ხოლო იქნებიან შემასრულებელ ერთისა ცხოველის, იყოს და კაცისა".[2] თუ „გუარს", ე. ი. ცნებას, რომელიმე მის არსებით ნიშანს დავაკლებთ, „თუ რაჲცა რაჲდვე დააკლოს საზღვარსა გუარისასა, არღარა არს იგი „გუარ". ეს, რა თქმა უნდა, ყველა ცნებას ეხება, „ვისდაცა იყოს გუარ, რამეთუ, უკეთუ ანუ სიტყვიერი დააკლო ანუ მოკუდავი ანუ ზედმიწევნულებისა შემწყნარებლობა, არღარა იყოს იგი გუარ კაცისა".[3]

---

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი,, 1937, გვ. 9.
[2] იქვე, გვ. 8.

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 67, 68.
[2] იქვე, გვ. 30.
[3] იქვე, გვ. 22.

ცნების შინაარსის პეტრიწისეული განმარტება ცნების დღევანდელი ინტერპრეტაციისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება.

როგორც ვიცით ფსიქოლოგიური მეცნიერების მიხედვით ცნება, რომელიც სიტყვასთანაა დაკავშირებული და მისით განიცდება, საგნის არსის გამოსახვაა. იგი გარკვეული კატეგორიის საგანთა არსებით (და არა ზოგად) ნიშნებს გამოხატავს. მას ზოგადის ხასიათი აქვს და არა თვალსაჩინო ბუნება. ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვის ფორმებისაგან — აღქმასა და კონკრეტულ თვალსაჩინო წარმოდგენისაგან განსხვავებით ცნება არა ამა თუ იმ კონკრეტულ საგანს ასახავს, როგორც მაგალითად, აღქმა, არამედ საგანთა გარკვეულ კლასს, კატეგორიას. ცნებები ობიექტური სინამდვილის მოვლენებს დიალექტიკურ მთლიანობაში ასახავენ, ერთურთის მიმართ არიან დაკავშირებული და ერთობლიობაში გარკვეულ სისტემას ქმნიან. „იზოლირებული, სხვა ცნებასთან დაუკავშირებელი ცნება არ არსებობს.“[1] ისევე როგორც ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში ცნება ადამიანის აზროვნების ფორმადაა მიჩნეული და გამოხატავს ნივთთა ზოგად ნიშნებს.

პეტრიწისეული ცნება აგრეთვე ზოგადობას „ყოვლობასს“ გამოხატავს. ერთი გარკვეული ცნება ცნებათა მთელ სისტემას, ერთობლიობას ქმნის, როგორც მაგალითად, ცა, ანდა ადამიანი, რომელშიც შედიან სხვადასხვა ცნებები, რომლებიც დიალექტიკურ მთლიანობაში არიან ერთურთის მიმართ დაკავშირებული. ეს „იქმნებიან შემასრულებელ ერთისა“ ცნებისა „ცხოველისა, იყოს და კაცისა“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ცნების შინაარსის გაგება იოანე პეტრიწთან არ დაბადებულა, იგი ანტიკური ფილოსოფიიდან არის წამოყენებული, მაგრამ ამჯერად ჩვენ იოანეს ინტერპრეტაციების წარმოსახვა გვაინტერესებს, ვითარცა პედაგოგი—ფილოსოფოსის და ფსიქოლოგის, რომელიც გელათის აკადემიის კათედრიდან გადასცემდა თავის ცოდნას მსმენელებს.

ამ მხრივ საინტერესოა სხვა საკითხებიც, კერძოდ ის, თუ როგორ აისახება წარმოსახული ცნებებით თვით შემეცნების პროცესი. ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრების მონაკვეთებზე დაყრდნობით (არისტოტელე, პლატონი, პროკლე) პეტრიწი ამ პრობლემასაც გვიხსნის.

„გუარით“, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოვლენითა და საგანთა შინა წყება შეიცნობა. ქვეყნის მოვლენებისა და საგნების შესაცნობად იგი (ე. ი. „გუარი“, ცნება) გონების იარაღია. მაგრამ ამ „გუარით“ სამყარო ბოლომდე არ შეიცნობა. „გუარის“ მოქმედებას გარკვეული ზღვარიცა აქვს, რომლის იქეთ „მეტად ვეღარა გაზიდავს თვისთა გონიერთა ნათელთა“.[1] ასე მიდის პეტრიწი ჩვენთვის უკვე ნაცნობ ერთის პრობლემასთან, რომელიც ზოგადიცაა და არცაა ზოგადი. ყველაფერი შეიცნობა ამ ქვეყნად მის გარდა. ყოველივე ამ ქვეყნიური მისი ხატია — ყოველნი მხოლონი ქმნილად ხატის ხატად ჰრაცხენ მის თვით ბუნებით ერთისაგან კიდე, რომელი და თვით მას ერთობასაცა დუზესთავდების“. ეს ერთი პირველია და „არა რაჲ არს უპირველეს ერთისა“.

მაგრამ „ერთი“ მის ქვედგომთაგან მოწყვეტილი როდია. იგი მათთან დიალექტიკურ მთლიანობაშია მოქცეული. ყოველივეს მან მისცა „თჳსი თვითობა ყოველთა შორის“ ყოველივე მისი „ხატის ხატია“ და მისი სხივები ერთნაირად „დაჰფარვენ ყოველსა“, მათ შორის ცნებებით დატვირთულ გონებასაც, რომელსაც ამით შემეცნების უნარი ეძლევა. მოკლედ, ყოველივე მისგან გამომდინარეობს, მაგრამ მისკენვე მიიქცევის „უკუქცევად წოდიერი“.

აზრთა ასეთი წარმოსახვით იოანე პეტრიწი ორიგინალურ გზას ადგას, რომელსაც გარკვეული საფუძველიცა აქვს და იგი პეტრიწის დროის საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებშია საძიებელი.[2]

რაც შეეხება თვით შემეცნებით პროცესს, თუ მას კერძო შემთხვევით განვიხილავთ, გასაგები უნდა იყოს, რომ პეტრიწი ამ შემთხვევაში მნიშვნელობას ანიჭებს ცნებებს, რომელიც შემეცნებისათვის გონების იარაღია. ამქვეყნიური ცოდნის მიღება ცნებების საშუალებით ხდება. ჰეშმარიტების ხილვა ცნებითი აზროვნების განვითარებით უნდა მოხდეს, რაც თავისთავად ცოდნის, „სიბრძნის“ მიღებას ნიშნავს, ამქვეყნიური მოვლენებისა და საგნების შინაპროცესების შეცნობით და გააზრებით.

თავის კომენტარებში იოანე პეტრიწი არც იმ შეგონებას იშურებს, რომ ყოველი ცოდნის მიღებას თავისი წესი, გარკვეული პედაგოგიური მიდგომა ესაჭიროება. საინტერესოა, მაგალითად, მისი შეგონება იმის შესახებ, რომ სწავლება მარტივიდან რთულზე გადასვლით უნდა მოხდეს, რათა ეს რთული გასაგები გავხადოთ — „რამეთუ სასწავლოდ შემავალთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და მერმეღა მათგან შედგმულთა ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, ხოლო სახელთა მიერ თქუმასა, და კუალად თქუმისა მიერღა სიტყუასა“[3], ე. ი. ამა თუ იმ საკითხის შემსწავლელთ ჯერ მარტივი უნდა ვასწავლოთო, ხოლო მისი

[1] დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1946, გვ. 393.

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937, გვ. 58.

[2] სე. გამსახურდია, საზოგადოებრივ ისტორიული აზრის განვითარება მე-11 ს. საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 37—44.

[3] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1957, გვ. 5.

საშუალებით, მასზე დაყრდნობით საკითხის რთული არსი, ან თვით რთული საკითხები გავაგებინოთ ისე, როგორც მაგალითად, ასოებით რაიმე საგნის სახელს ვასწავლით (იგულისხმება სწავლის დამწყები ყრმა), შემდეგ მის წარმოთქმასა და ბოლოს თხრობას დავაწყებინებთო. ასევე ესმის პეტრიწს ცნებითი აზროვნების განვითარების მთელი პროცესი. მან იცის, რომ ჯერ მარტივი ცნებები უნდა იქნას ათვისებული, რათა შემდეგ რთული ცნების შინაარსი გასაგები შეიქმნას. მაგალითად, თუ პირდაპირ „ერთის“ შეცნობას შევეცდებით, არაფერი გამოგვივა. — „პირველ ერთისა ცნობისა რაჲმცა ცნა ყოველმან მაძიებელმან ცნობისამან?“ — კითხულობს პეტრიწი, მაგრამ თუ მარტივით დავიწყებთ (მარტივი ცნებებით) „ესრეთ მარტივად წესი და სირაჲ, რომელ არს ნათხზი ყოველთა“, მაშინ საკითხის „წარმოჩენა“ შესაძლებელი შეიქმნება.

აქვე იგი დასძენს „კითხვისათვისცა, თუ ვითარ ჯერ არს ამით სასწავლოსსა წიგნთა კითხვა“. ამ საკითხს პეტრიწი ყურადღებას უთმობს, რადგან წიგნი ცოდნის მიღების წყაროა. მაგრამ რომ წაკითხული შეიმეცნო, საჭიროა კითხვის კულტურა გამოიმუშავო და დაიცვა. უნდა ვასწავლოთ, მაგალითად (იგულისხმება წიგნის წამკითხველი, მოსწავლე), რომ „მაღლიად კითხვა მოშლის გაგონებასა“, რადგან ხმამაღალი კითხვის შემთხვევაში „ძგერაჲ ხმისაჲ რეც თუ თანა წარიტაცებს გამგონესა“. პეტრიწი უპირველეს ყურადღებას იმ გარემოებას მიაქცევს, რომ წაკითხულის შინაარსს ჩავწვდეთ, „რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემაჲ, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვის არს სათანადო“, ე. ი. რომ სპონტანურად კი არ ავითვისოთ ესა თუ ის საკითხი, გინა ცნება, არამედ მისი შინაარსი გავარკვიოთ. ამიტომაც ყოველივე ამას მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სასვენი ნიშნების ხმარებას. „და გაკუეთისა და შედგმისა და უკუნქცევისა და უკუანაჲთ პირთა აღებისა და წერტილთა და სხვათაჲ ყოველთა მძღუართა“. წაკითხულის შინაარსში ჩაწვდომისა და ათვისებისათვის კარგი შედეგის მომტანია მისი ხელახლა წაკითხვა, განმეორება „და კუალად შეექციოს მასვე წაკითხულსა“.[1]

ეს შეგონებები იოანე პეტრიწს შემეცნების, ცოდნის მიღების პროცესის სწორად წარმართვისათვის ესაჭიროება. ამ მცირე შენიშვნებიც კი, რომელიც აქ წარმოდგენილი იყო, კარგად ჩანს იოანე პეტრიწის პედაგოგიური ალღო და დაკვირვება. მას კარგად აქვს გათვალისწინებული სწავლის პროცესის ყოველი წვრილმანი, მისი საწყისი საფეხურიდან დაწყებული იმ მაღალ იდეალებამდე, რომლის საუფლოშიც იგი ტრიალებს. რომ ცოდნის მწვერვალების მიღწევა უმარტივესით

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 6.

უნდა დავიწყოთ, სადაც უბრალო პუნქტუაციის დაცვასაც მნიშვნელობა აქვს, რომ ცოდნის მთელი მარაგი ერთურთზე საფეხურებრივად შენდება — მარტივიდან რთულისაკენ, კერძოდან, კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, რაც ცნებათა განმარტების დროსაც იყო ნათქვამი.

იოანე პეტრიწთან გონებრივ განვითარებას, ცოდნის მიღებას აქვს პრიმატი დათმობილი. გონება შემმეცნებელია. იგი არცოდნიდან ცოდნისაკენ მიდის — „უმეცრებასა თანა შეკრული“ ცოდნის მიღებისაკენ ისწრაფვის „წადიერი გაგონებად“. შემეცნებას გონება, მაშასადამე, მარტივით იწყებს და რთულისაკენ გადადის სადამდეც „გაზიდავს თავის გონიერთა ნათელთა“, ე. ი. სადამდეც მას შეუძლია შემეცნება აწარმოოს. შემეცნების პროცესში აქტიურია და იგი თვით მოვლენათა სიღრმეში იჭრება. იოანე პეტრიწი ამ შემთხვევაში უპირატესობას „ხედვითს“, ე. ი. თეორეტიულ, გონების ინტელექტუალურ ინტუიციას ანიჭებს.

ეს სამყარო მთლიანია, სადაც ყოველ მოვლენას და საგანს თავისი ადგილი აქვს. ყოველივე ეს კი „ერთის“ ხატის ხატადაა“ წარმოდგენილი და მათ თავისი ქვემიზეზებიც გააჩნია, ამიტომაც პეტრიწი ყოველი მოვლენის შეცნობისათვის მისი მიზეზის შეცნობასაც საჭიროებს. მას მარტო შედეგი კი არ აინტერესებს, არამედ თვით მიზეზის „ხილვაც“.

რაკი შეცნობისა და შემეცნების პროცესზეა საუბარი, რა თქმა უნდა, აქ ცოდნის მიღების აუცილებლობა იგულისხმება, უკეთ რომ ვთქვათ, ფილოსოფიური ცოდნის მიღების აუცილებლობა. მაგრამ ამ ცოდნის მიღება სწორი გზით უნდა წარიმართოს, რათა „მამრუმნი დღისანი და მარდუნი გონებათა ჩუენთანი განვიშორეთ ჩუენგან, ანუ მარჯულობდეს ბოროტი, განა თუ დამარცხულოს“[1]. იმისათვის კი რომ ცოდნის შეძენის საშუალება გვქონდეს, საჭიროა სათანადო წიგნების გამრავლება თუნდაც ეს სხვა ენაზე დაწერილი სიბრძნისმეტყველო წიგნების თარგმნით ხდებოდეს — „რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდეს სხუად“. თეოლოგიურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნის ის ტრადიცია, რაც საქართველოში უკვე დანერგილი იყო, განსაკუთრებით მე-11 საუკუნიდან, პეტრიწს არ აკმაყოფილებს. ეს გასაგები იქნება, თუ პეტრიწის თარგმანთა ნუსხას ერთხელ კიდევ გადავხედავთ. ქართული ფილოსოფიური აზროვნება სქოლასტიკურ ფილოსოფიაში გადამუშავებულ კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას ამდენჯანს თუ უშუალოდ ორიგინალში, ან

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1957, გვ. 207.

ქართულად „გადმოღებულ“ ფრაგმენტებში ეცნობოდა, ეხლა პეტრიწი არისტოტელესი და პროკლეს თხზულებათა სრულ თარგმანს აწვდის ქართველ მკითხველს. ესეც ცოტაა, პროკლეს წიგნის თარგმანზე გაკეთებული წინასიტყვით, კომენტარებითა და ბოლოსიტყვით იგი თავის ორიგინალურ მსოფლმხედველობასაც წარმოაჩენს, რაც მან „ერთის“ — იგივე პლატონის „უმაღლესი სიკეთის“, ქრისტიანული „მამა-ღმერთის“ პრობლემის რკვევას დაუკავშირა, რომელიც ძველბერძნული „ლოგოსის“ ფილოსოფიით დაწყებული სხვადასხვა დროში სხვადასხვა ხალხის სიბრძნის სარკვევი პრობლემა იყო.

რა თქმა უნდა, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ აქ წარმოდგენილი საუბარი მეტად ზოგად წარმოდგენას მოგვცემს, რადგან პეტრიწი რთული და მრავალმხრივ საინტერესო მოაზროვნეა. როგორც აღვნიშნავდით, ჩვენ მისი მრავალმხრიობის ზოგიერთი მხარე გვაინტერესებდა.

სამწუხაროდ, პეტრიწის პედაგოგიური შეხედულებები მის კომენტარებში მცირედაა წარმოდგენილი—იმდენად, რამდენადაც ფილოსოფიური კვლევის ფონზე მას გარკვეული კონტექსტით ესაჭიროებოდა ამ საკითხების წარმოჩენა. საერთოდ კი ძნელია იმის დაჯერება, რომ პეტრიწონის მონასტრის სემინარიისა და გელათის აკადემიის წამყვან „პროფესორს“, იოანე პეტრიწს, სპეციალური ზოგად-პედაგოგიური ტრაქტატი არ ქონოდა შემუშავებული. თვით მისი მსოფლმხედველობრივი სისტემა, საკითხების წარმოჩენის მეთოდი, საშუალებას გვაძლევს პეტრიწი წარმოვიდგინოთ ვითარცა პედაგოგი, რომელიც თავის ღრმა ცოდნას მსმენელებს კანონზომიერი, სისტემატიზებული თხრობით გადასცემდა. მე-11 საუკუნის მოწინავე ბიზანტიური აკადემიის აღზრდილის, იოანე პეტრიწის ერუდიციის გათვალისწინება აშკარას ხდის სწავლა-განათლების იმ აკადემიურ დონეს მე-12 საუკუნის საქართველოში, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დაგვირგვინება იყო. ეს იყო უკვე ეპოქა რუსთაველისა, რომელმაც მხატვრულ ფორმაში გადატანილი იგივე ცოდნა და მაღალი იდეალები თავისი ქვეყნის ფარგლებს გადააცილა და საკაცობრიო საუნჯედ აქცია.

5. სწავლა-განათლების საკითხები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

ადრე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში აისახა მე-11—12 სს. საქართველოში არსებული იდეოლოგიური მიმართულება. რუსთაველის პოემის სიუჟეტური ქარგა გარკვეულ მონაკვეთში მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, არაბეთის მეფე როსტევან მსგავსებაა მეფე გიორგი III-ის, ხოლო თინათინი—მეფე თამარისა. როსტევანის მიერ თავისი ერთადერთი ასულის თინათინის გამეფების ამბავი მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული ფაქტის ასახვაა. რუსთაველი მე-11—12 სს. პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა მსგავსად ერთმმართველური, ცენტრალიზებული საქართველოს მომხრეა.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ამ სინამდვილეთა გარდა, „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია სწავლა-განათლების ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტი.

ამჯერად ჩვენ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური იდეების თანადროულ ისტორიულ სინამდვილესთან უშუალო კავშირში განხილვა გვაინტერესებს.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ინდოთა მეფის შვილი ნესტან დარეჯანი როცა შვიდი წლის გახდა (320) მამიდას, ქაჯეთს გათხოვილ დავარს (329) „სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა“[1].

აქ ყურადღებას იქცევს ორი მომენტი. კერძოდ ის, რომ ნესტანს შვიდი წლისას აწყებინებენ სწავლას და მეორეც დავარს რომ ჩააბარეს მისი განათლების საქმის მეთვალყურეობა.

როგორც ერთი, ისე მეორე წესი საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა და იგი მე-12 საუკუნის სინამდვილისათვისაც დამახასიათებელია.

გავიხსენოთ, რომ იმ მასალების მიხედვით, რაც მე-4 საუკუნის შემდგომი პერიოდისათვის გვაქვს შემორჩენილი, სწავლების დაწყების დროდ 6—7 წლის ასაკია მინიშნებული. მაგალითად, ილარიონ ქართველის ცხოვრების აღწერილობაში პირდაპირ ნათქვამია, რომ იგი „ექუსისა წლისა მიეცა სწავლად“, ასევე დაუწყია სწავლა არსენ ქართლისა კათალიკოსს.

მე-11 საუკუნის საქართველოში კი გიორგი მთაწმიდელს და მის დას თეკლას 7 წლისას დაუწყიათ სწავლა და სხვ.

როგორც წინა მონაკვეთში წარმოებულმა კვლევამ დაგვანახა, ძველ საქართველოში წარჩინებულთა შვილებისა და კერძოდ მეფის შთამომავალთათვის საშინაო სწავლებაც იყო გავრცელებული. სასწავლებლად შვილს სხვა წარჩინებულ ოჯახში გააბარებდნენ ხოლმე, სადაც ბავშვის აღზრდას ამ ოჯახის პატრონი უწევდა მეთვალყურეობას.

[1] იხ. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ 800 წლის საიუბილეო გამოცემა, თბილისი, 1966.

ეს წესი საქართველოში უძველესი ხანიდან არსებობდა და მე-11—12 საუკუნეებშიც იყო შემორჩენილი.

ამ ფაქტს მე-11 საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერიც გვიდასტურებს, როცა იგი ვახტანგ გორგასალის აღზრდაზე საუბრობს: „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ“, „რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთაგანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან“.

ქართლის ძველ არისტოკრატიას ბავშვის უცხო გარემოში აღზრდა იმთავითვე მიზანშეწონილად მიაჩნდა, ალბათ მისი უცხო გარემოსა და ხალხთან შეჩვევის, ყურადღების კონცენტრირებისა და ზნეობის ნორმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ასეთი ვითარება როგორც ადრეული, ასე მე-12 საუკუნის საქართველოშიც გვხვდება, მაგალითად, თამარ მეფის გამზრდელად ჩანს მისი მამიდა რუსუდანი. იმავე რუსუდანის სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „ვინათგან თვის ეყვოდა მამის დისა მისისასა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა“.[1]

მაშასადამე, შოთა რუსთაველი როგორც სწავლის დაწყების დროს, ისე ბავშვის სასწავლებლად გაბარების წესს იძყამინდელი საქართველოს სინამდვილიდან იღებს და თავის მხრივ აღნიშნული წესის არსებობის ფაქტს ერთხელ კიდევ ადასტურებს და განამტკიცებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა მთავარი გმირი განათლებულია. განათლებული არისტოკრატია ავთანდილი, რომელსაც ცოდნის დიდი დიაპაზონი აქვს. ტარიელის საძებნელად მეორედ წასვლის წინ მეფე როსტევანის სახელზე დაწერილ ანდერძში ავთანდილი აღნიშნავს:

781. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“,
780. „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა“,
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა“.

მაშასადამე, ავთანდილი ფილოსოფიაში განსწავლულია და იგი პლატონსაც იცნობს.

ყოველივე ეს ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ კვლავ თვალს გავადევნებთ საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღების ძველთაგანვე არსებულ ტრადიციას.

მე-4—12 საუკუნეების ამსახველი დოკუმენტური მასალების შესწავლამ დაგვანახა, რომ ფილოსოფიის საფუძვლები ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებლად საცოდნელი სასწავლო საგანი იყო აღსაზრდელისათვის.

გავიხსენოთ მე-4 საუკუნის საქართველოს დასავლეთში ფაზისის რიტორიკული სასწავლებლის არსებობის ფაქტი, სადაც სხვა სასწავლო საგნებთან ერთად ერთ-ერთი მთავარი საგანი ფილოსოფია იყო.

ფილოსოფიურ მეცნიერებაში განსწავლული იყო ვახტანგ გორგასალი, რასაც ჯერ კიდევ ყრმა ვახტანგის ქართლის წარჩინებულებთან შეხვედრის ცნობა გვიდასტურებს — „მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მაღლითა“.[1] ვახტანგის აღზრდაში, როგორც ჩანს, ფილოსოფოს-პედაგოგების მთელი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც მას აშკარაა სხვადასხვა დისციპლინას შეასწავლიდნენ, მათ შორის რიტორიკასაც, რომელშიც დახელოვნება იმავე სხვადასხვა დისციპლინების და განსაკუთრებით ფილოსოფიის შესწავლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

როგორც აღვნიშნავდით, ვახტანგის დროინდელ ქართლში, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სწავლების შეთანხმება ხდებოდა.

აქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ ქრისტიანობის დამკვიდრება-განმტკიცების მიუხედავად ფილოსოფიური ცოდნის მიღების ძველთაგანვე არსებული ტრადიცია საქართველოში შემდგომ პერიოდებშიც გრძელდება, ოღონდ ამიერიდან თეოლოგიასთან კავშირში და მის სამსახურშია ჩაყენებული. ფილოსოფიის მცოდნედ გვევლინებიან, მაგალითად, საქართველოში სირიიდან შემობრუნებული, ე. წ. ასურელი მამები (მე-6 ს.), რომლებიც ქართველი ფილოსოფოსის, პეტრე იბერის სირიული სკოლის გავლენას განიცდიდნენ.

მე-9 საუკუნეში მოღვაწე გრიგოლ ხანძთელის სასწავლო საგნებში დასახელებულია „სიბრძნე ჲცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ჲ“ და სხვ.

მე-11—12 საუკუნეების ქართველი მოღვაწეების—ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის სახით კი იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფოსები წარმოგვიდგებიან.

ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ რუსთაველს განათლებული არისტოკრატი ავთანდილი, აშკარაა, ფილოსოფიის ცოდნის გარეშე ვერ წარმოედგინა.

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 24, 46.

[1] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 147.

ავთანდილი უპირველეს როგორც მოქალაქე იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გმირის მოქალაქეობრივი სახე ფრიად გვაგონებს ძველბერძნული გაგების „Χαλοκάγαθία“-ს როგორც ფიზიკურად ჯანსაღი და საამო შეხედულების არისტოკრატული წრის მოქალაქეს, რომლის ამქვეყნიური მიზანდასახულება ჰეშმარიტად ქვეთილშობილური საქმისათვის თავის დადებაა.

ავთანდილი ფიზიკურად ჯანსაღი და საამო შეხედულებისაა:

40. „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“

გზად შემხვდურნი მისი სიმშვენიერის გამო აღტაცებას გამოთქვამდნენ:

958. „ტურფაო სახით და ანაგებითა“.

გარდა ბუნებით თანდაყოლილი მშვენიერებისა ავთანდილი ფიზიკურად გავარჯიშებულია. მას, როგორც როსტევანთან შეჯიბრების დროს გამოირკვა, კარგად შეუთვისებია „სამამაცონი ზნენია“.

ისე როგორც ავთანდილი, საამო შესახედაობისა არიან „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გმირები — ტარიელი და ფრიდონი, რომლებიც ასევე ფიზიკურად გავარჯიშებულნი არიან. სტრ. 332, 325 და სხვ.

325. „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“.

ყვება ტარიელი თავისი ადრეული ჭაბუკობის შესახებ. ამასთანავე როგორც ჩანს, მასაც სპეციალური ფიზიკური აღზრდა გაუვლია:

326. „ჰოსრონს მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან,
შერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან“ და სხვ.[1]

ფიზიკური ვარჯიში „ვეფხისტყაოსანში“ აღზრდის ერთ-ერთ სახედაა მიჩნეული და იგი გონებრივ აღზრდასთან ერთად ჰარმონიულ მთლიანობაშია მოცემული, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ რუსთაველის ყურადღება მაინც გონებრივ აღზრდაზეა გადატანილი.

რუსთაველი კლასიკური ხანის ფილოსოფიის კარგად მცოდნე ზნეობის სოკრატისებურ და პლატონისებურ ნორმებსაც გაცნობილია. სა-

[1] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თამარის ისტორიკოსის სიტყვები ვაჟიხსენოთ, სადაც იგი თამარის ჯარზე ამბობს — „სპანი... ნადირობასა და ბურთაობას-ღა იყვნენო. ორგანეე ნადირობა და ბურთაობა ვარჯიშის სპორტულ სახეობადაა დასახელებული.

კუთარი ვნებების ხელში აყვანა, მისი ინტელექტს დამორჩილება (პლატონთან სიკეთის იდეას, აქედან მის მთავარ კომპონენტს — σωφροσύνη, რომელიც საკუთარ თავზე სულის ბატონობას, კონტროლს აწესებს) კლასიკური ხანის ბერძნული ეთიკის ძირითადი შემადგენელი ცნებაა.

პლატონისათვის, როგორც ცნობილია, უმაღლეს ბედნიერებად სიკეთეა აღიარებული. იგი უმაღლესი იდეაა და მისი მიღწევისათვის მთელი რიგი საფეხურების გავლაა საჭირო. აღნიშნული იდეისათვის გაკვეული სათნოებანია დამახასიათებელი — სიბრძნე, ვაჟკაცობა, მოკრძალება, ეს უკანასკნელი სწორედ საკუთარი თავის ხელში აყვანაზე მიუთითებს. რაც შეეხება სიბრძნეს, იგი გონებასთანაა დაკავშირებული და მისი მოქმედების სწორ მიმართულებას ითვალისწინებს, ხოლო ვაჟკაცობა — მტკიცე ნებისყოფას, გამძლეობას და სხვ.

სიკეთე სამართლიანობის გარეშე არ მიიღწევა. სამართლიანობა ზნეობის უპირველესი შემადგენელი კომპონენტია. სიკეთესთანაა დაკავშირებული, ასევე, მეგობრობა, გამბედაობა, თავშეკავება.

ცოდნაც სიკეთესთანაა დაკავშირებული. სოკრატესაგან განსხვავებით პლატონი სიკეთეს ცოდნაზე მაღლა აყენებს („პოლიტეია“ VI), მაშინ როცა სოკრატესთან სიკეთე და ცოდნა გაიგივებულია. უფრო მეტიც—ცოდნა, როგორც ყოველივეს საზოგადოს, სიკეთესაც გამოავლენს.

როგორაა წარმოჩენილი აღნიშნული საკითხები „ვეფხისტყაოსანში“? ადამიანის მოქმედებას და მის ზნეობას რუსთაველი გონებრივ განათლებას უმორჩილებს. ამდენად, აღზრდის მთავარ პირობად მას გონებრივი განათლება მიაჩნია. გონებრივი განათლება განსაზღვრავს ადამიანის ზნეობრივ ნორმებს, მის მოქმედებას საერთოდ. ცოდნის მიღება აუცილებელია, იგი გონებას ადამიანის მოქმედებისათვის სწორი მიმართულების მიცემის უნარს გამოუმუშავებს. ცოდნის მიღებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს:

781. „არა ვიცი, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

მაშასადამე, ცოდნის მიღება მოქმედებისათვისაა საჭირო, ხოლო მოქმედება „საზეო“ საქმეს, სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. ადამიანმა კეთილი საქმეები უნდა აკეთოს, ღმერთის ზრახვამდე უნდა ამაღლდეს. ცოდნა ინტელექტუალური მოქმედების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამდენად გონებრივ განათლებას ადამიანის აღზრდაში პრიმატი ეძლევა.

ისევე როგორც ყოველი მოქმედება, ადამიანის ნებისყოფაც ინტელექტს უნდა იყოს დაქვემდებარებული. ცნობაწართმეულ ტარიელს, რომელიც ნესტანის დაკარგვის გამო სასოწარკვეთილებას მისცემია, ავთანდილი ასეთ შეგონებას აძლევს.

870. „რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა,
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მეპე რასაცა თნებასა."

ავთანდილი ურჩევს ტარიელს „წადილთა ნებას" კი არ აჰყვეს, არამედ შეებრძოლოს მას და ისე იმოქმედოს:

866. „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ"

„წადილთა" აყოლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ადამიანი გონებას დაუმორჩილებს თავის მოქმედებას.

ავთანდილის კეთილ საქმეებს ამქვეყნიური სიყვარული და სამართლიანობა ამოძრავებს. მისი სამოქმედო დევიზია — მოყვასისათვის თავის დადება, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანობა, სიკეთე.

780. „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა,
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა".

მიმართავს იგი როსტევან მეფეს თავის ანდერძში.

სამართლიანობა, სიყვარული და მოყვასისათვის თავდადება მთავარი კომპონენტებია ავთანდილის ზნეობაში, კერძოდ,

782. „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეევანნი ამას ქღერენ".
„შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ".

როსტევანი განათლებული კაცია, რის გამოც მან უნდა იცოდეს აღნიშნული შინაარსის შეგონება. სიყვარულისა და სიკეთის იდეას, მაშასადამე, ცოდნა, განათლება გამოავლენს. „უსწავლელთათვის" კი ეს ამბავი ძნელად გასაგებია.

789. „არ დავიწყება მოყვრისა არ‌ოდეს გეიზამს ზიანსა,
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა".
788. „ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა".

აი, როგორაა ავთანდილი აღზრდილი. მას, ვითარცა განათლებულს, „სიბრძნის", ცოდნის მჭონეს, გონება სამართლიანი, კეთილშობილური მიზნებით და სწორი გზით მოქმედებს. ასეც უნდა იყოს, ავთან-

დილმა იცის, რომ გონებრივი განათლება პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა გამოიყენოს თორემ:

992. „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა,
არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა".

აქ დაახლოებით იგივე შინაარსია ჩადებული, რაც ადრე მოტანილ სტროფში: „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა."

ადამიანის მოქმედებაში გონების (იგულისხმება ცოდნით გამდიდრებული გონება) პრიმატი „ვეფხისტყაოსანში" არა ერთხელ აქვს რუსთაველს აქცენტირებული.

გონიერი კაცი ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს:

212. „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს".

იმავე გონიერ კაცს სიდინჯე, მოფიქრებით მოქმედება მართებს:

გონიერი, ხამს, აროდეს არ აჩქარდეს
რაცა სჯობდეს მოაგეაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს".

გონიერება განსაკუთრებით საჭიროა გაჭირვების ჟამს:

„სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა,
რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა".

ყოველ მოვლენას, ფაქტს, მოქმედებას, დაფიქრება და შეფასება უნდა. ამქვეყნიურ მოვლენებს ადამიანი დაუფიქრებლად არ უნდა გაყვეს. თუ გონება მასში უარყოფითს დაინახავს, კიდეც უნდა განერიდოს მას.

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან".
„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია"
„რაც არა გწადდეს, იგი ქენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა და სხვ.

ამქვეყნიური სიკეთისათვის მოქმედ ავთანდილს მიწაზე უდგას ფეხი. ამ შემთხვევაში რუსთაველი აშკარად სცილდება ქვეყნის მიმართ პლატონისებურ მსოფლგაგებას.

ტარიელი ავთანდილთან შეპირისპირებული პერსონაჟია. ეს უკანასკნელი დინჯი, გონებას დაქვემდებარებული, საქმეთა შორს გამჭვრეტი პიროვნებაა. იგი ავტორისეული კონცეფციებით მოქმედებს.

ტარიელი უფრო გრძნობას აყოლილი პიროვნებაა. საკმაო სისრულით ახასიათებს ასმათი მის მოქმედებას:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან,

848. უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან,
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან".

ასეთია ტარიელი მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ინდოთა მეფის ოჯახში მისთვისაც მიუციათ განათლება და ბავშვობიდანვე ზნეობის ნორმებიც შეუთვისებიათ.

314. ბრძენთა მიმცეს სასწაველად, ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად".
„შეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათთად,
საჰატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,

ავთანდილისა და ტარიელის შეპირისპირებით რუსთაველი პირველის პრიორიტეტს წარმოაჩენს.

866. „ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?"

არიგებს ტარიელს ავთანდილი, რომლისთვისაც უცხოა განდეგილობა, გრძნობას აყოლა.

866. „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ,
მინდორს სტირ და მზეცთა ახლავ, რა წადილსა აისრულებ?".

მაშასადამე, ამ ქვეყნიდან, ადამიანებიდან გასვლით, მინდორ-მინდორ განდეგილად სიარულით და ტირილით საქმეს ვერ უშველი, განათლებული კაცი ხარ, ცოდნა გაქვს და ამ ცოდნის მომცემთა შეგონების მიხედვით კი არ მოქმედებ, — ეუბნება ავთანდილი ტარიელს, რომ გონებას უნდა დაუმორჩილოს ტარიელმა თავისი მოქმედება, სიძნელეებს შეებრძოლოს და „წადილთა ნებას" არ აყვეს. გონებრივი განათლება, რომელიც ტარიელს მიუღია, უნდა გამოიყენოს თავის მოქმედებაში — მხოლოდ მაშინ მიაღწევს იგი მიზანს. მაგრამ აქ ავთანდილი სრულიად საწინააღმდეგო პასუხს ღებულობს:

876. „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა."

ამ მეტად რთულ ვითარებაში, როცა აშკარად ჩანს, რომ ტარიელი უიმედო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ავთანდილი კვლავ გონებით მოქმედებს, როცა შეგონებამ არ გასჭრა, მან გადაწყვიტა ტარიელი ისევ განცდათა ნაირსახეობით გამოეყვანა მდგომარეობიდან.

ცხენზე ჯდომამ და გაჯირითებამ ტარიელს მართლაც „ცნობა" დაუბრუნა, ხვდება ავთანდილის შეგონების სისწორეს და თავის უნებისყოფობაზე წუწუნებს. მან ავთანდილს

894. მოახსენა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოველად სოფლად ღირდეს
გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს
მაგრამ, რა ვქმნა, რაგვარ გავძლო, მეტის-მეტი რა მიმჭირდეს!"

*
* *

შოთა რუსთაველის მიხედვით სამყარო ღმერთის მიერაა შექმნილი „უთვალავი ფერითა". სამყარო ერთი მთლიანი რამაა, ადამიანი ამ მთლიანობის გარკვეული ნაწილია. მას თავისი ადგილი აქვს ამ სამყაროში. წარმოდგენილი კონცეფცია ფილოსოფიურ პლანშია გაშლილი და მას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. ამჯერად, რუსთაველის ჰუმანურ იდეებთან დაკავშირებით ამ ფილოსოფიური კონცეფციის მხოლოდ ერთ საკითხს მივაქცევთ ყურადღებას, რაც „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის ერთ-ერთი ძირითადი იდეათაგანია.

ეს არის სამყაროს მრავალფეროვნებაში ბოროტისა და სიკეთის ურთიერთშეპირისპირება. ორივე ამქვეყნიური მოვლენაა და თითქოს ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული:

869. „რად ემდურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო?!"
867. „მითხარ უსახო რა ქმნილა, სული რად ამოგხდებიან",
„ამ ქვეყნად ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია".

გარდა ამისა, საწუთროს სხვა თვისებებიც აქვს, მასში სიცრუეც ბუდობს, უბედობაც.

„ვა საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე".

ანდა:

940. „ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;
სად წაიყვან სიდაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა".

ეს სიტყვები ეკუთვნის ავთანდილს. სამყაროს წინააღმდეგობებში ავთანდილიც ერკვევა, მაგრამ ეს არ არის დავრდომილის შეცხადება. ავთანდილს მტკიცედ სწამს, რომ საბოლოოდ „ღმერთი", „სიკეთე" გაიმარჯვებს. ამისათვის საჭიროა ბრძოლა, გონებით მოქმედება და საქმეთა სწორად „გამოგება".

„ვინ დამბადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად
ვინ არს ძალი უხილავი შემწე ყოველთა მიწიერთად".

ოღონდ ამ ძალას გამოყენება უნდა. გონებისა და სიბრძნის მიერ მითითებული სწორი მიმართულებით მოქმედებაა საჭირო და ბოროტებაზე სიკეთე გაიმარჯვებს. თავად ავთანდილი ამქვეყნიური სიკეთისათვის ბრძოლებს. იგი რუსთაველსა ყველა იმ აუცილებელი მონაცემით აღჭურვა, რაც სიკეთის გამარჯვებისათვისაა საჭირო. სიკეთისათვის მებრძოლი ავთანდილი მიუხედავად მრავალ წი-

ნაალმდეგობისა, „ცრუ, საწუთროს“ მიერ მრავალ განსაცდელში „დატრიალებული“, საბოლოოდ სიკეთეს მაინც აღწევს.

სიკეთისათვის ბრძოლაში ავთანდილი მარტო არაა. მას კარგად ესმის

„ვისთვის უკდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“.

მაშასადამე, სიკეთისათვის ბრძოლაში გარდა ისეთი პირადი თვისებებისა, როგორიცაა ინტელექტი და ინტელექტუალური განათლება, საკუთარ გრძნობებზე და ვნებებზე ბატონობის უნარი, მაღალი ზნეობა, ფიზიკური სილამაზე და სიძლიერე — საზოგადოებასთან კავშირი და მასთან ერთად მოქმედებაცაა საჭირო. პლატონისა და შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკური მსოფლმხედველობისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პრობლემა რუსთაველთან სრულიად ორიგინალური გზითაა გადაწყვეტილი.

ავთანდილის თვისებათა ჩამოთვლა და დახასიათება აქ მაინც არ შეიძლება დამთავრდეს. მისი საქველმოქმედო არე, მე-11—12 საუკუნეების ქართველ „მსახურეულ“ არისტოკრატიის იდეოლოგიის მტარებელ შოთა რუსთაველს უფრო ფართო მასშტაბით წარმოუდგენია. როსტევანისადმი ანდერძში ავთანდილი ვარაუდობს მისი დაღუპვის შესაძლებლობას და ამასთან დაკავშირებით წერს:

793. „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმაე გულმან მოწყალე, მლმობელმან“.

794. „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმჭონები,
მიღწეიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

აქვე ავთანდილი სხვა საზოგადოებრივ საქმესაც არ ივიწყებს.

795. „რაცა თქვენთვის არ ეარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგთა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“.

აი, როგორ ესმის შოთა რუსთაველს საზოგადოებრივი საქველმოქმედო საქმიანობა.

ერთმმართველური, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრე რუსთაველმა ხელმწიფობაც ღმერთის მიერ დაწესებულ მოვლენად გამოაცხადა.

1. „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“

ასეთ განცხადებას ცენტრალიზებული ქვეყნის მომხრეობა უნდა

ედოს საფუძვლად და არა პროვინდენციალიზმი, მაგრამ ამჯერად ჩვენ მეორე მხარე გვაინტერესებს, კერძოდ ის, თუ როგორი უნდა იყოს რუსთველისებურად სახელმწიფოს შინაყოფა მოწყობილი.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ როსტევანის შეგონება თინათინისადმი, როდესაც იგი მეფედ აკურთხა:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების.“

ავთანდილისა და ფრიდონის დახმარებით ტარიელისა და ნესტანის შეყრისა და ინდოეთს დაბრუნების შემდეგ თავიანთ მ ს ა ხ უ რ ს ა ს მ ა თ ს ტარიელმა ინდოეთის ერთი წილი სამეფო აჩუქა და იქ მ ე ფ ო ბ ა უ ბ ო ძ ა.

და ბოლოს, ავთანდილი, ფრიდონი, ტარიელი თითოეული თავიანთ სამეფოში:

1582. ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს;
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

ასეთი მოთხოვნების არსებობა მე-12 საუკუნის საქართველოში შექმნილ „ვეფხისტყაოსანში“ ახლა უკვე შემთხვევითობად, ან რუსთაველის, როგორც ინდივიდის, მსოფლმხედველობის ნაყოფად არ უნდა მივიჩნიოთ. ეს საერთო საკაცობრიო ჰუმანური მოთხოვნები მე-11—12 საუკუნეების საქართველოში არსებულ იმ იდეოლოგიაში უნდა იღებდეს თავის სათავეს, რაზედაც ადრე გვქონდა საუბარი, ოღონდ იგი რუსთველთან მაღალ რანგშია აყვანილი და ლიტერატურულ-მხატვრული ფორმით წარმოდგენილი.

* * *

შოთა რუსთაველის ქმნილება აიტაცა ქართველმა ხალხმა და თავის საკუთრებად აქცია. ხალხი ზეპირად სწავლობდა მას. ქალებს წიგნად აკინძულ „ვეფხისტყაოსანს“ მზითვად ატანდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ სტამბური წესით პირველი გამომცემელი ვახტანგ VI მის დანიშნულებას უპირველეს, როგორც სასწავლო-საალმზრდელო წიგნისას, ასე განსაზღვრავს. მისი თქმით „ვეფხისტყაოსანი“

„უ ს წ ა ვ ლ ე ლ ს ა ს ი ბ რ ძ ნ ე ს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“.

იგი „ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელადაა“ გამოყენებული და სხვა.[1]

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ შეიძლება გარკვეული ჩარჩოებით განისაზღვროს, იგი ნაციონალურიცაა და საკაცობრიოც. მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც საკაცობრიოა. ყოველ ადამიანს, განურჩეველად ეროვნებისა და სქესისა. შეუძლია აიღოს „ვეფხისტყაოსანი“ და შიგ მისთვის საჭირო შეგონება ნახოს.

„ვეფხისტყაოსნის“ პედაგოგიური იდეები არა მარტო ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების აღზრდასაც ემსახურება. იგი „ხალხური პედაგოგიკის“ საფუძველია და მის შემადგენელ ნაწილად იქცა.

შოთა რუსთაველი ადამიანთა შორის კეთილურთიერთობას და სიყვარულს ქადაგებს:

924. „ამოა როცა კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს“.

რუსთაველისათვის უცხოა განდეგილობა, ადამიანი საზოგადოების ნაწილია და მასში უნდა ტრიალებდეს. თვით საზოგადოებრივი ცხოვრება მას ადამიანთა ცხოველი ურთიერთობით წარმოუდგენია. მხოლოდ ასეთი გზით მიიღწევა ამქვეყნიური სიკეთე:

838. „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია“.
844. „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“.

ამავე დროს:

894. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად
გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად“.

ადამიანებს ერთმანეთთან სიყვარული, თავდადება და სამართლიანობა უნდა აკავშირებდეს.

789. „არ დავიწუება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა,
ვგმობ კაცსა აუგიანსა ცრუსა და ღალატიანსა“.
780. „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარული“.

ადამიანთა კეთილურთიერთობას ერთურთისადმი დათმობა, მოთმინება და გაგება უნდა ახლდეს:

913. „ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს,
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს.“

სათქმელსაც მოზომვა უნდა, ამიტომ

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ადამიანი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს. იგი გულუხვიც უნდა იყოს და მთელი საზოგადოებისათვის მოქმედი. რუსთაველისათვის უცხოა ეგოიზმი, კლასობრივი კარჩაკეტილობა. მისი მოქალაქე საერთო ადამიანური ჰუმანიზმითაა აღბეჭდილი.

საზოგადოების წევრთა შორის კეთილი ურთიერთობისა და სიყვარულის იდეა, სხვადასხვა ფორმით, მე-11 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მოძღვრებაშიც გვხვდება. ასეა ეს, მაგალითად, ლეონტი მროველთან, როცა იგი საქართველოს ისტორიული წარსულის აღწერისას გარკვეული პერიოდისათვის ქართლის მოსახლეობას სოციალურად თითქმის ერთფეროვანს წარმოაჩენს, რომელთა შორის, თურმე, არავინ ყოფილა „უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“ და ისინი „იყვნეს მშვიდობით სიყვარულსა ერთმანეთისას“. ლეონტი მროველის მიერ საქართველოს ისტორიულ წარსულში ასეთი მოვლენების დანახვა, იმ ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის გარემოცვაში, რომელშიც იგი ცხოვრობდა, შემთხვევითობას არ გავს. ესეც გარკვეული იდეოლოგიური მიმართულების გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რაც შეეხება გიორგი მთაწმიდელის პრაქტიკულ მოღვაწეობას და მსოფლგაგებას, იგი ადამიანთა სიყვარულისა და ამქვეყნიური მოქალაქეობის ღრმა შეგნებით იყო გამსჭვალული. იგივე ითქმის მისი საქმისა და აზრების პოპულარიზატორის გიორგი მცირეს (ხუცესმონაზონის) შესახებაც.

ასეთი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას, თავისთავად მე-11—12 საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება უწყობდა ხელს.

დამახასიათებელია ამ მხრივ, ასევე, შოთა რუსთაველის ჰუმანური მიდგომა ქალის მდგომარეობისა და როლის განსაზღვრისადმი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე: „თუცა ქალია, ხელმწიფე მართ ღმრთისა დანაბადია“, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

მაშასადამე, ქალი ღმერთის „დანაბადია“ ისევე, როგორც მამაკაცი, ღმერთისა — „რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლაჲ“ (გიორგი მთაწმიდელი), რომლის სხივები „უჟამოდ და მოუდრეკელად დაჰფარვენ ყოველთა“ (იოანე პეტრიწი) და „ვარდთა და ნეხვთა სწორად მოეფინების“ (შოთა რუსთაველი).

ერთმმართველური, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრე რუსთაველმა, იმ ვითარებაშიც, როცა ქალი აღმოჩნდა საქართველოს სა-

[1] „ვეფხისტყაოსნის“ 1917 წ. ვახტანგისეული გამოცემა, აღდგენილი და გამოცემული აკ. შანიძის მიერ, თბილისი, 1937., იხ. შესავალი და ბოლოსიტყვა.

ხელმწიფებრივ ტახტზე—გამართლება მოუნახა მის მონარჩად ყოფნას და ამავე დროს საკაცობრიო მნიშვნელობის ჰუმანური აფორიზმი წარსთქვა, რომელიც უცხო იყო შუასაუკუნის აღმოსავლეთისათვის.

აღნიშნულ აფორიზმს ქართული სინამდვილის მეორე მხარეც ედო საფუძვლად, კერძოდ, ქალის პატივისცემის ტრადიციულად არსებული საზოგადოებრივი წესი.

როგორც ქალის, ასევე მამაკაცისათვის რუსთაველი „სიყვარულით ამაღლებულ" ზნეობას და პატიოსნებას მოითხოვს. მიჯნურობაც მას ასეთი სწამს:

24. „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი!"

მიჯნურობა არაა, როცა ადამიანს:

26. „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა".

რუსთაველის ზნეობისათვის ასეთი რამ დაუშვებელი და საძრახისია:

25. „მძულს ეგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში".

ეს იგივე სიცრუეა და იგიც—„ავნებს ხორცსა, მერმეთ სულსა".

რუსთაველის სამყარო მოძრავი და ცვალებადია, აქ ყველაფერი დიალექტიკურ წინააღმდეგობასა და განვითარებაშია მოცემული:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა".

ადამიანის ყოფაც ცვალებადია, იგი ხან განსაცდელში ჩავარდება, ხან კი მშვიდად გრძნობს თავს—

696. „საწუთრო კაცსა ყოველსა ეთა ტაროსი უბედების
ზოგჯერ მზეა და რღვნაშე ცა. რისხვით მოუქუხდების".

იმისათვის, რომ ადამიანმა „სოფლის ტრიალს" გაუძლოს, ოპტიმისტური ბუნებისა უნდა იყოს და არა ჯაბანი. ამასთანავე, ადამიანის მოქმედებას გონიერება უნდა ახლდეს თან. ხოლო გონიერებისათვის, როგორც დავინახეთ, „სიბრძნე", განათლების მიღებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში გონება სწორი მიმართულებით ამოქმედებს ადამიანს და იგი ყოველგვარ სიძნელესაც ადვილად გადალახავს:

212. „ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს".

ის ადამიანი, რომელიც გონებით მოქმედებს, საკუთარ ენებებს და გრძნობებსაც ხელში აიყვანს—მტკიცე ნებისყოფასაც გამოიმუშავებს:

865. „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა;
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა;
ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვიტკირსა".

დავრდომილობა, ტირილი და შიში ადამიანს არაფერს არგებს, იგი უნდა მოქმედებდეს და ამ მოქმედებაში შეუპოვარიც იყოს:

898. „არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე რა გერგების".
870. „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია" და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში" ადამიანის მოქმედებას, გამბედაობას, ვაჟკაცობას, შემართებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია, რაც ოპტიმისტური განწყობის ნიშანთვისებაა. სიმხდალე რუსთველთან დაგმობილია:

790. „კაცი, ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა".

სიმხდალე სხვა უარყოფით თვისებათა შორისაა მოქცეული. შერცხვენილ სიცოცხლეს რუსთაველის გმირები სიკვდილს ამჯობინებენ:

791. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" და სხვ.

ამრიგად, გასაგები უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის" ის საერთო აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რომელიც მან დიდი ხანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიმკვიდრა. მასში როგორც საზოგადოების, ასევე, ადამიანის თვისებათა თითქმის ყოველი მხარის შესახებაა აღმზრდელობითი ხასიათის შეგონება მოცემული.

ამ შეგონებათა მიხედვით, მაშასადამე, ადამიანი განათლებული და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე უნდა იყოს, რომლის ამქვეყნიურ მიზანდასახულებას სიკეთისათვის ბრძოლა, საზოგადოებრივი საქმისა და მოყვასისათვის თავის დადება უნდა შეადგენდეს. მის მოქმედებას ინტელექტი უნდა განსაზღვრავდეს და არა გრძნობები, „წადილთა ნება".

სიკეთისათვის ბრძოლა სიძნელეთა გადალახვას ითხოვს. ამდენად ადამიანს ოპტიმისტური სულისკვეთება, ნებისყოფის სიმტკიცე და გამძლეობა უნდა ახასიათებდეს. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში იგი გამბედავი და შეუპოვარი უნდა იყოს.

რუსთაველის ფორმულაა—ადამიანი საზოგადოებისათვის და საზოგადოება ადამიანისათვის. საერთო მიზანი კი—სიკეთისათვის ბრძოლაა.

6. ქალთა განათლების საკითხი

„ვეფხისტყაოსანში" მეფე თამარის განსწავლის შესახებ წარმოდგენილი ცნობა კერძო შემთხვევა არაა და როგორც მცირე, მაგრამ გარ-

კვეული მასალები გვიდასტურებს, მას ღმჟამინდელ საქართველოში ზოგადი ხასიათი ჰქონია. როგორც ირკვევა, წარჩინებული ოჯახისშვილი ქალები ისევე იღებდნენ განათლებას, როგორც ვაჟები. ხშირად ისინი როგორც აღმზრდელები, აღსაზრდელთა სწავლების მეთვალყურენი, ისე გვევლინებიან. გავიხსენოთ მაგალითად, რომ გრიგოლ ხანძთელის აღზრდას ნერსე ერისთავის მეუღლე უწევდა მეთვალყურეობას. თვით თამარის მამის, გიორგი III-ის აღმზრდელია მისი მამიდა თამარი (დავით აღმაშენებლის ასული). ასევე გიორგი II-ის აღმზრდელად მისი ბებია გურანდუხტი (გიორგი I-ის ასული) გვევლინება და სხვა.

აღსაზრდელად ქალიშვილის სხვა წარჩინებულის ოჯახში გაბარება ისევე ხდებოდა, როგორც ვაჟებისა. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში როგორც ვახტანგ (გორგასალი) „მოითხოვა... საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან... და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან“. ასევე, ვახტანგის და, მირანდუხტ, „მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან. და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა, და იზრდებოდა მუნ“[1]. მეფე თამარის აღზრდას მისი მამიდა რუსუდანი ხელმძღვანელობდა და სხვ.

როგორც გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის აღწერიდან ვგებულობთ, გიორგის და, თეკლა, როცა მას შვიდი წელი შეუსრულდა, ტაძრისის დედათა მონასტერში მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც იგი „კეთილად აღზარდა“. ხოლო როცა თავად გიორგისაც შვიდი წელი შეუსრულდა და, მაშასადამე, სწავლის დაწყების დრო დადგა, მისი თავდაპირველი განსწავლა თეკლამ იკისრა, რომელსაც უკვე გარკვეული განათლება ჰქონდა მიღებული. გიორგი „ისწავლიდა წერილოა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან“ აწ უკვე განსწავლული „დისა მისისაგან“.

აღნიშნულ პერიოდებში ქართველ ქალთა სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები არსებობდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, სადაც დაახლოებით ისეთივე მუშაობა სწარმოებდა, როგორიც, მაგალითად, „ათონის ივერიის მონასტერში“, ულუმბოს, პეტრიწონის მონასტერში და სხვ.

პალესტინაში, მაგალითად, ქართველ ქალთაგან შემდგარი ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო კაპპათა, რომელიც ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენას და მათი ქალიშვილის მართას ხელშეწყობით მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში დაუარსებიათ პალესტინაში. გარდა კაპპათასი, წყაროებში მოიპოვება ცნობა დელტავის და დერთუფას ქართველ ქალთა მონასტრების შესახებ, რომელთაც ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უწარმოებიათ პალესტინაში.[1]

აღნიშნულ მონასტერში კითხულობდნენ წიგნებს, ხდებოდა მათი გადაწერა. წიგნების გავრცელებისათვის ზრუნავდნენ. ამ მხრივ ისინი თითქო ათონის ივერიის მონასტრის ფილიალებს ქმნიდნენ. არაერთი ნაშრომი ჩანს, რომლებიც აღნიშნულ მონასტრებში გადაუწერიათ, მისთვის შეუწირავთ, ან აქ არსებული წიგნთსაცავების საკუთრებას შეადგენდნენ.

ამ მონასტრებში დასადგურებული მოღვაწე ქალები, როგორც ჩანს, აღმზრდელობით მუშაობას და სწაელებასაც ეწეოდნენ. ერთ-ერთი წიგნის გადამწერი, სახელად ბასილი, აცხადებს დელტავას მონასტრის ქალთა მიმართ — „დანო პატიოსანნო, გეველრები გ ა ზ რ დ ი ლ ი თქუენი ბასილი“ (ხაზი ჩვენია-სვ. გ.). აღნიშნულ განცხადებაში აღზრდისა და სწავლების შესახებაა საუბარი, მაგრამ რა გზით უნდა მომხდარიყო ეს დედათა მონასტერში, სამწუხაროდ გაურკვეველია. შესაძლოა აქ დაწყებითი განათლების მიღებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს გიორგი მთაწმიდელის მიერ სწავლის დაწყების შემცველი ცნობიდან დავასკვნეთ.

მაშასადამე, ქართველ ქალთა აღნიშნული მონასტრები კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ და მათ თავიანთი მუშაობით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ იმ საერთო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, რომელსაც საქართველოსთან უშუალო კავშირით ქართველთა სხვა საზღვარგარეთის ცენტრები აწარმოებდნენ.

ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, როგორც ჩანს, არც გვიან ხანებში შეწყვეტილა. მრავალი დოკუმენტია შემორჩენილი, რომლებიც გვაუწყებენ ქართველ ქალთა ზრუნვას ხელნაწერთა გავრცელების, მათი გადარჩენისა და განახლების შესახებ. ზოგიერთი მათგანი ხელნაწერთა ახალ ნუსხებს ამზადებდა, ხოლო ზოგი ორიგინალურ თხზულებებსაც ქმნიდა.[2]

აშკარაა, ქართველ ქალთა ასეთი საქმიანობა სათანადო აღზრდასა და განათლებას მოითხოვდა.

მართალია ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა შედარებით მცირე მასალათა შემცველია, მაგრამ ზოგიერთი ზოგადი ხასიათის დასკვნის სა-

[1] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959, გვ. 143.

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები ახლო აღმოსავლეთში, იკად. ნ. მ ა რ ი ს სახ. ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბილისი, 1943, გვ. 108—118.

[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I., თბილისი., 1962, გვ. 97—98.

შუალება მაინც გვეძლევა, კერძოდ, რომ ძველ საქართველოში ქალთათვის ისევე აუცილებელი იყო განათლების მიღება, როგორც ვაჟთათვის. ქალთა და ვაჟთა აღზრდაზე ზრუნვა საერთო წესებს ემყარებოდა. ქართველი ქალები მოზარდთა აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდნენ და ამ მხრივ მათ მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკავათ ძირითადად საშინაო სწავლებაში, ნაწილობრივ კი მონასტრებთან წარმოებულ დაწყებითი სწავლების საქმეში.

კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ საქმიანობაში გარკვეული წვლილი ქართველ ქალთა სამონასტრო მოძრაობასაც შეჰქონდა, რომლის კვალი საქართველოს გარეთ, პალესტინაში გვხვდება.

7. ძირითადი პედაგოგიური იდეები ადრინდელი შუასაუკუნეების საქართველოში

ადრინდელი შუასაუკუნეების პერიოდის საქართველოში სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აზრის ისტორიამ, როგორც კულტურის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა დარგმა, საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვალებადობის კვალდაკვალ, გარკვეული კანონზომიერი გზა განვლო. განვითარებული მონათმფლობელური წყობილების დროს კულტურის სხვა დარგებთან ერთად (ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება) გარკვეული პედაგოგიური იდეები დაიბადა, რომლებმაც დასაბამი მისცა საკაცობრიო პედაგოგიური აზრის განვითარებას საერთოდ. ფეოდალიზმის გამარჯვების პირველ ეტაპზე ანტიკური იდეები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ და ახალ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში გზას იკვალავდნენ, მაგრამ ფეოდალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების დროიდან სქოლასტიკურმა მიმართულებამ, როგორც გამარჯვებული ფეოდალიზმის ძირითადმა მსოფლმხედველობამ, კულტურის ყველა დარგი და სწავლა-განათლების სისტემაც თავის კონტროლს და გარკვეულ დოგმატურ პრინციპებს დაუმორჩილა. ასეთ ვითარებაში პედაგოგიური თეორიის შესახებ საუბარი საერთოდაც შეუძლებელი იყო. გვიან ხანაში, ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების დროიდან კულტურის სხვა დარგებთან ერთად (ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორიოგრაფია და სხვ.) პედაგოგიურმა აზროვნებამ გამოცოცხლება დაიწყო. აღორძინების ხანის საერთო სპეციფიკურობა (ანტიკურობაში გარკვეული დასაყრდენის ძიება) პედაგოგიური აზროვნებისათვისაც დამახასიათებელი იყო. პლატონის, არისტოტელეს, კვინტილიანეს და სხვათა პედაგოგიური შეხედულებებზე დაყრდნობით, მე-15—16 სს. ევროპული რენესანსი შემოქმედებითად ანვითარებს სწავლა-განათლების სისტემას, პედაგოგიურ აზრს და გარკვეული მეცნიერული სისტემის სახეს აძლევს.

ევროპულ-ბიზანტიური და ქართული სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აზრის ისტორიული განვითარების გზის შედარება, როგორც ქრონოლოგიური ჩარჩოებით, ასევე შინაარსით, რიგ შემთხვევებში განსხვავებულ სურათს იძლევა.

უპირველეს უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპული აღორძინების ელემენტები ჯერ კიდევ მე-11—12 სს. საქართველოში იჩენს თავს. ასე იყო ეს ფილოსოფიაში, ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურაში (რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სახით) და სხვა.[1]

დღეისათვის უკვე ცნობილია, რომ მე-11—12 სს. საქართველო აღმოსავლური ადრეული რენესანსის კერა იყო. მაშინ როცა დასავლეთი სქოლასტიზმმა მოიცვა, საქართველოში თავისუფალი აზროვნების სიმპტომები შეიმჩნა. ყოველივე ამას გარკვეული ისტორიული ვითარებაც განაპირობებდა. კერძოდ ის, რომ მე-11 საუკუნიდან ეკონომიურად მოღონიერებული საქართველო ერთმმართველურ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაიქცა. პოლიტიკურ-ეკონომიური აღმავლობას კულტურული განვითარებაც თან მოჰყვა, აგრეთვე ის, რომ საქართველო წინააზიურ და ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობაში იყო. მართალია, ქართულ სინამდვილეში, აშკარად შეიმჩნევა აღმოსავლური კულტურის ნიშნები, მაგრამ თავისი მჭიდრო ურთიერთობით ქართული კულტურა იმთავითვე ძველ ბერძნულთან და ბიზანტიურთან იყო დაკავშირებული და ზოგჯერ თვითონაც შეჰქონდა ხოლმე გარკვეული წვლილი ამ კულტურულ მონაპოვარში. ქართველ მოღვაწეებს მუდამ ორიგინალში უხდებოდათ ძველბერძნული და ბიზანტიური კულტურის გაცნობა. გელათის აკადემიის გახსნამდე ქართველი ახალგაზრდობის ნაკადი ბიზანტიის აკადემიაში მიემგზავრებოდა სასწავლებლად. გელათის აკადემიის გახსნის შემდეგაც ბერძნული ენა, ტრადიციულად, ერთ-ერთი აუცილებელი ენა იყო ქართველი სწავლულისათვის. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ჰქონდა. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ბიზანტიაში მეცნიერებაზე ეკლესია იმდენ გავლენას ვერ ახდენდა, როგორც დასავლეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ეკლესია მეცნიერებისა და სწავლების საერთო მიმართულების განმსაზღვრელი არ იყო, საუბარია შედარებით განსხვავებაზე, რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო.

მე-11—12 სს. საქართველოში არსებული სწავლა-განათლების სისტემაში ისეთი ელემენტების არსებობა, როგორიც კლასიკური ხანისა

[1] სვ. გამსახურდია, საზოგადოებრივ ისტორიული აზრის განვითარება მე-11 ს. საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 54.

თუ აღორძინების პერიოდის ჰუმანისტთა პედაგოგიურ შეხედულებებში გვხვდება, იმითაც უნდა ავხსნათ, რომ საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღების ტრადიცია დიდხანს ინახავდა თავის მნიშვნელობას. კლასიკური ხანის ფილოსოფოსთა ნაშრომების ორიგინალში წაკითხვის შესაძლებლობა კი გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც თავისებურ ნაციონალურ მიმართულებას ღებულობდა.

გონებრივი და ფიზიკური აღზრდის თანაფარდობის მნიშვნელობა საქართველოში ძველთაგან მინიშნებული იყო. ეს დაგვიდასტურა კოლხეთის რიტორიკული სკოლისა და ქართველი დიდებულების ფიზიკური გაწვრთნილობის შესახებ არსებულმა ცნობებმა. გონებრივი აღზრდის, განათლების მიღება, ფილოსოფიის, რიტორიკის ცოდნა, ქართველი დიდებულებისათვის ისეთი აუცილებელი და პრაქტიკული მნიშვნელობისა იყო, როგორც ძველ ბერძნულ და რომაულ სამყაროში.

ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებამ საქართველოში განათლების საქმეს ერთგვარი რეგლამენტირებული სახე მისცა. მაგრამ ფილოსოფია, როგორც აუცილებლად საცოდნელი დარგი, ისევე რჩებოდა. ოღონდ თეოლოგიასთან შერწყმული და მისი საჭიროებისათვის გამოყენებული.

სწავლება ადრეფეოდალური ხანის საქართველოში (მე-5—10 სს.), ისევე როგორც პლატონსა და არისტოტელეს ჰქონდა განსაზღვრული და ძველ ათენში წესად იყო მიღებული, 7 წლის ასაკიდან იწყებოდა. სწავლების ნორმალიზაციისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასწავლო მასალების თანმიმდევრობის, კანონზომიერების დაცვას.

მისანიშნებელია, რომ ადრეული ხანიდან და განსაკუთრებით მე-11—12 სს. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება სწავლებაში ბავშვის ბუნებრივ მონაცემებს ექცეოდა, რასაც ადრე პლატონი, არისტოტელე, ხოლო გვიან ჰუმანისტები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. გიორგი ხუცესმონაზონი პირდაპირ იძლევა პერიოდიზაციას, რომელიც დღევანდელი გაგებით სკოლამდელი, დაწყებითი სკოლისა, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებად ყოფს აღსაზრდელთ. აღნიშნული შეხედულება ედო საფუძვლად გიორგი მთაწმიდელის პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ყურადღებას იქცევს გიორგი მცირეს განცხადება იმის შესახებ, რომ სწავლებას თავისი დრო აქვს, რომ ბავშვის ბუნება ისეთი მონაცემების შემცველია, რომელიც უნდა განისწავლოს, უნდა აღიზარდოს და ამ მხრივ გარკვეული მიმართულება მიეცეს. ბავშვის ბუნებისადმი ასეთ დამოკიდებულებას, კლასიკური ხანისა და ჰუმანისტ პედაგოგთა შეხედულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამავე საკითხს ადრეულ

შუასაუკუნეებში გარკვეულ ყურადღებას უთმობს, სხვათაშორის, იოანე ოქროპირი, ოღონდ მას ბავშვის აღზრდის შესახებ სხვაგვარი მიმართულება აქვს გათვალისწინებული, კერძოდ, რელიგიური სიწმინდისა და ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. გიორგი მცირე და გიორგი მთაწმიდელი აღზრდაში მთავარ ადგილს გონებრივ განათლებას უთმობენ, ამასთანავე, ისინი ფიზიკური აღზრდის თანაფარდობასაც არ გამორიცხავენ აღზრდის პროცესში.

საინტერესოა გიორგი მთაწმიდელის მოთხოვნა სწავლების საყოველთაო ხასიათის შესახებ, რაც გვიან რეფორმისტებისა და ჰუმანისტების შეხედულებებში გვხვდება. მართალია გიორგი მთაწმიდელი სულ სხვა ვითარებაში და სხვა პლანში სვამს აღნიშნულ საკითხს, მაგრამ ძირითადი იდეა კი ერთი და იგივეა. მას მიაჩნია, რომ ღმერთს „ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლა“, ე. ი. ყოველი ადამიანის მიერ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება. რომ ეს ნამდვილად ასეა, ე. ი. რომ გიორგი მთაწმიდელი აქ ყოველი ადამიანის მიერ ცოდნის მიღებაზე ლაპარაკობს, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მის მიერ შეკრებილი ბავშვები, რომლებსაც ის ასწავლიდა, წოდებრივი განსხვავების გარეშე იყო შერჩეული.

გიორგი მთაწმიდელის თავისებურ ფორმაში გამოხატული წარმოდგენილი შეხედულება იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ყოველ ადამიანში არსებული ბუნებრივი მონაცემები უნდა განვითარდეს, რაზედაც თავის დროზე არისტოტელე გარკვევით მიუთითებდა. და თუ გიორგი მთაწმინდელის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ერთურთს შევუხამებთ, გამოვა რომ ასეთი მონაცემები ყოველ ადამიანში, მისი წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად, უნდა განვითარდეს.

როგორც ვნახეთ, აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ჰქონდა გიორგი მთაწმიდელს თავისი სკოლა მოწყობილი, სადაც იგი მოსწავლეებს ჯგუფებად (კლასებად) ასწავლიდა. მოსწავლეთა ჯგუფურად სწავლების ფორმა, სწავლების პროცესში მათი ჯგუფებად დაყოფა, გიორგი მთაწმიდელის ადრეულ და მისი დროის საქართველოში საერთოდაც შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ აქ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის ელემენტების არსებობასთან გვაქვს საქმე, რომლის გამოყენებას თავის დროზე ი. კომენსკიმ მისცა დასაბამი. მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებასთან ერთად, გიორგი მთაწმიდელი მათ ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებასაც ახდენს, რასაც კლასიკურ და ჰუმანისტურ პედაგოგიურ შეხედულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა.

მაშინ როცა სქოლასტიზმის პერიოდში სასწავლო პროგრამები შეიზღუდა და სწავლებამ შემოქმედებითი ხასიათი დაკარგა, საქართვე-

ლოში გარკვეულ დიდაქტიკურ პრინციპებზე დაფიქრება ხდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა იოანე პეტრიწის მიერ ისეთი დიდაქტიკური წესის აღიარება, რომელიც წარმატებული სწავლების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, კერძოდ, მარტივიდან რთულ საკითხებზე გადასვლით სწავლების შესახებ. მასთანვე ვხვდებით მიზეზ-შედეგობრივი კავშირით სწავლების საკითხებს, ცნებითი აზროვნების საკითხებს და სხვ.

მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, სადაც თანადროულ საქართველოში არსებული სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური იდეების ასახვაა მოცემული, აშკარად მოჩანს აღზრდაში გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის თანაფარდობის დაცვის აუცილებლობის შეგნება. ზნეობრივი აღზრდის რუსთაველისებური გაგება ზოგ შემთხვევაში სოკრატესა და პლატონისებურ შეხედულებებს გვაგონებს.

შ. რუსთაველთან აშკარად დგას პრობლემა ამქვეყნიური, საზოგადოებისათვის მოქმედი ადამიანის აღზრდის, ადამიანის ცხოვრებისეული ძალების გამოვლენისა და განვითარების შესახებ. ადამიანის სულიერი და ფიზიკური სამყარო რუსთაველთან ჰარმონიულ მთლიანობაშია მოცემული. კლასიკური ხანის შეხედულებებისა არ იყოს, იგი ადამიანის სულიერ სილამაზესთან ერთად მისი სხეულის სილამაზეს, ცხოვრებისეულ სილამაზეს წარმოსახავს. მაშასადამე, ის ძირითადი მიმართულება. რასაც ჰუმანისტები ანტიკურში ეძებდნენ, რუსთაველთან უკვე მოცემული იყო.

„ვეფხისტყაოსანი“ თანადროული საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ასახვასაც შეიცავს. უკანასკნელთან დაკავშირებით განსაკუთრებით ითქმის ეს სააზროვნო კულტურაზე. რუსთაველი მოამზადა ქარ -ილ მოღვაწეთა მთელმა პლეადამ, იმ ტენდენციებმა, რომელიც მე-11—12 სს. საქართველოში იშვა და განვითარდა. რუსთაველის ჰუმანისტურ იდეებს წინ უსწრებდა გიორგი მთაწმიდელის, გიორგი ხუცესმონაზონის, ლეონტი მროველის, იოანე პეტრიწისა და სხვათა შემოქმედებითი ენთუზიაზმი, რომლის შემდგომი განვითარება და საყაცობრიო ჰუმანურ იდეებად ჩამოყალიბება მისი გენიით მოხდა.

ასახავს რა თანადროული საქართველოს სინამდვილეს, რუსთაველი აშკარად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ის საერო ხასიათის ტენდენციები, რომელიც ლიტერატურის, ფილოსოფიის თუ სწავლა-განათლების დარგში შეინიშნება მის წინამორბედ და თანადროულ საუკუნეში, უკვე აშკარად თავს იჩენდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვიდრდებოდა. რაც შეეხება, კერძოდ, სწავლა-განათლების საკითხებს, აღნიშნული ხანისათვის მის საერო ხასიათის ტენდენციებზე სხვა ისტორიული წყაროებიც გვიდასტურებენ. რუსთაველის ეპოქაში იღებს თავის სათავეს საერო-სარაინდო აღზრდა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც შუასაუკუნეების ევროპულ საერო აღზრდასთან მრავალ საერთო ნიშნებს ატარებს (ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებით). ამავე დროს, განსაკუთრებით ადრინდელ პერიოდში აშკარად განსხვავდება იმით, რომ ქართველი ფეოდალი რაინდის აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი გონებრივ აღზრდას ეკავა. რაც შეეხება გვიან, მე-15—17 სს, ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებაში გონებრივი აღზრდა თავის ძველ მნიშვნელობას კარგავს.

რაინდის აღზრდის ევროპული წესი — სიყრმის წლებიდან ბავშვის სხვა ოჯახში გაბარება, საქართველოში უძველესი ხანიდან გვხვდება. მაგრამ გაბარების ამ საერთო წესთან ერთად სხვა სპეციფიური განსხვავებაა. სხვა ოჯახში გაბარებული ბავშვის მეურვე — „მამამძუძე“, მის საერთო, გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას უწევს მეთვალყურეობას.

სქოლასტიზმის ადრეული და გვიანი პერიოდების საქართველოს და ევროპული სკოლების პროგრამებში საერთოდაც შეინიშნებოდა გარკვეული სხვაობა. კათედრალურ ტაძრებთან არსებულ ზოგიერთ სკოლას თუ არ ვიგულისხმებთ, რომლებშიც საფეხურებრივად **trivium-quadrivium**-ის ციკლზე დაფუძნებული პროგრამებით მიმდინარეობდა სწავლება, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში საერთოდ — ლიტურგიკას, საეკლესიო გალობას და ლათინურ ენას ასწავლიდნენ. ამავე პერიოდების საქართველოს ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში კი ისწავლებოდა — თეოლოგია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, (საეკლესიო გალობა), ლიტურგიკა, უცხო ენა და ქართული მწიგნობრობა. აქედან არ ვიცით თუ რამდენად ზოგადი ხასიათი ჰქონდა უცხოური ენების შესწავლას, რამდენადაც მისი სწავლების მხოლოდ ერთ ფაქტთან გვაქვს საქმე.

მისანიშნებელია ისიც, რომ მე-9 საუკუნეში, იმ დროს, როცა საქართველოში სქოლასტიკურ მიმართულებას ფეხი მოკიდებული ჰქონდა. საერო ხასიათის ნაშრომების კითხვა კვლავ ხდებოდა, რაც შემდეგ საუკუნეებში ჩვეულებრივ ამბავად იქცა. გრიგოლ ხანძთელი, მაგალითად, ფილოსოფიური თხზულებებიდან ყველაფერს კითხულობს, ოღონდ იქედან თეოლოგიისათვის საჭირო სიბრძნეს ამოკრებს, ე. ი. აქ ჩვენ რაიმე შემოფარგლული, დოგმატური ცოდნის მიღებასთან და ამ ცოდნის ცალმხრივად გაცნობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ იმ ტენდენციასთან, რაზედაც თავის დროზე ვასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და ნეტარი ავგუსტინე მიუთითებდნენ, როცა ისინი წარ-

მართული და საერო წიგნებიდან ქრისტიანობისათვის საჭირო სიბრძნის ამოკრებას მოითხოვდნენ.

ასე რომ, მართალია, საქართველოში სქოლასტიკური მიმართულება შემოიჭრა, მაგრამ მას ისეთი დამრთგუნავი ძალა არ ჭონია აქ, როგორც ევროპულ სამყაროში ჰქონდა. ამას ის ფაქტიც გვიდასტურებს, რომ მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობაში აშკარად შეიმჩნევა სქოლასტიკური დოგმების წინააღმდეგ გალაშქრება, რომელიც შემდეგ, მე-12 საუკუნეში, ქართულ რენესანსში გადაიზარდა. ყოველივე ამას კი, ისევე, როგორც ევროპული და ქართული სწავლა-განათლების სისტემისა და პედაგოგიური აზრის საერთო განსხვავებულ სურათს, თავისებური ისტორიული პირობები ედო საფუძვლად.

ნაწილი მესამე

სწავლა-განათლება მე-13—15 სს. საქართველოში

მე-13 ს. მეორე ნახევრიდან საქართველოს პოლიტიკური ვითარება ერთობ შეიცვალა. აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ მონღოლთა ურდოები ამიერკავკასიას მოადგნენ.

საქართველოში მონღოლთა შემოსევა მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. ისე როგორც ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, აქაც მონღოლური წესები და ხარკი დაწესდა. 1254 წელს მონღოლთა მიერ მთელს მათ საბრძანებელში ჩატარებული აღწერით საშუალება ჰქონდათ გამოეანგარიშებინათ თუ, კერძოდ, ქართველებს რამდენი მოლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ შემდგომ ლაშქრობებში მონაწილეობისათვის. დადგინდა, რომ საქართველოს ამ მიზნისათვის 9 დუმანი კაცი, ე. ი. 90 000 მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ამასთანავე მონღოლებმა მეურნეობის თითქმის ყველა დარგი დაბეგრეს. დაწესდა საყაენო გადასახადი (მალი), საბალახე (უაფჩერი), სავაჭრო (დამღა), სამოხელეო სარგოდ განკუთვნილი (ულუფა), სამხედრო ბეგარა — სალაშქრო (ყალანი), იყო, აგრეთვე, ბეგარა საიამე, რაც იმას ნიშნავდა, რომ გზად აშენებულ სადგურებში (იამეს) ყაენების, ელჩების, ბატონიშვილებისათვის და სხვადასხვა მოხელეებისათვის ცხენები, საკვები და სადგომი უნდა ყოფილიყო მომზადებული.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადები თუ რამდენად მძიმე ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას და როგორ იმოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ მიზეზით არაერთი აჯანყება მომხდარა, რასაც დამსჯელი ექსპედიციების თარეშიც მოჰყვებოდა ხოლმე.

ასე, რომ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლევამოსილებას თანდათან ძალა ეცლებოდა. მე-13 ს. 80-იან წლებში ჩატარებულმა ხელახალმა აღწერამ დაადასტურა, რომ მონღოლთა მფლობელობაში მყოფი ქვეყნების უმეტესი ნაწილი და მათ შორის საქართველო აოხრებული და გაპარტახებული იყო. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა და ეკონომიური მოღონიერება ამის შემდეგ იშვიათად, ისიც ხანმოკლე დროით თუ მოხერხდებოდა ხოლმე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უშიშროებას მონღოლთა საბოლოო დასუსტებისა და დაშლის შემდეგაც დიდი ხნის სიმშვიდე

არ ეწერა. ამ მხრივ მეტად საბედისწერო შედეგი ჰქონდა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც იყო ძველი კულტურის მატარებელი ბიზანტიის იმპერიის საბოლოოდ დაცემა (1453 წელს) და მის ნანგრევებზე ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა. ამ მოვლენამ საქართველოს ევროპულ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზა გადაუკეტა. ამიერიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე ერთმორწმუნე კულტურული ქვეყნის, ბიზანტიის ნაცვლად, მტრად განწყობილი მაჰმადიანური თურქული სახელმწიფო გაჩნდა, რომელიც მდიდარი ბუნებრივი პირობების მქონე საქართველოს მიმართ, აშკარაა, აგრესიული ზრახვებით განიმსჭვალებოდა.

შემდგომ პერიოდებში საქართველოსთვის პოლიტიკურმა საშიშროებამ ირანის მხრიდანაც იჩინა თავი. ეს უკანასკნელი საქართველოს სამხრეთ თემების ხელში ჩაგდებას ესწრაფვოდა.

ამიერიდან საქართველოს მთელი თავისი თავდაცვითი უნარიანობა ყიზილბაშთა და ოსმალთა შემოტევების წინააღმდეგ უნდა მიემართნა, რაც განსაკუთრებით მე-16 საუკუნიდან გაბშირდა.

აშკარაა, ქვეყნის ამგვარ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებაში მე-11—12 სს. ზეაღმავალი ქართული კულტურის განვითარებას ნიადაგი მოეშლებოდა. მიუხედავად ამისა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აღნიშნული პერიოდის კულტურა სავსებით დაეცა და გაჩანაგდა. მართალია მან შემოქმედებითი ხასიათი დაკარგა, მაგრამ არსებულ ვითარებასთან შეფარდებით აწ უკვე მოპოვებულის შენარჩუნებისა და შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეული შენამატის ცდაში იყო. ასეთი ტენდენცია, კერძოდ, მწერლობაში, ძველი თხზულებების გადაწერასა და გავრცელებაში გამოიხატებოდა და აგრეთვე, ზოგიერთი ახალი თხზულების თარგმანში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მე-13—14 საუკუნეების საქართველოში ნაშრომთა გადაწერისა და გავრცელებისათვის გარკვეული საამქროები არსებულა.[1]

ამავე პერიოდებში მთარგმნელობითი მუშაობის ძველი ტრადიციები გრძელდებოდა. მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა, მაგალითად, ვინმე მღვდელი მაკარი, რომელსაც მე-13 ს. ასურულიდან „პეტრე ქართველის ცხოვრება“ უთარგმნია, ხოლო შემდეგ, მე-15 საუკუნეში, მისი თარგმანისათვის რედაქცია გაუკეთებია პავლე დეკანოზს,[2] მე-16 ს. პირველ ნახევარში ბერად კურთხეულ ბაგრატ ბატონიშვილს პოლემიკური ხასიათის ანტიმაჰმადიანური თხზულება — „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილტთაჲ“ დაუწერია და სხვ. გარდა საეკლესიო ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული და საპოლემიკო თხზულებებისა აღნიშნულ პერიოდებში ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები იქმნებოდა, როგორიცაა საისტორიო თხზულება — „ჯამთააღმწერელი“, რომელიც ასი წლის ისტორიას მოიცავს ლაშა გიორგის მეფობიდან მოკიდებული გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჩათვლით. შესაძლოა ავტორს სწორედ მის დროს ეცხოვრა და დაეწერა ეს შესანიშნავი მატიანე, რომელიც თავისი თხრობითა და მეთოდოლოგიით ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებს ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში.[1]

მე-15 საუკუნეში ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე ანა დედოფლის ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“ (საქართველოს ისტორია), რითაც შემორჩა ეს მეტად საინტერესო და მეცნიერებისათვის საჭირო ძეგლი.

მე-13—15 საუკუნეებში ქართული არქიტექტურა ძირითადად ინარჩუნებს თავის ძველ ტრადიციებს, კერძოდ, მე-12 ს. შემუშავებულ ხუროთმოძღვრულ ფორმებს. ასევე ითქმის კედლის მხატვრობის, საეკლესიო მინიატურების, ლითონზე პლასტიკისა და სხვათა შესახებ, რომლებიც თავისი განვითარების ფორმებით მე-14—15 სს. ვლინდება. ძველი ტრადიციის დაცვით ერთგვარი გარდატეხაა კედლის მხატვრობაში, სადაც კედლის მხატვრობის კონსტანტინოპოლური სკოლის (ე. წ. პალეოლოგთა ხანის) გავლენაც კი შეიმჩნევა.[2]

ამავე ხანებში, როგორც ჩანს, მედიცინისადმი ყურადღებაც არ შენელებულა. ამის მაგალითია ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი. თავად ზაზა მკურნალი ექიმი ყოფილა. სამკურნალო დარგის ხელნაწერის მინაწერებში იგი ასე იხსენიება: — „ქრისტე, ღმერთო! ადიდე პატრონი ჩუენი ზაზა მკურნალი“ და სხვ.[3]

ზემოთ წარმოდგენილი ექსკურსი ზოგადია, მაგრამ იგი საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ მე13—15 სს. საქართველოს კულტურულ ვითარებას. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამუდმებული ომიანობისა და რბევა-თარეშის შედეგად მართალია ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა დაქვეითებული იყო, მაგრამ მას სასიცოცხლო ნიშნები არ დაუკარგავს. გარეშე მტრების შემოსევებით შეძრწუნებული ქართველი ხალხი ცდილობდა რა თავისი ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას, ამასთანავე, თავისი ეროვნული კულ-

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 323.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 335, 336.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 247.

[2] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 343, 358, 359, 379, 385.

[3] ხელნაწ. ინსტ., ფ. Q—877, იხ. ასევე, მიხ. საჯაშვილის რედაქციით გამოც. „ზაზა ფანასკერტელი“, „სამკურნალო წიგნი“ (კარაბადინი), თბილისი, 1950.

ტურის გადარჩენის ცდაში იყო. მაშინაც კი, როცა კატასტროფული ვითარება იქმნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე, გადაიწერებოდა ხოლმე ძველი შემოქმედების ნიმუშები, ან ახალიც იქმნებოდა.

როგორც კულტურის ერთ-ერთი დარგის, ამ დროის სწავლა-განათლება ასეთსავე სურათს გვაძლევს.

1. სწავლა-აღზრდის მდგომარეობა

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვითაც გასაგები ხდება, რომ მე-13—17 საუკუნეებში სწავლა-განათლების საქმე სახარბიელო მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო. მონღოლთა, ყიზილბაშთა და ოსმალთა მიერ წარმოებულმა თარეშმა შედარებით მცირერიცხოვანი ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე თვითმყოფობის შენარჩუნების პრობლემა დააყენა. პოლიტიკური ძლიერების შესუსტებამ საქართველოში, ეკონომიური ყოფისა და კულტურის დაქვეითებაც გამოიწვია. კულტურის დაქვეითებას კვალდაკვალ მიჰყვა სწავლა-განათლების მდგომარეობის გაუარესებაც.

ადრე აღვნიშნავდით იმის შესახებ, რომ ძველ ქართულ წყაროებში საერთოდ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება სწავლა-განათლების სისტემის შესახებ. ქართველ მემატიანეებს, როგორც ჩანს, იმდენად ჩვეულებრივ ამბავად მიაჩნიათ არსებული განათლების სისტემის მდგომარეობა, რომ მის შესახებ სპეციალურად არ საუბრობენ. სპეციალური აღნიშვნის ღირსი მაშინ ისეთი მოვლენის გამოჩენა შეიძლებოდა გამხდარიყო, როგორიც იყო, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ უმაღლესი განათლების ცენტრის შექმნა გელათის მონასტერთან და სხვა. მიუხედავად ამისა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მრავალი ცნობა მაინც დარჩა იმისათვის, რათა ადრეული საუკუნეების ქართული განათლების სისტემის შესახებ კონკრეტული წარმოდგენა შეგვექმნა.

მე-13—14 საუკუნეებში გართულებულმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ იმოდენა საჭირბოროტო მასალა დაუგროვა მემატიანეებს წარმოსაჩენად, რომ განათლების საკითხებზე მსჯელობისათვის აღარც ეცალათ. ეს ფაქტია, მაგრამ თავისდაუნებურად ისეთი ცნობები მაინც გვხვდება ხოლმე, რომლითაც ჩვენ საერთო მდგომარეობის და ზოგ შემთხვევაში კონკრეტული სურათის შექმნის საშუალება გვეძლევა.

ა) სკოლები მონღოლობის პერიოდში

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მეტად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს. ადრე იგი აღწერილი ჰქონდა მ. ჯანაშვილს თავის „საქართვე-

ლოს ისტორიაში“. აკად. კ. კეკელიძემ სპეციალური ნარკვევი უძღვნა მისი შინაარსის სადაურობისა და დათარიღების საკითხს.[1] ქვემოთ ამ დოკუმენტის ტექსტი მოგვაქვს ისე, როგორც იგი აკად. კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა.

„ქ. ოდე[ს] სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექ(უ)თიმე მოიხილა კახეთს[ა] ანწუხისა საეპისკოპოზო (ი) და მიერითგან გარდმოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა(ი), უუმი ღმრთისმშობლისა(ი), ლექართს წმიდისა მოციქულთასწორისა ნინო ჲსი, ზარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა (ჰ) აბოჲსი, განუხს არჩილისი, ქიშნუხს ღმრთისმშობლისა (ი), ვარდთაშენს ელიაჲსი[ა]... სარანს ყოვლათწმიდის მოციქულის პეტრე ჲსი, კუალად, საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხამამრეხისა და ყოვლისა ვაკისა, ესე იგი არს ძუელი (სა) მოვაკანისა, და ელისენისა(ნი). ვერხვიანით ზეგანით გამო ვიდრე ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზანსა, — და ამან სანატრელმან ექუთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოზსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღდელსა იასე ქიტუაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლელთა თავსმდგომთამდი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფოსება(ი), მამათა ცხორება(ი), ქართლის ცხორება(ი) და ცხორება (ი) ალვანიისა, ესე იგი არს სავანისაჲ, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმან გა (დაიღო) იგი და საკუთრად დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ ოფალო იესო ქრისტე, მეოხ მექმენ დღესა გაკითხვისასა მთავარეპისკოპოსსა კვირილეს. ამინ, ამინ! ქრონიკონსა ფლ, თუესა მაისსა იდ, დასაბამითგანთა ხშიდ წელთა“.

დოკუმენტი მე-14 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (1310 წ.). აქ მოხსენებული ტერიტორიებია დღევანდელი დუშეთისა და თბილისის რაიონების ნაწილი, ნაწილი თელავის რაიონისა, სიღნაღის რაიონი, ზაქათალა და ძველი მოვაკანის ნაწილი.

ტექსტში მოტანილი თხრობით, მაშასადამე, პატრიარქ ექვთიმეს მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისათვის უბრძანებია სახარების გა-

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 314.

დაწერა (რომლის ნაკლებობა შეინიშნებოდა ალბათ) და დამატებითი ეგზემპლარების გავრცელება აღნიშნულ ეკლესიებში. გადაწერის საქმე კირილე დონაურს კაკისა ტაძრის მღვდლის იასე ჭიტიაშვილისათვის და მის თორმეტ მოწაფისათვის დაუვალებია, ხოლო სამუშაოს შესრულების შემდეგ ისინი ეკლესია-მონასტრებში დაუგზავნია და აგრეთვე, „სასწავლელთა თავსმდგომთადმი“, ე. ი. სასწავლებელთა უფროსების, ხელმძღვანელებისათვის. ამათვე ებრძანა „სწავლებად“ „სჯული ჭეშმარიტის“ — საღვთო სჯულისა, „ფილოსოფოსებაი“ — ფილოსოფია, „მამათა ცხორებაი“ — წმიდა მამათა ისტორია, „ქართლისა ცხორებაი“ — საქართველოს ისტორია და „ცხორებაი ალეანიისა“ — ალვანის ე. ი. ჰერეთის[1] ისტორია.

წარმოდგენილი „ანდერძი“, დოკუმენტი ისეთ საინტერესო ცნობებს შეიცავს, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეტად მნიშვნელოვანი სურათი გვეშლება თვალწინ. **ფაქტიურად აქ საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის შესახებ და ამ პროვინციაში სწავლების მდგომარეობაზეა საუბარი. დოკუმენტით ჩვენ იმას ვგებულობთ, რომ დასახელებულ პროვინციაში, რომელიც კირილე დონაურის ეპარქიას შეადგენდა, შვიდი „სასწავლელი“, ე. ი. სკოლა ყოფილა, რომლებშიც სხვადასხვა დისციპლინები ისწავლებოდა — თეოლოგია, ფილოსოფია, მამათა ისტორია, საქართველოს ისტორია. ამას ემატებოდა თვით იმ კუთხის ისტორია, რომელშიც აღნიშნული სკოლები არსებობდნენ, და რომლის ავტორიც ვინმე პეტრე ლაგაძე ყოფილა.**

იბადება კითხვა, თუ რა სპეციალურ ბრძანებას უშვებს კირილე დონაური აღნიშნული საგნების სწავლების შესახებ? ამის გასარკვევად უპირველეს უნდა გავიხსენოთ, რომ ეს არის დრო მონღოლობის მძიმე პერიოდებისა. ამის უწინარესი ხანა თემურ ლენგის რვაგზის შემოსევით ხასიათდებოდა, რომელიც თავისი საშინელებით მონღოლთა თათქმის ყველა შემოსევას სჭარბობდა. თემურ ლენგის შემოსევების მსახვრალი ხელი სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ, კახეთის სანახებს ხვდებოდა. აღნიშნული დოკუმენტი რომ ეხება, ამ შემოსევათა შენელებისა და შედარებით შესვენების პერიოდი იყო. ექვთიმე პატრიარქის მიერ ხსენებული ადგილების მიმოხილვის ერთერთი მიზანდასახულება, შესაძლოა, სწორედ იმ ვითარებას არკვევდა, თუ რა შედეგი დასტოვა მონღოლთა თარეშმა ამ მხარეში და არსებული ნაკლოვანი მხარეების გამოსწორების შესახებაც ბრძანება იქნა გაცემული. რას უნდა გამოეწვია მაშ სახარების ნაკლოვანებათა გაჩენა ეკლესიებში, თუ არა მონღოლთა შემოსევას? ისიც გასაგები უნდა იყოს,

[1] იმ კუთხის ნაწილის ძველადწოდებული სახელი, რომელზედაც საუბარია ტექსტში.

რომ კირილე დონაურის მიერ სწავლების შესახებ გაცემული ბრძანება მისი გამოსწორებისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა.

დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი აღნიშნული დროის სკოლების ისეთ ტერმინოლოგიაზე გვაძლევს წარმოდგენას, როგორიცაა სკოლის სახელწოდება „სასწავლელი“. როგორც ადრე აღვნიშნავდით, ადრეულ და მე-11—12 სს. საქართველოში მასწავლებლის ერთერთი აღმნიშვნელი ტერმინია „მასწავლელი“, ზემოთ მოტანილი ტერმინი ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული.

აღნიშნული დოკუმენტებით იმასაც ვგებულობთ, რომ ამ ხანებში სკოლის ხელმძღვანელს „თავსმდგომი“ ეწოდება. იგი დღევანდელი სკოლის დირექტორის შინაარსის შემცველი ცნებაა. სამწუხაროდ, ეს ტერმინი ასეთი შინაარსით არც ადრე და არც გვიან არსად ნახმარი არაა, ამიტომ ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად ზოგადი ხასიათი უნდა ჰქონოდა მის ხმარებას. ყოველ შემთხვევაში, რაკი ჩვენ მისი შემცვლელი ტერმინი არ გვაქვს, სკოლის დირექტორის აღმნიშვნელ ტერმინად იგი უნდა მივიჩნიოთ.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი წყაროების მიხედვით სასწავლებლები უშუალოდ ეკლესია-მონასტრებთან არსებობს. ამდენად, ეს სასწავლებლები მონასტრის „წინამძღუარს“ ექვემდებარებიან ხოლმე, ისე როგორც ეს ხახულის მაგალითითაც ჩანს. ამდენად, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებში შეიძლება ზედამხედველი გვევარაუდებინა, მაგრამ ცალკე გამოყოფილი ხელმძღვანელი არსად ჩანს. კირილე დონაურის „ანდერძში“ ნათქვამი არაა, რომ „შვიდთა სასწავლელთა“ უშუალოდ ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. პირიქით, მას სახარების გადაწერილი ეგზემპლარები გაუგზავნია „საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი“, ე. ი. ცალკე „საყდართა, მონასტერთა“ და ცალკე „შვიდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი“. რატომ დასჭირდებოდა მას სასწავლებლების ცალკე გამოყოფა, თუკი ისინი „საყდართა“, ან „მონასტერთა“ შიგ არსებობდა? **აქ უფრო ეკლესია-მონასტრებს გარეთ არსებულ სასწავლებლებთანა გვაქვს საქმე, რომლებსაც ცალკე მისამართები აქვთ და რომელთაც ცალკე ხელმძღვანელები, „თავსმდგომნი“, ჰყავთ.** აი, ამ სასწავლებლებისადმი უბრძანებია კირილე დონაურს „სჯული ჭეშმარიტის“, ფილოსოფიის, ისტორიის სწავლების განმტკიცება. „ქართლისა ცხორებაი“ და „ცხორება ალვანიისა“ ისტორიის დისციპლინაში შემავალი სასწავლო სახელმძღვანელოებია, ხოლო „მამათა ცხოვრებაში“ ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები იგულისხმება, რომელიც ქართული მწიგნობრობისა და სალიტერატურო ენის შესწავლას ემსა-

ხურებოდა. ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები ამ მიზნით რომ გამოყენებული იყო ძველ საქართველოში, ამაზე საუბარი ადრეც გვქონდა.

წარმოდგენილი სკოლების სასწავლო საგნები იგივეა, რაც ადრეული საუკუნეების საქართველოსათვის გვქონდა გარკვეული, ოღონდ აქ არაა მოხსენებული ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა, უცხო ენა და ჰაგიოგრაფია, რაც ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში აუცილებლად ისწავლებოდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ აქ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებთან არა გვაქვს საქმე. პირიქით, ყოველივე ზემოთქმული იმას გვიდასტურებს, რომ „შვიდთა სასწავლელთა“ სახით ცალკე, მონასტრებს გარეთ არსებული, საერო ტენდენციების მქონე სასწავლებლებთან გვაქვს საქმე. საესებით ბუნებრივია ის გარემოება, რომ აღნიშნული სკოლების სასწავლო პროგრამაში ეპისკოპოსი კირილე დონაური იხედება, რამდენადაც ფეოდალური ხანის მთელ სიგრძეზე სწავლების საქმე ეკლესიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა.

გარკვეული სახის საეკლესიო-სამონასტრო სკოლა იმავე „ანდერძის“ ტექსტის მიხედვით წმ. ბარბარეს სახელობის ტაძართანაა, სადაც მოძღვრად ანს მღვდელი იასე ქიტუაშვილი. სწორედ ამას და მის თორმეტ მოწაფეს დაავალა კირილემ სახარებათა ეგზემპლარების გავრცელება.

იასე ქიტუაშვილი აღნიშნულ თორმეტ მოწაფეს კალიგრაფებად, გადამწერებად ამზადებდა. ასეთი გადამწერი კადრის მომზადება, როგორც ჩანს, იმ დროისათვის იშვიათი არ იყო და ეს ფუნქცია ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებს შერჩათ. აქ ასწავლიდნენ მწიგნობრობას, ეტრატის დამზადებას, დაწერილი ტექსტის ტყავის ყდით შეკვრას, მის მოკაზმვას და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი საქმის შესწავლას მასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლადაც ესწრაფვოდნენ ხოლმე. ამასთან დაკავშირებით სახარებისა და საგალობლების ერთ-ერთი გადამწერის, ვინმე ავგაროზ ბაიადაძის, საინტერესო ცნობა გვხვდება. იგი აცხადებს, რომ „წყალობითა ღ—თისათა მომეცა თვინიერ მოძღურისა ხელოვნება ესე ვითარი: პირველად ხელი სწავაჲ ხუცობისა, ხელი მეორე მწიგნობრობისაჲ... წერაჲ... ტყავის კერვისა... ხუროვნობისაჲ, ხელი მეათე მსოფლიო მუშაობისა“.[1]

მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი თხრობით იმ დასკვნებამდე მივდივართ, რომ მე-13—14 საუკუნეების საქართველოში, მიუხედავად

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A—575.

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების არეულობისა, მონღოლთა განუწყვეტელი შემოსევებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რბევა-თარეშისა, სწავლა-განათლების ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ ცხოველ სახეს ინარჩუნებდა. აღმოსავლეთ საქართველოს მარტო ერთ პროვინციაში შვიდი სასწავლებელი არსებობს, რომლებშიც ასწავლიდნენ: თეოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიას.)

აღნიშნული სასწავლებლები საერთო ტენდენციების მატარებლები არიან.

ბ) საერო-სარაინდო აღზრდა ძველ საქართველოში

როგორც წინა მონაკვეთებიდან დავინახეთ საერო-სარაინდო აღზრდა საქართველოში უძველესი ხანიდან გვხვდება. ასე იზრდებოდნენ მაღალი წოდების წარმომადგენლები ადრემონათმფლობელურ, ადრეფეოდალურ და ფეოდალურ საქართველოში.

ფიზიკური აღზრდა, რომელიც სამხედრო წვრთნასთან იყო დაკავშირებული, ადრეფეოდალური და ფეოდალური ხანის საქართველოს წარჩინებული წოდებისათვის მუდამ დამახასიათებელი იყო, ისევე, როგორც ევროპის ფეოდალური საზოგადოებისათვის. მაგრამ საქართველოს სინამდვილეში, კერძოდ, ადრეული პერიოდისათვის აშკარად მოჩანს ის ტენდენცია, რომ აღზრდის პროცესში ფიზიკურ აღზრდას არასოდეს პრიმატი არ ჰქონია მიცემული. იგი აღზრდის ერთ-ერთ სახედაა მიღებული. არსებული მასალების მიხედვით, პირიქით, გონებრივი აღზრდის პრიმატი უფრო შეინიშნება. ადრემონათმფლობელური ხანისათვის ამ მხრივ ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის მიერ კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ დატოვებული ცნობაა მისანიშნებელი. ამ ცნობის მიხედვით, აღნიშნულ სკოლაში არა „ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა, ან ჯირითი“ ისწავლებოდა „მეზობელი ბარბაროსთა წესების მიხედვით“, არამედ, „თუ როგორ გაიწრთვნა რიტორიკულ ხელოვნებაში.“

საგულისხმოა ამ მხრივ ქართლის ცხოვრებაში ვახტანგ გორგასლის აღზრდის შესახებ მოტანილი ცნობაც, რომლის მიხედვითაც იგი თურმე აღიზრდებოდა „ფილოსოფოსთა თანა“ და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება გონებრივ აღზრდას ქრისტიანულ პერიოდში მიექცა როგორც საერთოდ, ასევე, საქართველოში. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ქრისტიანობამ თავისებური დამოკიდებულება შეიმუშავა სამყაროსა და კერძოდ, ამ სამყაროს ნაწილის — ადამიანის მიმართ. ადამიანი თავისი ფიზიკური სხეულით, ისევე როგორც მიწიერი სამყარო, ცოდვად იქნა გამოცხადებული. ბრძოლა გამოეცხადა

ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებს, მის გრძნობად მხარეს. აღიარებული იქნა სულის პრიმატი და მოთმინების, საკუთარი მეს უარყოფის თეორია.

ქრისტიანობა ყველგან და ყოველთვის ერთნაირი კანონებით მოქმედებდა. ასეთი იყო მისი შეხედულებანი და კანონები საქართველოშიც, რასაც აღზრდის საქმისათვისაც გარკვეული მიმართულება უნდა მიეცა. ეს ასეც მოხდა და ამაზე აშკარად მეტყველებს ასურელ მამათა მოღვაწეობის და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობაში დაცული ცნობები და სხვ.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქრისტიანობამ, რომელიც ასე ძლიერად შემოიჭრა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში და რომელმაც ქვეყნის სულიერი სფერო თავის კონტროლს დაუქვემდებარა, აბსოლუტურად გამორიცხა ფიზიკური აღზრდა როგორც აღზრდის ერთ-ერთი სახეობა. ფეოდალურ სამყაროში ქრისტიანობას ეს არც შეეძლო გაეკეთებინა, რადგან ქვეყნის ძლიერების, შინაკლასობრივი ანტაგონიზმისა თუ გარედან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად სწორედ სამხედრო ძალა იყო საჭირო. ასე რომ, თუკი თეოლოგია, ვითარცა აუცილებლად საცოდნელი დარგი სავალდებულო იყო ყველასათვის, მათ შორის ფეოდალური წრის შვილებისათვის, აუცილებლობით გამოწვეული იყო, ასევე, სამხედრო აღზრდის მიღებაც.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით თვალნათლივ მოჩანს განვითარებული ფეოდალიზმისა და გვიანი ფეოდალიზმის ხანის საქართველოში. მე-11—12 სს. განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე საქართველო ძლიერი სახელმწიფოა, რომლის დროსაც არათუ ქვეყნის დაპყრობის მოსურნე არაბობის ნაშთებისა და სელჩუკთა დინასტიების განდევნა ხდება, უფრო მეტიც, ქართველთა მხედრიონი საზღვრების გაფართოებისა და საქართველოს ძლიერების განმტკიცებას ემსახურება.

აღნიშნული ხანის საისტორიო ძეგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამა თუ იმ პირის ფიზიკური აღნაგობის წარმოჩენას. ეს აღნაგობა რაინდული თვისებების მქონე ადამიანის აღნაგობაა. მაგალითად, დავით სოსლანიო, აღწერს ისტორიკოსი—„მოყმე იყო ფერნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი". თამარის ვაჟი გიორგი ლაშა „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი."[1] იგივე გიორგი ლაშა „მხნედ მოისარი" ყოფილა.

ასე გამოიყურებიან აღნიშნულ ეპოქაში შექმნილი შოთა რუსთაველის გმირებიც. ავთანდილი იყო „ტურფა" „სახით და ანაგებითა".

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 46,156.

ხოლო ტარიელი „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ჰგავდა „ედემს ზრდილსა".

იქ სადაც ფიზიკურ ძლიერებაზე და მშვენიერებაზეა საუბარი, ფიზიკური აღზრდის შედეგთან გვაქვს საქმე. რუსთაველის გმირები სპეციალურ ფიზიკურ წვრთნას გადიან. ფიზიკური აღზრდა „ვეფხისტყაოსანში" აღზრდის ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული.

ფიზიკური წვრთნა სპეციალური ვარჯიშით ხდებოდა. ამასვე ემსახურებოდა ნადირობა, ბურთაობა. ეს უკანასკნელი, როგორც ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა ფრიად გავრცელებული ჩანს. მაგალითად, ერთერთი თავყრილობის აღწერისას მემატიანე გვაუწყებს, რომ „დამყოფელთა მსგეფსისა ერთისათა ჰქონდა ყოველთა დღეთა სიხარული: მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნ ა დ ი რ ო ბ ა დ ა ბ უ რ თ ა ო ბ ა." იგივე ბურთაობა „ვეფხისტყაოსანში" ტარიელის საყვარელი ვარჯიშია — „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან, შერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან". აქვე, შესავალში რუსტევან მეფე ამბობს — „ღმერთმა არ მომცა ყმა-შვილი ვარ საწუთროსა თმობითა, ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა". ვარჯიშის იგივე სახეობა გვიანი ხანის საქართველოშიც გვხვდება. მაგალითად, შაჰნავაზ მეფის შვილი არჩილი (მე-17 ს.) იყო „მობურთალი, მოისარი".

ვარჯიშის სახეობათა შორისაა ასევე, „ცურვა". მაგალითად, დავით სოსლანიო, ამბობს მემატიანე — „წაეჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მ ც უ რ ა ვ ს ა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ხელთა სიკეთითა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოფილა მისი მასწავლებელი და თანა მოსწავლე და თუ გარეთა ქუეყანათა მოსრულა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი."

ვარჯიშით ხდებოდა მხედრობის ვირტუოზული დაუფლება. სარგის ჯაყელი იყო თურმე „ხელოვნად მებრძოლი ცხენსა ზედა, მხნე მოისარი, საჩინოდ და ნადირთა უცდომლად მმუსრველი".[1]

მაშასადამე, მე-11—12 სს ქართველი დიდებულების აღზრდის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, ბერი ეგნატაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „რაიონდობასა შინა" აღზრდას ეკავა. რაინდი უნდა ყოფილიყო კარგი „მოასპარეზე", „მხედარი", „მონადირე", „მოისარი", „მობურთალი", „მოცურავე", „მხნე", „ახოვანი", „ძლიერი", „ლაღი", „ტურფა" „სახითა და ანაგებითა". ყველა ამ თვისებათა გამოსახატავად იმ დროის საქართველოდან ჩვენ შემოგვრჩა ცნება— „ს ა მ ა მ ა ც ო ნ ი ზ ე ნ ი ა", რომლის ათვისება თურმე სწავლით, ე. ი.

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 48, 66, 240.

აღზრდის პროცესში ხდებოდა. როსტევან მეფე „ვეფხისტყაოსანში“ როცა უძეობაზე მოსთქვამს, ამბობს — „კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.

აღნიშნული ტერმინი გვიანი ხანის ქართულ დოკუმენტებშიც ხშირად გეხვდება. მაგალითად, შაჰნავაზზე ნათქვამია, რომ გი „სიმამაცოსა ზნეობასა შინა უსწორო“ იყოო. მაგრამ გვიანი ხანის წყაროებში გარდა „სამამაცოსა ზნეობასა“ სხვა, ამასთან დაკავშირებული ტერმინებიც გეხვდება, კერძოდ, „სამხედროთა ზნითა“, „სამამაცო ზნეობათა“, კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით—„საეროთა ზნეობათა“. მაგალითად, ეახტანგ მეფეზე (დავით რუსუდანის ძის ვაჟი) ნათქვამია, რომ იგი იყო „პატიოსანი, ღმრთის მოყუარე, ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მხნე, და სამხედროთა ზნითა აღსავსე.“ დემეტრე მეფის შვილი დავითი, აგრეთვე, „სამხედროთა ზნითა აღსავსე“ ყოფილა.[1] სხვა ადგილას ვკითხულობთ, რომ შაჰნავაზ მეფემ თავისი შვილები პატიოსნებით აღზარდა და „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლა საღმრთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჭაკაოთა მხედრობათა ყოვლითურთ, სამამაკაო ზნეობითა“[2]

მოტანილ ტერმინებში საერთოა—„ზნეობა“. ამ ტერმინს სულხან-საბა ორბელიანი ასე განგვიმარტავს — „ჩვეულებით რაიცა საქმე სჭირდეს, კეთილი თუ ბოროტი, ზნე იგი არს“. ამ ტერმინს არჩილის „საქართველოს ზნეობათა“ მიხედვით ფეოდალური აღზრდის და განათლების ზოგიერთი საკითხის განხილვისას თავის დროზე დაუკვირდა აკად. ს. ჯანაშია. „ავტორი (ე. ი. არჩილი—სვ. გ.) ზნეობას ყველა იმ თვისებას უწოდებს, — დასძენს იგი, — რომლებითაც, მისი აზრით, შემკული უნდა იყოს ყოველი პირი, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩაითვალოს. ყველა დანარჩენი ადგილიც ამ აზრს ადასტურებს“, „თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში არჩილის თხზულების საგანი ჩვენს თემაზე უფრო ფართო უნდა იყოს, და ასეც არის. არჩილი ხშირად ისეთ რამეებზე ლაპარაკობს, რასაც ჩვენ ზრდილობას ვერ მივაკუთვნებთ (მაგ. ზოგადი ხასიათის ზნეობრივი, დღევანდელი მნიშვნელობით თვისებები: „ისაა კარგი ზნეობა, ვინც გულითა არ ბოროტობს“)[3].

მაშასადამე, ზნეობა ჩვეულებას, წესებს, თვისებებს ეწოდება. არ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 293, 440.

[2] იქვე, გვ. 440, 441.

[3] სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალათა კრებული, I. 1937. გვ. 24.

ჩილს ზნეობის უამრავი სახეობა აქვს დასახელებული — „საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო, ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო“[1], ე. ი. საქართველოს თავისი წესები, ზნეობანი აქვს და ქართველები მხოლოდ მას უწევენ ანგარიშს.

ამ ჩვეულებების, წესების მატარებელია ქართველი რაინდი, რომელიც შეიძლება იყოს წარჩინებული წოდების პირი და რომელიც სპეციალურ აღზრდას გაივლის სარაინდო ზნეობათა შესათვისებლად.

მაგრამ ქართველი რაინდის აღზრდა მარტო „სამამაცო ზნეობათა“ შინა როდი ხდებოდა. როგორც ადრეც აღვნიშნავდით, საქართველოში ძველთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა გონებრივ აღზრდას ექცეოდა. მართალია, გვიან ხანებში საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაცემისა, გარეშე მტრების განუწყვეტელი რბევა-თარეშისა და მათთან ბრძოლის პირობებში სწავლა-განათლება კულტურის საერთო დონის დაქვეითებას გაჰყვა კვალდაკვალ, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებდა აღზრდაში გარკვეულ ადგილს. რომ ეს ასე იყო, ამას გვიდასტურებს შაჰნავაზის მიერ შვილების განსწავლაზე ზემოთ მოტანილი ციტატაც, სადაც ნათქვამია, რომ ისინი მან „პირველად განსწავლა საღმრთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ“. ალექსანდრე მეფეზე, მაგალითად, ნათქვამია რომ „იყო კაცი სახიერი და სწავლული ყოველსავე საღმრთოსა და საეროთა ზნეობათა აღსავსე“, ე. ი. მან თეოლოგიაც კარგად იცოდა და საერო ზნეობაც.

რა თქმა უნდა, გვიანი პერიოდის ქართველი რაინდის გონებრივი განათლება საკმაოდ განირჩეოდა უკვე მე-12—13 საუკუნეთა რაინდის განათლებისაგან, როცა გვხვდებიან ისეთები, როგორიც იყო, მაგალითად, „სარგის თმოგველი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი“ და სხვ.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში სარაინდო „ზნეობათა“ შორის გონებრივი განათლება, როგორც აუცილებელი კომპონენტი, რჩება, ოღონდ მას აღარ ეკავა ტრადიციული ადგილი აღზრდაში.

მისანიშნებელია, აგრეთვე, რომ ქართველი რაინდის „ზნეობანი“ რთული და მრავალმხრივი იყო, რითაც, შეიძლება ითქვას, იგი საკმაოდ განსხვავდებოდა შუასაუკუნეთა ევროპელი რაინდისაგან. მხოლოდ ყოველმხრივ აღზრდილ ქართველ რაინდს შეიძლებოდა „ზნე-სრული“ წოდებოდა. მაგალითად, ეგნატაშვილი ბერი იმერეთის მეფის, ალექსანდრეს ძის — მამუკას, დახასიათებისას ამბობს, რომ იგი „იყო ყრმა ჰასაკად მიწევნული, შუენიერი და ასაკოვანი, მსგავსი მამისა თვისისა, განთქმული რაინდობასა შინა, კისკასად და უებროდ მორბედი, რამეთუ

[1] იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 14, ტაეპი 101.

კნინლა და ჟამსა მას არსადა აღზრდილ არს ესევითარი მოსაკეთაგანი მზნე-სრული და გულოვანი გოლიათებრივი“.[1] „ზნე-სრული“ აქ ყოველმხრივ აღზრდილ რაინდს აღნიშნავს. თუ რა იგულისხმებოდა რაინდის ყოველმხრივ აღზრდაში, ამას არჩილის მეტად საინტერესო თხზულების — „საქართველოს ზნეობანი“-ს განხილვით გავარკვევთ, რომელშიც ფაქტიურად საქართველოს სინამდვილის ტრადიციულ „ზნეობათა“ ასახვაა წარმოდგენილი.

ამჯერად კი ზემოთ წარმოდგენილ მასალებს ასეთ დასკვნამდე მივყავართ: საერო-საარაინდო აღზრდის სახე საქართველოში ძველთაგან არსებობდა. თუ ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების ადრეულ პერიოდებში ისე მკვეთრად არ მოჩანს საარაინდო აღზრდის სახეობა, საქართველოს ერთმმართველური, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის დროიდან, იგი უფრო ძლიერად გამოიკვეთა, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში ფეოდალი რაინდი გონებრივად განვითარებული უნდა ყოფილიყო, მას შესწავლილი უნდა ჰქონოდა „სამამაცონი ზნენია“ — მოგვიანებით „სამხედრო ზნეობად“ წოდებული, „საერო ზნეობანი“, რომელშიც საზოგადოებრივი ეთიკის ნორმების დაცვა იგულისხმება. აღნიშნული ტერმინები, რიგორც საერო-საარაინდო აღზრდის განმსაზღვრელი ცნებები გვხვდება მე-12—13 სს, აღზრდის საერო-საარაინდო ხასიათის წარმოჩენასთან ერთად. ფეოდალური საზოგადოების ღირსეული წევრი, „ზნესრული“, ქართველი ფეოდალი რაინდი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მას ყველა საარაინდო „ზნეობანი“ ათვისებული ექნებოდა. აღნიშნულ „ზნეობათა“ ათვისება კი აღზრდის პროცესში სპეციალური სწავლებით ხდებოდა.

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 429.

ნაწილი მეოთხე

სწავლა-განათლება და პედაგოგიური იდეები მე-16—17 სს. და მე-18 ს. პირველი ნახევრის საქართველოში

მე-16-18 სს. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩებოდა. ირანისა და თურქეთის შემოსევები, რომელთაც აღგილობრივი მკვიდრნი თავგანწირული წინააღმდეგობით ხვდებოდნენ, ერთმანეთს ცვლიდნენ. ქვეყანა მუდმივ აოხრებასა და გაპარტახებაში იყო. ქართველი მესვეურები გარეშე დამხმარე ძალას ეძებდნენ მოძალებული მტრის მოსაგერიებლად. ამ მიზნით არაერთი ელჩობა გამგზავრებულა ევროპაში, თანდათან გაცხოველდა რუსეთთან ურთიერთობა.

აღნიშნული პერიოდების საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შერყევი იყო იმისდა მიხედვით თუ რა პოლიტიკური სიტუაცია იქმნებოდა ქვეყანაში. გარეშე მტრების შემოსევების შეწყვეტა და პოლიტიკური მშვიდობიანობა, ისევე როგორც ეს წინა საუკუნეებში ხდებოდა, ეკონომიკის გამოცოცხლებას იწვევდა. მე-17 ს. ფრანგი მოგზაური შარდენი, რუსი ელჩები ე. მიშეცკი და ი. კლუჩარევი, იტალიელი მოგზაური დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და სხვები, ერთი მხრივ თურქი და ირანელი დამპყრობლების ლაშქრობათა შედეგად ნანგრევებად ქცეულ ქალაქებსა და სოფლებს, ქვეყნის მძიმე ეკონომიურ ვითარებას აგვიწერენ, ასევე, მშვიდობიან პერიოდებში გამოცოცხლებული მეურნეობის მდგომარეობასაც.[1]

მონღოლთა ბატონობის შემდგომი ხანიდან, კერძოდ, მე-15—16 სს ხელოვნების ახალი ძეგლები იშვიათად, ან საერთოდ აღარ იქმნებოდა. მთავარი საზრუნავი ამ დროს ძველი ძეგლების აღდგენა-შეკეთება და დაცვა იყო. მიუხედავად იმ ავბედითობისა, რაც საქართველოს გარეშე მტრების შემოსევებით თავს დაატყდა, აგრეთვე, ბიზანტიური

[1] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ჟ. ბარნოვის თარგმ. თბილისი, 1935, გვ. 57, 79, 80., თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640—1643 წწ., საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, ტფილისი, 1928, გვ 160., დონ ჯუზეპე მილანელის წერილები საქართველოზე XVII საუკ., იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 85 და სხვ.

კულტურის დაცემისა, რომელთანაც ქართულ კულტურას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, უკანასკნელი მაინც ინარჩუნებდა ძველ ტრადიციებს.

მონღოლთა ხანიდან მოყოლებული შედარებით ნაკლებადაა შემონახული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. თუ არის ისიც გვიანი, მე-16—17 სს და შემდგომი ხანისა. ერთხანს ფრიად გავრცელებულა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა წერა (სარგის თმოგველი, ვინმე მესხი მელექსე, მანუჩარი, იოსებ თბილელი, გიორგი თუმანიშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი). შემდგომ ხანებში ჩნდება ფირდოუსის „შაჰ-ნაზეს“ ქართული ვერსიები (როსტომიანი—სერაპიონ საბაშვილი-კედელაურის — მე-16 საუკუნეში, ხოსრო თურძანიძისა—მე-16 ს. მიწურულის, მამუკა თავაქალაშვილის „ზააქიანი“ მე-17 ს., ბარძიმე ვაჩნაძის „უთრუთიან-საამიანი“ — მე-17 ს. და სხვა).[1] აღნიშნული ვერსიები ზოგი ლექსად, ზოგიც პროზადაა შესრულებული და თავიანთი მხატვრული ღირსებით არცთუ მაინცდამაინც ღირსშესანიშნავნი არიან.

შედარებით მაღალმხატვრული პოეტური ქმნილებები შექმნა მე-17 საუკუნეში თეიმურაზ I-მა, რომლითაც ფაქტიურად იწყება გამოცოცხლების ხანა აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობაში. თეიმურაზის პოეზიას უშუალობა, პოეტური ემოციურობა, სიმძაფრე ახასიათებს. მისი ნაკლოვანი მხარე ისაა, რომ იგი ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიის ტრადიციების შემოტანას ცდილობდა, მან ქართული პოეზიის ტრადიციებს გადაუხვია. მიუხედავად ამისა, თეიმურაზმა მაინც გარკვეული როლი ითამაშა ქართული მწერლობის განვითარებაში.

თეიმურაზის პოეზიის საპირისპირო პოზიციაზე იდგა მე-17 საუკუნის თვალსაჩინო ქართველი პოეტი-მოაზროვნე არჩილი, რომლის პოეზია თეიმურაზის ირანოფილური ტენდენციებისაგან განსხვავებით ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული და იდეურად გამართული, რეალისტური შემოქმედების გზას ადგას. არჩილის მიმდევართაგან ცნობილი არის ფემანგი, რომელსაც პოემა „შაჰნავაზიანი“ აქვს შეთხზული. ამ პოემაში შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (მეფობდა 1620—1675 წწ.) და მისი შვილის, ზემოხსენებული არჩილის, თავგადასავალია მოთხრობილი. მეორე გახლავთ იოსებ თბილელი, რომელსაც პოემა „დიდმოურავიანი“ შეუთხზავს, დიდი მოურავის — გიორგი საააკაძის, ისტორიის თხრობით.[2]

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, (V—XVIII სს.) კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე (საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამოც.) თბილისი, 1953 წ.

[2] იქვე, გვ. 379, 380.

წარმოდგენილი ისტორიული პოემები, როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი „ქართული საისტორიო მწერლობის განახლებასა და აღორძინებას წინამორბედნივით... უძღოდნენ წინ და საქართველოში ისტორიული ცნობისმოყვარეობის გამოღვიძებას მოასწავებდნენ“.

აღნიშნული პერიოდის ისტორიული ხასიათის თხზულებათაგან აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრების“ ის ნუსხა, რომელიც 1638—1646 წწ. როსტომის შეუღლის, დედოფალი მარიამის ბრძანებით გადაწერილა და რომელსაც დღეს „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხას ვუწოდებთ. ამავე როსტომის დროს დაწერილა ფარსადან გორგიჯანიძის საქართველოს ისტორია, რომელშიც როგორც წარსულის, ასევე მე-17 ს. ისტორიაა მოცემული, რისი მომსწრე და თვალით მხილველი თავად ფარსადანი ყოფილა.

მე-18 ს. პირველ მეოთხედში გიორგი XI-ის კარისკაცის და მისი ძმის ლევანის გაზრდილი სეხნია ჩხეიძის მიერ დაწერილა საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთა“, რომელშიც 1653—1739 წლებს შორის მოქცეული პერიოდის ქართველ მეფეთა ისტორიაა მოთხრობილი, მასში, როგორც თავად ავტორი აცხადებს — „არა მარტივად ქართლისა“, არამედ, „ამბითა უცხოთა ქვეყნისათა“ ამბებია მოთხრობილი, კერძოდ, ირანისა, რამდენადაც სეხნიამ იქ ლევანთან ერთად დიდხანს დაჰყო.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საისტორიო წყაროთა დამუშავებას მე-18 ს. ამ მიზნით ვახტანგ VI-ემ „სწავლულ კაცთა“ სპეციალური კომისია შეადგინა, რომელმაც XIV—XVIII სს საქართველოს ისტორია დაწერა. მე-18 ს. პირველ ნახევარშივე ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დაიწერა საქართველოს ისტორია, რომლის პირველ ნაწილში იგი „ქართლის ცხოვრების“ დამუშავებას და შევსებას ისახავდა მიზნად, ხოლო მეორე ნაწილი იმავე პერიოდის ისტორიას აღწერს, რაც „სწავლულ კაცთა“ მიერ იქნა გაკეთებული. ვახუშტის სახით ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი მეცნიერი წარმოგვიდგება, რომელსაც ზემოთ წარმოდგენილი თხზულებებივით აღმწერლობითი ხასიათის საისტორიო შრომა როდი აქვს დაწერილი — „მისი კრიტიკული და ისტორიული მეთოდები და თეორიული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების უმთავრესი ხანებისა და დამახასიათებელი თვისებების შესახებ სწორედ რომ განსაცვიფრებელია“.[1]

ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის პირველი ცდა საქართველოს გეოგრაფიის შედგენისა, რაც მან თავისი ცნობილი ნაშრომის — „აღწე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 31.

რა სამეფოსა საქართველოს“ — სახით წარმოგვიდგინა, აღნიშნული ნაშრომი დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და მკვლევართა სამაგიდო წიგნია.

ვახტანგის კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი თაოსანი და სულისჩამდგმელი იყო სულხან-საბა ორბელიანი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ შედგენილი „ქართული ლექსიკონი“. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი იგავ-არაკების კრებული „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა და რომლითაც ავტორი ქართული პროზის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად გვევლინება. მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა მისივე „მოგზაურობა ევროპაში“, სადაც პოლიტიკური მისიით მოგზაურობის, „თვალით ნანახი“ შთაბეჭდილებებია გადმოცემული.

ქართული აღორძინების ხანის ერთ-ერთი დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პოეზიას. მე-18 ს. ქართველ პოეტთაგან (ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, თეიმურაზ მეორე და სხვა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით გურამიშვილის შემოქმედება, რომელმაც ქართულ პოეზიას დახვეწილი, მგზნებარე, იდეურად გამართული და ახალი ნიმუშებით გამდიდრებული ნაშრომები შემატა.

ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა ვახტანგ VI. თავისი ლირიკული ლექსები მას ძირითადად სპარსეთში ყოფნის ჟამს აქვს დაწერილი. აქვე წამოუწყია ცნობილი „ქილილა და დამანას“ თარგმნა, რომელსაც შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის დახმარებით აკეთებდა.

მაგრამ ვახტანგ VI უპირველესს როგორც საზოგადო მოღვაწე იქცევს ყურადღებას. ყველა ის კულტურული საქმიანობა, რომელიც მე-18 ს. პირველ მეოთხედში სწარმოებდა, ვახტანგის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. მან გარშემო შემოიკრიბა იმ დროის მოწინავე, განათლებული ადამიანები, რომელთა ხელშეწყობითაც ეწეოდა ინტელექტუალურ საქმიანობას. ვახტანგ VI მთელი თავისი საქმიანობით წარმოგვიდგება როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, პოეტი, რედაქტორი-გამომცემელი, სჯულმდებელი. მისი თაოსნობით 1709 წელს ამუშავდა ქართული სტამბა,[1]

[1] ქართული სტამბის ისტორია საერთოდ 1629 წლიდან იწყება, როდესაც რომში გახსნილ ქართულ სტამბაში პირველად დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ამაზე იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 292.

1709 წელს თბილისში დაარსებული სტამბა თვით ვახტანგის რუსეთს გადასახლებით, ხოლო თბილისში შემოსულ თურქთა და ირანელთა თარეშით აოხრებული იქნა, მისი აღდგენა მოხდა 1759 წელს ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის ინიციატივით და მეურვეობით, ამასთან დაკავშირებით თანამედროვე მემატიანე პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს — „გამოიძიეს დიდის ცდით და გამოიღეს სტამბა რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მიეღო ულახვით და მის მეფობას აქეთ ქართულში აღარსად იყო“, ამ საქმეში ანტონ ბატონიშვილი პატრიარქს „შემწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი“ (ნ. ჩუბინიშვილის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 417).

რომელშიც მრავალ სხვა წიგნებთან ერთად პირველად დაისტამბა ვახტანგისეული რედაქციის „ვეფხისტყაოსანი“. მისივე თაოსნობით საქართველოში ძველთაგან არსებული სამართლის ძეგლები შეგროვდა, სხვა ქვეყნების სამართლის წიგნებს შეედარა და საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილი სამართლის კრებულით სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნი შეიქმნა, რომელსაც თავად ვახტანგმა „დასტურლამალი“ უწოდა.

ვახტანგ VI თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო. გარდა „ქილილა და დამანასი“ მას სხვა თარგმანებიც აქვს შესრულებული (სპარსულიდან დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოები „ამირნასარიანი“, აგრეთვე, კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური ხასიათის სახელმძღვანელო წიგნი „აიათი ანუ ქმნულების ცოდნა“ და სხვა). გასაგებია ის პოპულარობა და სიყვარული, რაც ვახტანგ VI-ემ ქართველ ხალხში მოიპოვა. ტყუილად როდი დასტიროდა დავით გურამიშვილი ასე მწარედ მის გარდაცვალებას.

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, — სახლ-კარი თავს დაგვეჭცაო“.

1. სწავლა-განათლების მდგომარეობის საერთო მიმოხილვა. კათოლიკე მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობა

ისე როგორც წინა პერიოდშიც, მე-16—17 სს და მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში არსებული სწავლა-განათლების საერთო სისტემის შესახებ მასალების უქონლობის გამო, სათანადოდ მსჯელობა ჭირს. შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოსახვა იმის შეახებ, თუ პოლიტიკური სიტუაციებით დამძიმებულ ამ მეტად მძიმე პერიოდებში, როგორი იყო განათლების მიღებისადმი საერთო მისწრაფება, რა როლი ითამაშა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობამ განათლების საქმის მოგვარებისათვის მას შემდეგ, რაც განუწყვეტელი შემოსევების გამო ეკონომიურად დაძაბუნებულ ქვეყანაში სწავლა-განათლების სისტემა მოიშალა და ბოლოს, რა სახით ხდებოდა ფეოდალური ახალგაზრდობის საშინაო სწავლებით აღზრდა.

უპირველეს შევეხებით კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას, რომელთა გამოჩენა საქართველოში ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან იწყება, ხოლო უფრო გვიან მათი აქ მოსვლა და მოღვაწეობა ინტენსიურ ხასი-

ათს ატარებს. „მისიონერების დახმარებით ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპის ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით — დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისა, რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში". თავისთავად მისიონერები, რომლებიც „ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალ'სა და პოლიტიკურ-კოლონიური ექსპანსიისა აღმოსავლეთში"[1], მოხერხებულად იყენებდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა ამ მისწრაფებას და ავრცელებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას მოსახლეობაში. ამ საქმეთა გადავილებისა და წარმატებისათვის სწავლობდნენ ქართულ ენას და სხვადასხვა თეოლოგიური ხასიათის წიგნებს თარგმნიდნენ, პროპაგანდა'ს ეწეოდნენ ხალხში, ხსნიდნენ კერძო ხასიათის სკოლებს. ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რომის საეკლესიო (პროპაგანდის) კოლეგიის სასწავლებელში აგზავნიდნენ, სადაც ისინი თეოლოგიასთან ერთად ღრმად ეუფლებოდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებას და ამგვარად, სპეციალური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულნი, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ხელს უწყობდნენ. ყოველივე ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კათოლიკე მისიონერების ვრცელი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც აქა-იქ ჩვენთვის საინტერესო საკითხიცაა მოცემული.

კათოლიკე მისიონერების ამგვარ მოღვაწეობას ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანა მტრის მსახვრალი ხელით არა ერთხელ გავერანებულა, თავისთავად, მნიშვნელობა ჰქონდა. რომის პაპისადმი მეფე თეიმურაზ I-ის მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ქვეყნის მძიმე მდგომარეობის შესახებ ვკითხულობთ—„რაც შეეხება ჩვენის სამეფოს აწმყო მდგომარეობას, ძრიელ სამწუხაროა. თვით ეს თიათინელი მამებიც (ე. მისიონერები. — სვ. გ.) თვალით ხედვენ თუ ხისა თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოახსენებენ თქვენს უწმინდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაში ჩვენი ეკლესიებია, რადგან მტრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები, არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს" და სხვა[2]. აშკარაა მტრის მიერ გატაცებულ აქ აღწერილ ნივთებს მრავალი წიგნებიც თან გაჰყვებოდა და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ, თუ სხვა საერო ხასიათის სკოლებსაც, კარგი დღე არ დაადგებოდა. მეფის ხელისუფლება გრძნობდა რა ასეთ ვითარებაში მისიონერთა მოღვაწეობის მნიშვნელობას ამკარა თუ (გარკვეულ პერიოდებში საქართველოში შემოსული სპარსთა და ოსმალთა მეთვალყურეების, ან კათოლიკობის წინააღმდეგ ადგილობრივი მართლმადიდებელი საეკლესიო წრის წარმომადგენელთა შიშით) ფარული ფორმით, ყოველნაირად ცდილობდა მათთვის შემწეობა აღმოეჩინა. თეიმურაზი მისიონერებს მკურნალ-ექიმებისა და მხატვრების მოყვანასაც კი თხოვდა, რადგან მტრის მიერ მასიურად განადგურებული ეკლესიების მოხატვისა და ამ არეულობაში გაჩენილი სხვადასხვა სენის განკურნებისათვის ადგილობრივი კადრი აღარ ყოფნიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ძველად არსებული კარაბადინებისა (მე-13 ს. „წიგნი სააქიმოჲ", ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი და სხვ.), საქართველოში არა ერთი საექიმო წიგნები შექმნილა. ამათგან საინტერესოა მეფის ლუარსაბის ძის, დაუთხანის, მიერ სხვადასხვა საექიმო წიგნების თარგმანებით — „სრულისა სააქიმოსა წიგნებიდან გამორჩეული და გამოკრებილი და ყოვლისა სენისა და ჭირისა მკურნალი და წამალი", შექმნილი საექიმო წიგნი, რომელიც „იადიგარ დაუდის" სახელითაა ცნობილი[1]. მაგრამ გარდა სამკურნალო წიგნების არსებობისა მკურნალი ექიმების გარკვეული კადრიც იყო საჭირო, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მოსახლეობას მოემსახურებოდნენ. ასე რომ, ექიმობის საქმის მცოდნე მისიონერების დახმარება ამ საქმეში დიახაც საჭირო იყო.

რაც შეეხება სკოლებს, მე-16 საუკუნეში მისიონერები მათ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში აარსებდნენ. ამასთან დაკავშირებით მაგალითად, პატრი კლემენტე გალანოს მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მისიონერებმა გურიის პროვინციაში „დააარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვით გამოართვეს მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ". აღნიშნულ სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, თეოლოგიას. იმ ბავშვებს, რომლებიც სწავლაში ნიჭს გამოიჩენდნენ, რომში აგზავნიდნენ უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ანალოგიური ვითარება აღწერილია სამეგრელოს კუთხის შესახებ, კერძოდ, პატრი ძამპი აცხადებს, რომ —„კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილშობილი ყმაწვილი მოგვაბარა გასაწრთვნელად და სარწმუნოების პირველ დასაწყისის ცოდნის სასწავლელადო."

მისიონერების მიერ გახსნილი არაერთი სკოლა იყო აღმოსავლეთ

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 77.

[2] იხ. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ. 1902, გვ. 109.

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ. სტიტუტის ხელნაწერების ფონდი Q—562. ტექსტი გამოცემული აქვს ლ. კოტეტიშვილს, იხ. იადიგარ დაუდი, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI საუკუნე, თბილისი, 1931.

საქართველოში. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისათვის პატრი კარლო თავის მოხსენებაში ასეთ სკოლას თბილისში ასახელებს, ხოლო პატრი სერაფიონის 1671 წლის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მას სკოლა გაუხსნია, სადაც „ყმაწვილები ბლომად გვყავს; ყმაწვილებს ვასწავლით ქართულს, იტალიურს და ლათინურს, ევრეთვე ყოველდღე ვუხსნით საქრისტიანო მოძღვრებას“. იმავე სერაფიონს საქართველოდან რომის საეკლესიო კოლეგიაში სასწავლებლად ქართველი ახალგაზრდები გაუგზავნია.

სკოლები დასახელებულია 1676 წლის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათშიც, რომლის მიხედვითაც თითოეულ სკოლაში თურმე 40—50 მოსწავლე სწავლობდა.[1]

აღნიშნულ სკოლებში მოღვაწეობისას მისიონერებს ქართველი ახალგაზრდობისათვის ნიჭიერება შეუმჩნევიათ და დაბეჯითებით სთხოვენ რომის საეკლესიო კოლეგიას, რათა ხელი შეუწყონ მათ სწავლის გაგრძელებისა და უმაღლესი ცოდნის შეძენის საქმეში. ამასთან დაკავშირებით პატრი ბერნანდე ნეაპოლელის მოხსენებაში ვკითხულობთ: „ქართველი ხალხი ყველა აღმოსავლეთის ტომებზე უფრო განათლებული, უფრო განვითარებული და უფრო პატიოსანია და დიდი ნიჭიცა აქვს“... ამ განაცხადს პატრი ბერნანდე დასძენს, რომ საქართველოს „სკოლებში, რომლებშიც ჩვენი პატრები ასწავლიან, კარგ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, შეიძლება მოწაფეები პატარაობითვე ძრიელ კარგად აღიზარდონ, გარნა სამწუხაროდ, რა გახდებიან რვისა ანუ სულ ბევრი, ათის წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ, აყენებენ ხელობაზე, მაგრამ უშემწეოდ არ უნდა დავტოვოთ ის ახალგაზრდობა, რომელიც თავისი მიდრეკილებით და ნიჭით და ყველა სხვა კაი ხასიათით ბევრითა სჯობია აღმოსავლეთის სხვა ტომის ახალგაზრდობას. ჩემის აზრით, კარგი იქნება, წმიდა კრებამ ინებოს, რათა საუკეთესო მასწავლებლის ხელმძღვანელობით საქართველოშივე, ჩვენის მისიონის სახლებში, თუ სამოქალაქო და თუ საეკლესიო მეცნიერებაში აღიზარდნენ ოთხი ანუ მეტი ყმაწვილი, სხვებზე ნიჭიერი და მათ შესანახათ გაღებულ იქნეს იგივე ხარჯი, რაც საჭირო იქნებოდა რომის კოლეგიაში საქართველოს ორი ან ოთხის ყმაწვილის გასაზრდელად. ამნაირად არა მარტო გზის ხარჯი გადარჩება, არამედ ერთი და იმავე ფულით ორჯერ მეტი ყმაწვილის შენახვა შეიძლება საქართველოში ვიდრე რომში“.[2]

ეს ცნობა მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი იგი საქართველოს

[1] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნაწილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902, გვ. 155, 157, 207, 237, 251.

[2] იქვე, გვ. 254, 255.

იმჟამინდელ მკვიდრთა ინტელექტისა და განათლების საერთო სურათს გვაძლევს. გასაგები ხდება აგრეთვე ისიც, რომ მშობლების ნაწილი, რომლებსაც საშუალება არ ჰქონდათ შვილებისათვის განათლება მიეცათ, მათ ხელობას, ე. ი. სხვადასხვა სპეციალობას (ხელოსნობას და სხვ.) ასწავლიდნენ. ამ მშობლებს, როგორც ჩანს, უნდოდათ, რომ მათ შვილებს დაწყებითი განათლება მაინც მიეღოთ. მათგან ზოგს რვა წლისა გაუყავდა შვილი სკოლიდან, ზოგს კი ათი წლისა. როგორც ჩანს პატრები ადრე აწყებინებდნენ ბავშვებს სწავლას. ამას ზემოთ მოტანილი მოხსენება გვაუწყებს, სადაც ნათქვამია, რომ „შეიძლება მოწაფეები პატარაობიდანვე ძრიელ კარგად აღიზარდონო“. კერძოდ, თუ რომელი წლიდან აწყებინებდნენ მისიონერები ბავშვებს თავიანთ სკოლებში სწავლას, არ ჩანს. როგორც ზემოთ მოტანილი, ისე სხვა წერილებით ისიც ირკვევა, რომ იმჟამინდელ საქართველოში განათლების მიღებისადმი გარკვეული მისწრაფება ყოფილა. რომის საეკლესიო კოლეგიაში სწავლის გაგრძელების სურვილს მრავალი ახალგაზრდა ქართველი გამოთქვამდა, ფაქტიურად სწავლის მსურველი უფრო მეტი იყო, ვიდრე თვით კოლეგიას ქონდა ადგილი. 1681 წლის 16 ივლისით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ „პროპაგანდის კოლეგიაში შესვლის ნება ითხოვა ერთმა გამოჩენილმა ქართველი ოჯახის შვილმა, რომელიც... ნეაპოლში სწავლობს სამოქალაქო მეცნიერებას“[1]. ე. ი. მისიონერთა შუამდგომლობით საქართველოდან კოლეგიაში სასწავლებლად გაგზავნილ ახალგაზრდებს გარდა, როგორც ჩანს, კერძო ინიციატივითაც მიდიოდნენ ქართველი ახალგაზრდები იტალიაში სწავლის მისაღებად. ასეთი რაჟ, რა თქმა უნდა, შეძლებული ოჯახის შვილს თუ შეეძლო, ისეთ თავადიშვილს, როგორიც ზემოთ მოხსენებული ახალგაზრდა იყო. **ეს ახალგაზრდა თავადიშვილი თავდაპირველად საერო სასწავლებელში ყოფილა**, ხოლო შემდეგ საეკლესიო კოლეგიაში სწავლის სურვილი გასჩენია.

ქართველი ახალგაზრდების იტალიაში სასწავლებლად გამგზავრების ამგვარივე ფაქტის დამადასტურებელი სხვა ცნობაცაა ერთ-ერთ მოხსენებაში მოტანილი, რომლის მიხედვითაც „ნიკოლოზ ქართველი... რომის ბერძნების სკოლაში იყო ნამყოფიო“[2], ხოლო მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ერთ-ერთ ქართველ ახალგაზრდას ისეთი დიდი სურვილი ჰქონია რომში სწავლის მიღებისა, რომ საკუთარი ცხენი გაუყიდია,

[1] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნაწილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკ. ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902, გვ. 254.

[2] იქვე, გვ. 146.

დანარჩენი თანხის მიცემას დედაშისი (ალბათ შეძლებული) დათანხმებია და ასე გამგზავრებულა რომში საკუთარი ინიციატივით.

რომის საეკლესიო კოლეგიაში გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდობა, როგორც ჩანს, კარგად სწავლობდა და ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ცნობილი მეცნიერიც ხდებოდნენ, მაგალითად, „გორელ ტუ-ლუკაანთ დავითას“ (დავით ტულუკაშვილს. — სვ. გ.) 1732 წლის 22 მარტს „პრეფექტო კარდინალის წინაშე“ „ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია „დაუცავს“[1], რომელსაც შემდეგ სხვადასხვა შრომები დაუწერია, მათ შორის მისიონერთა დასახმარებლად ქართული კათეხიზმო (1733 წ.) და სხვ.

დავით ტულუკაშვილი რომში დარჩენილა სამოღვაწეოდ. ეს იშვიათი შემთხვევა იყო. ჩვეულებრივ კოლეგიაში განსწავლული ქართველი ახალგაზრდობა უკან ბრუნდებოდა სამშობლოში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდა. ამის შესახებ კოლეგიაში სასწავლებლად შემსვლელი ახალგაზრდა სპეციალურ ფიცსაც დებდა. ყველა ამ გარემოებათა გამომხატველია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი წერილი, რომელიც კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსს რომში მიუწერია. იგი იუწყება კონსტანტინოპოლში სამი ახალგაზრდა ქართველის ჩასვლას, რომლებსაც რომის კოლეგიაში წერილი ძიჭქონდათ მათი სასწავლებლად მოწყობის თაობაზე. არქიეპისკოპოსი წერს — „წერილითა სთხოვს, ესენი გაგზავნოს რომის კოლეგიაში მისაცემად თუ იმიტომ რომ გაწრთნან საგნებში თუ იმიტომ, რომ დადად საჭიროა მისიონერები სოფლებისათვის... ხსენებულ ახალგაზრდებში ორს, თუმცა ორივე ქალაქელები არიან, ერთ ტფილელი და ერთი ახალციხელი და ეკუთვნიან საუკეთესო ოჯახებს, მაინც კი უკისრიათ და წერილითაც პირობა დაუდვიათ იმსახურონ სოფლებში, სადაც კი მათ დანიშვნენ უფროსები“[2].

საქართველოს სოფლებში განაწილებული კათოლიკე მღვდელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ იქ სკოლები დაეარსებინათ და მოზარდი ახალგაზრდობა სწორ გზაზე დაეყენებინათ.

მღვდელს და ეკლესიას სოფელი ინახავდა. ამის თაობაზე ერთი წერილიც გვაუწყებს, სადაც ნათქვამია, რომ თავისი სიღარიბის გამო სოფელს მღვდლის შენახვა არ შესძლებია — „შვიდი წლის განმავლობაში აქ აღარ ყოფილა განწესებული მღვდელი, რადგან არ შეუძლიათ მისი შენახვა[3]. მაშასადამე, ამის მიხედვით ისიც უნდა ვივა-

[1] ი ხ ი ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., 1902, 343.

[2] იქვე, გვ. 384.

[3] იქვე, გვ. 432.

რაუდოთ, რომ ის სკოლები, რომლებსაც მისიონერები სოფლებში ხსნიდნენ, თავისი საჭიროების მიხედვით სოფლის მოსახლეთა კმაყოფაზე იმყოფებოდა.

სოფლის სკოლებში უფრო მეტად ერთი მღვდელი მოღვაწეობდა და ის ბავშვებს დაწყებით განათლებას აძლევდა. ასწავლიდა წერა-კითხვას, მშობლიურ ენას, გრამატიკას, თეოლოგიას.

ქალაქის სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი მეტი იყო, მაგრამ ზოგან 25 ბავშვს მხოლოდ ერთი მღვდელი ასწავლიდა. მაგალითად, 1766 წლისათვის ახალციხის სკოლაში. სადაც 70 მოსწავლე სწავლობდა. მასწავლებლად სამი მღვდელი ყოფილა[1]. ასეთ სკოლებში მოსწავლეებს საშუალო განათლებასაც აძლევდნენ და მშობლიური ენის, გრამატიკისა და თეოლოგიის გარდა ლათინურ ენას და ფილოსოფიასაც ასწავლიდნენ. სამწუხაროდ, აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით სკოლების სტრუქტურაზე და პროგრამებზე სპეციალური თხრობა არსად წარმოდგენილი არაა. ზემოთ ჩამოთვლილი საგნების შესახებაც გაკვრითაა საუბარი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო ამ საგნების სწავლებით არ უნდა შემოფარგლულიყო საშუალო ასაკს მიღწეული ბავშვების განსწავლა. მიზანი წარმოდგენილი სკოლებისა მაინც ის იყო, რომ საერთო განათლების მიღებასთან ერთად მოზარდი ახალგაზრდობა კათოლიკური ქრისტიანიზმის სულისკვეთებით აღეზარდათ. ეს კი კათოლიციზმის ისტორიის სწავლების გარეშე არ მოხდებოდა. თუ ამასთან დაკავშირებული საკითხები თეოლოგიის კურსში არ იყო შერწყმული, მაშინ ისტორია ცალკე საგნად უნდა ესწავლებინათ. ამავე დროს როგორც მართლმადიდებლური, ასევე, კათოლიკური სარწმუნოების ისტორია და მათი შეპირისპირება იმ ქვეყნების ისტორიასთან კავშირში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რომლებშიც დამკვიდრდა აღნიშნული სარწმუნოებრივი მიმდინარეობანი. ამ შემთხვევაში კი აშკარაა ქრისტიანული პერიოდის რომისა და საქართველოს ისტორიის ელემენტებიც იქნებოდა წარმოდგენილი.

სკოლებისათვის განკუთვნილი ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნები, რომლებსაც ხშირად თვით მისიონერები ადგენდნენ, რომში დაარსებულ ქართულ სტამბაში იბეჭდებოდა. აქ დაიბეჭდა, მაგალითად, პირველი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის დაბეჭდვასაც დიდად შეუწყო ხელი თეიმურაზ I-ის ელჩის, ნიკოლოზ ჩოლოყა-

[1] ი ხ ი ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., 1902, გვ. 436.

შვილის რომში ყოფნამ. აქვე იბეჭდებოდა ქართული გრამატიკა, კათეხიზმო და სხვ.[1]

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილ ცნობათა ანალიზი აშკარას ხდის, რომ მე-16—18 სს საქართველოში არსებულ სწავლა-განათლების საქმეში კათოლიკე მისიონერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათი როლი ამ საქმეში მით უფრო დასაფასებელია, რომ მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა და ზოგ შემთხვევაში მსხვერპლადაც ეწირებოდნენ ამ საქმიანობას. მისიონერების მოღვაწეობას შეძლებისდაგვარად ადგილობრივი მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მესვეურნიც ავიწროებდნენ. რაც მთავარია მათ გარკვეულ პერიოდებში, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობათა შედეგად დამკვიდრებული ოსმალთა და სპარსთა მაჰმადიანი ხელისუფალნი სდევნიდნენ ხოლმე. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო სამცხე-საათაბაგოს კუთხეში მოღვაწე მისიონერთა ხვედრი, სადაც ოსმალები იყვნენ გაბატონებული. ასე, რომ ზოგჯერ მათი დევნის შედეგად სკოლები, რომლებსაც ისინი ხსნიდნენ, იხურებოდა, ხოლო სიცოცხლის შესანარჩუნებლად ისინი სხვა მხარეში გარბოდნენ.

საქართველოს ხელისუფალნი გრძნობდნენ კათოლიკური მოძრაობის სარგებლობას და როგორც ადრეც აღვნიშნავდით მისიონერებს გარკვეულ დახმარებას უწევდნენ. გარდა იმისა, რომ მისიონერებმა ექიმობის საქმე იცოდნენ, ზოგჯერ ისეთ სპეციალობასაც ფლობდნენ, რომელთა ნაკლებობა იმ დროის საქართველოში იგრძნობოდა. მაგალითად, 1664 წლის 20 მაისის რიცხვით დათარიღებულ მისიონერ სერაფინეს წერილით ჩანს, რომ ვახტანგ V (შაჰნავაზს) რომიდან ისეთი მისიონერების გამოგზავნა მოუთხოვია, რომლებსაც საინჟინრო საქმე ეცოდინებოდა.

სამწუხაროდ, წარმოდგენილი პერიოდების დოკუმენტები არაფერს გვეუბნება ადგილობრივ ეკლესიების სკოლების შესახებ. კათოლიკე მისიონერთა წერილებშიც ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, თვით ის ფაქტი, რომ მისიონერები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლებს აარსებდნენ და ახალგაზრდობის აღზრდაზე ზრუნავდნენ, ერთი მხრივ აქ სკოლების ნაკლებობაზეც მიგვითითებს.

*
* *

იმ დროს ფეოდალთა შვილებს უმეტესად საშინაო სწავლებით აძლევდნენ განათლებას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კა-

[1] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნაწილი საბუთების შემოკლებით და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902, გვ. 95, 238.

თოლიკე მისიონერის, პატრი კარლოს 1667 წელს დაწერილ წერილში დაცული ცნობა, სადაც იგი თბილისში დაარსებულ სკოლაზე საუბრის შემდეგ აცხადებს — „საქართველოს სახლებში ძრიელ ბევრი მონაზონიაო.“ სხვათაშორის, ეს განცხადება იმ ფაქტის აღნიშვნას მოჰყვება, რომ თბილისში დაარსებულ სკოლაში მისიონერებს 25 მოსწავლე ძლივს შეუკრებიათ.

ვინ არის ეს „მონაზონები“, ან რატომ არიან ისინი საქართველოს სახლებში მიმობნეული? აშკარაა პატრი კარლო იმ ბერმონაზვნებს გულისხმობს თავის განცხადებაში, რომლებიც „გუვერნანტების“ მოვალეობას ასრულებენ წარჩინებული წოდების წარმომადგენელთა სახლებში. ამითვე უნდა იყოს გამოწვეული მის მიერ აღნიშნული ის გარემოებაც, რომ — „ტფილისში ძლივს გვყავს 25 მოწაფეო“, რასაც მოჰყვება ზემოთ წარმოდგენილი წინადადება.

როგორც აღვნიშნავდით, მისიონერთა მიერ დაარსებული სკოლები მოსახლეობის ქმაყოფაზე იყო. ასეთი კერძო ხასიათის სკოლები არა მარტო მე-16—17 სს და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ როგორც დავით ბატონიშვილის ცნობით ჩანს—ერეკლე II-ის დროის საქართველოშიც განაგრძობდნენ არსებობას, რომლებიც თურმე საზოგადო ქმაყოფაზე — **„общественным индживением“** იყვნენ.[1] ადრე ასეთ საზოგადო ქმაყოფაზე არსებულ სკოლებში ძირითადად დაბალი წოდების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ. ფეოდალთა შვილები კი საშინაო სწავლებით ღებულობდნენ განათლებას. ის ბერ-მონაზვნები, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, მათ დაწყებით განათლებას აძლევდნენ — წერა-კითხვას, მშობლიური ენის გრამატიკას და საღვთო სჯულს ასწავლიდნენ. მოზრდილ ასაკში კი ფეოდალის შვილი რაინდულ „ზნეობათა“ შესწავლას იწყებდა.

ახალგაზრდა, რომელიც სწავლაში ნიჭს გამოიჩენდა და სწავლისადმი გარკვეულ მისწრაფებას გამოავლენდა, განათლების მისაღებად საზღვარგარეთაც მიემგზავრებოდა. ასეთი შემთხვევის არა ერთი მაგალითი ვნახეთ პატრი მისიონერების ზემოთ მოტანილ წერილებში.

თავადიშვილის აღზრდას თავისი წესი და რიგი ჰქონდა. დამახასიათებელია ამ მხრივ სულხან-საბა ორბელიანის განცხადება, სადაც იგი ამბობს — „მასწავლიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწრთვნიდა იაშვილი გიორგი, მზრდიდა სათუთად და ნებიერად, **ვითარცა შვენის თავადთა ძეთა“** (ხაზი ჩვენია. —სვ. გ.). სამწუხაროდ, სულხან-საბა არ ასახელებს თუ კერძოდ, რა საგნებს ასწავლიდა მას ბერუკა ზედგენიძე. ის კი აშკარად

[1] აპ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 75.

ჩანს, რომ მას სხვადასხვა მასწავლებლები ასწავლიდნენ და ისიც ისე, როგორც „თავადთა ძეთა“ შეჰფეროდა. უკანასკნელი სიტყვები იმასაც გვაუწყებს, რომ „თავადთა ძენი“, თავადიშვილები განათლებული უნდა ყოფილიყვნენ, ეს შეენოდა მათ.

რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანის ერუდიცია იმჟამინდელი თავადიშვილის განათლების დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმად არ გამოგვადგება, რადგან სულხან-საბა, როგორც თავად აცხადებს, „სწავლისა მოყუარე იყო“ და ამასთანავე მას უჩვეულო ბუნებრივი ნიჭიც თანდაყოლილი ჰქონდა. სულხანი თავადაც იღვწოდა ცოდნის დაუფლებისათვის, რასაც იგი დროთა ვითარებაში თანდათან ავსებდა დაუღალავი შრომით და მეცადინეობით.

იმჟამინდელი თავადიშვილი განათლებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცოდნის ის მინიმუმი, რასაც თავადიშვილები ღებულობდნენ, როგორც ჩანს, გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ეს მე-11—12 საუკუნეებში.

არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ) წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნები იყო წაყენებული ფეოდალი რაინდის აღზრდის წინაშე. აქ ერთ პლანზეა დაყენებული გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა, როგორც ფეოდალი რაინდის აღზრდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილები. აღზრდაში არჩილი მასწავლებელს აძლევს უპირატესობას, ე. ი. აღზრდისა და სწავლების ნორმალიზაციისა და სწორად წარმართვისათვის იგი აუცილებლობად მიიჩნევს მასწავლებლის ხელმძღვანელობას, ეს გარემოება კი იმაზეც მიგვითითებს, რომ იმ დროისათვის მოზარდის გონებრივ, ზნეობრივსა და ფიზიკურ აღზრდას ცალ-ცალკე მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. ასეთი მასწავლებლები ფეოდალთა სახლებში დაქირავებული ყავდათ ისე, როგორც მაგალითად, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაში“ ლეონ დაიქირავეს ჯუმბერის აღსაზრდელად, რომელიც მის ფიზიკურ წვრთნას და ზნეობრივ აღზრდას ხელმძღვანელობდა.

მასწავლებელს გვიანფეოდალურ ხანაში ნაცვლად „მოძღვარისა“, როგორც მას ადრეულ შუასაუკუნეებში ეწოდებოდა, „ოსტატი“ ერქვა. აღნიშნული ტერმინი მასწავლებლის ცნების აღმნიშვნელად ნახმარი აქვს არჩილს „საქართველოს ზნეობანის“ ერთ-ერთ სტროფში — „სიბრძნე ის უფრო მტკიცეა ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის“. ასევე ხმარობს ამ ტერმინს დავით გურამიშვილიც.

თვით სწავლის და სწავლების პროცესის გამოსახატავად ძველ ტერმინთან — „წურთვნა“-სთან ერთად, ახლა უკვე „სწავლა“ და „სწავლება“ იხმარება. სულხან-საბა ორბელიანი, მაგალითად, ამბობს — ლეონმა „დაუწყო ჯუმბერს წრთვნა და ასწავლიდა დღივ და ღამ“. ასევე აქვს აღნიშნული ტერმინი ნახმარი არჩილსაც ზემოთ მოტანილ სტროფში. საერთოდ, გვიანფეოდალურ ხანაში სწავლების პროცესის გამომხატველი ტერმინი „წრთვნა“ ისე ხშირად აღარ იხმარება. მის ნაცვლად ფეხს იკიდებს ტერმინი „სწავლა“ და „სწავლება“

2. ხელოსნობის სწავლება

როგორც წინა მონაკვეთებში წარმოდგენილმა თხრობამ დაგვანახა, ხელოსნობას საქართველოში ოდითგანვე მისდევდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველ ხელოსანთა ნაკეთობანი იმდენად დიდ მოწონებას იმსახურებდა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საბერძნეთშიც კი გაჰქონდათ.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული გათხრებით მოპოებული მდიდარი ინვენტარი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული ხელოსნობის განვითარებულ დონეზე მეტყველებს, რომელიც შემდგომ ხანებში თანდათან იხვეწება და თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მე-11—12 სს. ღებულობს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ადრეფეოდალური ხანის საქართველოში არსებული ხელოსნობის რამდენიმე სახეს გამოჰყოფს, რომლებიც წარწერებსა, სიგელებსა და ალაპებში არიან მოხსენებულნი (ხატის მკეთებლები, ოქრომჭედლები, ხარაზი, მეხამლე, მემშვილდე, მჭედელი და სხვ).[1]

ხელოსნები იხსენიებიან მე-14—17 სს. დოკუმენტებში. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, მაგალითად, იხსენიება „მკერვალთ უხუცესი“, რომელსაც ოსტატი მკერვალები ეყოლებოდა. „ხაბაზი“, „მეტყავენი“ და სხვ. პროფ. გ. გამყრელიძის სამართლიანი შენიშვნით „რაკი მეფის კარზე ხელოსანთა იმდენად მნიშვნელოვანი რიცხვი მოიპოვებოდა, რომ მათ საგანგებო „უხუცესები“ განაგებდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკე საბატონო მამულებშიც უნდა ყოფილიყვნენ ხელოსნობის სხვადასხვა წარმომადგენელნი. ასე მაგ., მე-16 საუკუნის 40-იან წლებში საბატონო მამულში ვპოულობთ ხარაზს, ოქრომჭედელს, მჭედელს, რომელნიც ცალკე წოდებრივ ჯგუფსაც წარმოადგენენ და „მსახურებად“ იწოდებოდნენ. ასეთი მსახურები როგორც მეფეს, ასევე, მთავრებსაც და აზნაურებსაც ჰყოლიათ.[2]

ხელოსნები იხსენიებიან მე-14—17 სს. დოკუმენტებში, ხოლო განსაკუთრებით მრავლად ჩანან მე-17—18 სს საქართველოში, კერძოდ.

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი, 1907, გვ. 38, 39.

[2] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, თბილისი, 1926, გვ. 20, 21.

თბილისში, რომელიც ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრად იქცა. იმდროისათვის არსებული ხელოსნობის ყველა სახეობა ყოფილა გავრცელებული.

ამავე პერიოდში ყალიბდება და გავრცელებულ სახეს ღებულობს ხელოსანთა ამჭრული, პროფესიონალური გაერთიანება.

ასეთი გაერთიანებანი მე-16 საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო საქართველოში, რაზედაც თვით ტერმინი „უხუცესი“ (მაგალითად, „მანდატურთ უხუცესი“, „მხატვართუხუცესი“, აგრეთვე, „ოსტატი“ — უფროსის მნიშვნელობით) მეტყველებს, რომლებიც მე-10—14 სს. წყაროებშიც გვხვდება. აღნიშნული ტერმინები ხელოსანთა გაერთიანების უფროსის აღმნიშვნელია.[1] ამავე დროს, ხელოსანთა ამჭრული გაერთიანება არა გარე მიზეზთა გავლენის შედეგად წარმოიშვნენ, როგორც ამას ზოგი მკვლევარი მიიჩნევს (ა. გეკსტგაუზენი, ე. ვეიდებაუმი, დ. დუნკელ-კილინგი, ი. ახვერდოვი, ნ. ბერძენოვი და სხვ.), არამედ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების, „მთელი ქვეყნის ფეოდალური ორგანიზაციის“, საქალაქო ცხოვრების განვითარების, „ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის“, სასაქონლო წარმოების შედეგად და სხვ.

*
* *

სამწუხაროდ, იმის შესახებ თუ როგორ ხდებოდა ხელოსნობის შესწავლა ადრეული ხანის საქართველოში, წყაროებში გარკვევით არაფერია ნათქვამი. ამ მხრივ შედარებით ნათელ წარმოდგენას გვიანი ხანის ამჭართა შესახებ არსებული დოკუმენტები გვიქმნიან.

ერთი კია, რომ ისე როგორც საერთოდ გვიანი ხანის საქართველოში ხდებოდა, ადრეული ხანის საქართველოშიც ხელობას შეგირდად მიბარებით ასწავლიდნენ. ხელოსანი შეგირდს შრომის პროცესში განუმარტავდა და ასწავლიდა ხელობას. ასე შეისწავლა ევსტატე მცხეთელმა მეხამლობა, რომელიც მოვიდა თურმე „ქალაქად მცხეთად და ისწავებდა ხელსა მეხამლობისასა“.[2]

ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ დოკუმენტში, სადაც ვინმე ავგაროზ

[1] Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 323.

[2] მეხამლობას, ე. ი. ფეხსაცმლის კერვის ხელობას. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წ. 1, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 45.

ბაიადაძე წიგნის გადაწერასა და მოკაზმვაზე თავისი გაწაფვის შესახებ მოგვითხრობს, ხელოსნობის შესწავლაზეა საუბარი. იგი აცხადებს „წყალობითა ღ~ თისათა მომეცა თვინიერ მოძღურისა ხელოვნება ესე ვითარი: პირველად ხელი სწავა ხუცობისა, ხელი მეორე მწიგნობრობისა... წერა... ტყავის კერვისა... ხუროვნობისა, ხელი მეათე მსოფლიო ძუშაობისა“ და სხვ.[1] აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ძველ საქართველოში ხელოსნობას „ხელს“ უწოდებდნენ[2].

ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ავგაროზ ბაიადაძე წიგნთან დაკავშირებულ შესასწავლ ხელოსნობაზე მოგვითხრობს. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მას ცალკე ტყავის კერვის, ცალკე ხუროვნობის და სხვა ხელოსნობანი შეუსწავლია. თვით წერის (გადაწერის) ტექნიკის შესწავლა ხელოსნური თვალთახედვითაა განხილული.

ხელოსნობის შესწავლას მოზარდს ადრეული პერიოდიდანვე აწყებინებდნენ. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი პატრი ბერნადე ნეაპოლელის მიერ რომის საეკლესიო კოლეგიაში გაგზავნილი მოხსენება, სადაც იგი გულმტკივნეული აღნიშნავს, რომ საქართველოში კათოლიკეთა მიერ გახსნილ სკოლებში მშობლები თავიანთ შვილებს მიაღებინებდნენ რა დაწყებით განათლებას, გაჰყავდათ და „ხელობის შესასწავლად აყენებდნენ“. „ხელობაზე დაყენების“ შინაარსში, რა თქმა უნდა, შეგირდობა იგულისხმება, ე. ი. ხელოსნობის შესწავლა, რადგან თავისთავად 8—10 წლის ბავშვი (როგორც აღნიშნულ ასაკს პატრი ბერნადე ასახელებს) ხელოსნობისათვის სრულიად შეუფერებელი იყო.

ყურადღებას იპყრობს ტერმინი „შეგირდი“. იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ხელოსნობის შემსწავლელ მოწაფეს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი ამ მნიშვნელობითაა მოხსენებული ვახტანგის „დასტურლამალში“[3].

შეგირდებად ღებულობდნენ ყმა-გლეხთა შვილებს და თითოეულ ხელოსანს განუსაზღვრელი ოდენობით შეეძლო შეგირდების მიღება.

შეგირდად მიღება უბრალოდ არ ხდებოდა. ამისათვის საჭირო იყო ამქრის მმართველთა დასტური, თავისთავად შეგირდები გარკვეულ ხელშეკრულებას დებდნენ წერილობით, ან ზეპირად.

სხვადასხვა დარგის ხელოსნობაში სხვადასხვა წლოვანების მოზარდთა მიღება იყო განსაზღვრული. მაგალითად, სამჭედლო საქმეში

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტის ფონდი A — 575.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტ., წ. I, თბილისი, 1907. გვ. 38.

[3] დასტურლამალი, მეფის ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1885, გვ. 66 (იხ. ნაღარაბანის მოხელეთათვის).

13 წელზე ნაკლები მოზარდის მიღება არ შეიძლებოდა, რადგან აქ ფიზიკური მონაცემები იყო საჭირო. ისეთ დარგებში, რომლებიც დიდი ფიზიკური ენერგიის დახარჯვას არ მოითხოვდა (ქერვა, ჭსოვა და სხვ.). 9—10 და ზოგჯერ 8 წლის მოზარდების მიღებაც შეიძლებოდა.

სწავლების ვადა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზოგჯერ 8 წელსაც გრძელდებოდა, ზოგ შემთხვევაში 4, 5 ან 10 წელიწადს. როგორც ჩანს ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეითვისებდა შეგირდი ამა თუ იმ ხელობას და თვით შესასწავლი ხელობის სირთულეც იყო მხედველობაში მიღებული. დოკუმენტების მიხედვით ის კი აშკარა ხდება, რომ სანამ შეგირდები საფუძვლიანად არ შეისწავლიდნენ ხელობას, მათ დამოუკიდებლად მუშაობის და „ტრაპეზის“ უფლება არ მიეცემოდა.

საინტერესოა თვით ხელოსნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ხელოსანი, რომელიც შეგირდებს ზრდიდა, თავდაჭერილი, თავისი ყოფაქცევით მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო და თავისი ხელოვნების შინაარსი თანმიმდევრული სწავლებით უნდა გადაეცა შეგირდებისათვის.

შეგირდების სწავლება უფასოდ ხდებოდა. უფრო მეტიც— თუ ხელოსანი შეძლებული იყო, თავად უნდა უზრუნველეყო შეგირდი ტანსაცმლით და კვებით. პირუკუ შემთხვევაში კი აღნიშნული მოთხოვნები შეგირდის მშობელს უნდა შეესრულებინა. ეს ასე იყო, მაგრამ თვით შეგირდის მიერ ხელოსანთან ყოფნის დროს შექმნილი პროდუქციის ღირებულება ამ უკანასკნელის სასარგებლო რჩებოდა. სხვა შემთხვევაში იგი იძულებული იყო გარკვეული ძღვენი მიერთმია ხოლმე ხელოსნისათვის. ასე რომ, მართალია შეგირდის სწავლება უფასოდ ხდებოდა, მაგრამ ეს იყო შეგირდის შრომის ექსპლუატაციით. ასეთი ექსპლუატაციის ხარჯზე ხელოსნის შემოსავალს გარკვეული ნაწილი ემატებოდა.

ხელოსანთან მომზადებული შეგირდი, რომელიც სწავლას დაასრულებდა, იმავე ამქარის მმართველთა წინაშე უნდა წარდგენილიყო თავისი ნამუშევრით, რომელთა ნებართვითაც იგი თავის დროზე შეგირდად იქნა განწესებული. შეგირდის დამოუკიდებელი ნამუშევრის გულდასმით შესწავლის შემდეგ თუ ის სათანადო ყურადღებას დაიმსახურებდა და დაამტკიცებდა, რომ მას ამიერიდან დამოუკიდებელი მუშაობა შეუძლია, მიეცემოდა ხელოსნობის ნებართვა, რასაც მისი ხელოსნად „დალოცვის“ რიტუალი მოჰყვებოდა ხოლმე. ეს წესი, როგორც ჩანს, ყველა ამქარში ასე არ სრულდებოდა — ზოგან ხელოსნის ფიცს და შეგირდის სწავლის დასრულების შესახებ დასტურს სჯერდებოდნენ, რასაც შეგირდის გამოკითხვით ჩატარებული გამოცდა ახლდა თან და სხვ.

მე-17—18 სს დოკუმენტების შესწავლით აშკარა ხდება, რომ ხელოსნობა საქართველოში ფრიად გავრცელებული იყო და დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა შვილების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ასე თუ ისე ხელოსნურ ცენტრებთან დაკავშირებული იყო და საამისო პირობებიც მიეცემოდა, ცდილობდა ამ საქმიანობაში ჩაბმულიყო. რა თქმა უნდა, ხელოსნური აღზრდა წმინდა პრაქტიკული მიზნებით იყო გაპირობებული და შრომითი აღზრდის შინაარსით განისაზღვრებოდა, რომელიც ზნეობრივი აღზრდის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავდა. ეს კარგად ჩანს თვით ხელოსნის მიმართ მიცემულ ინსტრუქციებში, სადაც ისეთი ზნეობრივი ნორმების დაცვაა მოთხოვნილი, რაც შეგირდთათვის სამაგალითო და მისაბაძი იქნებოდა.

ხელოსან-მოსაქმეთა გარკვეულ ჯგუფს კი, რომელიც წიგნთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდა, გონებრივ აღზრდასთანაც ჰქონდა საქმე. ეს ჯგუფი ძირითადად საეკლესიო წრეში მზადდებოდა და ხელოსნობასთან ერთად წერა-კითხვას, გრამატიკას, საერთოდ ქართულ მწიგნობრობას სწავლობდა.

წიგნთან დაკავშირებული მუშაობა რთული იყო, წიგნი როგორც ადრეული, ისე გვიანი ხანის საქართველოში განსაკუთრებით ძვირად ფასობდა. ამ ფაქტს ადასტურებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილი ერთ-ერთი კრებულის ბოლოში გაკეთებული მინაწერიც, რომელიც გადამწერს ლექსად გაუკეთებია —

„ერთი წიგნი ამისთანა არავის აქვს კაცის ძესა:
ტკბილ არს ესე საკითხავად შვილი სწოვდეს დედის სძესა,
სხვა მრავალი საღვთო საქმე შეკრებილი აქა ძესა,
ნურვინ ვაჭრობთ, ვერ იყიდით დიაღ დიდი ფასის ძესა“.[1]

3. ქართული აღორძინების ხანის საერთო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ვახტანგ VI-ის კულტურული საქმიანობა. სახელმძღვანელო წიგნები

მე-18 ს. პირველი მეოთხედი, ე. ი. პერიოდი, როდესაც ვახტანგ VI გარშემორტყმული „სწავლული კაცებით“ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა, აღორძინების ხანის ყველაზე შემოქმედებითი, კულმინაციური ეტაპი იყო.

რას ისახავდა მიზნად ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტის და სხვა „სწავლულ კაცთა“ საქმიანობა? ჯერ ერთი იმ კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენას, რაც მონღოლობის, ყიზილბაშობისა და ოსმალობის მიერ წარყვნილი და განადგურებული იყო.

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A—649 (ბაზი ჩვენია. — სვ. გ.).

აგრეთვე, ამ კულტურული მემკვიდრეობის ახალი მსოფლმხედველობრივი მიღწევებით შევსებას და თანადროულობის სამსახურში ჩაყენებას. თუ დავუკვირდებით, აღნიშნული საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ასე მოხდა ეს საერთოდ და განათლების დარგშიც. უკანასკნელის თვალსაზრისით ეს საქმე ჯერ კიდევ არჩილმა დაიწყო, როცა ქართული ზნეობების გადარჩენისა და განმტკიცებისათვის სპეციალური სახელმძღვანელო თხზულება შექმნა „საქართველოს ზნეობათა“ აღწერით. სამწუხაროდ, არ ვიცით იყო თუ არა ადრე ამ საკითხების შემცველი რაიმე სახელმძღვანელო, ერთი კი აშკარაა, რომ არჩილის დროს ასეთი თხზულების შექმნის საჭიროება დღის წესრიგში დადგა. ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მკვიდრთა საერთო აღწერისას ამბობს, რომ ქართველები — „მსწრაფლ მიმხდომნი, მჩემებელნი“ არიანო. „თუმცა კი — დასძენს იგი — არს ჟამი რაოდენიმე არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა კიდე, და ჰგონებენ დიდ მცოდინაობად“,[1] ე. ი. ვახუშტის დროს სწავლა-განათლების საქმე იმდენად დაკნინებული იყო, რომ წიგნის კითხვა და წერა თურმე „დიდ მცოდინაობად“, ცოდნად მიიჩნეოდა. ზემოთ წარმოდგენილი პოლიტიკური მიმოხილვის შემდეგ სავსებით ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს, რომ ასეთი მდგომარეობა აღნიშნული პერიოდის საქართველოში დროგამოშვებით მართლაც შეიძლება ყოფილიყო.

მონღოლობისა და მისი შემდგომი ხანიდან მოყოლებული ძირითადი მიმართულება აღზრდაში საერო-სარაინდო აღზრდას ეკავა. საერო-სარაინდო აღზრდის პრიმატი, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. მართალია გონებრივი აღზრდა, როგორც აღზრდის შემადგენელი ნაწილი რჩება, მაგრამ იგი ძველ მნიშვნელობას კარგავს. შემთხვევითი არ არის ის ვითარება, რომ საისტორიო წყაროებში სკოლებისა და სწავლების შესახებ ცნობები თანდათან ქრება. ხოლო ის ცნობები, რომლებიც გვიანფეოდალური ხანის საისტორიო თხზულებებმა შემოგვინახა, ძირითადად საერო-სარაინდო აღზრდას ეხება.

მისანიშნებელია ის ფაქტი, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოში თანდათან ფეხს იკიდებს საგმირო, რომანტიკული და დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი. აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებებისადმი განსაკუთრებული ინტერესი ცხოვრებისეულმა მოთხოვნებმა დააყენა ისევე, როგორადაც საერო-სარაინდო აღზრდის უპირატესობა. თავისთავად, ეპოსის ჟანრის ნაწარმოებები რაინდული სულისკვეთების მჭონე იყო. ამ ნაწარმოებებში ((„შაჰ-ნამეს“ ვერსიები, „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი, გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“,

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 32.

სხვა აღმოსავლური — საგმირო თუ რომანტიკული ხასიათის გადმოქართულებული თხზულებები) გადმოცემულია მამაცობის, მიჯნურობის, დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითები. ასე, რომ აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებებს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით სარაინდო აღზრდისათვის.

განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი, რომელიც აღორძინების ხანაში (კერძოდ, მე-17 ს. მიწურულსა და მე-18 ს.) ნათარგმნი თუ ორიგინალური სახით გვეცნება და ძირითადად იგავ-არაკების სახითაა წარმოდგენილი. ამ ჟანრის თხზულებებში სამართლიანობის, გლახაკთა შევრდომების, ქვეყნის მმართველთა სიკეთისაკენ მოწოდების, ან უვარგისი მმართველების და მათი მოხელეების კრიტიკაა წარმოდგენილი. აქვე მრავლადაა ჭკუის სასწავლო დამრიგებლობითი ხასიათის შეგონებები, რომელიც ადამიანს პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა გამოსდგომოდა (ორიგინალური ქართული შემოქმედება — „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, თარგმნილი „მეფეთა სალარო“, „ქილილა და დამანა“. „ამირნასარიანი“, „ბახთიარნამე“, „თიმსარიანი“, ეზოპეს იგავ-არაკები და სხვა). ესმოდათ რა ამ ჟანრის საერთო საზოგადოებრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მის განვითარებას სულხან-საბა ორბელიანი, რომლის კალამსაც ეკუთვნის აღორძინების ხანის პირველი ორიგინალური დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის ხელთუქმნელი ძეგლი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, და ვახტანგ VI, რომელმაც სულხან-საბა ორბელიანის დახმარებით ხელმეორედ თარგმნა ქართულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი „ქილილა და დამანა“. ამ და სხვა მსგავს ნაწარმოებებისადმი ინტერესის გაღვივება ვახტანგის დროისათვის სხვას არას უნდა მოასწავებდეს თუ არა ეპოქის იმ საჭიროებისადმი სამსახურის გაწევას, რაზედაც ზემოთ საუბარი გვქონდა.

ამავე მიზეზებით იყო ნაკარნახევი ამ დროისათვის ახალი სახელმძღვანელო წიგნების შექმნა.

ვახტანგ VI და მისი კულტურული დასი, განსაკუთრებულის ინტენსივობით შეუდგა ახალ სახელმძღვანელოთა შედგენის საქმეს. ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება იყო შემდეგ ანტონ I-ის თაოსნობით წარმოებული მუშაობა, საქართველოში სახელმძღვანელოთა გამრავლების საქმეს რომ ემსახურებოდა.

ახალ სახელმძღვანელოთა შედგენისას როგორც ვახტანგ VI-ის, ისე ანტონ I-ის თაოსნობით წარმოებული მუშაობა არა მარტო ძველად არსებული სახელმძღვანელოთა აღდგენისაკენ იყო მიმართული, არამედ სრულიად ახალ სახელმძღვანელოთა შედგენისაკენ, რომლებიც ხელს შეუწყობდა საქართველოში ახალი დარგების გაცნობას და შესწავლას. ამ-

დენად, ქართული მწიგნობრობის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, თეოლოგიის ასტროლოგიისა და ასტრონომიის გვერდით ჩვენ უკვე ვხვდებით მსოფლიო გეოგრაფიის, ქიმიის, კოსმოგრაფიულ-გეოდეზიურ თხზულებებს, რომელთა არე ანტონის დროს, მე-18 ს. მეორე ნახევარში, კიდევ უფრო ფართოვდება და ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა დარგებსაც ფართოდ მოიცავდა. ითარგმნებოდა სახელმძღვანელო წიგნები სპარსულიდან, სომხურიდან, ხოლო უმეტესად რუსული ენიდან, რადგან მას შემდეგ რაც ბიზანტიის ნანგრევებზე თურქეთი, ვითარცა კედელი ისე აღიმართა საქართველოს და ევროპის დამაკავშირებელ გზაზე, რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც შეეძლო ამ ხარვეზის შევსება.

აშკარაა, აღნიშნული საქმიანობა გარკვეულ ერუდიციასა და ინტენსიურ შრომას მოითხოვდა. ქართველი განმანათლებლები სწორედ ასეთი ინტენსივობით, დაუღალავი შრომითა და რუდუნებით შეუდგნენ ამ დროისათვის მეტად რთული მოვალეობის შესრულებას. თვით ვახტანგ VI-ეს, რომელიც მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა, იმდენად აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა სახელმძღვანელოთა შექმნისა და გამრავლების საქმე, რომ თავადაც შესდგომია მათ შედგენას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ვახტანგ VI, რომელიც თავისი ბუნებით და განსწავლულობით ძირითადად ჰუმანიტარულ დარგში მოღვაწეობდა, ხელს კიდებს ქიმიისა და კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური თხზულებების შედგენასა და თარგმნას.[1] აშკარაა, ვახტანგი ცდილობს „ავბედითობის“ შედეგად ჩამორჩენილ თანამემამულეებს გააცნოს ეს დარგები და მათდამი ინტერესი გაუღვიძოს.

ქიმიის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ვახტანგმა შეადგინა, თეორიულ ნაწილს არ შეიცავს. მისი შინაარსი პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების გაცნობას ისახავს მიზნად.

ანბანური საძიებლის შემდეგ სახელმძღვანელოში ტექსტის პარაგრაფებია წარმოდგენილი, რომლებშიც სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებათა ნაერთების პრაქტიკულად დამუშავების შესახებაა მითითებები მოცემული. მაგალითად, „გაკეთება ქალიის მარილისა“, „გაკეთება გოგირდის თეზაბისა გინა ზეთისა“, „მეორე: გაკეთება გოგირდის ზეთისა. გარჩეულია გოგირდის სხვადასხვა ზეთების, თეზაბის გაკეთება და გამოხდა — „თეზაბი ნიშადურისა“, „ნიშადურის გაწმენდა“, „ზეთი ნიშადურისა“, „გვარჯილას ამბავი“, „ამბავი ზარნიხისა“, „ქაფურის ამბავი“, „შაბიამნის საქმე“, „გაკეთება სინგურისა“, „გაკეთება დარიშხანისა“ და სხვა.

თითოეული პარაგრაფი ახსნა-განმარტებას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამზადდეს ესა თუ ის ქიმიური ნაერთი, მაგალითად, „გაკეთება კალიის მარილისა“ — ვკითხულობთ: „მოიტანე კალია თუ გინდა დანაყე და წყალში ჩაყარე. კარგა ადუღე და მერე ჯამში ჩაასხი. მზეს გაუდგი. და ის პირზე მარილს მოიგდებს. მარილი მოხადე და შეინახე. თუ გინდა დანაყე, ჯამში ჩაყარე, წყალი დაასხი. მზეს გაუდგი და რაც მარილი მოიგდოს მოხადე და შეინახე“. (§ 3).

ტექსტში რამდენიმე ადგილას აკურატულად გაკეთებული ნახაზი გვხვდება. მაგალითად, „სათვალის ყალიბის გაკეთებასთან“ დაკავშირებით ფარგალია გამოსახული იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა მოხდეს განსაზღვრული ადგილების დანიშვნა (§ 215).

ცოტა უფრო ქვემოთ მოცემულია დურბინდის ჭრილი გარდამტეხი ფოკუსების ჩვენებით და სხვ.

მომდევნო პარაგრაფში „ფერად-ფერადი ჰიქების გაკეთებასთან“ დაკავშირებით ქურაა გამოსახული (§ 216).

წიგნის, ან წიგნის ყდის მოვარაყების წესის ახსნასთან დაკავშირებით მოცემულია მოსავარაყებელი „თეგის“ ჭრილი (§ 245). ფოლადის ნატეხის გამოსახულებაა „ფოლადის წრთობასთან“ დაკავშირებით (§249) და ბოლოს, გარკვეულ ნივთიერებათა გამოხდასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის სინჯების ნახაზები გვხვდება, სადაც თვით ქიმიური ნაერთის პროცესიცაა ნაჩვენები (§ 110).

საერთოდ სახელმძღვანელო წიგნი მარტივი სახისაა, დაწერილია გასაგები ენით. გასაგებადაა გადმოცემული პარაგრაფების ტექსტის შინაარსი.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ვახტანგი, როგორც ჩანს, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს დანიშნულებას იმით განსაზღვრავდა, რომ იგი პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებითა და ცდებზე დაყრდნობით, ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების და ნაერთის მიღებისათვის გარკვეული ჩვევების გამომუშავების საქმეს გამოსდგომოდა.

ქიმიის სახელმძღვანელო ვახტანგს სხვადასხვა შრომებიდან ამოკრეფილი ცნობებით შეუდგენია, მაგრამ ისე, რომ თითოეული ცდა თავად შეუმოწმებია და მიღებულ ქიმიურ ნაერთს დაჰკვირვებია. ტექსტში ხშირად გვხვდება სპარსული, არაბული, რუსული სახელწოდებები, რაც ასეთი წიგნების გამოყენების ზეგავლენით უნდა შემოპარულიყო. ზოგან ვახტანგი ამა თუ იმ ხსნარის, ან წამლის მომდინარეობის ადგილად საფრანგეთსაც ასახელებს (§ 54, 246, 247), გარკვეულ ადგილებზე გაკეთებული განცხადებები იმ აზრს გვიდასტურებს, რომ ვახტანგი თავად პრაქტიკულად ამოწმებდა მოცემულ ქიმიურ შენაერთთა

[1] ქიმიის სახელმძღვანელო წიგნი—იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S—3721. ტექსტის სამედიცინო ხასიათის პარაგრაფები გამოცემული აქვს მ. შენგელიას—ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 111—125.

ალათი ანუ ქმნულების ცოდნა—იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცალი, ფონდი F—143.

თვისებებს. მაგალითად, ერთგან იგი ამბობს—„ვსცადე არ იქნა“ (§ 81), ანდა —ბევრს ვეცადეო, მაგრამ „ზაჯი“ ვერ ვიშოვე და არ გაკეთდაო (§ 129) და სხვ.

წიგნში წარმოდგენილი ზოგიერთი პარაგრაფი მედიცინის თვალსაზრისითაა საინტერესო, სადაც ვახტანგს ზოგიერთი სამკურნალო წამლის დამზადების მეტად საინტერესო რეცეპტები აქვს წარმოდგენილი.

აღნიშნული სახელმძღვანელოს განხილვა ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ვახტანგის დიდ და მრავალმხრივ ერუდიციაზე. ვახტანგ VI, ვითარცა პოეტი-ლიტერატორი, მთარგმნელი, სამართლისმცოდნე-სჯულმდებელი, რედაქტორ-გამომცემელი, ასტროლოგი და ასტრონომი, ეხლა უკვე ქიმიისა და მედიცინის საფუძვლების მცოდნედ გვევლინება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სწორედ ვახტანგისა და მისი სწავლული კაცების მიერ ყოფილა გადაწერილი და დაზუსტებული საექიმო წიგნი—კარაბადინი[1]. უფრო მეტიც, თვით ვახტანგს სხვადასხვა წყაროებიდან შეკრებით „წიგნი ცხენთა ცნობისა და აქიმობისა“-ც კი შეუდგენია, სადაც ცხენთა ჯიშების შერჩევასა და მოვლასთან ერთად დაავადებები და მათი მკურნალობა, სამკურნალო ნივთიერებებია აღწერილი და სათანადო მითითებებია მოცემული.[2]

ვახტანგს ეკუთვნის აგრეთვე კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური თხზულების სპარსულიდან ქართული თარგმანი, რომელსაც სათაურად აქვს „აიათი ანუ ქმნულების ცოდნა,[3] „ჰაიათ“ — სპარსულად ცხოვრებას ნიშნავს, „ქმნულება“ სიტყვა — ქმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს — „არა მყოფისაგან მყოფად მოსვლა, რამეთუ რა იგი არა იყო, პირველ იქმნა“.

აღნიშნული სახელმძღვანელო წიგნი ვახტანგს მის მიერ დაარსებულ თბილისის სტამბაში დაუბეჭდია 1721 წელს. „გაიმართა ხელითა მროველ ეპისკოპოსის ნიკოლოზ ორბელის ძისათა: ქალაქსა ტფილისისა: — ქრისტეს აქეთ: ჩღკა: აგვისტოს იდ.“

წინასიტყვაობაში წიგნის „გადმოღებისა“ და გამოცემის მიზანდასახულებაცაა განმარტებული. აქ ვახტანგი გვამცნობს, რომ საქართველოს მტერთაგან მრავალგზის მოოხრების შედეგად ამგვარი შინაარსის მქონე წიგნები დაკარგულა, მის დროს აღარ იპოებოდა და „სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“ (ე. ი. მათი ჩამორჩენილობის გამო) „და აწ მეფემან მეფეთამან ვახტანგმა აიათი რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი: ზიჯი მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე,

[1] იხ. უსწორო კარაბადინი ლ. კოტეტიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 470.

[2] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი S—14, H—3260.

[3] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცალი, ფონდი F—143.

მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და შეწევნითა: და სტროლანიც ქართულად გამოვიღე ნუ უკუე ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად: და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა“ და სხვა.

როგორც წიგნის შესავლით ვგებულობთ, ვახტანგს სხვადასხვა წყაროები ჰქონია ხელთ — „ზიჯი მასალა და სხვა ოქმების წიგნები“ და „აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანა შეწევნითა“ ქართულ ენაზე „გადმოულია“ წარმოდგენილი სახელმძღვანელო წიგნი. აშკარად ჩანს ვახტანგის მისწრაფება, რომ თანამემამულეებს ზუსტი მეცნიერებისადმი ინტერესი გაუცხოველოს, „ინებოს და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა“. ეს კი სწავლის გზით უნდა მომხდარიყო „ნუ უკუე ისწავლონ“ და ამდენად მას სახელმძღვანელო წიგნის დანიშნულებაც ექნებოდა.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს აგებულებისა და მოძრაობის საკითხებზე გალილეიმ გამოთქვა თავისი გაბედული აზრი, ხოლო ამავე საუკუნის შუა ხანებში, ცნობილი შეიქმნა კოპერნიკის მათემატიკურ-ასტრონომიული გამოკვლევები. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ შუასაუკუნეთა ბოლო ხანებში მეცნიერების ამ კორიფეთა გამოჩენას მრისხანედ აღუდგა წინ რომის საეკლესიო იერარქია და ყოველნაირად ცდილობდა მათი დოგმების საპირისპირო შეხედულებათა ჩახშობას. ამდენად არცაა გასაკვირი, თუ მრავალგზის მოოხრებული ქვეყნის, ათასგვარი საჭირბოროტო საქმეთაგან დატვირთული ვახტანგ VI არ იცნობდა იმჟამინდელი მეცნიერების ამ მინაღწევარს და სპარსულიდან თარგმნიდა „აიათის“ მოძველებელ „სწავლას... ფილასოფთა“. ასე იყო თუ ისე, თანამედროვე ქართველ საზოგადოებრიობას „მრავალგზის მოოხრებისა“ გამო ამგვარი წიგნები თურმე აღარ ეპოვებოდა და ასე გასინჯეთ „სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“ კიდეც. ასე რომ ვახტანგის მიერ გაწეულ შრომას უთუოდ დიდი ფასი ჰქონდა.

ქვემოთ მოვიტანთ წიგნში წარმოდგენილ დასათაურებებს, რომლებიც ნუსხა ხუცურითაა დაბეჭდილი (თავად ტექსტი კი ლამაზი მოყვანილობის და საამოდ საკითხავი მხედრული შრიფტით). აღნიშნულ დასათაურებათა მიხედვითაც დაახლოებით გასაგები იქნება თვით ტექსტის შინაარსი, რომლის გათვითცნობიერება ერთის წაკითხვით არც თუ ისე ადვილია.

იწყება სახელმძღვანელო — „დასაწყისი პირველით“ (ქარაგმებს ვხსნით. — სვ. გ.). — „ფარსი აიათის თარგმანი ქართულად აქ შედის — მეორე რიგი რაც არსნი რომ ნიშნებით შეიტყობა იმისი ცნობა“. ამას მოჰყვება მეორე თავი (გვ. ი. 11), სადაც ცის სხეულებზეა საუბარი და ასტრონომიული ტერმინებია წარმოდგენილი.

მესამე თავში შედის — „ქმნილების შეტყობის ამბავი“ (გვ. კ-20), მეოთხე თავია — „შვიდის ვარსკულავის ქმნილებისა: რომ იმას შვიდს ცდომილს უძახიან“ (გვ. კდ-24), „თავი მეხუთე: მოარულის ვარსკულავების სიარულის შეტყობა“ (გვ. კთ-39). „თავი მეექვსე: მოარულ ვარსკულავების სიგრძე სიგანის ამბავი ეს ოთხი თავია, თავი ხუთი ვარსკულავის სიგრძის ამბავი“ (გვ. იბ-32), „თავი მერვე დილისა და წიჭის შეტყობისა (გვ. რი-110),[1] „თავი მეცხრე: წელიწადებისა, თვისა, იმათის რიცხვისა, დღისა, ღამისა... ცოდნისა“ (გვ. რია-111), „თავი მეათე: ჩრდილის გამოცხადება“ (გვ. რკ-120), „თავი მეთერთმეტე: შუადღის ხანისა და ყიბნისმხრის გამოცხადება“ (გვ. რკბ-122).

ბოლოს მოსდევს ცალკე მონაკვეთი, სადაც დედამიწის „ზოგიერთის ადგილების მოთხრობაა“ წარმოდგენილი (გვ. რკთ-129).

სახელმძღვანელო წიგნზე მუშაობისას ვახტანგს მისთვის ჩვეული გულმოდგინება გამოუჩენია და ჩანს მეტად ინტენსიური შრომა გაუწევია. ამის შესახებ იგი წინასიტყვაობაშიც აღნიშნავს, როცა ამბობს — „რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ჰირნი მინახავს ამა წიგნთა ზედა.“ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რთული სამუშაო, რომელიც ვახტანგს სათანადო ტერმინოლოგიის დადგენისას უნდა გაეწია. ამ რთულ პრობლემასაც იგი მეცნიერულის სიზუსტით გამშვებული ტერმინოლოგიის მოცემით თავს ართმევს. აშკარად ჩანს, რომ ვახტანგი დილეტანტური ცოდნით არ უდგება წიგნში წარმოდგენილი საკითხების წარმოჩენას, არამედ მათ შესახებ გარკვეული ცოდნა ადრეც ჰქონია. რომ ეს ასე იყო, კერძოდ, ვარსკვლავთმრიცხველობის დარგში ვახტანგი საკმაოდ განსწავლული რომ ყოფილა, ამას სხვა დოკუმენტური წყაროებიც გვიდასტურებენ. კათოლიკე მისიონერის ერთ-ერთ წერილით, მაგალითად, ვგებულობთ, რომ სიყრმის წლებში ვახტანგს განათლება მიუღია ასტრონომიის დარგში, ამ მეცნიერების საფუძვლების გაცნობით და სხვათაშორის იმთავითვე, კარგი ამთვისებლური უნარიც გამოუჩენია.[2]

ვახტანგის ვარსკვლავთმრიცხველობის დარგში გათვითცნობიერების შესახებ გვაუწყებს, ასევე, იოანე ჯამბაკურიან ორბელიანიც ერთ-ერთი თარგმანის მინაწერში, სადაც იგი აცხადებს, რომ „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა ქალდეური ვარსკვლავთ-მრიცხველობისა“[3].

ასე რომ ასტრონომიის დარგში გათვითცნობიერება მრავალმხრივ

[1] ჩვენს ხელთ არსებულ ეგზემპლარში თავი მეშვიდე არ არის, როგორც გვერდების ნუმერაციითაც ჩანს აქ ფურცლები აკლია.

[2] მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ჰართველთა შორის, ტ. 2, 1902, გვ. 339.

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A—1162.

განათლებულ ვახტანგს საშუალებას აძლევს წარმოდგენილი წიგნის შინაარსთან დაკავშირებული ყოველგვარი სირთულე გადალახოს და ქართულ ენაზე საინტერესო სახელმძღვანელო წიგნი შექმნას.

თვით ტექსტში წარმოდგენილი თხრობისა და თარგმანის საილუსტრაციოდ ბოლო თავიდან ერთ-ერთ მონაკვეთს მოვიტანთ — „ბრძენთა და მეცნიერთა წამისათაც ცნობილთ ამაზე ერთი პირი აქვთ რომ ქვეყნის სფეროს ნახევარი დიდს ზღვაში რომ იმ ზღვას უკიანე ჰქვიან: დაფარული იყოს სხვა ნახევარი გამოჩენილი ქვეყანა არის და კვერცხსა გავს რომ წყალში ჩააგდო და ამ ნახევარისაგანაც ნახევარი რომ სამხრისაკენ არის ოხერი და უშენია: და მეოთხედი შენია რომ იმას სამყოფს რუბს ეტყვიან: და სამყოფი რუბი მართლა სწორის ხაზიდ ამ ჩრდილოსაკენ არის: და მართლა სწორი ხაზი როგორც ამას წინათ გვითქვამს ერთი ხაზია: რომ მეცნიერნი დღის გაასწორებლის ქვეშ სწორად მიწის ზურგზედაც ფიქრით გაუსწორებიათ: და რაც ალაგი და ან ქალაქი ამ მართლა სწორს ხაზზე არის აქ დღე და ღამე ნიადაგ ტოლია: ერთმანეთის მეტი და ნაკლები არის და წელიწადში სხვა არე იქნება: იმ ალაგებში ორი გაზაფხული ორჯერ ზაფხული ორჯერ შემოდგომა და ორჯერ ზამთარი. და უფროსი ერთს დროს იმ ადგილებში ვარდი და რეხანი გაიშლება და ამისთვის მრავალნი მეცნიერნი და მცოდნენი იქ წასულან და უნახავთ ქვეყანაზე მართლა სწორის ხაზის დასაწყისი ჩინეთის შრყიარაზიდან იწყება“ და სხვა.

დავით გარეჯის მონასტერში ყოფნის ჟამს სულხან-საბა ორბელიანს შეუდგენია თეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნი „კატეხიზმო“ — საჭრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ურმათათვის, რომელსაც ეწოდების „სამოთხის კარი“. როგორც თვით სათაური გვამცნობს სახელმძღვანელო „ურმათათვის“ ყოფილა განკუთვნილი.[1]

აღნიშნული სახელმძღვანელო საუბრის მეთოდითაა გაკეთებული. მოძღვარი სვამს კითხვას, ხოლო მოწაფე მიუგებს. მაგალითად —

1. „მოძღუარმან ჰკითხა ურმასა ვისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? ურმამან მიუგო და ჰრქვა: ქრისტიანე.
2. მ: რა არის ქრისტიანობა?

   ყ: რათა გვრწმენდეს მართლმადიდებლობის სარწმუნოება.
3. მ: რა არის მართალი სარწმუნოება?

   ყ: რათა გვრწმენეს და ვიცნობდეთ ღმერთსა“.

ასეთი კითხვა-მიგებითაა დაწერილი მთელი სახელმძღვანელო. მასში საბა მეტად მოხერხებულად იცავს მარტივიდან რთულზე გადასვლით სწავლების წესს, რაც საკითხის შინაარსის გაცნობიერებას აადვილებს.

ყოველი შემდგომი კითხვა წინა პასუხის შინაარსიდან გამომდინა-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963, გვ. 326—333.

რეობს. ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობა მთელ სახელმძღვანელოშია დაცული. მაგალითად, ზემოთ მოტანილი ციტატის გაგრძელებაზე ვკითხულობთ:

„4. მ: რა არის ღმერთი?

ყ: არსება უმიზეზო და მიზეზი ყოვლისა არსებისა და ყოველისა ხილულისა და უხილავისა დამბადებელი.

5. მ: რა არი? არსება?

ყ: საქმე თვით არსი, რომელსა სხვა არავინ ეხმარებოდეს თავთავისა თვისისა შემზადებად და თვით მყოფი იყოს“ (გვ 229) და სხვ.

საინტერესოა ისიც, რომ სახელმძღვანელოს კითხვები ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ დებულების დამტკიცებას ითხოვენ. მაგალითად, ათი მცნების სწავლებისას მოძღვარი კითხულობს—„ათი მცნებანი ორთა ფიცართა ზედა როგორ ეწერნა?“, პასუხის შემდეგ — „რაისათვის ერთზე სამნი მცნებანი ეწერნეს და მეოთხესა ზედა შვიდნი?, ანდა — „რომლისა სახე იყო ორთა ფიცართა მოცემა. რაისათვის ერთი არა მისცა, ანუ სამი“ (გვ. 240).

უფრო ქვემოთ ვკითხულობთ — „მ: რა არს მეხუთე მცნება?

ყ: არა კაც კლა.

მ: თუმცა კაცის კვლა არა ბრძანა ღმერთმან რაისათვის მოკლვენ მეფენი და შეიპყრობენ კაცთა? (გვ. 245, 246) და სხვ...

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შედგენისას საბა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებასაც ყურადღებას აქცევს, სწავლების პროცესისათვის მას შემოქმედებითი ხასიათი აქვს მიცემული. ამ შემთხვევაში საბა სავსებით გამიჯნულია შუასაუკუნეთა ევროპის სქოლასტიკური სწავლებისაგან, რის მიხედვითაც თეოლოგიური დოგმების გაუცნობიერებლად დაზუთხვა-გაზეპირება ხდებოდა ხოლმე. უფრო მეტიც, სახელმძღვანელოში მოძღვარი ამა თუ იმ დებულების მტკიცებისათვის გარკვეული დოკუმენტური წყაროს დასახელებასაც ითხოვს (გვ. 265) და სხვა.

მოკლედ, „საქრისტიანო მოძღვრების“, როგორც სახელმძღვანელო წიგნის განხილვა აშკარად მიგვანიშნებს სულხან-საბა ორბელიანის დიდ პედაგოგიურ ალღოსა და დაკვირვებულობაზე. საბა, ვითარცა დავით გარეჯის „მოძღვარი“, როგორც ჩანს, გარკვეულ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. როგორც ვიცით, ადრე ვახტანგის აღზრდა სულხან-საბას ჰქონდა მინდობილი.

თეოლოგიური ხასიათის სახელმძღვანელო წიგნი „კატეხიზმო“ დაუწერია, აგრეთვე გერმანე ხუცესმონაზონს სახელწოდებით — „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლა მოწაფისა“, სადაც კითხვა-მიგების წესითაა ტექსტი წარმოდგენილი.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე მსოფლიო გეოგრაფიის ორი სახელმძღვანელო წიგნი იქნა თარგმნილი, რომელთაგან ერთი ლათინურ ენაზე შედგენილი გაბრიელ გელოვანს უთარგმნია, ხოლო მეორე რუსულ ენაზე შედგენილი ვახუშტი ბატონიშვილს.

პირველი წიგნის სათაურია — „ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგულისათვის აღწერა ლათინთა ენისაგან ქართულთა ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანისა მიერ“.[1]

სახელმძღვანელოს წინ უძღვის დედამიწის საერთო აღწერა.

პირველ ნაწილში წარმოდგენილია თხრობა ევროპული ქვეყნების შესახებ — ესპანეთის სამფლობელოებზე, საფრანგეთის, იტალიის, კესარიის სამფლობელოებზე, ნიდერლანდიის, დანიის, შვეციის, ლიტვის, ინგლისის, უნგრეთის, ყირიმის სახანოს შესახებ.

მეორე ნაწილში აღწერილია თურქთა სამფლობელოები, სპარსები, უდაბნოს ხალხები, ჩინეთი, ინდოეთი, ინდიელთა კუნძულები.

მესამე ნაწილში — აფრიკა, ეგვიპტე, ეთიოპია, ხოლო მეოთხეში — ამერიკა, ახალი ესპანეთი, ფლორიდიის ქვეყნები, პერუს, ჩილის, ბრაზილიის, ახალ მიწის ქვეყნები და აღმოჩენები.

ბოლოში წარმოდგენილია ცხრილი, სადაც დედამიწის სხვადასხვა მონაკვეთების წარმოშობის დროისა და ფართობების შესახებაა ცნობები მოცემული.

მსოფლიო გეოგრაფიის მეორე სახელმძღვანელო წიგნი ვახუშტი ბატონიშვილს რუსეთში ყოფნის ჟამს უნდა ეთარგმნა.[2] აღნიშნული წიგნი ყოფილა „განწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიისა იმპერატორულის აკადემიისათვის“.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო პირველთან შედარებით უფრო სრულია. როგორც ჩანს ვახუშტის არ აკმაყოფილებდა ლათინური ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოს შინაარსი და ახალი სახელმძღვანელოს „გარდმოღებას“ ამდენად შესდგომია, რომელსაც თავისი ხელით შედგენილი რუკები დაურთო.

სახელმძღვანელოს პირველი თავი ევროპის საერთო აღწერას ეთმობა.

მეორე თავია — „პორთუღალიისათვის“, მესამე თავი — „ღიშპა-

---

[1] იხ. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A—1007.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A—717.

ნურის სამეფოსათვის", მეოთხე — „ფრანციისათვის", მეხუთე — „ბრიტანელთა ჭალაკებთათვის", მეექვსე — „იტალიისათვის", მეშვიდე — „შვეიცარიისათვის", მერვე — „ღერმანიისათვის", ასე თანმიმდევრობით ცალ-ცალკე თავები ეძღვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს — „ნიდერლანდიას", „ეგრეთ წოდებულთა სამთა ჩრდილოელთა სამეფოებთათვის პოლურთა და პრუსსელთა, ეგრეთვე დიდისა სამთავროსა ლიტვისათვის და საღერცულოსა კურლანდურისათვის, „ვენგერიისათვის", „თურქულთა ევროპისამდე ჯეროვანებულთა ქვეყანათათვის და საბერძნეთისათვის", „ასრიისათვის", „თურქულთა ქ~ყნთათვის ას ასაშა", „სპარსეთისათვის", „დიდის მოღოლის ქ~ყნთათვის და ოსთინდოსათვის". „ვიტაიურის სახელმწიფოთათვის", „მდებარებთა გარემოს ასიისა ჭალაკებთათვის", „აფრიკისათვის". „ამერიკისათვის".

თითოეულ წარმოდგენილ მონაკვეთში ის ქვეყნებიცაა აღწერილი, რომლებიც იმხანად დასახელებულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში შედიოდნენ. სახელმძღვანელოსათვის ვახუშტის, როგორც ადრე აღვნიშნავდით, თავისივე ხელით შედგენილი რუკები დაურთავს. რუკები ფერებშია წარმოდგენილი და ისეთი ზუსტი გაანგარიშებითა და გემოვნებითაა შესრულებული, რომ სტამბური წესით დაბეჭდილ რუკებისაგან ძნელად გასარჩევი ხდება.

გარდა ამისა სახელმძღვანელო წიგნს ვახუშტის მიერ გაკეთებული აპარატიცა აქვს დართული, წინ ლექსიკონი და სხვადასხვა ნიშანთა განმარტება, ხოლო ბოლოში „ნუსხა ზედ წერილისა" — ანბანური წესით გეოგრაფიულ სახელთა ჩამოთვლა იმ გვერდების მითითებით, რომლებზეც იხსენიებიან ისინი.

აქვე წარმოდგენილია ნუსხა—„ღუბერნიათა სანახებთა და ქალაქებთა რუსეთის სახელმწიფოთა შინა მოპოვნებულთა".

ახალი სახელმძღვანელოების შექმნა ვახტანგ VI-ის და სულხან-საბა ორბელიანის თაოსნობით წამოყენებული კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და იგი იმავე აღმზრდელობითი მიზნებით იყო გაპირობებული, რაც საერთოდ ახასიათებდა ვახტანგის „კულტურული დასის" შემოქმედებით მუშაობას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ძველი სახელმძღვანელო წიგნები სრულიად შეუფერებელი იყო ახალი ცხოვრებისა და მისი მოთხოვნებისათვის. ახალი ცხოვრების მოთხოვნებთან შეფარდებით სახელმძღვანელოთა გამრავლების აუცილებლობაც დაინახეს, რომლებიც დღემდე უცნობი დარგების მომცველიც უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ VI-ის გარშემო შემოკრებილი დასის ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობა საერთოდ ეროვნულ ნიადაგზე იდგა, რომელიც ერის ცხოვრებაში ავბედითობის შედეგად გაჩენილი წყლულების მოშუშებასა და მკურნალობას ისახავდა მიზნად. თუ წინა საუკუნეში ქამ-

თა სიავის გამო უფრო პესიმისტური ხმები ისმოდა (თეიმურაზ I, საისტორიო ეპოსი), ვახტანგ VI-ის დასმა ოპტიმისტური თვალით შეხედა არსებულ ვითარებას, ძალა მოიკრიბა და პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. რა თქმა უნდა, „სწავლულ კაცთა" საქმიანობას გარკვეულად ხელი შეუწყო აღორძინების ხანის პირველ ეტაპზე ეროვნული თვითშეგნების თანდათან გამოღვიძებამ და განმტკიცებამ, რაც განსაკუთრებით მე-17 ს. ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურის გამოცოცხლებითა და განვითარებით შეიმჩნა.

თუ პირველ ხანებში ეროვნული თვითშეგნება წარსულის გაიდეალებით, ხოლო არსებული ვითარების მიმართ პესიმისტური დამოკიდებულებით გამოიხატებოდა (უმთავრესად საისტორიო ეპოსით), შემდგომ ხანებში, რეალისტურ ნიადაგზე დგება და ცხოვრების უარყოფით მხარეებს პრაქტიკული თვალი ხედავს. ამ მხრივ არჩილი მთლიანად გაემიჯნა თეიმურაზ პირველს, რომლის შემოქმედებას მხატვრული ღირებულების გვერდით მეტად მძლავრად გაჰყვება პესიმისტური შტრიხი. ამიტომაა, რომ თეიმურაზ I-ის შემოქმედებას ნაკლებად ჰქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ვიდრე არჩილის შემოქმედებას მთლიანად და კერძოდ მის სააღმზრდელო დანიშნულების თხზულებას — „საქართველოს ზნეობანი". არჩილი ოპტიმისტია და ქვეყნის უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას ადგას — „სოფელს ვაგინებ, მაგრამ მიყვარს და ვერ ვეხსნებია, ყოფნაც მძულს ცრუსთან, ჯერ ხანად გაყრა რა სახსენებია".[1] არჩილს მართალია სოფლისადმი სამდურავი აქვს, მაგრამ იგი როგორც იმავე სოფლის შვილი გარკვეული მოვალეობის გრძნობითაა მასთან დაკავშირებული. თეიმურაზი იმდენად დამწუხრებულია სოფლის უკუღმართობით, რომ პესიმიზმის, ასკეტიზმის, ბოლოს აღმოსავლური სუფისტური მისტიზმითაა გატაცებული. მართალია მის შემოქმედებაში გვხვდება ნაციონალური თემატიკა ქეთევან დედოფლის წამების აღწერით, მაგრამ ეს თეიმურაზის შემოქმედების საერთო თემატურ სფეროდან განყენებულად დგას.

თეიმურაზი აფრთხილებს და ასწავლის მკითხველს, რომ სოფლის მინდობა საშიშია —

> ეწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების,
> პირველად ამოდ შეიტკბობს, საყვარლად დაუამდების,
> აღარ გაჰყვების, ბოლოს ეამ უმუხთლებს, გაუავდების,
> მე მას ეჰგმობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინც დაუზავდების".

ამასთანავე თეიმურაზი არ ასწავლის ადამიანს თუ როგორ უნდა გამონახოს საერთო ენა სოფელთან, ე. ი. ქვეყანასთან, ამქვეყნიურ ცხოვ-

[1] არჩილიანი, პირველი ტომი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 79.

რებასთან ურთიერთობისათვის. თუმცა თეიმურაზი აცხადებს ერთგან —„ვინ დარჩების სოფელს მყოფი, არ მომდურდეს სოფელს მალად —“ ო, მაგრამ იქვე დასძენს „ბოლოს არვის გაუთავებს, შეექმნების მას სამალად-ო“ (სტრ. 17). საერთოდ იგი მეტად შეშფოთებულია მისი დროის პოლიტიკური და პირადი უბედობის გამო — „შემაშთო სოფლის ზრუნვამა, ვამე რაღა ვჰყო აწა მე“ აცხადებს თეიმურაზი (სტრ. 10).

თეიმურაზი იმაზეც წუწუნებს, რომ მის დროს „სიბრძნისადმი“ და „წმინდა მცნებანის“ შესახებ ინტერესი დაიკარგაო, მაგრამ იგი ამ საქმის გამოსწორებისათვის ზრუნვას, „სიბრძნის“ დაუფლებისათვის მოწოდებას კი არ შესდგომია, არამედ რადგანაც „არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწუხინდეს ცუდად დებანი, მას არვინ ისმენს, ვარჩევე სოფლისა მიდ-მოდებანი-ო“.

არჩილი ამ საკითხშიც სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დადგა. იგი ამჩნევს ამ ნაკლოვან მხარეს, მაგრამ ნაცვლად „სოფლის მიდ-მოდებანისა“ მტკიცე, პრინციპულსა და მიზნობრივად გააზრებულ გზას ირჩევს საქმის გამოსასწორებლად (როგორც ამას ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა დაგვანახვებს). არჩილი მე-16—18 სს. ქართული აღორძინების ხანის პირველი მოღვაწეა, რომელიც განათლების საქმით სპეციალურად დაინტერესდა. აღნიშნულ პერიოდში პედაგოგიური აზრის გამოცოცხლებაც მისგან იწყება და ამდენად უპირველეს მის განხილვას შევუდგებით.

1. არჩილი

არჩილი ქართული სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა გვარეულობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, ვითარცა პოეტი და მოაზროვნე. იგი შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის (1658—1675) შვილი იყო.

პოლიტიკურ სარბიელზე არჩილი უიღბლო აღმოჩნდა. თავდაპირველად მან ფეხი ვერ მოიკიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც შაჰნავაზმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა დასვა ტახტზე. დასავლეთ საქართველოში არჩილის მეფობას ოსმალეთის შემოტევამ შეუშალა ხელი, რამდენადაც იგი ამ მხარეზე თავისი პროტექტორატის პრეტენზიებს აცხადებდა. 1664 წლიდან სპარსეთის შაჰის თანხმობით არჩილი კახეთში გამეფდა, ოღონდ იძულებული შეიქმნა შაჰის მოთხოვნით მაჰმადიანობა მიეღო. კახეთს გამეფებამდე ირანს ჩასული არჩილი ფორმალურად მაინც დათანხმდა შაჰის კაპრიზებს. ამ ფაქტს შემდეგში იგი სინანულით იხსენიებს: „ნათლისღება შევაგინე, სჯულს გარდავხედ სიჭაბუკებს, დავემონე სატანასა ჩემს მომღერალს და მებუკეს“.

1675 წლიდან არჩილი კვლავ იღვწის იმერეთის ტახტის შემომტკიცებისათვის. არჩილის ამ მცდელობას იმერეთის დიდკაცობაც წინ აღუდგა, რომელნიც ასაბუთებდნენ — თითქო მას (არჩილს) ქართლის მეფეთა დინასტიური უფლებები აქვს მხოლოდ და იმერეთზე ხელი არ მიუწვდება. იმერეთის ტახტის დასაპყრობად არჩილი გარეშე ძალის მოშველიებასაც ცდილა, იგი დახმარებას შესთხოვდა ირანის შაჰს, ოსმალეთის სულთანს, ხან კი ყირიმის ხანს და რუსეთის მთავრობას, მაგრამ მისი ყოველი ცდა მარცხით დამთავრდა. იმერეთის ტახტზე ოთხჯერ გამეფებული არჩილი ოთხჯერვე ჩამოგდებულ იქნა.

შინა თუ გარე პოლიტიკური ურთიერთობით გაწვალებული არჩილი მოსკოვზე ამყარებდა თავის იმედებს. წინააღმდეგობის მიუხედავად იგი დაჟინებით ილტვოდა რუსეთს გამგზავრებულიყო, საიდანაც დახმარების იმედი ჰქონდა. ოჯახითა და ამალით მოსკოვს ჩასული არჩილის მიღება მთავრობამ ერთხანს დააყოვნა, ხოლო 1685 წელს იგი დიდის პატივით მიიღეს.

1688 წელს ქართლის მეფე გიორგი მტრის წინააღმდეგ შეერთებული ძალით საბრძოლველად იწვევს არჩილს და იგიც საქართველოში ჩამოვიდა. აქ ფეხის მოკიდება არჩილმა ამჯერადაც ვერ მოახერხა და საბოლოოდ გადასახლდა რუსეთს 1699 წელს. პეტრე I-მა არჩილს და მის შვილს ალექსანდრეს, რომელსაც იგი მეგობრობდა, დიდძალი მამულები მისცა ნიჟეგოროდისა და მოსკოვის მაზრებში. არჩილის საცხოვრებელი ადგილი კი მოსკოვთან ახლო მდებარე სოფელი ვსესვიატსკოე იყო, სადაც გაატარა მან თავისი სიბერის წლები შემოქმედებით მუშაობაში. პატივისცემაში მყოფს, მაგრამ სამშობლოს სიშორით გულდამწვარ მეფე-პოეტს აქვე აღმოხდა მისი განცდების გამომხატველი სიტყვები: „თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხო თემსა და მიწებსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწებსა“.

არჩილის პირადულ უბედურებას ზედ დაერთო ჯერ ერთი შვილის, მამუკას სიკვდილი 1693 წელს, რომელიც მოსკოვში გარდაიცვალა: შემდეგ მეორე ვაჟის, ალექსანდრეს, შვედებთან ომში (1700 წელს) ტყვედ ჩავარდნა, სადაც მან 10 წელი დაჰყო. რუსეთის საიმპერატორო კარის ყოველი ცდა ალექსანდრეს უკან დასაბრუნებლად უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს, 1710 წელს ალექსანდრემ ნებართვა მიიღო დროებით მშობლებისა და ოჯახის სანახავად გამგზავრებულიყო, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა.

სვე გამწარებული და მძიმედ დაავადებული არჩილი გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს.

* * *

არჩილს თავისი მდიდარი შემოქმედებიდან სპეციალურად აღზრდის საკითხებისადმი აქვს მიძღვნილი თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსით და-

წერილი შეგონებითი ხასიათის თხზულება — „საქართველოს ზნეობანი“, სადაც რაინდული აღზრდის საკითხებია მოცემული.

საერო-სარაინდო აღზრდის შესახებ წინა თავში წარმოდგენილმა კვლევამ დაგვანახა, რომ აღზრდის ამ სახეობას არჩილის დროისათვის უკვე კარგა ხნის ისტორია ჰქონდა ძველ საქართველოში.

არჩილის მოთხოვნები ფაქტიურად საქართველოს სინამდვილეში არსებული ტრადიციულ ზნეობათა ასახვაა, რომელთაც თავი მოუყარა და მკითხველს ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნის სახით მიაწოდა.

არჩილის თხზულება იმითაა საინტერესო, რომ „ზნეობრივი“ აღზრდის შესახებ მასში წარმოდგენილი შეგონებები პატრონყმურ სისტემაზე აგებულ საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას ეხება. აქ საზოგადოდ „პატრონთა და ყმათა“ ზნეობრივი ნორმებია წარმოდგენილი. ამითვეა გაპირობებული თვით სათაურის ზოგადი ხასიათიც.

„ზნეობა“ ჩვეულებას, წესებს, თვისებებს გამოხატავს. ამ ჩვეულებათა თვისებების გამომუშავება, წესების ათვისება, აღზრდის პროცესში, სწავლების გზით ხდებოდა. ასე იყო ეს რუსთაველის ეპოქაშიც. ამასვე გულისხმობს არძილი, როცა წერს — „ყოველი ცოდნა ზნეობაა“, რადგან ცოდნა სწაელით მიიღება, მაშასადამე, „ზნეობასაც“ შესწავლა უნდა. სხვა ადგილას იგი პირდაპირ ამბობს: „ზნეობა საქციელებით არ ბნელობს, არის ნათელი კაშკაშებს დაუფარავად, ვითა წყვდიადში სანთელი, ეს უნდა კაცმა იცოდეს, მის-მის დროს რაა საქნელი. ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი“. (64).

რა უნდა ისწავლოს ქართველმა ფეოდალმა რაინდმა, რომ იგი საზოგადოების ღირსეული წევრი იყოს? მას „საღვთო“ და „სამხედრო“ ზნეობანი უნდა ჰქონდეს ათვისებული. დიდი ადგილი უკავია არჩილის თხზულებაში „სამხედრო ზნეობათა“ შესახებ საუბარს, რომელშიც ძირითადად იგივე დარგებია ჩამოთვლილი, რაც მე-12—13 საუკუნეების საქართველოში:

(6) დია კარგია სხვებიცა ზნეობა — საქციელები,
მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ ფიცხელები,
რადაბრაგანს და გადრზედა მარჯვედ იხმაროს ხელები,
წავლა ჩამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები“.

გარდა ამისა საჭიროა „მცურაობის“ ცოდნა, თუმცა ამას „ნაეთ ხმარება“ სჯობს (15). ლაშქრობასა და მონადირეობასთანაა დაკავშირებული „მეჯინიბობის, მხედრობის“, სხვადასხვა „ცხენოსნობის“ ცოდნის მოთხოვნები. კარგი „ცხენის, ძაღლის გამორჩევა“, „ფრინველების“ ცნობა (12) ყოველივე ეს მხედარმა უნდა იცოდეს. უნდა იცოდეს მან, ასევე:

14. „აშფაშაჭი და ყაბახა, ბურთის სროლა, მესეფქობა,
კარზედ ცხენის გაჭენება, ხელ-ძალიან ჯირითობა,
ახლა ესეც ზნედ დაიდეა მოუხდენი მეთოფობა“,
26. „ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბეა სეფქის გაწყობა,
მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ჭარქაშის კარგა ჩაწყობა,
არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანეთს მიწყობა.
რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრიყობა.
27. ჩოგნის მოხერეტა, მობანდეა, სწორის ბურთისა გამოჭრა,
ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, ომის დროს ფიცხლად გარდმოჭრა,
მოპაიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოჭრა.
28. ხმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა,
ისარი სხვილი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა,
ვისცა არა აქვს, უძრახენ, სხვამან სხვას მიუუბნისა“.

მოკლედ, ფეოდალი რაინდი აქ ჩამოთვლილ „ზნეობათა“ და სხვა მსგავსთა ისე უნდა ყოფილიყო დაუფლებული, რომ მას თავის გამოჩენა შესძლებოდა როგორც ლაშქრობისას, ისე გასართობად მოწყობილ ასპარეზობაში.

რამდენადაც ფეოდალური კლასისათვის მშვიდობიანი ცხოვრების დროს ქეიფი და დროსტარება დამახასიათებელი და ხშირი მოვლენა იყო, არჩილი არც იმისათვის საჭირო „ზნეობათა“ ცოდნას ივიწყებს, აქაც ხომ გარკვეული ზნეობანი იჩენს თავს. მაგალითად, სტუმრიანობისას საჭიროა „მის-მის ალაგს კაცის დასმა“. სუფრა ბარაქიანი უნდა იყოს და ყველაფერი თავ-თაეის ადგილას დაწყობილი. სუფრასთან მსხდომთა უნდა იცოდნენ:

9. „ზმა და ხუმრობა, სიცილი, სხეის ზმისაც მალ გაცინება,
კარგისა აზნაურშვილის სიტყვისა არ გამგუნება,
დროიან გაჯავრებულმან კარგია, მოიგუნება,
მუნასიბისა ლექსისა უკეთ რა გაიგონება?
10. რაც საკრავია ყველა რამ, თვითო ზნეობად ჩაეგდოთ,
ბაში, ცეკვა და სამაი, ჯუბანიც რასთვის დაეგდოთ?
წმიდათ ჭაშა და დიდი სმა, ვინ პირით აღარ წაეგდოთ,
კარგია ვინც კი შეირგებს, ვინც არწყევს, კარში გაეგდოთ“.

საზეიმო თავყრილობისას:

11. „ტანსა და ფეხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის,
ჭარქაშის კარგა მობორბლა, ჩექმა დეზითურთ კმა არის,
უჩირქოთ წმინდათ ხმარება, კვლა გასცის და მოიხმარის,
სანდომ მიხედვა, მოხედვა, თეალი მახვილით მოარის“.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, დასვენებასა თუ ლაშქრობაში ფეოდალ რაინდს სამსახურს უწევდა და თან ახლდა ყმა — მისი ქვემდგომი, შედარებით დაბალი წოდების წარმომადგენელი პირი, ან პირადი

მსახური. ყველა ამათ ბატონის მიმართ ეთიკის გარკვეული ნორმები უნდა დაეცვათ. მაგალითად, არ შეიძლება ბატონის ზურგის შექცევა. „პატრონისა ბრძანებაზედ მონანი მალ გაიქცია“, (აქ უკვე მსახურზეა საუბარი), თუ მათვე რაიმე წასაღები აქვთ, ფრთხილად უნდა მოიქცნენ, რათა არ დააქციონ (49). თუ ბატონმა ინება და წყალობა გაიღო, ან რაიმე მიაწოდა ქვემდგომს (სულერთია ვინც უნდა ყოფილიყო), „ორის ხელით უნდა ჩამოერთვას“, „აგრეთვე შენგან მისართმევი ორითავე მას მიართვი“ (48). უზრდელობაა სმის დროს სასმელის „აწრუწუნება“, ბატონის თანდასწრებით თხილის მტვრევა, ლაწუნი“ (51) ანდა რაიმეზე გადაყუდება. „ზეზე მდგომი ფერხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელს ხვევ, თუ არ ცუდო, ნურც იცინი, ნურას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყუდო“. ის ვინც წესებს არ დაიცავს უზრდელი, გასაკიცხი და უვიცი იქნება (51). მეფესთან რაიმეს თხრობის დროს დაუშვებელია ხელის ან ფეხის თამაში, ან თუ ულვაშის გრეხა“ (52). თუ ბატონი მოწყენილია, მის ქვემდგომს სიცილი არ მართებს, ტკბილი სიტყვით უნდა ეცადოს მის გამხიარულებას. ბატონი თუ საუბრობს მოთმინებით უნდა მოუსმინონ, ამ დროს ცალკე საუბარი უწესობაა (58). არჩილს ფრიად საძრახისად მიაჩნია ენის მიტანა, ცილისწამება და სხვა.

38. „კარგკაცობაა შენახვა ყოველისა ხოშიადისა,
ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა.
ჩხუბი და შეენაობა ვინც კაცმა დაიჭადისა,
სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაიხადისა.

ამავე დროს,

39. ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს,
მუსაიფს თუ სხვას, ვის გინდა, მისი რჩევა მიუტანოს,
მის პირს უნდა შეადუჭოს, ზედ თავსლაფი დაატანოს
ძირში ენა ამოართას, კლიტე თან ამოატანოს“.

ეთიკის და „ზნეობის“ ზემოთ წარმოდგენილი მოთხოვნები პატრონყმობის მთელ სისტემას ეხება. ყმა გლეხი, რომელიც ზოგან ფეოდალის პირად სამსახურში ყავს არჩილს ნაგულისხმევი, თავისი ბატონის, პატრონის წინაშე ისე უნდა იქცეოდეს, როგორც ეს ზემოთ მოტანილი შეგონებებით გვეუწყა.

უზრდელ და უზნეო აზნაურებს არჩილი ურისხდება:

53. „ვინ ხელით აზნაურშვილობს გამცალე, წადი იქით,
რად გგონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით?
თუ არ დაშლით, მოწურთნა გიჯობს ჯოხითა და გინდა ბაქით“.

ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია არჩილის თხზულებაში გონებრივი აღზრდის საკითხს და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას. ცოდნის გამოსახატავად არჩილი სიტყვას — „სიბრძნეს“ ხმარობს, ისევე როგორც ეს საქართველოში ძველთაგან საერთოდ მიღებული იყო. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელმა ისწავლაო — „სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“, ე. ი. ამ ქვეყნის ფილოსოფოსთა მიერ შექმნილი ცოდნა.[1]

რუსთაველი წერს — „არა ვიჭ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“, ე. ი. ფილოსოფოსთა სიბრძნის, ცოდნის შეგონების.

არჩილის შეხედულებით „სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა“, ცოდნას ვერაფერი შეედრება, იგი პირველ ადგილზე დგას. როგორც ვხედავთ, არჩილი გონებრივ აღზრდას უპირატესობას აძლევს და ამით იგი საქართველოში ძველთაგან არსებული შეხედულების მიმყოლი და მისი გამომხატველია. არჩილის შეგონებით ცოდნას ბევრი ნაყოფი აქვს, იგი ადამიანის მუდამ თან მყოფი შენაძენია; „სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია, სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია“ (73). ცოდნა, „სიბრძნე“ არჩილის მიხედვით ერთ-ერთი „ზნეობაა“ — „სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია“ (75), ე. ი. ცოდნა ყველა ზნეობათაგან გამორჩეულია, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია.

76. „სხვა ზნე ყველა მობრყვილდება სენითა თუ დ'შავებით,
მარტო დავრჩი უსაშურველო, სულ შიშველი ვის შეევებით?
ეს დარჩების საკვდილამდინ არც სულ დაუნაშაებით“.

მოკლედ,

77. „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ“.

ვისაც ცოდნა არა აქვს, იგი საქმეშიც გამოუდეგარი იქნება,

„მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდშუდი სიტყვა წასცდება,
ცოტა ხანს თუცა რამ იყოს, სიბრიყვით შალე წახდება“ (74) და სხვ.

მაინც რა უნდა იცოდეს არჩილის შეხედულებით ფეოდალმა „ზნესრულმა“ რაინდმა, როგორი უნდა იყოს მისი ცოდნა, რა საკითხების სწავლებით უნდა მოხდეს მისი გონებრივი განვითარება? უპირველეს საცოდნელ დარგად არჩილს თეოლოგია მიაჩნია. თვით „სიბრძნეს“

[1] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 14.

„ღვთის შიშის შემსჭვალვა, მაგრა ჭონება“ უნდა. უამისოდ „ეშმაკისა მონებაა“ ყოველგვარი ცოდნა, თეოლოგიის გარეშე უვარგისია, ეშმაკისაა (96).

80. „სამღვთო საქმის უმეცარი ბევრს ავს საქმეს წაადგება.
ეშმაკს ვერას ვერ შეუტყობს, რა საცდომლად შეადგება,
მერე მისად საპასუხოდ კარს მღვთის რისხვა მიადგება,
შერცხვება და წაცაწყმდება, ველაროდეს აუდგება“.

„საღვთო საქმის“ ცოდნა ადამიანს გონებას გაუხსნის, ალალმართალი გზით ატარებს (92), „ჯაბანს გაამხნობს, ხდალს კაცსა მგონივარ გაამამაცებს, ანჩხლს დაატკბობს და განსწავლის სულელსა კაცსა და უცებს“ (93). იგი ადამიანს სულიერ სიმშვიდეს მისცემს, „დააშვიდებს, დაამდაბლებს, აღარავის აამაყებს“ (94) და სხვა.

ამასთანავე, არჩილს სასურველად მიაჩნია სხვადასხვა ენების ცოდნა, როგორც მშობლიური ისე უცხოური ლიტერატურის კითხვა:

31. „ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, უსეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად“.

განათლებული ადამიანი კარგი მწიგნობარი უნდა იყოს, წაკითხულის შინაარსის გაგება ადვილად უნდა ეხერხებოდეს, მთარგმნელობა შეეძლოს და სხვა:

32. „მწიგნობრობა ჭრელ-სადაგი, ჭრელ ძილისპირთა გარდათქმა,
მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა“.

რამდენადაც არჩილის დროს მხედრული და ხუცური დამწერლობა არსებობდა, იგი ორთავეს ცოდნას სავალდებულოდ სთვლის:

„მრგლოვანს, ყვავის ფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა,“ საინტერესოა ისიც, რომ არჩილი სასურველად მიიჩნევს მხატვრობის ცოდნასაც:

„მხატვრობას, მონახაზობას არვინ ჩააგდებს ავადა“,

ამავე დროს,

34. „გარეშე წიგნის კითხვაზე ხმა ავად ნუ იხაუადა“.
„ლეჭსთ მთარგმნელობა, გარდმოვლით ხუმრობის ადვილ შეტყობა“ და სხვა.

*
* *

თავის თხზულებას არჩილი სასწავლო-სახელმძღვანელო მნიშვნელობას ანიჭებს, იგი წერს:

103. „ბევრი კაცი იმიზეზებს: არა მყონდა მომცველიო,
ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ ამცველიო,

აჰლა რაღა პასუხი გაჭვსთ, აი თქვენი მსწავლელიო,
ვინ არ იწვრთნა, მალმც მოკვდები, ნუ ხარ ხანის წამვლელიო“.

საკითხთა დალაგების მხრივ თხრობა გარკვეულ პრინციპსაც ექვემდებარება. პირველ რიგში არჩილი „სამხედრო ზნეობის“ საკითხებს წარმოაჩენს, „საღვთო ზნეობას“ ბოლოსთვის იტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავარ საკითხად მიაჩნია — „თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც კაცთა ზნე საქმე რაც არი“ (4). ამას არჩილი იმიტომ სჩადის, რომ „საღმვთო ზეობა“ მას უმთავრეს და რთულ საკითხად მიაჩნია, რომელთანაც მისვლა და გაცნობიერება თანდათან უნდა მოხდეს. არჩილმა იცის, რომ სწავლებაში საერთოდ ერთ-ერთი გამოსაყენებელი გზაა თანდათანობით, მარტივიდან რთულზე გადასვლით საკითხების აწავლება და ამასვე უქვემდებარებს, როგორც ჩანს, თავისი თხზულების საერთო გეგმას. ერთგან იგი ამბობს:

67. „მსწავლელი მოსწავლეებსა სასწაულოს არ გაუძნელებს,
მცირედ მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს,
ეწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს“.

*
* *

არასწორად მიგვაჩნია განცხადება იმის შესახებ თითქოს არჩილს პირველად მიენიჭებინოს უპირატესობა ცოდნის დაუფლების იმ პირობისათვის, რომელიც ადვილიდან რთულზე გადასვლით სწავლებას გულისხმობს. ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს ქრ. შარაშიძეს და მას იმეორებს ი. ჯღარკავა[1]. არჩილთან არც პირველად გვხვდება აღნიშნული საკითხი და არც მისდამი უპირატესობის მინიჭების საქმე მიეწერება მას. სწავლების წარმატებულობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პირობას განსაკუთრებულ ყურადღებას ჯერ კიდევ იოანე პეტრიწი უთმობს როცა აცხადებს: „რამეთუ სასწაულოდ შემავალთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და მერმეღა მათგან შედგმულთა ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, სახელთა მიერ თქუმასა, და კუალად თქმულისა მიერღა სიტყუასა“. ი. პეტრიწს აღნიშნული შეგონება ესაჭიროებოდა მკითხველ-მსწავლელის ერთის პრობლემამდე მისაყვანად, მის რთულ შინაარსში ჩაწვდომისათვის. არჩილთანაც დაახლოებით იგივე მდგომარეობა გვაქვს. მისი გაგებით ყოველი ზნეობა „საღვთო ზნეობასთან“ შედარებით მარტივია, მეორეხარისხოვანია, მთავარი და პრობლემატური „საღვთო ზნეობაა“. საერთოდ ზნეობანი კი სხვადასხვა

[1] ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722) თბ., 1955, გვ. 42; ი. ჯღარკავა, აღზრდა-განათლების საკითხები არჩილის შემოქმედებაში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII ქუთ., 1967, გვ. 225.

ხარისხისაა, მეტნაკლები მნიშვნელობისაა, „ხარისხ-ხარისხ ამვლელია“ (103). ამდენად ჯერ მარტივი ზნეობები აქვს მას განხილული, ხოლო შემდეგ რთული და პირველხარისხოვანი. თავის თხზულების დასაწყისში იგი ამბობს:

> 3. „აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის
> სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვაგლახარის,
> ლაშქრობის ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის,
> საქციელ სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაც კმარის“.
> 4. თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე საქმე რაც არის“.

სწორად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია, რომ არჩილი საერთოდ „თავის თხზულების საგანს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: ზნეობა საღვთო, ე. ი. ის წესები, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი თავის დამოკიდებულებაში ღმერთთან, და სამხედრო, ე. ი. საერო“ და „რადგანაც ეს უკანასკნელი არჩილს უფრო ადვილად მიაჩნია, ამიტომ პირველ რიგში „საღმრთო ზნეობის“ შესახებ ლაკონიური განცხადების შემდგომ „თავსაც საღმრთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი“, სწორედ ამ სამხედრო ზნეობას განიხილავს.[1]

აკად. ს. ჯანაშია სათანადოდ განიხილავს თუ რა უნდა იგულისხმებოდეს „მშვებლის“, „მოვაგლახარის“, „ლაშქრობის“, „ნადირობის“, „საქციელისა და სამსახურის“ ზნეობებში, რომლებიც „სამხედრო ზნეობის“ შემადგენელნი არიან. მისი დაკვირვებით „მშვებლის ზნეობა“ უნდა გულისხმობდეს იმ წესებს, „რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა იგი, დღიურ საზრუნავს მოშორებული, დასვენებასა და მხიარულებას არის მოწადინებული“. „მოვაგლახარის ზნეობა“ კი იმათ წესებს ეხება „ვისაც პირადად ეწვია უბედურება, ან ვალდებული იყო სხვის მწუხარებაში მონაწილეობა მიეღო“. „ნადირობის“ და „მოლაშქრის“ ზნეობების განხილვისას აკად. ს. ჯანაშია დასძენს, რომ „თავისთავად, ნადირობაც ფეოდალებისათვის თავის გასართობი საქმე იყო, მაგრამ ამასთან ერთად იგი მის უაღრესად რეალურსა და მნიშვნელოვან ინტერესს აკმაყოფილებდა: იგი ავითარებდა იმ თვისებებს, რომლებიც საუკეთესო, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიუცილებელი სამკაული იყო მ ო ლ ა შ ქ რ ი ს ა თ ვ ი ს: ასეთი იყო „მეჯინიბობა, ცხენოსნობა, სარდლობა, ზავთი სარჯლისა, დღედაღამ დაუზარლობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე მიმხვდარობა“... და სხვა. „ეს თვისებები, როგორც ვთქვით, სათანადო წრეების საარსებო ინტერესებს აკმაყოფილებდა და ამიტომაც აქცევს არჩილი ასეთს უურადღებას და მოითხოვს მათ შეძენას“...

[1] შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში, იხ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, თბილისი, 1937, გვ. 25.

აქვე ავტორი ეხება „ზრდილობიანობის წესებს“, „საქციელისა“ და „სამსახურის“, „განათლების“, არჩილთან „კარგ ზნედ“ წოდებული მუშაობის საკითხებს“ ბარვა, წინდვა, ხვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის დროება“, „საღმრთო ზნეობას“ და ბოლოს დასძენს, რომ „შესაძლებელია ეს წესები ყველა ქართულ ნიადაგზე განვითარებულიყო, თანდათანობით დროთა განმავლობაში, თუ ზოგიერთი მათგანის წარმოშობის ძირი საქართველოს გარეშე უნდა ვეძებოთ? ჩვენი ძეგლის ერთი ადგილი თითქოს პირდაპირი პასუხია ამ საკითხისა: თავისი თხზულების ბოლოში (არჩილი — სვ. გ.) ამბობს:

> „საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო
> ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო“.

მაშასადამე, ეს ზრდილობა, არჩილის აზრით, წმინდა ქართული ზრდილობაა და სხვა ქვეყნებთან მას კავშირი არა აქვს. ამ განცხადებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად, ჩვენ რა თქმა უნდა, მხოლოდ მას ვერ დავემყარებით. ამისათვის სხვა წყაროების შეჯერებაა საჭირო[1].

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ჟურნალ „მნათობის“, ფურცლებზე დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში განვითარებულ მოსაზრებას (ავტორი ანა ღვინიაშვილი), რომლის მიხედვით თითქოს არჩილის „საქართველოს ზნეობანის“ დაწერაზე პეტრე I-ის დროის რუსეთში გამოცემული **„Юности честное зерцало...“**-ს უნდა მოეხდინა გავლენა.[2]

სტატიის ავტორი შეცდომას უშვებს, როცა იგი „საქართველოს ზნეობაზე“ **„Юности честное зерцало...“**-ს გავლენის შესახებ მიუთითებს. როგორც თვითონვე აღნიშნავს, **Юности честное зерцало...“** პეტრე I-ის ბრძანებით 1717 წელს დაიბეჭდა, არჩილი კი, როგორც ვიცით, 1713 წელს გარდაიცვალა, ხოლო როგორც გამორკვეულია, წარმოდგენილი თხზულება მას 1684—1685 წლებში აქვს დაწერილი[3]. მაშ რა გავლენაზე უნდა იყოს აქ საუბარი? ამ ორ თხზულებაში ზრდილობის სულ სხვადასხვა წესებზეა საუბარი. ავტორს შესადარებლად მოაქვს მცირე მონაკვეთი, სადაც ზრდილობაზეა საუბარი. ზრდილობის წესების შესწავლას შუასაუკუნეების რაინდულ აღზრდაში ერთ-ერთი ადგილი ეკავა ევროპაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც. ასე რომ ზრდილობის წიაბზე რომაა საუბარი ზემოთ წარმოდგენილ ორივე თხზულებაში

[1] შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, თბილისი, 1937, გვ. 33.

[2] იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1947, № 10, გვ. 170.

[3] ა. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 579.

ეს ბუნებრივი ამბავია. საქმე ისაა, რომ ციტირებულ ადგილებში სულ სხვადასხვა წესებზეა საუბარი. მაგალითად არჩილს არსად არა აქვს ნათქვამი ასეთი შეგონება — «Также когда в беседе, или компании случится в кругу стоять или сидя при столе, или между собою разговаривая, или с кем танцуя, не надлежит никому неприличным образом в кругу плевать, но на сторону. А ежели в каморе, где много людей, то прими харкотины в платок, а так невежливым образом в каморе, или в церкове не мочи на пол, чтоб другим от того не вредить, или отведи для того к стороне (или за окошко выброси), дабы никто не видал, и подотри ногами так чисто, как можно» და სხვა.[1] ასე რომ აქ საერთოდ დედნის გავლენაზეც ზედმეტია ფიქრი. ეს ორი თხზულება სულ სხვადასხვა ვითარებაში და გარემოშია აღმოცენებული.

მე-12—13 საუკუნეებიდან მოყოლებული ქართულ საისტორიო წყაროებში „სამხედრო ზნეობის" თითქმის იგივე ფორმები გვხვდება, რაც არჩილთანაა მოცემული, რომლებსაც „სამამაცონი ზნენი" ეწოდებოდა. „სამამაცონი ზნენი", როგორც ვნახეთ, ისეთ ზნეობებს გულისხმობდა, როგორიცაა „ნადირობა", „მოცურავობა", „მოისრობა", „მხედრობა", „მოასპარეზობა", „მობურთალობა" და სხვა. თუ ამათ არჩილის მიერ ჩამოთვლილ „სამხედრო ზნეობებს" შევუდარებთ, იგივე სურათს მივიღებთ.

რაც შეეხება ზრდილობის წესებს, ძველი საქართველოს ქართველი რაინდი მას უდაოდ იცავდა. რუსთაველი ერთგან პირდაპირ ახსენებს „ვეფხისტყაოსანში" ქცევის წესების შესწავლის ფაქტს. თავისი თავგადასავალის მოყოლისას ტარიელი ეუბნება ავთანდილს:

„ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად,
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ღრმსა ნაკვთად."[2]

აქ მოხსენებული „ქცევა-ქმნათად" ქცევის წესებს (არჩილისებურ „საქციელებს") გულისხმობს, რომელშიც სხვა ზნეობებთან ერთად ეთიკის ნორმებიც შედის.

ზემოთ აღინიშნა, რომ არჩილი „მოვაგლახარის" ზნეობასაც ახსენებს, რაც უბედურების ჟამს შესასრულებელი წესების ასრულებას გულისხმობს. აღნიშნულ ზნეობას იმავე ტერმინით ჯერ კიდევ რუსთაველთან ვხვდებით. „ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირი ავთანდილი ტარიელის საძებნელად წასვლის წინ შერმადინთან საუბარში ამბობს:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხუაშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე,
არ მოვბრუნდი, მომიგლოვე, მიტირე და მოუგლახე,"

ე. ი. იმ შემთხვევაში თუ ავთანდილი უკან ველარ დაბრუნდებოდა შერმადინს, ვითარცა მის ერთგულ ყმა რაინდს, ის წესები უნდა შეესრულებინა, რაც „მოვაგლახარს" შეეფერებოდა — უნდა ეგლოვა, ეტირა და „ევაგლახა" ავთანდილი. აშკარაა, აქ იმავე „მოვაგლახარის" ზნეობასთან გვაქვს საქმე რაზედაც არჩილი გვესაუბრება.

მაშასადამე, არჩილის თხზულების „საქართველოს ზნეობანის" ძველ ქართულ წყაროებში „საერო-საინდო" ზნეობების ამსახველ ცნებებთან შეჯერება აშკარას ხდის, რომ აქ ჩვენ წმინდა ქართულ ტრადიციულ ზნეობათა ასახვასთან გვაქვს საქმე, არც მეტი და არც ნაკლები, თუ როგორ შეძლო არჩილმა ამის გაკეთება, ეს უკვე სხვა საქმეა. მართალია, წარმოდგენილი თხზულება მხატვრული თვალსაზრისით მდარეა, მაგრამ ის მიზანდასახულება, რაც ავტორს დაუსახავს, აშკარად შესრულებულია. არჩილს კი მიზნად ჰქონდა ისეთი თხზულება შეექმნა, სადაც ფეოდალი რაინდისათვის სავალდებულო „ზნეობანი" იქნებოდა წარმოდგენილი და დაანახვებდა იმ სავალდებულო მინიმუმს, რაიცა „ზნე-სრული" ფეოდალური საზოგადოების ღირსეული წევრისათვის იყო სავალდებულო.

„საქართველოს ზნეობანი" საერო-საინდო აღზრდის ძველთაგან არსებული ფორმების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს უნდა მოსახურებოდა. ასეთი იყო ამ თხზულების დაწერის მიზანდასახულება და საჭიროება.

აღნიშნული თხზულება სახელმძღვანელო დოკუმენტია იმისათვის, რომ განისაზღვროს განთლებული რაინდის აუცილებელი ცოდნა, ცოდნის ის მინიმუმი, რაც საქართველოში ფეოდალი რაინდისათვის ტრადიციულად სავალდებულო ყოფილა. არჩილი თავისი თხზულებით თითქო ცდილა გარკვეული სახელმძღვანელო პროგრამაც შეექმნა „საქართველოს ზნეობათა" მსწავლელთა თუ შემსწავლელთათვის.

„ზნეობათა" სწავლებას რომ სპეციალურად დაჭირავებული მასწავლებლები ახდენდნენ, ამას თვით არჩილიც გვიდასტურებს. იგი აცხადებს, რომ სწავლის შეძენა მასწავლებლის შემწეობით უნდა ხდებოდეს, ასეთი გზით მიღებული ცოდნაა მტკიცე:

83. „სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის".

ეს განცხადება იმასაც გვიდასტურებს, რომ არჩილი სწავლე-

[1] ჟურნალი „მნათობი", 1947, № 10, გვ. 175.

[2] იხ. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", 800 წლის საიუბ. გამოც. თბ., 1965, გვ. 321.

ბის პროცესში მასწავლებელს ანიჭებს წამყვან როლს. სწორედ ამ მასწავლებლების მიმართ იძლევა იგი შეგონებას, რომ „მცირედ მცირედის“, „უწინ პატ-პატა სწავლებით“ რთული საკითხების გაგება იქნება შესაძლებელიო (67). ამასთანავე, სწავლების პროცესის რეგლამენტირებას მოითხოვს არჩილი:

67. „ცოტა რამ კარგად ასწავლის, გაუშვებს, მალ ასადილებს და სხვა.

ზემოთ წარმოდგენილი თხზულებით არჩილი ჭეშმარიტად იმკვიდრებს ერთ-ერთ საპატიო ადგილს აღორძინების ხანის პედაგოგიური აზრის ისტორიაში. მართალია ეს თხზულება ერთ გარკვეულ-სარაინდო აღზრდის მხარეს ეხება, მაგრამ მისი მნიშვნელობა, ვითარცა ეპოქის ამსახველისა და მისივე სამსახურში ჩაყენებული თხზულებისა, მეტად დიდია, დიდია მისი როგორც ისტორიული დოკუმენტის ღირებულება. რადგან იგი, ერთი მხრივ, გვიანფეოდალური ხანის საქართველოში არსებული სარაინდო ზნეობათა შინაარსში გვარკვევს, აგრეთვე, სხვა, ადრეული ისტორიულ წყაროთა შეჯერებით, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ სარაინდო აღზრდის განვითარების ისტორიას მე-12—17 საუკუნეებში.

არჩილი იბრძვის ქართული სარაინდო ზნეობათა გადარჩენისა და განმტკიცებისათვის, რაც შესაძლოა „ჟამთა სიავისა“ და „აღრევის“ შედეგად წარყვნილიყო. როგორც თვით არჩილის სიტყვებითაც ჩანს, იმ დროისათვის „ბევრი კაცი“ იმიზეზებდა აღნიშნულ ზნეობათა შესასწავლად „არა მყონდა მომველელიო“. არჩილის თხზულებას სწორედ ასეთი შემთხვევისათვის უნდა გაეწია სამსახური:

„ახლა რაღა პასუხი გაქვთ, აი თქვენი მსწაელელიო!
ვინ არ იწვრთენა, მალმც მოჰკვდები, ნუხარ ხანის წამველელიო“. (103).

პასუხობს იგი იმ პირთა მისამართით, ვინაც „მომველელის“, ე. ი. მასწავლებლის უყოლობას უჩიოდა. ვფიქრობთ, თხზულების ეს ადგილი მასწავლებლების ნაკლებობაზე იმდენად არ უნდა მიგვითითებდეს, რამდენადაც თვით ცოდნის შეძენისადმი ინტერესის დაცემაზე. არჩილს მეტად განაწყენებული ტონი აქვს. მისთვის გაუნათლებელი ადამიანი აუტანელია — „ვინ არ იწვრთნა, მალმც მოჰკვდებიო“ — აცხადებს იგი, ე. ი. ვინც არ ისწავლის, უსწაელელი კაცის ყოფნას, სიკვდილი ჯობიაო.

მაშასადამე, არჩილის თხზულებას, ერთი მხრივ, ქართველ ფეოდალთა საზოგადოებაში აღნიშნულ ცოდნათა დაუფლებისათვის ინტერესი უნდა გაეღვივებინა, სახელმძღვანელო წიგნის დანიშნულებაც უნდა გაეწია და თვით მასწავლებლებსაც უნდა გამოსდგომოდა თავიანთი საქმის შესრულებაში (რაკი შიგ ამ უკანასკნელთათვისაცაა შეგონება გაკეთებული). ასეთია ამ საინტერესო თხზულების მნიშვნელობა.

* * *

გარდა „საქართველოს ზნეობისა“ არჩილს სხვა ისეთი თხზულება არა აქვს, აღზრდის საკითხებს სპეციალურად რომ ეხებოდეს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა არჩილის შემოქმედების ზოგიერთი მხარისათვის არ შეგვეხედნა, როგორც აღმზრდელობითი დანიშნულების მქონესათვის. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ თხზულება—„გაბაასება კაცისა და სოფლისა“, რომლის დანიშნულება მაინც დიდაქტიკური ხასიათისაა. აქ წარმოდგენილია „სოფლის“, ე. ი. ადამიანის ყოფიერების შემცველი ამ ქვეყნისა და თვით ადამიანის გაპაექრება. ადამიანი მოძჩივნის როლში გამოდის „სოფლის“ მიმართ, ხოლო უკანასკნელი მოპასუხისა. პირველი „სოფელს“ უჩივის, რომ იგი მაცდურია, „გესლის უმწარე ნაყოფის“ შემცველი, „მუხთალი“, „ცრუ,“ „დაუნდობარი“, „ბრძენთ საძულარი“—მოკლედ, ყოველგვარი სიავისა და გამწარების მიზეზი — რაც ადამიანს სჭირს. ამგვარ გაკიცხვაზე „სოფლის“, ქვეყნის მიერ გაცემული, პასუხებით ფაქტიურად თვით ადამიანი გამოდის გამტყუნებული. აშკარად შეიმჩნევა, რომ არჩილი, „სოფლის“ მხარეზეა, ასე ვთქვათ, მოპასუხე „სოფლის“ პირით არჩილის მსოფლმხედველობაა გამოხატული.

მაგრამ ისიც შეიმჩნევა, რომ ზოგიერთი „სოფლისადმი“ მიმართული სამდურავი თვით არჩილის ნებით თუ უნებლიედ გამოხატული გულისწუხილიცაა. მაგალითად, ერთგან იგი კაცს ათქმევინებს:

„ჴოვს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებინებ,
პრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,
ძველს თავადს ღაღანიძესა ქვეშ ჰილობს დააგებინებ“[1]

ფეოდალური საზოგადოების ეს მაღალი რანგის წარმომადგენელი, მეფე-პოეტი, მე-17 ს. მიწურულს ამჩნევს იმ სოციალურ დიფერენციაციას, რომლის შედეგადაც ასე უწესოდ ნაწილდება საზოგადების მატერიალური დოვლათი. ისიც ნაწილდება ისე, რომ უმეტესი წილი საზოგადოების უმცირეს ნაწილს ერგება. რომ ეს ასეა, ამას თვით არჩილი ამბობს—„მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ“! (ხაზი ჩვენია.—სვ. გ.).

სხვა ადგილას არჩილს ისიც გათვალისწინებული აქვს, რომ საზოგადოებრივი მატერიალური დოვლათის შემქმნელი ეს მრავალი, გლეხი-

[1] არჩილიანი, ტომი პირველი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 36. (სტრ. 141).

კაცია, რომელიც თუ „ამოწყდეს... საქართველო დაძაბუნდა“ (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, 627). ყოველივე ამის შემდეგ თითქო მოსალოდნელი იყო, რომ არჩილი რაიმე რადიკალურ გზებს დასახავდა „გლეხი-კაცის“ საშველად, საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის სარეგულირებლად, მაგრამ ეს ასე არ ხდება და არც შეიძლებოდა მომხდარიყო ბატონყმური ურთიერთობის იმ გარემოცვაში, არჩილს რომ მოღვაწეობა უხდებოდა. პირიქით, არჩილი, ამასთანავე, ხედავს რა, რომ ქვეყნის აშლილობა თვით ფეოდალური კლასის მდგომარეობის შერყევასაც იწვევს („უაზნონი განგვილაღდნენ, უმეცარნი პატივს იცნეს“—ლექსში ასდაათნი, გვ. 20), თანამედროვეთ პატრონყმური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ მოუწოდებს. ამასთან დაკავშირებით „სოფლისა და კაცის გაბაასებაში“ ასეთი სახის შეგონებაა მოცემული:

„თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა,
პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დააპირეთა:
თავის პატრონსა დამონდით კარგ-გულად, ნუ ავ-პირეთა,
სჯულის-თავთ, ეფისკოპოსთა თავმდაბლად ემსახურეთა“ (274).

პატრონყმური ურთიერთობის განმტკიცების ტენდენციითა, ასევე გამსჭვალული „საქართველოს ზნეობანის“ მთელი რიგი ადგილებიც.

არჩილი ცდილობს თვით პატრონყმური ურთიერთობაში დანერგოს გარკვეული ჰუმანური დამოკიდებულება საზოგადოების წევრთა შორის. ერთგან იგი ამბობს:

„ნუ მიმძლავრებ ქვრივს და ობოლს, დაუტევე, მოგონება,
კარგი არის შეჰირვებულთ მეზობელთა მოგონება,
ღარიბთა და ყოვლთ უღონოთ სათხოვრისა გაგონება.
ეინც არ იცის, დამიჯეროს, უჯობს ამის შეგონება“ (ლექსნი ასდაათნი, 90).

საერთოდ, არჩილი შეუწუხებულია ქვეყნის პოლიტიკური-ეკონომიური ვითარების მძიმე შედეგებით და ცდილობს თანამედროვეთ მისი დროის ყველა მტკივნეული მხარე დაანახვოს. შეაგნებინოს მათ, რომ მტერი ვერაფერს

„უზამს იმდენსა, რომ ყმა ბატონზე მოიღებს,
მძლავრისა მტრისაც ეგეევე, ერთს რასზე გზასა გაიღებს:
თუ კაცი შეგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს“.

ეს შინა აშლილობა, ფეოდალური ქიშპი და ზნეობრივი სიმტკიცის შერყევაა ქვეყანას რომ ანგრევს:

„ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ქამში, რამდენი ავი რამ იქნა?
რა ცრუ-ფლიდობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა?

ღვთის შიში გულით განვარდნა, ვისგან სულ არსი შეიქმნა,
ვეჭვ, აღსასრულიც მოვიდა, ავისაც ბოლო დაიქნა“.
(საქართველოს ზნეობანი, 82)

არჩილი ამხელს რა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩენილ მანკიერ მხარეებს მისი გამოსწორების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად აღმზრდელობითი დანიშნულების საქმიანობას მიიჩნევს. მისი თვალთახედვით, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების ერთ-ერთი პირობათაგანია „ზნეობრივი“ შეგნება და საეროდ განათლების მიღება, ამან გაანაპირობა, როგორც ჩანს, „საქართველოს ზნეობანის“ ცალკე თხზულების სახით დამუშავებაც. ამიტომაა არჩილის შემოქმედებაში ასე უხვად რომ მოიპოვება ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით გამოთქმული შეგონებები (არ უნდა დავიწყოთ, რომ ყოველი ცოდნა, არჩილის მიხედვით, ზნეობაა და მაშასადამე, ცოდნის, განათლების მიღება — ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია).

„სოფლისა და კაცის გაბაასებაში“ გარკვეული მონაკვეთი აქვს დათმობილი „სოფლისა“ მიერ საერთოდ „კაცთათვის“, კერძოდ, „მღვდელთ მოძღვართა“, „მხედართა“, „ვაჭართა“, „სოფლისაგან მუშაკთა“, „სათანადო სოფლისაგან ყოველთა კაცთა“ და „კიდევ საერთო“ სწავლების საკითხებს.

აქ წარმოდგენილია შეგონებანი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მმართველი-მეფე, მღვდელთ-მოძღვარი, მხედარი-რაინდი, ვაჭარი, სოფლის მუშაკი-გლეხიკაცი, როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს საზოგადოების წევრთა შორის საერთოდ და სხვა. მართალია ამ საკითხების წარმოსახვისას არჩილი კვლავ ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის საწყაულში ბრუნავს, მაგრამ ერთი კია—მის მიერ წარმოდგენილი საზოგადოება მიუხედავად კლასობრივი დიფერენციაციისა ჰუმანიზმის პრინციპებს უნდა იცავდნენ თურმე და ჰარმონიული ურთიერთგაგებით ცხოვრობდნენ. ამ ურთიერთობათა ტონის მიმცემი და მაგალითი უპირველეს ქვეყნის მმართველი—მეფე უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს — „ სიბრძნე, გონება, ჰკუით ცოდნა საქმისა მომავლისა“ (259), მეფე — სამართლიანი, „ქვრივთა, ობოლთა მოწყალე“ უნდა იყოს, „მოძულე ცრუ მეჭორეთა“ (260).

„ოდეს ნახოს მომძლავრებით ქვრივი ძალს ქვეშ ნარებია,
ასე უნდა იტკივნებდეს, ვით დედა შესწუხებია,
კვლავ ობოლი-ყითამც შვილი თვისი წინ ასტირებია,
დაადუმოს სამართლითა და სიტკბოთ ნამტირებია“ (261).

მეფე, არჩილის შეგონებით, „მკურნალის ბრძნისა“ მსგავსი უნდა იყოს, რომელიც ამავე დროს უსამართლობისა და ანგარების მიმართ დაუზოგავი იქნება და სხვა (263, 265).

რაც შეეხება „მღრდელთ-მოძღვარნი“ და საერთოდ სასულიერო იერარქიის მთელი შემადგენლობა „ქრთამით“, ან „დიდ-გვარობით“ კი არა, არამედ ღირსების მიხედვით უნდა ინიშნებოდნენ თავ-თავიანთ პოსტებზე და მათ „სიწმინდე“, „სიმშვიდე და სიმდაბლე“ უნდა ახასიათებდეთ (269), დღე და ღამ თავიანთ „სამწყსოზე“ ზრუნავდნენ და სხვა.

„მხედართაგან“ არჩილი პატრონის „ერთგულებას“, „სჯულმტკიცე სათნოებას“, სიმამაცეს მოითხოვდა (278, 279).

ვაჭარი თავის საქმეს პატიოსნად უნდა აწარმოებდეს, „ნამეტნავად“ „არ უნდა“ „მიიწყას“, არამედ „მისცეს მცირითა“, ხოლო „ჩვენგან სიცრუით ნაშოვნი წაგერთმის კვლა სიცრუითა-ო“ (280).

სოფლის მუშაკებმა კი „თავის ნაშრომი მოიმკას მრავალ წილადა, არ ნაპარევი, სიმართლით რაც ჰქონდეს დათერძულადა“ (281).

ყოველივე ამას მოსდევს შეგონება იმის შესახებ, რომ საზოგადოების წევრები სწავლის მოყვარენი (295), „საღვთო საქმეში“ და საერო ზნეობაში განსწავლული უნდა იყვნენ, „სიტყვა-მარჯვენი“, თავმდაბალნი და თავშეკავებულნი (290). ასეთივე—„ზნე-სრული, კარგა გაზრდილი შვილი“ უნდა გაზარდოს ყოველმა კაცმა (301). საზოგადოების წევრები ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ. თუ ვინ რაიმეს იშოვნის და საკუთარ სურვილს დაიკმაყოფილებს, სხვისთვისაც უნდა იზრუნოს—„შეიმოსე და შემოსე ვინ სწუხდეს სიშიშვლისადა“ (282). კარზედ მომდგარ სტუმარს პატივი უნდა სცეს, ამხანაგს პატივისცემით წინ მიეგებოს „თავ-მდაბლად შორს მომავალსა“, თუ რამეს თხოვს, დაეხმაროს — „ეს დაგრჩეს. სხვა არაფერი, ჰე, კაცო, შენ წარმავალსა. უმჯობეს არის სახელი კეთილი განძსა მრავალსა“ დასძენს არჩილი (284).

მოკლედ, ადამიანები ურთიერთგაგებით, ერთმანეთის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულებით უნდა ცხოვრობდნენ, მაგრამ რომ ეს შესაძლებელი იყოს, ადამიანი ასეთად უნდა აღიზარდოს—ასეთია არჩილის შეხედულების ძირითადი კრედო. მისი თქმით — „კაცი უნდა ან გვარადა, ან სწავლაში გაიზარდოს თუ სიბრძნეში გაიწვრთნების, უგვაროდაც გაივარდოს“.[1] იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს არჩილი სწავლას, რომ სწავლით აღჭურვილ კაცს არავითარი დაბრკოლება წინ აღარ უჩანს.

ეს ქვეყანა, არჩილის შეხედულებით, მშვენიერი რამ არის, მასში ყველაფერია მოცემული იმისათვის, რომ ადამიანმა იცხოვროს (გვ. 19-დან 28-მდე), ღმერთმაო, ეუბნება „სოფელი“ ადამიანს:

[1] **არჩილიანი, ტომი მეორე**, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 40 (სტრ. 417).

„ცა ყოვლითა სამკაულით განგიშვენა და დაგირთო,
კვლა ქვეყანა ყოვლის ნივთით მით აგივსო, შენ მიირთო.
აწ შენ შეგქმნა საპატრონოდ, ბრალი არის რომ წაართო,
ამ დიდების მომზირალმან ჰხამს, სიცრუე არ შეირთო“ (24).

ე. ი. კაცს ბუნებისაგან ყველაფერი აქვს მოცემული, ადამიანისათვის ყველა საარსებო პირობა არსებობს ბუნებაში, მთავარია ადამიანმა გაგამოიყენოს ის, უპატრონოს მას.

„სოფელი“ თავის დიალოგებში არ უარყოფს ამ ქვეყნის სიკეთისა და ბოროტების ერთად არსებობას. მაგრამ საზოგადოებამ და კერძოდ ადამიანმა უნდა განსაზღვროს რა გზით იაროს. ამასთან დაკავშირებით „სოფელი“ ამბობს:

„არ წაგართმევია უფლება კარგის და ავის მფლობლობა
ხელმწიფება გაქვს ორისავ. რომლისაც გინდათ მპყრობლობა.
რომელიც გინდათ, იმას იქმთ, ჩემზე რისი გაქვთ ბრალობა?“ (72).

მაშასადამე, ადამიანებზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, სიკეთის თუ ბოროტების, „ავის“ გზით იქლიან, „სოფელს“ მათ ავბედითობაში არაფერი ხელი არა აქვს. იგი პირიქით, ურჩევს უკეთესი გზით იაროს — „აღირჩიეთ უმჯობესი, ნუ გსურთ ცრუ მოქადულისა“.

მაშასადამე, წარმოდგენილი მიმოხილვით არჩილი ჰუმანისტ პოეტად წარმოგვიდგება, თუმცა მისი ჰუმანისტური იდეები ვერ სცილდება კლასობრივ ჩარჩოებს. საზოგადოების კეთილად ცხოვრების არჩილისეული იდეალი ერთგვარად „განათლებული აბსოლუტიზმის“ შინაარსს გვაგონებს. სახელმწიფოს სიძლიერისა და სიკეთის, თვის ადამიანთა აღზრდის მნიშვნელობის გაგებით თითქოს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებსაც გვაახლოებს. მაგრამ არჩილის შეხედულებათა ამოსავალი წერტილი ფაქტიურად მისი დროის საქართველოს ისტორიული სინამდვილეა, რამაც განსაზღვრა საერთოდ მისი მსოფლმხედველობრივი მიმართულება. არჩილი ხედავს ქვეყნის პოლიტიკურს, ეკონომიურს, სოციალურ და კულტურულ ვითარებას, სიღუხჭირეს. იგი ცდილობს ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, რამაც განსაზღვრა არჩილისეული პურიზმი. იცის, რომ საჭიროა ბრძოლა, ქვეყნისათვის თავის დადება და აღფრთოვანებული აღწერს გიორგი სააკაძის გმირობას, მოუწოდებს თავის ერისშვილთ, რათა:

„რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ!
აწ ეს ჭენით ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ"
(გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, 609).

არჩილი იმასაც ითვალისწინებს, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა არ კმარა ქვეყნის გადარჩენისათვის. მთავარია ერის შეკავშირება, მისი სულიერი საგანძურის მოფრთხილება, შინა განწყობა, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და სწორედ ამ საქმეთა მოგვარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა „ზნე-სრული", ე. ი. ყოველმხრივ განვითარებული ერის შვილთა აღზრდა, რომელიც არჩილმა ყოველი მშობლის აუცილებელ მოვალეობად დასახა.

მშობლიური ქვეყნის ავბედითობას არჩილის შემოქმედებაშიც შეაქვს პესიმიზმის სიმპტომები. მაგრამ არჩილი საბოლოოდ სძლევს მას და ოპტიმისტური და რეალისტური პოზიციის ნიადაგებზე დგება.

ჩვენ ამჯერად არჩილის შემოქმედების ერთი, აღმზრდელობითი მხარე გვაინტერესებდა, ისიც ყველაზე კონკრეტულ, რელიეფურად გამოკვეთილ საკითხებს შევეხეთ. უნდა ითქვას კი, რომ არჩილის შემოქმედების ამ მხრივ განხილვა ამით მაინც არ უნდა ამოიწურებოდეს. რადგან იმ გარემოში და იმ ამოცანების სამსახურში, რა დროსაც არჩილს მოღვაწეობა მოუხდა — მისი შემოქმედება თითქმის მთლიანად აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა.

არჩილი ქართული აღორძინების ხანის პირველი მოღვაწე იყო, რომელმაც განმანათლებლობის დროშა აასწია, რომლის ღირსეული მემკვიდრენი სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი.

5. სულხან-საბა ორბელიანი

სულხანი — ერისკაცობისა, ხოლო საბა ბერად აღკვეცის შემდგომ მიღებული სახელია იმ შესანიშნავი პიროვნებისა და მოღვაწისა, რომლისაგანაც ფრიად დავალებულია ქართული კულტურა.

დაბადებულა სულხან-საბა 1658 წლის 24 ოქტომბერს (ანუ ახალი სტილით 4 ნოემბერს) დიდი ფეოდალების, ქვემო ქართლის დიდი ნაწილის მფლობელ ორბელიანთა ოჯახში. მის მშობლიურ მხარედ ითვლება ტანძია (დღევანდელი ბოლნისის რაიონი). მამა სულხანისა, მდივანბეგი ვახტანგ, განათლებული კაცი ყოფილა, დედა თამარი არაგვის ერისთავის ასული იყო.

სულხანის ოჯახს ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა სამეფო კარ-

თან. არჩილი სულხანის მამიდაშვილი იყო. სულხანის აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის არჩილის ძმას გიორგი XI-ეს, რომელიც განათლებული და ქართული კულტურის დიდი მოამაგე იყო.

ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერით ვგებულობთ, რომ სულხანს სპეციალურად მიჩენილი მასწავლებლები ასწავლიდნენ—„მწვრთიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწვრთიდა იაშვილი გიორგი. მზრდიდა სათუთად და ნებიერად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა", „რამეთუ ვიყავი სწაელისა ფრიად მოყუარე', ამ ცნობაში სულხანის სწავლის საქმე ეპიზოდურადაა გადმოცემული. აშკარაა, მას ამაზე წინაც ეყოლებოდა სხვა საგნის მასწავლებლები, რის შესახებ ცნობა აღარ შემორჩა. თვით სულხანის ნიჭმა და „სწავლისა ცქრიად მოყუარებამაც" განაპირობა როგორც ჩანს იმ დიდი ერუდიციის შექმნა, რომლითაც იგი საზოგადოებრივ საქმიანობაში მოგვევლინა. სულხან-საბა ერუდირებული ლიტერატორი-მწერალია, სხვადასხვა ენების, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიის კარგად მცოდნე.

ქართლის პოლიტიკურმა არეულობამ სულხანის ცხოვრებაზეც იმოქმედა. გიორგი XI-ის სამეფო ტახტიდან ჩამოშორებამ და ნაზარალიხანის (ერეკლე I) გამეფებამ სულხანი აიძულა გარდახვეწილიყო. ერთხანს იგი დევნილი იყო, შემდეგ დავით გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა (1698 წ), სადაც გარკვეული ლიტერატურული საქმიანობა წამოიწყო. მაგრამ სულხან-საბას მშფოთვარე სული მონასტრის კედლებში მაინც ვერ ჩერდებოდა და საქვეყნო საქმეებისაკენ მიილტვოდა. მე-18 ს. დასაწყისში სულხანის გაზრდილი ვახტანგ VI-ის ქართლში დამკვიდრებამ საშუალება მისცა მას მონასტრიდან გამოსულიყო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმულიყო. ამიერიდან ვახტანგის პოლიტიკური თუ კულტურული საქმიანობის მრჩეველი და თაოსანთაგანი სულხან-საბა ორბელიანი იყო.

1712 წელს სპარსეთში გაწვეულ ვახტანგს სულხან-საბაც თან გაჰყვა. გართულებული მდგომარეობის გამო სპარსეთიდან იგი მალე გამობრუნდა, ხოლო 1713 წლის 17 აგვისტოს „საიდუმლო მისიით" ევროპაში გაემგზავრა. გამგზავრების წინ საბამ პოლიტიკური თვალსაზრისით კათოლიკობა მიიღო.

ევროპაში ყოფნის ჟამს საბა რამდენჯერმე ეახლა რომის პაპს და საფრანგეთის მეფეს ლუი XIV, რომელსაც საქართველოს მძიმე მდგომარეობის გამო და ვახტანგის ტყვეობიდან გამოხსნისათვის დახმარებას

---

[1] იხ. ქუთაისის გაზეთი „სიტყვა და საქმე", 1934, №8, სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და სულხან ორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. VIII.

თხოვდა. მაგრამ საბას ევროპაში 3 წლის განმავლობაში ყოფნამ ცრუ დაპირებების მეტი ვერაფერი ნაყოფი გამოიღო და 1715 წელს იმედგაცრუებული სამშობლოსაკენ გამობრუნდა.

საქართველოში დაბრუნებულ სულხან-საბას გარშემო ერთგვარი „ოპოზიცია“ გაჩენილა, რომლის ხელშემწყობი საბას მიერ კათოლიკობის მიღებისა გამო განაწყენებული კათალიკოსი დომენტი და სხვა წარჩინებული სამღვდლო პირები უნდა ყოფილიყვნენ. ასე რომ ერთხანს საბასა და ვახტანგ VI-ეს შორისაც კი გაუხლართავთ ინტრიგის ქსელი.

სპარსეთზე გაერთიანებული ძალით ლაშქრობის შესახებ რუსეთისა და საქართველოს შორის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ვახტანგ VI-ეს ქართლში აღარ დაედგომებოდა. განრისხებულმა შაჰმა ვახტანგის ნაცვლად აქ კახეთის მეფე კონსტანტინე (მაჰმადყულიხანი) გამოგზავნა მეფედ. ვახტანგი შეეცადა ძალით შეენარჩუნებინა ხელისუფლება, მაგრამ ვერას გახდა. ამას 1723 წ. თბილისზე ოსმალთა შემოტევა დაერთო. ასე რომ 1724 წელს ვახტანგი იძულებული შეიქმნა 1400 კაცისაგან შემდგარი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო. ვახტანგის ამალაში იყო სულხან-საბა ორბელიანიც, უკვე მოხუცებული და დასნეულებული, რომელიც მალე გარდაიცვალა — 1725 წლის 26 იანვარს, არჩილ მეფის ყოფილ სასახლეში, „სესენწკას“ (ვსესვიატსკოეში) და აქვე იქნა დასაფლავებული.

ასე დამთავრდა ამ მრავალჭირნახული და ქვეყნის უზადო მოამაგის მშფოთვარე და დაუდგრომელი ცხოვრება.

*
* *

სულხან-საბა ორბელიანი მთელი თავისი შემოქმედებით დედაბოძივით დგას აღორძინების პერიოდის ქართული კულტურის განვითარების გზაზე. მისი შემოქმედებისათვის, ისევე, როგორც ამ დროის ქართველ მოღვაწეთა (არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი) შემოქმედებისათვის საერთოდ, ერთი გარკვეული მიზანდასახულება — საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლა — იყო დამახასიათებელი. ამ ბრძოლას თავისი საგანმანათლებლო იდეებით გარკვეული მიმართულება უკვე არჩილმა მისცა. სულხან-საბას მოღვაწეობა ამ დაწყებული საქმის გაგრძელება იყო, რომლის მასშტაბები და შინაარსი გაფართოვდა და მაღალი რანგის შემოქმედებითი ნიმუშებით გამდიდრდა, ჩვენ უპირველეს საბას მოღვაწეობის ეს აღნიშნული მხარე გვაინტერესებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ სულხან-საბას ორიგინალური, იგავ-არაკების ჟანრის ნაწარმოებები „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც მას მე-17 ს. მიწურულს უნდა დაეწერა.

ნაწარმოების 110-მდე სენტენციურ იგავ-არაკს ერთი გარკვეული სიუჟეტური ქარგა აერთებს, რომელიც ასეთნაირად ვითარდება:

იყო ერთი სახელოვანი ხელმწიფე, რომელსაც სახელად ფინეზ ერქვა. ჰყავდა მას ორი ვაზირი, ერთი ფრიად განათლებული, გონიერი, კეთილი და ტკბილად მოუბარი სედრაქ, ხოლო მეორე ცბიერი, ბოროტი, „საჭურისი, მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი“ — რუქა. მეფეს გვიან მიეცა ნანატრი ძე, რომელსაც სახელად ჯუმბერი უწოდა. მის აღსაზრდელად მეფემ მოიწვია უცხო კაცი, განათლებული და გონიერი, მრავალი „კარგის თქმის სწავლული“ ლეონ, რომლისაც „ყოველს კაცს უკვირდა სიკეთე“ და რომელსაც დამახასიათებელი „სიტყვატკბილობა“, „ზრდილობანი და ქცევანი“ ჭონდა. ლეონ დათანხმდა მეფეს მისი ძის აღზრდის თაობაზე, ოღონდ წინასწარ მოსთხოვა — „ხელწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო“. „მისცა მეფემ ხელწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მობეჭდა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა. აღაშენა სახლი სამეფო და დაჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს წრთვნა და ასწავლიდა დღივ და ღამ“. სადილად რომ დაჯდებოდა ლეონ, მეფის შვილს — ჯუმბერს ღვინის ძიმწოდებელ — „მწდედ“ დაიყენებდა და როცა ფეხზე დგომით „ულონო იქნა“, ამის შემდეგ აღირსა „დაჯდომა და ჭამა პურისა“.

სხვა დროს — სანადიროდ გასული ლეონი ცხენს შეჯდა, ხოლო ჯუმბერს „ქორი ხელთა შეუსვა“, ფეხით ატარა. მეორე დღეს „მწეერები მისცა ხელთა“, იმდენი არბენინა „ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლძან დენა დაუწყო“. მესამეს დღეს „მიკრიკად გაიძღვანა“, ჯუმბერი დაიღალა „მალიმალ დაეცეშოდის“, მაგრამ ლეონ „არ მოეშვა, მუნამდის არბენინა. სადგომს მოიყვანა“. იყო შემთხვევა რაღაც დანაშაულზე „ლეონ ცუდად გაუწყრა“ ჯუმბერს, შეიბყრო და „ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა“.

ცბიერი რუქა ამ საქმეებს თვალს ადევნებდა. ლეონი მეფესთან დააბეზღა — „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთ ღვთის წყრომით აღვსებულ კაცსა. შეეპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა?“

განრისხებულმა მეფემ ლეონი დაიბარა და პასუხი მოსთხოვა. ლეონმა მოთმინებით აუხსნა მეფეს საქმის ვითარება, ჯუმბერის აღზრდის შესახებ მისი თვალსაზრისი. ამას მოჰყვა კამათი, რომელიც თავდაპირველად ლეონსა და რუქას შორის გაიმართა, ხოლო შემდეგ კამათში სედრაქი და თვით მეფეც ჩაერია. ლეონის არგუმენტები იმდენად

გააზრებული და დამაჯერებელი იყო, რომ მეფის სიმპათიები მის მხარეზე გადაიხარა.

ლეონს, მეფესა და მის ვაზირებს შორის გამართული კამათი, ისევე, როგორც თხზულების წინა მონაკვეთებში იგავ-არაკების, სხვადასხვა ზღაპრისა და ლეგენდის მოშველიებით მიმდინარეობს, რომლებშიც უამრავი სენტენციები და აფორიზმული გამოთქმები გვხვდება. იგავ-არაკებს მართალია ერთი ძირითადი ფაბულა აერთებს, მაგრამ ისინი ურთიერთისაგან დამოუკიდებელ სახესაც ღებულობენ. საერთოდ, სულხან-საბას აღნიშნული ნაწარმოები საინტერესოდ იკითხება და როგორც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, იგი მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლადაა მიჩნეული.

აღნიშნული თხზულების მნიშვნელობა მისი ღირსების მრავალმხრივობითაა გამოწვეული. გარდა იმისა, რომ იგი წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისითაა ღირსშესანიშნავი, აგრეთვე, მისი საერთო დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობით. მართალია მასში მოტანილი ალეგორიული ხასიათის იგავ-არაკები იმ ისტორიული სინამდვილის მოვლენებთანაა შეფარდებული, რომელშიც იგი იწერებოდა. მაგრამ დღესაც ინტერესით იკითხება.

სულხან-საბა მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების იმავე მხარეებს კიცხავს მხატვრულ და ალეგორიულ ფორმებში, რასაც არჩილი უკიჟინებდა. როგორც აღვნიშნავდით, არჩილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების შესაძლებლობას ქვეყნის მმართველი აპარატის კეთილ მოქმედებაში ხედავს. მეფე მაგალითის მიმცემი უნდა იყოს საზოგადოების წევრთათვის თავისი სიკეთით, სამართლიანობით, თავმდაბლობით, ქვრივ ობოლთა და გლახაკთა შეწყალებით და სხვა. ისიც აღნიშნული გვქონდა, რომ ადამიანში ყველა ამ თვისებათა გამომუშავება, არჩილის თვალსაზრისით, მხოლოდ აღზრდის შედეგად შეიძლება მოხდეს. ამდენად, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის მას ადამიანთა „კეთილად", „ზნესრულად" აღზრდა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნია.

სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „წიგნი სიბრძნე სიცრუისა" ძირითადი იდეა კარგად სჩანს იმ მონაკვეთში, სადაც რუქას დაბეზღების გამო მეფის მიერ გამოძახებული ლეონის განცხადებაა გაკეთებული. ლეონი მეფეს მოახსენებს: — „აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუ მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს, საწმყსო შეუმცირდეს. ეგრეთვე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი,

მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუ ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო (საუბარია ჯუმბერის შესახებ.—სვ. გ.) რასცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწყდეთა ჭირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი მცნება, სამსახური ვით სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუმცა შიშმილით არ მომყმარიყო, რამცა იცოდა, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლია? იგი ყოველს კეთილსა სჭამს და სვამს, არ მიიმშევს.

არაკად თქმულა: — მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედა აყვედრიდა, რად ღორულად სჭამო! — თუცა უცხენოდ სვლა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რათა ეცნა? რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა? იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავლებიან და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?"[1]

მაშასადამე, სულხან-საბას შეხედულებით ხელმწიფე სამართლიანი და გამგები უნდა იყოს, მას უნდა ესმოდეს მისი ქვეშევრდომების გასაჭირი, „უნდა შეივრდომებდეს" „ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა". იგი საზოგადოების ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა საქმიანობაში უნდა ერკვეოდეს და ამ საქმიანობის სიმძიმე ესმოდეს „მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა".

მაგრამ მეფემ რომ ყოველივე ეს იცოდეს, თავად უნდა გამოსცადოს, თვით უნდა შეიგრძნოს მის ქვეშევრდომთა ჯაფისა და გასაჭირის სიმძიმე, აი, აქ, საბა სრულიად ახლებურს, ძველი ქართული სწავლა-განათლების სისტემისა და პედაგოგიური შეხედულებებისაგან აღზრდის განსხვავებულ სურათს გვაძლევს. წარმოდგენილ თხზულებაში საბა ბუნებრივი აღზრდის მსგავსს თეორიას ანვითარებს. ამ მხრივ იგი ი. კომენსკისა და ჟ. რუსოს თვალსაზრისს უახლოვდება. რა თქმა უნდა, საბა შორს დგას როგორც ერთის ისე მეორის პედაგოგიური თეორიების შინაარსის გაცნობისაგან, რამდენადაც ი. კომენსკის პედაგოგიურ შემოქმედებასთან შემხვედური წერტილი მას არ ჰქონია,

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 30.

ხოლო ჟ. რუსოსთან ისტორიული ქრონოლოგიური ჩარჩოთი იყო დაცილებული.[1]

„ბუნებრივი აღზრდის“ შესახებ საბას მიერ განვითარებული შეხედულება ორიგინალურია. იგი ქართულ სინამდვილეში დაიბადა და იმავე ისტორიული პირობებითაა წარმოშობილი, რომლითაც განისაზღვრა აღზრდის შესახებ არჩილისეული შეხედულება.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყოველი ფენის გათვითცნობიერებას და აღზრდას ისახავს მიზნად. მისი სარკაზმი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარების შედეგად დარღვეული საზოგადოებრივი ნორმების მხილებისაკენაა მიმართული. ამ შემთხვევაში ყოველგვარი სოციალური ზღვარი გადალახულია.

საბა მხატვრულ ფორმაში საქართველოს პოლიტიკური ერთეულების დაქსაქსულობას ამხელს და მათს ერთ მონოლითურ სახელმწიფოდ შეკავშირებას მოითხოვს. ასეთ სახელმწიფოს მტერი ვერას დააკლებს. ამ საკითხს ეძღვნება არაკი (ძალა ერთობაშია) იმ ხელმწიფის შესახებ, რომელმაც სიკვდილის წინ თავისი ოცდაათი ვაჟი მოიხმო, მათ დასანახად ოცდაათი ისარი ერთად შეკრა, მოზიდა და ვერ გატეხა. მერმეთ თითოეული ისარი ცალ-ცალკე დაამტვრია. „უთხრა შვილთა თვისთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე, თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“ (გვ. 47, 48).

ერთი ძალით გაერთიანებულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში საზოგადოების წევრთა შორის ამხანაგური დამოკიდებულება უნდა სუფევდეს. „კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერვინ იყიდის“, — ამბობს საბა.

„ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სამაგრე დაურღეეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულითა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხო თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

[1] როგორც ვიცით სულხან-საბა ორბელიანი 1725 წელს გარდაიცვალა, ამ დროისათვის ჟან ჟაკ რუსო 13 წლისა იყო.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ბუნებრივი აღზრდის“ ცნებას აღნიშნულ შემთხვევას მთელი თავისი შინაარსით არ ვუკავშირებთ (ისე როგორც ეს ჟ. ჟ. რუსოს „ემილის“ აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება). აქ მხოლოდ შორეულ მსგავსებაზე მივუთითებთ.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა ეემაქცეველია.

ამხანაგი ჰირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია“ და სხვა (გვ. 138).

აქ ამხანაგობის იგივე შეგონებაა მოცემული, რაზედაც არჩილი ამბობდა:

„ამხანაგს წინ მიეგები თავ-მდაბლად შორ მომაგალსა,
„ნურას დაუჭერ გასაცემს, თქვას იმან: „ეს მე მაგალსა“ და სხვა.

მაგრამ არჩილთან შედარებით საბა ამხანაგობისა და მეგობრობის მნიშვნელობას შთაბეჭდილებიანს ფორმებში წარმოგვიდგენს. ამხანაგობის მიმართ საბას მიერ წარმოთქმული დითირამბი შოთა რუსთველისეულს შეედრება.

ამხანაგობის მიმართ ყურადღების ესოდენ გამახვილება როგორც არჩილს, ასევე საბას თანადროული საზოგადოების წევრთა შორის კეთილი, ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულებისაკენ მოწოდებისათვის სჭირდებათ.

არჩილი პირდაპირი სახით იძლევა საზოგადოების წევრთა სამართლიანობისა, თავიანთი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების და სხვა ზნეობრივი ნორმების შესახებ შეგონებებს. გავიხსენოთ „სოფლისა და კაცის გაბაასების“ „კაცთათვის“, „მღრდელთ-მოძღუართა“, „მხედართა“, „ვაჭართა“, „სოფლისაგან მუშაკთა“ მიმართ გაკეთებული შეგოხებები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ ისინი.

სულხან-საბა ალეგორიული იგავ-არაკებით საზოგადოების ამავე წევრებს ჭირდავს, დაანახვებს მათი საქმიანობის მახინჯ მხარეებს და სამართლიანობისა და სიკეთისათვის მოუწოდებს. ამ მხრივ საბა საზოგადოების არცერთი სოციალური ფენის წარმომადგენელს არ ინდობს. იგი ერთნაირი სარკაზმით ახასიათებს როგორც დიდი მოხელეებისა და კარისკაცების, ასევე, წვრილი მოხელეების, სამღვდელოების, ეაჭრული საზოგადოების, მსაჯულების, ავი და ძუნწი ადამიანების ხასიათს, ანგარებას, უსამართლობას და სხვ. ნაკლოვანებათა მხილების კვალდაკვალ საბა მორალურ შეგონებებს, დებულებებს იძლევა.

ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას თავიდანვე გაჰყვება სიკეთისა და ბოროტების ურთიერთშეპირისპირების ჩვენება. სედრაქ და ლეონ სიკეთეს ემსახურებიან, ხოლო რუჭა ბოროტების განსახიერებაა. მაგრამ რუჭას ავ საქმესა და სიტყვას დიდი დღე არ უწერია, ლეონთან და სედრაქთან ბრძოლაში საბოლოოდ იგი მარცხდება. რუჭას სახით სიკეთის

წინაშე ბოროტება მარცხდება. სიკეთე სამართლიანია და ღვთაებრივი. ეს შეპირისპირება და მისი შედეგი საბასეული ოპტიმიზმია. საბას ღრმა რწმენით, იმ მიზანსწრაფვაში, რომლის სამსახურშიც იგი დგას, ბოლოს სიკეთე გაიმარჯვებს.

მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ სიკეთემ გაიმარჯვოს? საიდან წამოიწყო საბამ მისი თხზულების სიუჟეტური ქარგა, რა დგას ამ სიუჟეტური ქარგის ცენტრში?

საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საკითხზე საბასეული შეხედულება „განათლებული აბსოლუტიზმის“ შინაარსისი მატარებელია. მისი შეგონებით ქვეყნის უზენაესი ხელმწიფე სიკეთის მაგალითს უპირველეს თავად უნდა იძლეოდეს და ქვეყანაშიც მას ნერგავდეს.

ლეონ მოახსენებდა ფინეზს: „მეფეთაგან სამნი უყვარან ღმრთისა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელება.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უკრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში—ჭირსა და ლხინში—ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომებენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანაბეჭდსა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღწიან გლახაკნი: ქარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი — სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაჭირნი: ყურისა მიპყრობასა, სიტყუის გაგონებასა და რჩეულის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩიენარნი: საჩიერის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თუალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულების მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზეერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრის წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდების შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა“.

აი ყველა ამ თვისებათა მჭონე და მოწყალე უნდა იყოს, მაშასადამე, ლეონის განცხადების მიხედვით ქვეყნის მმართველი მეფე—„ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“ (გვ. 44, ხაზი ჩვენია. — სვ. გ.).

როგორც ვხედავთ, ქვეყნის სიკეთისათვის მთავარი მნიშვნელობა მეფის (როგორც ქვეყნის მმართველის) გონიერებასა დამის მოქმედებას ენიჭება. მხოლოდ ისეთი მეფის სახელმწიფო შეიძლება „დაემყაროს“, რომლის ხალხის—„თემთა“, „ესე არს საბოძვარი“. დარაკისაზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში ქვეყნის მმართველს ეგზომ დიდი როლი აქვს მინიჭებული, სავსებით ბუნებრივია საბას ყურადღების მეფის აღზრდის საკითხზე გადატანა. გონიერი „ბრძენი“ და კეთილი მეფე, ისეთი, რომელსაც ყველა ზემოთ წამოყენებული პირობა შეუძლია შეასრულოს, მხოლოდ სწორი აღზრდის შედეგად შეიძლება ქვეყანას მოევლინოს. ასეთია საბას შეხედულება. აქვე ისიც უნდა მივინიშნოთ, რომ აღზრდის წარმოდგენილი მაგალითი ზოგადი მნიშვნელობის მქონეა. მეფე მაგალითია ყოველთა, უპირველეს იგი უნდა იყოს „კეთილად“ აღზრდილი. მაგრამ ასევე უნდა იყოს აღზრდილი საზოგადოების ყოველი წევრი, რომელთა მიმართაცაა მიმართული საბასეული იგავების სარკაზმი.

ამ საკითხშიც არჩილი და საბა ერთ თვალსაზრისზე დგანან. როგორც აღვნიშნავდით, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საფუძვლად არჩილს აღზრდა მიაჩნია, რომელიც სავალდებულოა მეფეთათვის, რომელსაც „სიბრძნე, გონება, ჭკუით ცოდნა საქმისა მომავალისა“ და სხვა უნდა ახასიათებდეს და საზოგადოების ყოველი წევრისათვის, რომელთაგან თითოეულმა „ზნე-სრული“, „კარგა გაზრდილი შვილი“ უნდა გაზარდოს.

როგორც არჩილი, ასევე, საბა აღზრდის, სწავლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასწავლებელს ანიჭებს. საბასთან ეს საკითხი, ისე როგორც თვით აღზრდის პროცესი, უფრო რელიეფურად მოჩანს.

მეფესთან შესამოწმებლად გამოძახებული ჯუმბერი მამას მოახსენებდა — „ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ხილის ნერგი ვარ, მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული“ (გვ. 57). აქ იმაზეა საუბარი, რომ ჯუმბერის აღზრდას ხელს უწყობდა თანდაყოლილი ბუნებრივი მონაცემები — ნიჭი, აგრეთვე ის, რომ იგი „ხელოვანის მებაღის შეწვრთილი“ და კარგ მასწავლებელს მიბარებული იყო, „ნერგი — თქვენა ხართო, — მოახსენებდა მეფეს ჯუმბერი — რომელმან მშევით; მებაღე — სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი — ლეონ, რომელი მასწავლის (გვ. 57).

ლეონი, როგორც ჯუმბერის მასწავლებელი, სპეციალურად შეირჩა.

იგი განათლებული და ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით აღჭურვილი კაცია, „სიბრძნე სიცრუისა“ ტექსტის სხვადასხვა ადგილებზე დაკვირვება გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ლეონის განათლების შესახებ. საბას იგი გეოგრაფიის, ისტორიის, ასტრონომიის, ალქიმიის, ლიტერატურის, მედიცინის და სხვა მეცნიერებათა დარგების კარგ მცოდნეთა ჰყავს გამოყვანილი.

მართალია, „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტში იმ მეთოდებზე და ხერხებზე, თუ როგორ აწარმოებდა ლეონი ჯუმბერის გონებრივი აღზრდას, კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მაგრამ თვით ლეონის საკმაოდ ფართო ერუდიციის ჩვენებით, რომელმაც მეფის ნებართვით „აღიშენა სახლი სამეფო, დაჯდა მუნ და დაუწყო ჯუმბერს წვრთნა, ასწავლიდა დღივ და ღამ“ და „მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად“. გასაგებია, რომ აქ საკმაოდ საფუძვლიან გონებრივ აღზრდასთან გვაქვს საქმე. იგივე დადასტურდა მეფის წინაშე წარდგენილი, უწ უკვე „გაწვრთნილი“ ჯუმბერის შემოწმებით, რომელიც სხვადასხვა დარგების შესახებ გარკვეულ ცოდნას ამჟღავნებს. ყოველივე ეს ჯუმბერისავე განცხადებით —„სულ ლეონის ნასწავლები“ იყო. აქ გარკვევითაა სწავლების პროცესში მასწავლებლის როლი გამოკვეთილი, აგრეთვე ის, რომ გონებრივ აღზრდას სულხან-საბა ორბელიანი პრიმატით წარმოგვიჩენს.

მაშასადამე, ჯუმბერი „სიბრძნის სწავლას“ ეწევა, ე. ი. გონებრივ განათლებას ღებულობს. ფიზიკურ წვრთნასაც გადის, სარაინდო ხნეობებს სწავლობს (გვ. 26) და სხვა. ამასთანავე სულხან-საბა განსაკუთრებული აქცენტით წარმოგვიდგენს აღზრდის იმ მხარეს, რომელიც მისი (ე. ი. ჯუმბერის) მსოფლმხედველობისა და ხასიათების ჩამოყალიბებას ემსახურება. ანვითარებს რა ბუნებრივი აღზრდის თეორიას, საბა აშკარად ილაშქრებს მისი დროის დიდკაცობაში გამეფებული ფუფუნებით აღზრდის წინააღმდეგ. მოზარდის აღზრდაში იგი შრომის, ბეჯითობის ჩვევების გამომუშავებას აქცევს ყურადღებას. საბას იდეალია გონებრივად განათლებული, ფიზიკურად ძლიერი და ზნეობრივად ჩამოყალიბებული ადამიანის აღზრდა, ასეთი ადამიანები თვით ფეოდალურ იერარქიულ საზოგადოებაშიც შესძლებენ ურთიერთგაგებისა და ჰუმანური დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნას.

აღზრდის პროცესში ლეონი მკაცრი სასჯელის გამოყენებასაც მიმართავს. ამ საკითხმა ზოგი მკვლევარი დააფიქრა კიდეც. მსგავსი მაგალითი ძველ ქართულ სწავლა-აღზრდის სისტემასა და პედაგოგიური აზრის ისტორიაში არსად გვხვდება. იგი ჰუმანური იდეების მჭადაგებელი საბას შეხედულებებთანაც კონტრასტული შეპირისპირებით წარმოგვიდგება. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, სულხან-საბა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აღზრდაში მკაცრი სასჯელის შემოღების პრო-

პაგანდას არ ეწევა, არამედ მას ეს შემთხვევა სულ სხვა კონკრეტული ვითარების ასახსნელად ესაჭიროება. გავიხსენოთ ლეონის საუბარი ფინეზ მეფესთან — „თუ არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდაო?“ — მოახსენებდა ლეონ მეფეს. მაშასადამე, ლეონს ჯუმბერისათვის უნდოდა ეჩვენებინა, თუ რამდენად მწარეა ქვეშევრდომთათვის — „არგნისა კვრა“. როცა მათ დასასჯელად მეფე ზოგჯერ ასს, ან ორასჯერ დარტყმასაც კი ბრძანებდა. აღნიშნული მაგალითით ჯუმბერის ვითარცა მომავალი მეფის, დემოკრატიული თვისებების აღზრდისათვის კონკრეტული შემთხვევაა აღწერილი და მეტი არაფერი.

*

* *

სულხან-საბა ორბელიანი მებრძოლი ჰუმანისტია. მისი მსოფლმხედველობა საერთოდ, კერძოდ, პედაგოგიური შეხედულებანი და მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობა, როგორც აღვნიშნავდით, თანადროული საქართველოს პოლიტიკური ისტორიული ვითარებით იყო გაპირობებული. სულხან-საბას მთელი შემოქმედება მისი დროის ქართველი საზოგადოების განმანათლებლობისა და აღზრდის სამსახურშია ჩაყენებული. ამ მხრივ „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ თავისი მხატვრული და იდეური მხარეებით საბას შემოქმედების შედევრია, რომელიც თავისთავად სცილდება ეროვნულ ფარგლებს და მთელი რიგი შეგონებებით საერთო საკაცობრიო მნიშვნელობას ღებულობს.

სულხან-საბა ორბელიანი მსოფლიო მნიშვნელობის ჰუმანისტი მწერალია.

აღმზრდელობითი დანიშნულების თხზულება აქვს დაწერილი საბას დავით გარეჯის მონასტერში ყოფნის ჟამს, რომელსაც ეწოდება — „სწავლანი თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“[1] აღნიშნული ნაშრომი საეკლესიო დანიშნულებისაა, მაგრამ საბა აქაც ახერხებს თავისებური თხრობით თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეების მხილებასა და ამასთანავე პატრიოტული და ჰუმანური მოწოდებებით გამოსვლას.

„სწავლანი-თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“, 47 ჰომილი-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963, გვ. 20—22.

ისაგან შედგება. აღნიშნული ძეგლისადმი ინტერესი არ შეიძლება რომელიმე კუთხით შემოიფარგლოს. მასში მოტანილია თანადროული ცხოვრების, სოციალური ყოფის ამსახველი ფაქტები, დაწერილია იგი საბასათვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველური ფორმებით, ასე რომ წმიდა ლიტერატურულის თვალსაზრისითაც ფრიად საინტერესოა. მასში ზნეობრივი, ჰუმანური იდეებია განვითარებული, რაც ამჟამად ჩვენს ინტერესს შეადგენს.

„სწავლანის...“ ერთ-ერთ ჰომილიაში შესანიშნავ შეგონებას ეხვდებით თავმდაბლობის შესახებ. „იხილეთ თავით თვისით სიმდაბლე ღმრთისა და განიგონეთ ძალისაგან საღმრთოისა სიმაღლე კაცისა — ამბობს საბა — რომელი დაიმდაბლებს თავსა თვისსა გულითა, ღმერთი აღამაღლებს და გამოაჩენს დიდებასა ძალისაგან საღმრთოისა“ (გვ. 53). შემდეგ საბა სიმდაბლეს ნოყიერ ნიადაგს ადარებს, რომლისაგანაც „მწვანილსა კეთილსა და ყვავილთა მშვენიერსა—ნაყოფს ვღებულობთ. აგრეთვე, „სიმდაბლე მსგავს არს ვაზსა დაბრილსა და აღსავსესა ნაყოფითა კეთილითა“ და სხვ.

საინტერესოა „სიმდაბლის“ შინაარსის ახსნა. საბას განმარტებით იგი დიდებისადმი მისწრაფება კი არაა, არამედ პირიქით. ის „ამპარტავნებისა მოკვეთაა, აღუზავებლობა“, თავმდაბლობა ისაა, როცა მოყვასს და აგრეთვე შენზე უმცროსსაც ანგარიშს გაუწევ.

თავმდაბლობა საბას ადამიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსეულ მხარედ, აუცილებელ დამახასიათებელ ზნეობრივ თვისებად მიაჩნია. ჯერ კიდევ „სიბრძნე სიცრუისაში“ იქადაგა საბამ ადამიანური თვისების ამ ღირსეულ მხარეზე. ჯუმბერი მამას, მეფე ფინეზს მოახსენებდა — „რა გინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა“ (გვ. 52), ე. ი. დიდებულ მეფესაც უნდა ახსოვდეს, რომ იგიც ყველა ჩვეულებრივ მოკვდავივით სიკვდილის შვილია და თავისი მდგომარეობით არ უნდა ჰქედმაღლობდეს, არამედ სიკეთის მოქმედებისათვის უნდა ზრუნავდეს. თორემ — „რაც სალაროში გაქვს, თუ არ იხმარებ ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის“ — დასძენდა ჯუმბერ.

კაცთა შორის ჰუმანურ დამოკიდებულებაზე, სიკეთეზე და სიყვარულზე საუბრობს საბა „სწავლანის...“ ერთ-ერთ ჰომილიაში — „შეურყევლად, შეუორგულებელად, სიწმიდით გიყვარდნენ ყოველნი კაცნი, არა მხოლოდ ნათესავნი და მოყვარენი, არამედ უცხონიცა და მტერნიცა“ (გვ. 89). საბას ღრმა რწმენით იქ სადაც ურთიერთგაგება და სიყვარულია „ეშმაკისა მანქანება უხმარ იქმნების,“ „მუნ სატანას საცდური განქარდების“, „ბელიერიისა მზაკვარება ვერ დადგრების“ (გვ. 93).

თუ ადამიანთა შორის ვინმეს ცხოვრებაში ფეხი გადაუბრუნდა, გაღარიბდა და დაგლახაკავდა, მას ყველამ ხელი უნდა მოუმართოს, „დაღაცათუ გლახაკი არს, ხოლო იგიცა შენებრ კაც არს და მამისა შენისა ადამისა ძე“ (გვ. 97).

საბა კიცხავს იმათ, ვინც ადამიანებს მათი მდგომარეობისა და სიმდიდრის მიხედვით სცემს პატივს, რადგან მათგან სამაგიეროს მოელის და მოუწოდებს ყოველგვარი გამორჩენის გარეშე ყველას, თვით უცხოთა მიმართაც პატივმცემელი იყოს. მაგალითად, სრულიად უცხო კაცი რომ კარზედ მიადგეს, კეთილ საქმეს იზამს ადამიანი, თუ კი მას შეიწყნარებს — „პირველად: რამეთუ კაცსა ისტუმრებ, მეორედ: ნათესავსა შენსა სახლსა შეიყვან, რამეთუ იგიცა ადამისა ძე არს, მესამედ: უღონოსა, დაჭირვებულსა ულხენ, მეოთხედ: მშიერსა განაძღებ, მეხუთედ: მწყურვალსა ასმევ“ და სხვა (გვ. 101).

საბას შეგონებით, გარდა იმისა, რომ ადამიანებმა ერთმანეთს პატივი უნდა სცენ, ასევე თავდაჭერილნი, გამგები, მომთმენნი უნდა იყვნენ. „უთმინოება შეიქმს არა პატივისცემასა მამა-დედათა თვისთა, უთმინოება იქმს ბრძოლასა კაცის კვლასა“ მისგან პარვა და ავაზაკობა, ადამიანის ზნეობრივი დაცემაც—„სიძვა და მრუშება“ წარმოიშვება, „უთმინოება ასწავლის ცილისწამებასა და შურსა და ნდობასა ხვასტაგთა მოყვასთა და მეზობელთა“ (გვ. 111).

მაშასადამე, ადამიანი მომთმენი უნდა იყოს, ამავე დროს ტყუილუბრალოდ არ უნდა რისხდებოდეს, რადგან „ცუდად მრისხანესა კაცსა არა უვის კაცთაგანი მოყვასად, არცა კეთილისა მთქმელ, არცა ძმანი, არცა შვილნი, არცა სხვანი რაივე“. მოკლედ, ასეთი კაცი „ვერარასა სათნოებასა მოიღვაწებს და, უკეთუცა მოიღვაწა, ღისხვითავე თვისითა დაარღვევს“. ასეთი კაცი თავისი თავის მტერია და ყველასთვის გამოუდეგარი, მის მეგობრობას ჯობია „უბეთა შინა ჯდომა ღრიანკალისა, რომელი უკბენს თავითა და უცემს კუდითა“ (გვ. 11, 111).

იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთის გაბოროტება, გაგულისება არ გამოიწვიონ, სიტყვატკბილნი უნდა იყვნენ, გინება არ უნდა აღმოხდეთ პირიდან, რადგან „გინება აღაშფოთებს გონებასა კაცთასა“ (გვ. 122).

საბა სიმშვიდისაკენ მოუწოდებს, თავდაჭერილობის, ზნეობის ნორმების დაცვას, გონიერებას. ისეთი რამ არ უნდა გააკეთოს ადამიანმა, რაც მას გონებას დააკარგვინებს, მაგალითად — არ უნდა დათვრეს — „მაშინ ღვინითა ოდესცა მხიარულ ხარ, არათუ სიხარული რამე შესრულ არს ტვინად შენდა, არამედ შმაგობა შევალს და სიბრძნე ივლტის და სიშმაგე იგი განსცხრების“ (გვ. 213).

საბა ადამიანის თვისებათა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე შრო-

მისმოყვარეობას აყენებს. შრომა მას ადამიანის სულისა და სხეულის სიჯანსაღის პირველ პირობად მიაჩნია. „იშვიათ არიან მუშაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ, არამედ, რომელნი უდებ და მჭამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და მკვნესელ და მევალალე და ვერცაღა მოითმენენ სნეულებათა მათთა“, ე. ი. ისინი ვინც მცონარობენ, მხოლოდ ჭამენ და კი არ შრომობენ „სნეულ“, „მკვნესელ და მევალალე“ არიან, ხოლო შრომისმოყვარე კაცს სნეულება იშვიათად მოეკიდება. შრომას მიჩვევა უნდა და ამისათვის მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცს და „უკეთუ ჟამსა ამას მცირესა სოფლისასა ვიდრეღა ვალთ და არა მოვითმინოთ ჭირი, შრომა და იწროება, ვერც ჩვენ შეუკრიბოთ თავთა ჩვენთა იფქლი იგი ცხოვრებისა და ვერც გამოვზარდნეთ თავნი ჩვენნი წელიწადთა მათ სიგრძესა, რომელნი გვისხენან წინარე ჩვენსა საუკუნეთა დაუსრულებელთა“ (გვ. 50).

აი, ამ მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობდა „სიბრძნე სიცრუისას“ ლეონი, როცა ათასგვარი ჭირითა და ვაგლახით შრომისმოყვარეობას აჩვევდა ჯუმბერს.

საერთოდ „სწავლანის...“ სხვადასხვა ჰომილიებში გამოთქმული შეგონებები ხშირ შემთხვევაში „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკთა ალეგორიულ შინაარსთან ახლო დგას. „სწავლანის...“ გარკვეულ მონაკვეთებშიც თავისი ქვეყნის ერთგული და თავდადებული საბა ჰუმანური შეგონებების კვალდაკვალ დაუზოგავად ჰკიცხავს სამშობლოს ღალატის გზაზე დამდგარ, მედროვე დიდაზნაურობას და სამღვდელოებას, ტრადიციულ ზნეთა დაცვას და სწორ გზაზე დადგომისაკენ მოუწოდებს (გვ. 176, 177, 210 და სხვა).

ამ ნაწარმოების შესწავლა საბას მაღალ ადამიანურ ჰუმანურ იდეებსა და პატრიოტულ მსოფლმხედველობას კიდევ უფრო მეტად ჰფენს ნათელს.

დასასრულ, სულხან-საბა ორბელიანის განმანათლებლურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით არ შეიძლება ზოგადად მაინც არ აღვნიშნოთ მისი „ქართული ლექსიკონი“, ქართული კულტურის ეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შენაძენი, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და სამაგიდო წიგნადაა ქცეული.[1]

აღნიშნული ლექსიკონი სულხან-საბას ოცდაათი წლის შრომის შედეგია. ამდენ ხანს იგი იმიტომ მოუნდა მასზე მუშაობას, რომ „ერისაგან იყო წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო“. მან „წერა ესე წიგნი ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა, რამეთუ ქართლის ქვეყანას ლექსიკონი აღარ იპოებოდა“ (იხ. სიტყვის კონის ანდერძმინაწერი).

საბას დიდი შრომატევადი სამუშაოები ჩაუტარებია. ყოველი სიტყვა მეცნიერულის სიზუსტით შეუმოწმებია, მათი შინაარსი შეუდარებია და შეუვსია, რისთვისაც უამრავი ლიტერატურა გამოუყენებია. თავად საბა ამბობს — „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე. და რომელიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიე“. სხვა ენებზე არსებულ (ალბათ ლექსიკონებს) შეუდარა გარკვეული სიტყვები. შეუმოწმებელი და დაუზუსტებელი სიტყვები მას აღარ დაუწერია. საბა ზოგიერთ გამოყენებულ ლიტერატურასაც ასახელებს, მაგალითად, „გამოვსწერე სა~თო წერილთა და ღ~თისმეტყველებათა შინა, რიმელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან ღმრთისმეტყველებათა, კავშირთა, პროკლეს პლატონურთა დიოდიხოსთა, არისტოტელისა კათიღორიათაგან გამოვიღე. ნემესიოსისა და იოანე დამასკელისა პლატონური სიტყვის საქცევი აღვწერე“ და სხვა (ორტომეულის, გვ. 26.).

საბას ზემოთ მოტანილი განცხადება ერთის მხრივ მის მიერ გაწეული შრომის სიმძიმეს ნაწილობრივ მაინც გვაჩვენებს, რადგან აქ მას მხოლოდ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებზე აქვს საუბარი, მეორე მხრივ, აღნიშნულ დარგებში მის ღრმა განსწავლულობაზე გვაძლევს წარმოდგენას, რაც თვით ლექსიკონის გარკვეულ სიტყვათა შინაარსითაც კარგად ჩანს.

დღეისათვის საბასეული ლექსიკონი საფუძვლიანადაა შესწავლილი, შეჯერებულია მისი ნუსხები და სხვა. შესწავლილია საბას ფილოსოფიური განსწავლულობა, რაც აშკარას ხდის, რომ „უამთა ვითარებათა უჩინო ქმნილი ქართული აზროვნების ტრადიციები და ძეგლები იგავარაკებისა და ცალკე ტერმინების ახსნით საბამ ნაწილობრივ მაინც გააცოცხლა და ამით შემდეგი თაობების მიერ მათ შესწავლას ხელი შეუწყო“.[1] თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით სულხან-საბა ნეოპლატონური თვალსაზრისისაკენ იხრება.[2]

საბას ფსიქოლოგიურ შეხედულებათა შესწავლამ პროფესორ ა. ფრანგიშვილს საშუალება მისცა დაესკვნა, რომ — „ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ სულხან-საბა ორბელიანს ჰქონდა ფილო-

[1] იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. 1949. ლექსიკონს შეიცავს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა IV ტომიც, გამოსაცემად მოამზადა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1966. ამასვე იმეორებს ორტომეულად გამოცემული „ლექსიკონი ქართული“, თბილისი, 1966.

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 263 (234-დან 264-მდე).

[2] ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII—XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი), თბ., 1959, გვ. 138 და სხვა.

სოფიური რეფლექსიის შედეგად შემუშავებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ქართულ ლექსიკონში ფსიქოლოგიური ცნებების მეცნიერულ განმარტებებში და ნაწილობრივ ასახულია „სიბრძნე-სიცრუისას“ არაკების მხატვრულ სახეებში“.[1]

რას ისახავდა მიზნად სულხან-საბა ორბელიანი, როცა ასეთი ენციკლოპედიური ხასიათის ცოდნის შემცველ ლექსიკონს ადგენდა? ამ შემთხვევაში საბასაქმიანობაგანმანათლებლურ ხასიათს ატარებს და იგი თანადროული ისტორიული ვითარებით გაპირობებულინაკლის გამოსწორებას უნდა მომსახურებოდა. „ქართუელთა ენათა ლექსიკონი—აცხადებს თავად საბა—აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებისაგან უჩინო ქმნილ იყო და ენა ქართველთა თვისთა ნებასა ზედა გაერყვნათ“ (ორტომეული, გვ. 24). მაშასადამე, საბა გულისხმობს, რომ ქართული ლექსიკონი ძველად არსებობდა საქართველოში, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი დაიკარგა, რისი ხელშემწყობი პირობები გამუდმებული ომიანობისა გამო საუკუნეების მანძილზე, როგორც ვნახეთ, არსებობდა კიდეც. ამ ვითარებამ კი ენის წარყვნას ხელი შეუწყო ენის წარყვნაში როგორც თვით ქართული სიტყვების დამახინჯებით ხმარება, ასევე, ქართულში უცხოური სიტყვების შემოტანაც იგულისხმება. ასე რომ, საბა ჯერ კიდევ არჩილის მიერ დაწყებულ პურისტულ მიმართულებას უკვე პრაქტიკული საქმიანობით აგრძელებს. საბა ამაზე შორსაც მიდის, გარდა იმისა, რომ იგი ქართულ სიტყვათა შინაარსს აზუსტებს, ქართულში დამკვიდრებულ უცხოურ სიტყვათა ეტიმოლოგიასაც ადგენს. ამა თუ იმ მეცნიერულის მნიშვნელობის სიტყვათა განმარტებისას ღრმა თეორიულ ცოდნასაც იძლევა. ამდენად შეიძლება საბას ლექსიკონს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომიც ვუწოდოთ. წარმოდგენილი ლექსიკონის არქიტექტონიკა, მეთოდური განლაგება და შინაარსი მას წმინდა მეცნიერულ ღირებულებას აძლევს. ამიტომაა რომ იგი დღესაც სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის სამაგიდო წიგნადაა ქცეული.

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა აშკარას ხდის, რომ სულხან-საბა ორბელიანი ქართული აღორძინების ეპოქაში წარმოგვიდგება მისი დროისათვის უჩვეულო ერუდიციის მქონე. მეცნიერად, მწერლად, ფილოლოგ-ლექსიკოლოგად, პედაგოგ-ფსიქოლოგად, დემოკრატ ჰუმანისტად, თავისი ქვეყნის პატრიოტად, საოცარი შრომისმოყვარე და ენერგიის მქონე ადამიანად. იშვიათია ერთ კაცში ასე ძლიერად იყოს ამდენი ღირსეული მხარეები გაერთიანებული. და თუ საბამ ასე უმტკივნეულოდ შეძლო ამოდენა ულის გაწევა, ეს მის უჩვეულო ნიჭს და ინტელექტუალურ შესაძლებლობასაც მიეწერება.

ჩვენ ამჯერად სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი შემოქმედების მხარეთაგან მხოლოდ მისი პედაგოგიური და ჰუმანური ასპექტის წარმოჩენა გვაინტერესებდა.

[1] ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII—XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი), თბ., 1959, გვ. 192

6. ვახტანგ VI

ვახტანგი იყო განათლებული სახელმწიფო მოღვაწე, მთარგმნელი, ლიტერატორი და რედაქტორი. მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით დამუშავდა „ქართლის ცხოვრება“, ამუშავდა ქართული სტამბა, სადაც მისივე კომენტარებით და რედაქტირებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაისტამბა. ვახტანგის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ქართული სამართალი, შედგა სახელმძღვანელო წიგნები და სხვა. ვახტანგ VI მე-18 საუკუნის საქართველოს პირველ მეოთხედში წარმოებული მთელი ინტელექტუალური საქმიანობის ხელმძღვანელი და წარმმართველი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. ვახტანგ VI-ის და მის გარშემო შემოკრებილი „კულტურული დასის“ საქმიანობით მრავალი ისტორიული დოკუმენტი გადაურჩა სამუდამო დაღუპვას. საქართველოში მონღოლების, თურქებისა და ირანელების განუწყვეტელი თარეშის შედეგად განადგურებამდე მისული წერილობითი ძეგლები აღდგა, გაიშალა შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც მძიმე ისტორიული ვითარების გამო დაქვეითებული საერთო კულტურული დონის განვითარებას ისახავდა მიზნად. ყოველივე ეს მეტად ინტენსიურ, დაუღალავ და თავგამოდებულ მუშაობას მოითხოვდა.

მიუხედავად პოლიტიკური ბედუკუღმართობისა, თავისი ამალით რუსეთს გარდახვეწილი ვახტანგ VI კვლავ განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას.

ვახტანგ VI, ვითარცა განათლებული და ჰუმანური პიროვნება, ქვეყნის იმ იდეალური მმართველის განსახიერება იყო, რომელსაც არჩილი, ხოლო შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი მხატვრული ფორმით გვიხატავდნენ. ქართველ განმანათლებლებს იმ ისტორიულ ვითარებაში, რაიცა საქართველოს მტრის განუწყვეტელი თარეშით თავს დაატყდა და რამაც პოლიტიკურ-ეკონომიური, კულტურული ვითარებისა თუ საზოგადოებრივი წყობის დაცემა და გახრწნა გამოიწვია, სწორედ ვახტანგ VI-ის მაგვარი განათლებული ხელისუფა-

ლის მმართველობა მიაჩნდათ აუცილებლობად, რომელიც შეძლებდა კულტურული საქმიანობის გაშლას, რაც საქართველოს თვითმყოფობის შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. მათი თვალთახედვით, ასეთი განათლებული მმართველი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩენილი მანკიერი მხარეების დანახვასა და აღმოფხვრასაც შეძლებდა. ვახტანგ VI-ის საქმიანობა მართლაც ამ გზით წარიმართა.

ვახტანგ VI-ის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესწავლა დიდიხანია დაწყებულია და ამ მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთდა. ჩვენ მისი საქმიანობის საკვლევი პრობლემატიკის თვალთახედვით შეფასებას შეეცადეთ და ვახტანგის საგანმანათლებლო საქმიანობის ზოგიერთი შეუხებელი საკითხი წარმოვაჩინეთ. წარმოდგენილ მონაკვეთში ვახტანგის იმ შეხედულებათა მიმოხილვას შევეცდებით, რომლებიც მას სწავლა-განათლებასთან დაკავშირებულ მოგონებებში აქვს გამოთქმული.

მრავალ საქმეთაგან დატვირთული ვახტანგი თავისი პოეტური შემოქმედებისათვის დროს მაინც პოულობდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგის პოეტურ შემოქმედებაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა სვეგამწარებულ მეფე-პოეტების შემოქმედებაში, პესიმისტური შტრიხებიც გვხვდება. ადრე, არჩილთან დაკავშირებით შევნიშნავდით, რომ თეიმურაზ I-ისაგან განსხვავებით იგი პესიმიზმს ემიჯნება და ნაცვლად სოფლის „მიდ-მოდებანისა", მტკიცე, პრინციპულსა და მიზნობრივად გააზრებულ გზას ირჩევს ქვეყნის ავბედით საქმეთა გამოსასწორებლად. და თუ არჩილი ამას შეგონებების სახით ახდენს, ვახტანგ VI მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობით სწორედ საქართველოში შექმნილი ვითარების გამოსწორებას ემსახურებოდა. ბუნებრივია, რომ მეფე-პოეტს, განსაკუთრებით სამშობლოდან მისი გარდახვეწის პერიოდებში მძიმე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე:

„დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოეიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად"[1],

ანდა:

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოველი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...
ეიარე ყოველი ქვეყანა სიგრძე და სიერცე, განი, და,
ეერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
სორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,
ეაი-ეა დ., მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!" (გვ. 2)

[1] ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1947 წ., გვ. 8 (შემდეგი მითითებანი აღნიშ. გამოცემის მიხედვით. გვექნება — სვ. გ.).

მაგრამ ზემოთ განცხადებული არ იყო ვახტანგის მსოფლმხედველური მიმართულების ძირითადი კრედო, იგი საბოლოოდ მაინც მოქმედებას, ქვეყნისადმი სამსახურს ანიჭებს უპირატესობას:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს". (გვ. 1).

ვახტანგის პრაქტიკული მოქმედების შინაარსი ყველაზე მეტად ამ შეგონებითაა გამოსახული. თვით მას ასეთი შეგონების უფლება ჰქონდა, როგორც ქვეყნისათვის თავდადებულ მოღვაწე პიროვნებას. ერთგან იგი თავისი საქმიანობის მცირე აღწერასაც გვაძლევს:

„მე უმცირესმა ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად,
ექმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი სადგურ-კამარა გებულად,
ტფილისს სიონი ხელახლა შევძერძე ქანდაკებულად.
ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად.
სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,
მაშაერის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი ყველანი.
ესე მთა მოვინადირე, ეზოცე ირემი, შველანი.
„სამართლის წიგნი" დავსწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
„ვეფხის-ტყაოსნის" თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,
ჩემთანა მყოფთა ჰაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა.
ბოლოს მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ-შვილობა" (გვ. 64).

მოტანილი ეპიტაფიით იმასაც ვგებულობთ, რომ გარდა იმ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა, რის შესახებაც ზემოთ საუბარი გვქონდა, ვახტანგს აღდგენითი სამშენებლო მუშაობაც ჩაუტარებია — მცხეთა, ურბნისი, თბილისის სიონი შეუკეთებია, არხები გაუყვანია და სხვა.

ვახტანგ VI-ის ძირითადი საქმიანობა მაინც განათლების საქმის მოგვარებას ემსახურებოდა. ამ მიზნით თარგმნიდა იგი კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური ხასიათის თხზულებას, სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, თვით შექმნა ქიმიის სახელმძღვანელო წიგნი და სხვა. ისიც აშკარად ჩანს, რომ ვახტანგს საქართველოში ზუსტი მეცნიერების შესწავლისათვისაც გარკვეული საფუძვლების შექმნა სურდა.

ისევე როგორც არჩილთან, ვახტანგის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწავლისადმი მოწოდებას უკავია. ერთგან იგი აღნიშნავს:

„სიბრძნე ამისთვის კარგია, იქს რასაც შვენიერადო,
დაბალსა ასე მოიყვანს სიმაღლედ შესამზერადო,

სიტყვასა იტყვის ჭკეულსა საძველოდ დასაწერადო,
კაკაბსა ქორად შეგიცვლის, მიმინოს მოგცემს მწყერადო". (გვ. 105).

როგორც არჩილი განმარტავდა ცოდნის შეძენის მნიშვნელობას, რომელიც „არის სამუდამო" და „სიკვდილამდინ ვერ გააგდებ", ვახტანგიც არა ერთხელ აღნიშნავს სწავლის, ცოდნის მიღების მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ:

„სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას, სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც გზირისაგან ენებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა მისი მიღება, კლებანი,
უმჯობესია ყოვლისა სამუდმოდ მისი ხლებანი" (გვ. 126).

გაუნათლებელი კაცი აუტანელი და საცოდავია. გაუნათლებელსა და მცოდნე, ბრძენ კაცს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც „მკვდრისა და ცოცხლის სახესა" (გვ. 104). უსწავლელი ადამიანის მიმართება განცხადებული, რომ თუ „არას ისწავლი, რაც გმართებს, და ისე ცუდად ირები, დაგიმძიმდების სიცოცხლე, გახდები გლახა, მწირები" (გვ. 104).

მოკლედ, ვახტანგთან, ისევე როგორც ადრე არჩილთან, ხოლო შემდეგ დავით გურამიშვილთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეგონებას ცოდნის, განათლების მიღების აუცილებლობაზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმ ვითარებამ განაპირობა, რომ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის შექმნით გვიანფეოდალური ხანის საქართველოში განათლებისადმი მისწრაფება შედარებით შენელდა, რაზედაც თეიმურაზის და ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოტანილი სიტყვები, თვით არჩილის და სულხან-საბას მიერ გამოთქმული გულისწუხილიც გვამცნობს. უსწავლელობის მიმართ გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო, ხოლო ამის ერთ-ერთ საშუალებად ქართველ განმანათლებლებს მისი მხილება და სწავლებისადმი მოწოდება მიუჩნევიათ. ეს მათი საქმიანობის ერთი მხარე იყო.

საინტერესოა ისიც, რომ ვახტანგის შემოქმედებაში გარკვეული პედაგოგიური შეხედულებებიც იჩენს თავს. გათვალისწინებული აქვს მას ბავშვის ასაკობრივი თავისებურება. განმარტავს, რომ სწავლას თავის დრო აქვს — ადრეულ ასაკში ბავშვი უფრო ამთვისებელია, ამიტომ „სიყრმეს ისწავლე, ხელთ დაგრჩეს", — აცხადებს იგი, ხოლო უკვე ზრდადასრულებულთა და მხცოვანთ „ბერთა ყრმის საქმე არ ძალუც" მაშინ სწავლაზე ფიქრი უკვე გვიანია და „ყრმათ უარესად გამოჩნდეს ბერი უსწავლთა მგვანები" (გვ. 73). გავიხსენოთ, რომ ბავშვის ამთვისებლობაზე და ყრმობის წლებიდან აუცილებელ თან-

მიმდევრულ სწავლებაზე ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში გიორგი ხუცეს-მონაზონი შეგვაგონებდა.

ვახტანგთან მოსწავლის ბეჯითობის და გააზრებული სწავლების შესახებაცაა ყურადღება გამახვილებული:

„ვერაფრით ვერ ისწავლი ოსტატის და დიდის ცდითა,
თუ მომთმინე არ შეიქენ გასინჯვით და გამოცდითა" (გვ. 145).

აქვე საინტერესო შეგონებაა გაკეთებული — „ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქმნების".

მაშასადამე, მასწავლებელი ვერაფერს გააწყობს, თუ სწავლისადმი მოსწავლის დაინტერესებაც არ იქნა, მაგრამ საქმე ამით მაინც არ მთავრდება. ვახტანგი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის ნიჭზე, რაც სწავლებაში ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნია. იგი აცხადებს:

„ხსოვნით არის კარგი ფიქრი, გულმავიწყმა ბრძნად ვერ იროს" (გვ. 146).

თვით მოსწავლის მონაცემებს გამოვლენა, წარმართვა და ცოდნით გამდიდრება უნდა. ეს უკვე მასწავლებლის საქმეა. ბავშვის აღზრდის პასუხისმგებელობაც ძირითადად მას ეკისრება, ხოლო თუ ეს არ მოხდა: „გამწვრთელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია" (გვ. 115).

„ამირნასარიანის" თარგმანში ვახტანგი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლისადმი მასწავლებლის მიდგომაზე, ტაქტზე, სასწავლო მასალის თანმიმდევრულად გადაცემის საკითხზე:

„ვითა სნეულსა მკურნალი ნელ-ნელა მისცემს რგებასა,
რა სწრთვანდე ბრძენი უცებსა, უზამდე სიტყვის გებასა,
იქმოდე მისებრ, რას აქნევ, მეტად ბევრ-ხანსა გებასა?
უცების აყიბარჩებას გოჯობს საბმური გებასა" (გვ. 88).

ცოდნის მიღების პირველწყარო წიგნია. წიგნის მნიშვნელობის აღიარებისას ვახტანგი ყურადღებას ამახვილებს მეცნიერული, სისტემატიზირებული ცოდნის მიღებაზე:

„წიგნის კითხვა, შეგონება, დაუდეგიათ დია სარგად,
ზღაპარი და ყბედი სიტყვა სანახავად დასაკარგად,
საღმრთოს რასმე გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
აქაც პოებს სარგებელსა, ვინცა ისმენს ორსავ კარგად" (გვ. 147).

აქ გვახსენდება იოანე პეტრიწის შეხედულება წიგნის, როგორც ცოდნის მიღების წყაროს შესახებ. მაგრამ თუ იოანე პეტრიწის დროს წიგნის კითხვის კულტურაზე ხდებოდა ყურადღების გამახვილება, ვახტანგ VI იძულებულია თვით წიგნი, როგორც მეცნიერული ცოდნის

გადამცემი საშუალება, „ზღაპარ და ყბედ“, უსისტემო, არამეცნიერულ, არამედ განაგონ ამბებს შეუპირისპიროს, რის გადაცემასაც მისი დროის საქართველოში ალბათ ადგილი ჰქონდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში აქ ვახტანგის სწორ შეხედულებათა შესახებ დაკვირვების საშუალება გვეძლევა და გასაგები ხდება მის მიერ სახელმძღვანელოთა შედგენასა თუ თარგმანზე ზრუნვის მნიშვნელობაც, რაც სისტემატური ცოდნის მიწოდების საშუალება უნდა გამხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის ორიგინალურ თუ თარგმნილ თხზულებებში დიდაქტიკურ შეგონებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართულ ენაზე მას ისეთი ნაწარმოებები გადმოაქვს, რომლებიც სწავლის, ცოდნის მიღებისადმი მოწოდებას და დაინტერესებას შეიცავს.

აქვე ყურადსაღებია მისი შეგონებები, რომლებიც დიდაქტიკურ თხზულებაში „სიბრძნე მალაღობელში“ გვხვდება და რომელთა შინაარსი გარკვეული ნაირსახეობით დავით გურამიშვილის შემოქმედებაშიც ჰპოებს ასახვას. გარდა ზემოთ მოტანილისა, ასეთი შეგონებებია, მაგალითად:

1. „სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოს ტკბილსა“,
2. „სიყრმითგანვე ყოვლთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს“,
3. „უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტი შვილის ყოლა'ა“ და სხვა.

არსებული ისტორიული ვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მანკიერი მხარეების ანარეკლი ვახტანგის შემოქმედებაშიც გვხვდება. ამ მხარეთა გამოსწორების ერთ-ერთ პირობად, ისევე როგორც მისი წინამორბედი ქართველი განმანათლებლები (არჩილი, სულხან-საბა), ვახტანგიც საზოგადოების წევრთა ადრითგანვე სწორად აღზრდას მიიჩნევს — მათი ინტელექტისა და ზნეობის ჩამოყალიბებას, ფიზიკურ სიჯანსაღეს. განსაკუთრებული ყურადღება ვახტანგის შემოქმედებაში მაინც გონებრივ აღზრდას აქვს დათმობილი. ცოდნის მიღება მას ამქვეყნიურ უპირველს ამოცანად მიაჩნია. ადამიანი ჩამოყალიბებული, საზოგადოებისათვის გამოსადეგი, ვახტანგის თქმით „სრული კაცი“ რომ იყოს, მას „მართებს სიბრძნე და სწავლა“, ასეთი ადამიანი „თეთრით ღარიბიც რომ იყოს, კაცობისა აქვს თქმულობა“. მაგრამ თუ ცოდნა არ ექნა, რაც უნდა მდიდარი იყოს „სიმდიდრით გქონდეს სრულობა, კაცად არავინ ჩაგაგდებს, მოგეცეს უფლისწულობა“ (გვ. 97).

შვილის აღზრდაში გარკვეული როლი ეკისრება მშობლს, რომელიც თუ „შვილს არ ასწავლის, არცა ოდენ გაუმგუნდე'ს, ცნას, შემდგომი მემკვიდრობა მისთვის თურმე აღარ უნდეს“ (გვ. 96). ბავშვის აღზრდაში მშობლის როლის განსაზღვრება არჩილთანაც და ვახტანგთანაც

ვხვდება, მაგრამ აღნიშნულ საკითხს უფრო მკაფიოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დავით გურამიშვილი შეეხო.

დავით გურამიშვილთან შედარებით უფრო გამახვილებულია ყურადღება ოჯახური სიწმინდისა და მა'თან დაკავშირებული ზნეობის ნორმების დაცვის შესახებ, რასაც ერთგან ვახტანგიც შეეხო. იგი „გვარის-გვარად“ „მოშენებას“, გამრავლებას მოუწოდებს თანამემამულეებს, მაგრამ „არ პირუტყვებ უქორწინო კაცთა წესთა დასაზარად“, არამედ „მღვდლის კურთხევის შენდობითა შევიერთნეთ გასახარად“ (გვ. 30), ე. ი. ჯვარის წერით, ტრადიციული წესებისა და სიწმინდის დაცვით. მისანიშნებელია, რომ ოჯახური სიწმინდის დაცვაზე ვახტანგის თაოსნობით შედგენილ „სამართლის წიგნშიც“ არა ერთხელაა ყურადღება გამახვილებული. როგორც ჩანს, ქვეყნის არეულობის გამო, ამ ტრადიციული წესების დაცვა სათანადოდ ვეღარ ხერხდებოდა, რამაც აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია.

ამავე ავბედითი ისტორიული ვითარებით სხვაგვარი უზნეო ადამიანებიც გაჩნდნენ ამ ქვეყნად, რომლებიც „უმეცრებისა სისრულეს გონებს ყოვლისა დავითა“. ასეთი ადამიანების მიმართაა ნათქვამი:

„რა არის, თაგვებ მსუნაგობ, დასძერები კარის კარადო?
ამას თაყვანსსცემ და ამას შესტირი სულთქმით მწარადო,
ძაღლებ ლაქუცობ, მგლისებრ ატყუებ შეუგვარადო“ (გვ. 35).

ასეთი ადამიანები საშიშნი არიან, ქვეყნისა და საზოგადოებისათვის გამოუდეგარნი და „ნუ ჰბაძავ კაცსა უღმთოსა“, რომელსაც „გაუცუდდების ბოლოჟამ ნაქნარი დასანთქმავითა“. ამასთანავე ვახტანგი მოუწოდებს:

„რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და?
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამეთა“ (გვ. 35).

ადამიანი მშრომელი უნდა იყოს, მაშინ იგი სხვასაც და თავის თავსაც გამოადგება:

„ნახე, ფუტკარი ზამთრისთვის რამთონს შრომასა ნახავსა!
სადა აქვს მისი სამყოფი, მრავალსა შეინახავსა:
ვინ ამ სოფელსა დაშვრების, ზაფხულად გამოსახავსა,
შეიკრებს უტკოვრებასა, მუნ სხვასა რაღად ჩმახავსა? (გვ. 33).

მსუნაგი ადამიანების საქმე ძაღლისა და ძვლის ამბავს ემსგავსება:

„ძაღლსა ძვალთა მოხერისაგან კბილსა სისხლი ედინება,
ემლაშება, მეეჭველობს, გაუსრულდა მისი ნება,
ძვალთა დარჩა უენებელი, გაუმრავლდა კბილთა ენება.
სოფლისაგან შემსჭვალულთა ასე მიხედა შენანება“ (გვ. 32).

ამგვარად, მხატვრულ ფორმებში თუ აშკარა სარკაზმით ამხელს ვახტანგი საზოგადოების უღირს წევრებს. მართალია, ეს საკითხები მის შემოქმედებაში ისეთ კონკრეტულ ფორმებს ვერ ღებულობს, როგორც არჩილთან, სულხან-საბა ორბელიანთან და დავით გურამიშვილთან გვხვდება, მაგრამ თავისი შინაარსით იმავე მიზნების სამსახურშია ჩაყენებული, რაც მე-16—18 სს. ქართული აღორძინების ხანის განმანათლებლებისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო — საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩენილი მანკიერი მხარეების მხილება, მათი ლიკვიდაციისათვის ბრძოლა. ამ საქმეთა შემდგომი გამგრძელებელი, განსაკუთრებული პოეტური ნიჭით დაჯილდოებული დავით გურამიშვილი გახლდათ.

7. დავით გურამიშვილი

მე-18 საუკუნის განმანათლებელი პოეტი დავით გურამიშვილი, როგორც თავად გვაუწყებს, ქართლის თავადთა სახლის შვილი ყოფილა. დაბადებულა იგი 1705 წელს. მისი ბავშვობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. როგორც ჩანს, მას სათანადო განათლება ვერ მიუღია, რისი მიზეზიც 1720—1730-იანი წლების ქართლის მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. თავად პოეტი აღნიშნულ ვითარებას ერთგან ასე აღწერს:

„ჩემსა ყრმობაში, სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში:
მით იქლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნნი წარტყვევნა!
დარჩნენ უწიგნოდ ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწერთელ-უცები“[1]

იმ არეულობის დროს, როცა ვახტანგ VI რუსეთს გარდაიხვეწა, ხოლო ქართლში ხან ოსმალები, ხან კი ირანელები ბატონობდნენ, დავით გურამიშვილს ქსნის ხეობაში (სოფ. ლამისყანას) შეუფარებია თავი. ერთხელ აქ წყაროზე გასულს ჩასაფრებული ლეკების რაზმი თავს დასხმია, გაუკოჭავთ და დაღესტანს ტყვედ წაუყვანიათ. ტყვეობაში დავითს დიდი ჯაფა, მორალური თუ ფიზიკური შეურაცხყოფა გადაუტანია. გაპარვა დაუპირებია და შეუპყრიათ. ხელმეორედ გაპარვის ცდის შემდეგ კი რის ვაი-ვაგლახით სამშვიდობოს გაუღწევია. ბარე ორი ქვრის ნაშიმშილები, ტანსაცმელ შემოფლეთილი დავითი რუსთა სოფელს მისდგომია, სადაც ქრისტიანები შეუცვნია. ჯვარის მთხეველთა და პირჯვარის წერით ღმერთს მადლობას სწირავდა გადარჩენისათვის, რითაც რუსებსაც მისი ქრისტიანობა ეუწყათ. სპეციალურად მოყვანილი თარჯიმნის — ვინმე იანვარა ფხოველის საშუალებით მათ დავითის ვინაობაც და თავგადასავალიც შეიტყვეს. რუს გლეხს ლაზარეს დავითი შეუვრდომებია, მოუსვენებია, დაუწუნარებია, რის შემდეგაც იგი ვახტანგ VI-იას და მისი ამალის საძებნელად სოლაღ-ასტრახანის გზით მოსკოვს ჩავიდა.

ვახტანგ VI-ემ პატივით მიიღო დავით გურამიშვილი და „ჯაბადარბაშობის“ თანამდებობაც უბოძა. როგორც ჩანს, რუსეთში მყოფ ქართველთა ლიტერატურულ წრეში დავითმა იმთავითვე თავი იჩინა, როგორც ნიჭიერმა პოეტმა, ამიერიდან იგი ამ ლიტერატურული წრის აქტიური წევრი გახდა.

ვახტანგ VI-ის ცდა რუსეთის დახმარებით საქართველოში შემობრუნების შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. 1737 წლის 26 მარტს (ძვ. სტილით) იგი გარდაიცვალა (იმჟამად ასტრახანში მყოფი). უხელმძღვანელოდ დარჩენილმა ქართველმა ემიგრანტებმა რუსეთის საიმპერატორო კარისაგან წინადადება მიიღეს — რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ, ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებით ქართველ ემიგრანტებს მამულები დაურიგდათ. ამასთანავე მათი მონაწილეობით „ჰუსართა პოლკი“ შედგა, რომელშიც დავით გურამიშვილიც ჩაერიცხა.

შვიდწლიანი ომის დროს დავითი პრუსიელებს ტყვედ ჩავარდნია და მაგდებურგის ციხეში ჩაუსვამთ. ერთი წლის შემდეგ, 1759 წელს ტყვეობიდან განთავისუფლებულა. 1760 წლის ზაფხულში ის სამხედრო სამსახურს ტოვებს და მის სარგოდ მიცემულ მამულში — მირგოროდს ბრუნდება (უკრაინაში). მთელი თავისი მხცოვანების პერიოდი პოეტს აქ გაუტარებია შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ მუშაობაში გართულს.

გარდაიცვალა დავით გურამიშვილი 1792 წლის 21 ივლისს (ახალი სტილით 1 აგვისტოს) და დასაფლავებულია მირგოროდის სასაფლაოზე.

* * *

დავით გურამიშვილი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული პოეტია. მას დახვეწილი, მუსიკალური ხმოვანების ლექსთწყობა აქვს. მთელი მისი შემოქმედების შემცველმა წიგნმა ე. წ. „დავითიანმა“ იმთავითვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. დღეისათვის „დავითიანის“ მხატვრულ-იდეური, მორალურ-დიდაქტიკური და სხვა მხარეები საკმაოდ შესწავლილია.

ჩვენ ამჯერად, დ. გურამიშვილის შემოქმედების მორალურ-დი-

[1] დავით გურამიშვილი, დავითიანი, აღ. ბარამიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 406, 407.

დაქტიკური შეგონებებისა და განმანათლებლური იდეების — ჭარ-
თული აღორძინების ხანაში ამ მიმართებით წარმოებული ბუშა-
ობის საერთო ასპექტში განხილვა გვაინტერეს'ებს, აგრეთვე, ზო-
„გიერთი დღემდე შეუხებელი საკითხის წარმოჩენა.

დავით გურამიშვილი, როგორც განმანათლებელი, არჩილის, სულ-
ხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის საქმის გამგრძელებელია. და-
ვითის შემოქმედების ამ მხარეს, ისე როგორც მის წინამორბედთა შე-
მოქმედებას, თანადროული საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური,
სოციალური და კულტურული ცვლილებანი განსაზღვრავდა. ეს ცვლ.-
ლებები, ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარებით და მისი შედეგებით,
ხასიათდებოდა როგორც მე-17, ასევე მე-18 საუკუნეშიც.

„დავითიანში“ წარმოდგენილი აღზრდის იდეები შემდეგნაირად
შეიძლება დალაგდეს: 1. შეგონებები სწავლისა და „სიბრძნის“ შესახებ,
2. პატრიოტული და 3. ზნეობრივი აღზრდა.

უველაზე მეტი ადგილი აქედან პირველ საკითხს აქვს დათმობილი.
როგორც ჭვემოთ დავინახავთ, დავით გურამიშვილი თითქმის
კვალდაკვალ მიჰყვება არჩილისა და სულხან-საბას
შეხედულებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღ-
ზრდისა და სწავლების უპირატესი როლის მინი-
ჭების შესახებ.

ცოდნის შეძენა, — დავითის შეხედულებით, — ადამიანისათვის უპ-
ირველესი ამოცანაა და ასე გასინჯეთ მას მთელი მისი ცხოვრებისათვის
აქვს მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს:

„ბერს გამოცდილთ არა ვჰკადრებ,
მოგახსენებ ახალ ყრმათა:
თუ ცურვასა არ ისწავლით,
ვერ გაუხვალთ წუალთა ღრმათა“[1]

ცოდნა ისეთი რამ არის, რაც ადამიანს ცხოვრების მანძილზე თან
მიჰყვება და იგი არასდროს, არც ერთ შემთხვევაში არ იკარგება:

„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი“ (გვ. 21).

„ცოდნა თან დასდევს მცოდნესა“ და მას „უხილავი საუნჯე“ აქვს,
რომელსაც „ხელი არ შეაკარების“. განათლება, რომელსაც ადამიანი
მიიღებს, აღარც „ცხადით ძალით წაერთმის“ და არც „მალვით მოიპა-

[1] დავით გურამიშვილი, დავითიანი, ალ. ბარამიძის წინასიტყვა-
ობითა და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 31.

რების“. ადამიანის გონება ცოდნის, განათლების გარეშე არარაობაა.
„ჭკუა“, გონება „უხმარ არს ბრიყვთათვის“, ხოლო იგივე გონება, „ჭკვა
ცოდნით მოიხმარების“ (გვ. 21).

რა თქმა უნდა, ცოდნა სწავლით მიიღება და სწორედ ამ „სწავლის
მძებნელთა“ საყურადღებოდ ამბობს დავითი:

„ისმინე! სწავლის მძებნელო!
ჩაყევ დავითის ცნებასა,
ჯერ მწარე ჰამე კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა:
თავს სინანული სჯობია,
ბოლოჟამ დანანებასა, —
ჭირს მყოფი, ლხინში შესული,
შვებად მიითელი ენებასა“ (გვ. 20).

საუბარია სწავლის პროცესზე, რომელიც თავისთავად დაძაბულ,
ინტენსიურ შრომას მოითხოვს, მაგრამ ეს დაძაბული შრომა „სიმწარე“
ჯობია — „ბოლოჟამ დანანებასა“. ცხოვრებაში კი ის ადამიანები ინა-
ნებენ, რომლებიც გაუნათლებლები იქნებიან, რომელთა „ჭკუა
უხმარ არს“ და ამდენად ვერ გავლენ „წუალთა ღრმათა.“ ე. ი.
ცხოვრებისეულ სიძნელეებს და სხვა.

დავით გურამიშვილი ისევე, როგორც არჩილი, ვერ იტანს გაუნათ-
ლებელ კაცს. ასეთ კაცზე დავითი კიდევ უფრო გაგულისებულია —
„სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია“—ამბობს იგი
(გვ. 17). უფრო მეტიც. ასეთი — „უწვრთელის შვილის ყოლასა —
„ჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა“, რამდენადაც გაუწვრთნელი ძაღლი იმ-
დენს ვერას ავნებს პატრონს — „რომ შვილი ბრიყვი, უცები, დედმამას
განათავებსა“ (გვ. 18). ის ყმაწვილი, რომელიც სწავლას არ მოინდომებს,
უნდა გაიწკეპლოს. აბრამაო — მიმართავს დავითი მშობლებს — თა-
ვისი ძე მსხვერპლად გამოიმეტა და „შენ გემეტების რად არა ძე წვრ-
თაზე გასაწკეპლადა?“ (გვ. 18). მოკლედ, უველა ღონე უნდა იხმაროს
მშობელმა, რათა მისი შვილი ნასწავლი გამოვიდეს. მან თავის შვილს
უნდა შეაგონოს ამ საქმის აუცილებლობა, მაგრამ თუ ასეთი შეგო-
ნებით არაფერი გამოვა, თვით რიგორისტულ ზომასაც უნდა მიმარ-
თოს, რადგანაც —

„ყრმა სწავლაში მომშვილდების,
რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწაველი ვაჟიკაცი
სიბერის დროს გაწბილდების“ (გვ. 19).

სწავლება სიყრმის წლებში უნდა ხდებოდე'ს, ყრმათა განსწავლას ამ
დროს უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც მოზარდი, ყრმა ადვილად
ითვისებს, ისე მიჰყვება ოსტატს, ე. ი. მასწავლებელს, სწავლაში „ვით

ახალ ნორჩი ვაზისა ხელს მიჰყვეს საფურჩქნელადა“. ამდენად, სწავლა ახალგაზრდობის წლებშია შესაძლებელი, ხოლო შემდეგ:

„ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი
დაიგრიხების ძნელადა,
აგრეთვე კაცი მხცოვანი
განისწავლების ძნელადა“. (გვ. 28).

მხატვრულ ფორმაში ეს შესანიშნავადაა გადმოცემული იგივე, რასაც ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) ამბობდა, რომ მოზარდის „ბუნება იგი ლბილი და ჩჩვილი, რომელი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლებასა“, ხოლო „ჰასაკითა სრულთა და განმწყსებელთაგან სწავლა“ კი „შეუძლებელ არს“.

*
* *

როგორც აღვნიშნავდით, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში სწავლისა და განათლების საკითხებზე ყურადღების ეგზომ გამახვილება ისტორიული პირობებითაა გამოწვეული ისევე, როგორც არჩილისა და სულხან-საბას შემოქმედებისათვის იყო ეს დამახასიათებელი. დავითი მხატვრულ და რეალისტურ ფორმებში გვიხატავს თანადროული საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, მტრის დამრბევ თარეშს, რასაც შინა ფეოდალური განხეთქილება და შფოთი თან სდევდა:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაჰკრა თითო ჭიშტი!
მერმეთ შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,
თავის თავსა ხმალი იცეს;
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!
ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე გაღალულნი
ძალმან ნახოს, პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“ (გვ. 68, 69).

სურათი ნათელია, როგორც გარე, ასევე, შინა არეულობით ქვეყანა აკლებულია. გასაგები უნდა იყოს, თუ რაოდენ ძნელი უნდა ყოფილიყო ასეთი მდგომარეობა გლეხობისათვის, მოსახლეობის ღარიბ-ღატაკი

ფენისათვის. დავითი არც ამ ყოფაში მყოფ მოსახლეთ ტოვებს ყურადღების გარეშე. ერთგან იგი ამბობს:

„შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანერთის ძვირისა,
. . . . . .
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება —
ქერივთა, ობოლთა, მწირისა!“ და სხვა (გვ. 65).

ე. ი. იმის მაგივრად, რომ ერთ ძალად გაერთიანებულიყვნენ და მტერს ისე დახვედროდნენ, ქვეყნის მესვეურნი და დიდგვაროვანნი ერთმანეთს ემტერებოდნენ. დასჩემდათ მათ „ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა“. (გვ.65). უფრო მეტიც— კახელების აღმა-ხნულნი ქართველებმა დაღმა ფარცხეს“ (გვ. 74). დავით გურამიშვილი პირდაპირ, მოურიდებლად კიცხავს თანამემამულეების ამგვარ საქციელს. ამ შემთხვევაში იგი სახელმძღვანელო პრინციპად იდებს სიმართლის პირუთვნელად აღიარებას:

„მე თუ გინდა, თავიც შომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად ,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად“ (გვ. 70)

აცხადებს დავითი. მას მიაჩნია, რომ აუგი საქმის მხილება აუცილებელია, რადგან:

„მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მავრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!
. . . . . .
ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის,
კულავ აღარ ჩაიდინოს“ (გვ. 71).

ასეთია მოკლედ დავით გურამიშვილის მიერ რეალისტურ ფორმებში გადმოცემული მე-18 ს. საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია.

რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში სწავლა-განათლების საქმე ისევე, როგორც ქვეყნის საერთო კულტურული დონე, სათანადო სიმაღლეზე ვერ იქნებოდა. იმის გამო რომ — „სულ გარს მტრად გვადგა ყიზილბაშიო — აცხადებს დავითი — მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა (ე. ი. ლეკიანობამ, რომლებიც ქურდულად ესხმოდნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობას, იტაცებდნენ და ტყვეებად ყიდდნენ და რომელთა მსხვერპლი თვით დავითიც აღმოჩნდა) წიგნნი წარსტყვენა!“ ამის გამო კი — „დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ—უცები.“ (გვ. 407).

საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, დავითის

შეგონებით, ძალთა გაერთიანებაა საჭირო. ამდენად, ამხელს იგი ძალთა დაქსაქსულობას, ფეოდალურ შუღლს და კარჩაკეტილობას, შეუთანხმებლობას, რათა დაანახვოს თანამედროვეთ მათი მავნე ტენდენციები. მათ უნდა შეიგნონ ყოველივე ეს და „ქვლავ აღარ ჩაიდინონ“, თორემ საქმე ქვეყანას და მის ხალხს ეხება.

* * *

დავით გურამიშვილის ყურადღების ცენტრშია ის გარემოება, რომ ქვეყნის მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის კულტურაზე და მორალურ მხარეზე გავლენა იქონია. ერის სიმტკიცე ტრადიციულ ზნეთა, ცოდნა-ჩვევათა, კულტურის შენარჩუნებაში გამოიხატება და სწორედ მისი გადარჩენისათვის ბრძოლაა საჭირო. მაგრამ ყოველივე ეს, თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება, მძიმე პოლიტიკური ვითარების შედეგების ლიკვიდაცია — საზოგადოების თითოეული წევრის აღზრდის შედეგად შეიძლება მოხერხდეს. ამ შემთხვევაში დავით გურამიშვილი არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის და ვახტანგ VI-ის პოზიციაზე დგას. შეხედულებათა ერთსახეობის შედეგად დავითის შემოქმედებაში ზოგჯერ აშკარა გავლენას ვხვდებით როგორც შეგონებების (არჩილი, ვახტანგ VI), ასევე თემატურის თვალსაზრისით (არჩილი).

დავითი არჩილისამებრ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“) საზოგადოების წევრთათვის იძლევა შეგონებას მათი საქმიანობისადმი პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერად და შემოქმედებითად დამოკიდებულების შესახებ. ამ შემთხვევაშიც უპირველეს ქვეყნის მმართველის ღირსებათა შესახებაა საუბარი, მაგალითად,

„ხელმწიფე უნდა მართალი
ვით ბრძენთა დაუწერია,
ბრძენი უხვი და მოწყალი,
მრისხველი ზომიერია,
სჯულ მტკიცედ: სწორეს სამართლით
იყოს და ყვანდეს ერია,
მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი —
ხელთ სკიპტრა, — მას უჭერია“ (გვ. 24).

ასევე დავით გურამიშვილი იძლევა შეგონებას მიწის მუშაკთა მიმართ, რომელთაც შრომისმოყვარეობას კარნახობს, მოლაშქრეთა მიმართ, რომელთა აუცილებელ დამახასიათებელ „ზნეობებად“ მას მიაჩნია სითამამე, თავმდაბლობა, მეპატრონეთა ერთგულება და მორჩილება, სამართლიანობა, ამხანაგთა მოყვარეობა, სიმამაცე, ძალგულოვნება და სხვა (გვ. 26).

ვაჭარი პატიოსანი უნდა იყოს და „სწორეს აღლსა და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა“ (გვ. 26).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ოსტატის“ და „ბრძენის“ საქმიანობას. ეს უკანასკნელი თავისი ცხოვრებით მისაბაძი უნდა იყოს:

„ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს,
გახადოს მეცნიერია,
ბრძენმან არ უნდა იკადროს
ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგო ქცევითა
ბაძით წახდების ერია“ (გვ. 21).

„ოსტატი“ — მასწავლებლის ცნების მნიშვნელობითა აქვს დავითს ნახმარი, ხოლო „ბრძენი“ საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი კაცი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის განმანათლებლური მოღვაწეობა უფრო ფართო მასშტაბისაა. ოსტატის საქმიანობის ბედნიერ მხარედ დავით გურამიშვილს ის მიაჩნია, რომ მისი შრომა ნაყოფიერია, მოწაფეები მისთვის შვილებივით არიან, რომელნიც „ურგ‘ს ტაბლის გარეშამოსა“ (გვ. 27).

მაინც დავითის ყურადღების ცენტრში მოზარდი თაობაა, ესაა ქვეყნის მომავალი, მისი იმედი. ამდენად, მისთვის მთავარი მნიშვნელობა „ყრმათა“ აღზრდას აქვს. სხვათა და სხვათა ამბის შემდეგ დავითი კვეცს საუბარს და კვლავ ყმაწვილთათვის შეგონებაზე გადადის — „მე შენთვის აღარ მცალიან, ყმაწვილის ვალი მკიდია“ — აცხადებს იგი.

დავითს მოზარდთა სწორი აღზრდა და განათლების მიღება სავალდებულო საქმედ აქვს გამოცხადებული. მისი თვალთახედვით ყმაწვილი ყოველმხრივ უნდა განისწავლოს. სწავლების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს პატრიოტული გრძნობის აღზრდას, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?“ (გვ. 27).

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დავით გურამიშვილი ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას, მათ მიერ მამა-პაპათა ჩვეულების ათვისებას. ამ საკითხებს ეძღვნება მისი მეტად საინტერესო, ქართული მწერლობისათვის პირველი საყოფაცხოვრებო ხასიათის პოემა, ე. წ. „ქაცვია მწყემსი“. ფაბულა პოემისა ასეთია: მწყემს ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ. ბუნების წიაღში გალაღებულთ ხორციელი ვინი მოეძალათ, მაგრამ წადილს ვერ მიაღწიეს, წინ იმდენი დამაბრკოლებელი

შიზეზები გადაეღობათ. ხან ჩხიკვმა დასჩხავლა საიდუმლოთ გახიზნულთ, ხან ეკალი შეესოთ, ხან რა. ბოლოს, მათ ხმიანობას ტყეში შეშის საჭრელად წამოსული გლეხკაცი შემოეპასუხა. ქალ-ვაჟის ჩანაფიქრს რომ მიხვდა, იეშმაკა. მათ მშობლებს არაფერი გაუმხილა, ჩუმად მღვდელს შეუთანხმდა, სოფლის ხალხი და ქალ-ვაჟის მშობლები დაპატიჟა და საქმე ისე წარმართა — ახალგაზრდებს ჯვარი დააწერინა.

პოემის სიუჟეტი წინააღმდეგობრივ ფორმებში ვითარდება და საინტერესოდ იკითხება. კანონზომიერადაა მასში შეგონებითი ხასიათის საუბარი ჩართული (მამის საუბარი ვაჟთან) და სხვა.

წარმოდგენილი ნაწარმოები სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია და მისი იდეური მხარეც სწორადაა შეფასებული. აღნიშნულია რომ — „დავით გურამიშვილმა თავისი საზოგადოებრივი კლასის გადაღმა, გლეხებისა და მწყემსების წრეში აღმოაჩინა ის იდეალი ზნეობრივი სიწმინდისა, რაც აკლდა თავადაზნაურობას და რასაც პოეტი თვლიდა ქვეყნისა და საზოგადოების წარმატების უცილობელ საწინდრად“. ამ ნაწარმოებში ავტორი — „აიდეალებს ერთგულ, მოყვარულ, ზნესრულ ქალ-ვაჟთა მტკიცე ოჯახურ, მეუღლეობრივ ცხოვრებას. მოყვარული, ზნეობიანი ოჯახი წყაროა საღი, ჯანმრთელი შთამომავლობისა, საწინდარია საზოგადოების წინსვლისა და წარმატებისა“[1]. ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ აღნიშნული პოემის მნიშვნელობის არე კიდევ უფრო შეიძლება გაიზარდოს, მისი აღმზრდელობით მხარის სხვა მომენტებსაც. თუ ჩავუკვირდებით.

ჩვენს ყურადღებას უპირველეს ტყეში შეშის საჭრელად გამოსული გლეხკაცი იპყრობს, რომელიც ხმის გაგონებაზე ქინძისულ ქალ-ვაჟს თავს დაადგა, მან ამ ყოფაში მყოფი უმაწვილები „რა ნახა, დაგმო და დასძრახა, ორნივ დალანძღა“.[2] დაემუქრა, თქვენს მშობლებს ყველაფერს ვეტყვიო. ვაჟი შეეეედრა — არაფერი თქვა და ჭრთამად ოქროსა და ვერცხლს მოგართმევო. ცხვარი დაუკლა, ღვინოც დაალევინა, მაგრამ თანასოფლელი კაცის გული მაინც ვერ მოინადირა. თუმცა გლეხკაცმა ვაჟის მშობლებს არაფერი უთხრა, მეორე დილას კი თავის მეუღლეს შესჩივლა—სიზმარში გარდაცვლილი მშობლები მისაყვედურებდნენ — სააღაპო რიტუალი რად არ გადაგვიხადეო. ამ მიზეზით მან მთელი სოფელი დაპატიჟა. მღვდელს თავისი ჩანაფიქრი გაუნდო, გაისტუმრა იქ, სადაც ქეიფის მოწყობას აპირებდა. საქეიფოდ კი მან: „ტიკნი დატენა კარგის ღვინითა“.

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, V—XVIII სს., ქ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, თბ., 1954, გვ. 444.

[2] დავით გურამიშვილი, დავითიანი, ალ. ბარამიძის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბ., 1848, გვ. 330.

ყვავდა ნაჩუქარი,
კარგად ნასუქარი,
დაკლა ფური ბერწი
ორი ცხრა ცხვარი, ოცი ბატკანი,
გაწყვიტა ბატთ ხმა, ქათამთ კაკანი;
სასმელი, საჭმელი,
წანაწყო ნავში.
მღვდელთ უთხრა: საქმე მზად დაიჭირეთ,
როცა მოვიდეთ, მაშინა წირეთ.
ჩასხა ნავს ბარჯთანა,
ატანა მას თანა
მზარეულითურთ“.

შემდეგ ბიჭის მშობლებს მიადგა დასაპატიჟებლად. ისინი განრისხებული დაუხვდნენ, რადგან უმაწვილს დაბეზღების შიშით გლეხკაცზე აუგი უთქვამს და საქმე ისე წარმოუდგენია, მისი გამტყუნება აღარ შეძლებულიყო. გლეხკაცმა ვაჟის მშობლებს სიმართლე მაინც არ გაუმხილა, მოიბოდიშა და რის ვაი-ვაგლახით დაითანხმა თან გაჰყოლოდნენ.

ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ მღვდელმა გოგო-ბიჭს წესისამებრ ცოლ-ქმრობის დამაკავშირებელი რიტუალი ჩაუტარა. ეს ამბავი მშობლებისათვისაც საცნაური შეიქმნა და სხვა.

დავით გურამიშვილი რეალისტურად გვიხატავს ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გრძნობებს, ერთმანეთისადმი მათს ლტოლვას. მოჭარბებული გრძნობები მათ გონებას აკარგვინებს, საზოგადოებრივ მორალს და მა-მა-პაპურ ზნეს ივიწყებენ და ცდუნების გზას დაადგნენ. საქმე შეიძლება ავად დამთავრებულიყო, ქალ-ვაჟი ჟინს მოიკლავდნენ და ცნობას მოსულნი თავიანთ საქციელს ინანებდნენ. ადრე ქალი ბიჭს ეუბნება:

„ჯვარ-დაუწერლად ეგე საქნელი
ნუ გიჩანს აღვილად, ცოდვა არს ძნელი.
ღმერთსა ეწყინება
საწოლთ შეგინება
უშჯულოებით.
აწ რომ დამიწვე, და მუცლად ვიღო,
ქვეყნად როგორღა ხმა ამოვიღო?
თუმცა ვარ საცოლო,
შვილი რომ მაყოლო,
მერმე რაღა ვქნა?
ჩვენ დაგვარქმევენ ბოზთ, მეძავს, მრუშებს
და ჩვენს შვილებსა ნაბიჭვრებს, ბუშებს,
ქვეყანა ასტყდების
ჩვენს საძრახაოდ.
იტყვიან, რასთვის არ იქორწინეს
და წარიმძღვარეს მათ წინაწინ ეს:

საქმე ჭნეს ურცხვადა,
გვირგვინთ უკურთხადა
შვილი იყოლიეს"

და სხვა (გვ. 321).

მიუხედავად ამისა, ბოლოს მათ გრძნობამ სძლია და ქალი ვაჟს დათანხმდა. და სწორედ აქ გლეხკაცი გამოჩნდა და გადასწყვიტა ყმაწვილებისათვის ეშველა. საქმე იმაში იყო, რომ ბიჭის მშობლებს კიდეც რომ ცოდნოდათ ეს ამბები, თავიანთ ვაჟს ჯერხნობით ჯვარს მაინც ვერ დასწერდნენ, რადგან მამის დედის გარდაცვალების გამო მგლოვიარენი იყვნენ, ხოლო მამა კი (ე. ი. ბიჭის ბაბუა) მომაკვდავი შინ ეწვეთ. გლეხკაცმა ეს ამბები იცოდა. საქმის ვითარებაც კარგად განპვრიტა და ყოველივე თავის თავზე აიღო. რატომ გააკეთა მან ეს, რატომ გაიღო ამოდენა ხარჯი? ხომ შეიძლებოდა ვაჟის მიერ შემოთავაზებულ ვერცხლს და ოქროს დათანხმებოდა და თავის გზას გასდგომოდა? სწორედ აქ არის ავტორისეული აქცენტი გაკეთებული. გლეხკაცი იმავე სოფლისა, „არ შორს მოსაზღვრე" იყო, სადაც ბიჭი სახლობდა. ვინც არ უნდა ყოფილიყო, მას, როგორც საზოგადოების წევრს, თავის მოვალეობად მიაჩნია საზოგადოებრივ, მამა-პაპურ ზნეობათა დაცვა, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, პრაქტიკული მოქმედებით. ასეთია დავით გურამიშვილისეული შეგონება — საზოგადოებრივ-ტრადიციულ ზნეობათა დაცვა საზოგადოების ყოველი წევრის მოვალეობაა.

„ქაცვია მწყემსში" იმ გარემოებასაც აქვს ხაზი გასმული, რომ ყოველი მშობელი საკუთარი შვილის განსწავლაზე და ზნეობრივ აღზრდაზე უნდა ზრუნავდეს. ზნეობრივ აღზრდაში მამა-პაპათა ტრადიციულ ზნეთა ათვისებაც იგულისხმება. პოემაში დიდი ადგილი უკავია მამის მიერ შვილის დარიგებას. ეხლა მე რასაც გეტყვიო — ეუბნება მამა შვილს:

„შენს შვილს მიუთხარ ეს ამბებია:
„მე მოშითხრობდა პაპა-ბებია",
არს ბრძენთ ბრძანებული, არ მოგონებული..."

შვილის მიმართ დარიგებაში მამა განსაკუთრებულ ყურადღებას სწავლის შეძენის მნიშვნელობას უთმობს:

„სწავლად წრნ ფეხის წარმოდგინებით,
ყურით ისმენდე, გულთ მოდგინებით!
შვილო, შენს მამასა ნუ მიზამ ამასა,
რომ არ ისწავლო".

აქ საერთოდ ცოდნის შეძენაზეა საუბარი და კერძოდ, მამის შეგონების შესმენაზე, დასწავლაზე, ამას მოჰყვება ზნეობრივ საკითხზე დარიგებები და ბიბლიური სიუჟეტის თხრობა.

ეს ადგილი საინტერესოა, რადგან აქ ცხოვრებაში გამობრძმედილი მამის მიერ შვილისადმი ცოდნის გადაცემის პროცესის აღწერაა — აღზრდაში ოჯახის, მშობლების როლი ანაჩვენები დ. გურამიშვილს ამ საკითხის წარმოჩენა უპირველეს ტრადიციულ ზნეობათა შენახვისა და მისი მოზარდ თაობისათვის გადაცემის აუცილებლობის შეგონებისათვის ესაჭიროება.

აგრეთვე, იმ გარემოებასაც ხაზს უსვამს, რომ აღზრდის პროცესში ოჯახს ერთ-ერთი უპირატესი როლი ენიჭება, მაგრამ, როგორც დავინახეთ დ. გურამიშვილი მარტო ოჯახის სინდისზე როდი აგებს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას. მოზარდი თაობის აღზრდა მას მთელი საზოგადოების საქმედ მიაჩნია.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია რელიგიურ-მისტიკური შინაარსის შემცველ თხრობას, უფრო ჭარბად, ვიდრე ეს არჩილისა და სულხან-საბასთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ აქ უფრო სჯულის სიმტკიცის დაცვის, ტრადიციული ქრისტიანული რელიგიური რწმენის შეურყვნელობის პრობლემასთან გვაქვს საქმე.

სამშობლო ქვეყნის ბედუკუღმართობა, აგრეთვე, პირად ცხოვრებაში გადატანილი განცდები დავით გურამიშვილის შემოქმედებაში პესიმისტური შტრიხებით იჩენს თავს. მაგრამ პოეტი სულიერად არ ეცემა და ამქვეყნიური, ცხოვრებისეული პრობლემები მის შემოქმედებაში მაინც წინა პლანზე დგება. დავით გურამიშვილის შემოქმედება თავისი გულწრფელობითა და უშუალობით ქვეყნის სამსახურშია ჩაყენებული, ამიტომაა მასში აღზრდის საკითხმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რომ დაიკავა.

დავითის შეგონებით საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საქმე თვით ადამიანების ხელშია, საამისოდ მათ ყველა პირობები აქვთ მოცემული[1]. ხოლო ეს რომ შეიგნონ ადამიანებმა, საჭიროა ისწავლონ, განათლება მიიღონ. ბავშვობიდანვე სწორად უნდა წარიმართოს მათი გონებრივი აღზრდა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი — აღზრდაში ერთ-

[1] ასეთ აზრს ატარებს მისი ერთ-ერთი თხზულების მონაკვეთი — „ქაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება", სადაც „ქაცსა" და „საწუთროს" შორის გამართული პოლემიკაა წარმოდგენილი. არქიტექტონიკით და შინაარსით აღნიშნული მონაკვეთი არჩილის „სოფლისა და კაცის გაბაასებას" ემსგავსება. აქაც „საწუთროს" მიერ ადამიანები გამოდიან გამტყუნებული იმაში, რომ თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრება კეთილად ვერ მოუწყვიათ მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუნებისაგან საამისოდ ყველა პირობები აქვთ მოცემული და თავიანთ უბედობას ტყუილუბრალოდ „საწუთროს" აბრალებენ.

ერთი მთავარი ადგილი ზნეობრივ აღზრდას უნდა ეკავოს, რომელიც მამა-პაპათა მდიდარი ტრადიციული მემკვიდრეობის ათვისებას გულისხმობს, დავით გურამიშვილი, ერთი მხრივ, თანადროული ისტორიული ვითარების ანალიზს აკეთებს და ყველა იმათ, ვისაც მის უკუღმართობაში ბრალი მიუძღვის; დაუნდობლად კიცხავს. ამასთანავე, მომავლის პრობლემას სახავს, რომლის წარმმართველი ძირითადად ახალი თაობა უნდა იყოს. ამდენადაა ახალგაზრდობა და მათი აღზრდის პრობლემა მისი ყურადღების ცენტრში.

8. სწავლა-განათლება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

(ზოგადი მიმოხილვა)

ადრეც აღვნიშნავდით, რომ ქართველი განმანათლებლების ის პლეადა, რომლის პედაგოგიური შეხედულებანი ზემოთ განვიხილეთ, მიზნად ისახავდა მძიმე ისტორიული პირობების შედეგების ლიკვიდაციას საერთოდ კულტურის დარგში და კერძოდ, განათლების საქმეში. აქეთკენ იყო მიმართული მათი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ მათ მოღვაწეობას უქმად არ ჩაუვლია და უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული შედეგიც გამოიღო, როდესაც ერეკლე II-ის კარის მოქნილი პოლიტიკური მოქმედებით საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა გამოსწორების გზას დაადგა.

ერეკლე II-ემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში სწავლა-განათლების საქმის მოგვარებას. განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი კი ანტონ კათალიკოსი იყო, რომლის ინიციატივითაც 1755 წელს გაიხსნა თბილისის სემინარია ანჩისხატის ტაძრის ეზოში (კათალიკოსის სასახლესთან). მის პირველ რექტორად ფილიპე ყაითმაზაშვილი დაინიშნა. აღნიშნულ სემინარიაში ისწავლებოდა: გრამატიკა, „პიიტიკა ხელოვნებაჲ“, რიტორიკა, ლოღიკა, (ბაუმესტერის წიგნის მიხედვით), არისტოტელესეული კატეგორიები —„ქუეთქმულებანი ძველისა სჭოლასტიკოსისა არისტოტელესნი,“ მეტაფიზიკა (ბაუმესტერის წიგნის მიხედვით, ანტონის თარგმანი), ფსიქოლოგია — „ფისიკა სხუა და სხუა და სხუათაგან ფილოსოფოსთა ქმნილი“ და „ფილოსოფია მორალი მისივე ბაუმესტერისა“.

ცოტა უფრო გვიან, როგორც ჩანს, სასწავლებელი სიღნაღშიც ყოფილა გახსნილი. ამასთან დაკავშირებით იოანე ხელაშვილი მის მიერ შედგენილი კატეხიზმოს წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „მეფენი უკეთილმსახურებნი ირაკლი II და გიორგი XIII მზრდიდნენ სამთა-

ადგილებთა სასწავლებლებთა შინა მანდარე: მეტეხს ტფილისისაჲა — კიზიყს (1), ეზოსა შინა წმიდისა ნინოსსა და თელავს შკოლასა შინა“[1].

თბილისის მაგალითზე ერეკლე მეორეს გადაუწყვეტია თელავშიც დაეარსებინა სკოლა, რომელიც 1758 წლის 26 ოქტომბერს გაიხსნა მეფის სასახლეში. მის სხოლაპეტად, რექტორად, სკოლის ორგანიზაციის საქმეში გამოცდილი ფილიპე ყაითმაზაშვილი გადაუყვანიათ. ამ სკოლის მუშაობა მასწავლებელთა საერთო კადრის მომზადებით დაიწყო. ასე, რომ მისი უპირველესი ამოცანა ეკლესიის ახალ დამწყებ მსახურთა აღზრდა ყოფილა.

1782 წლის 28 მაისს თელავის სკოლის საფუძველზე სემინარია გახსნა, რომელიც მოსკოვის სლავენურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის მსგავსად იყო მოწყობილი. აქ ასწავლიდნენ — გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკას, ღვთისმეტყველებას. აღნიშნული სემინარიის პირველი რექტორი იყო გაიოზ არქიმანდრიტი.[2] როგორც თბილისის, ასევე, თელავის სასულიერო სემინარიის სასწავლო-ორგანიზაციულ მხარეს, მისი პროგრამებისა და სახელმძღვანელოთა თარგმნისა თუ შედგენის საქმეს, ანტონ კათალიკოსი ხელმძღვანელობდა, რომელსაც მხარში ედგნენ მისი თანამზრახველი და განათლების საქმის მოგვარების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი — დოსითეოზ ნეკრესელი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, შემდეგ გაიოზ (არქიმანდრიტი) და დავით (ალექსიძე — მესხიშვილი) — რექტორები.

აღნიშნულ სემინარიათა სწავლება კლერიკალურ-სქოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა და ისინი სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. მოსწავლეთა კონტინგენტის მიღება, კერძოდ, თელავის სასწავლებელში წოდებრივი განსხვავების გარეშე ხდებოდა, რითაც ივი განსხვავდებოდა რუსეთში არსებულ ანალოგიური სახის სემინარიებისაგან, რომელთა გამოცდილებაც უნდა დასდებოდა საფუძვლად წარმოდგენილი სემინარიების საერთო მუშაობას.

სემინარიის მასწავლებლები და მსმენელები მაღალი აკადემიური დონისა ყოფილან, რაც თვით სწავლების ორგანიზაციის ხარისხზეც მეტყველებს. ასეთი აკადემიური დონის მაჩვენებელია საჯარო პაექრობის (დისპუტის) ტექსტი, რომელიც თელავის სემინარიის მსმენელთა ცოდნის შემოწმების მიზნით მოწყობილა სემინარიის გახსნის პირველი წლის გავლისას—1783 წლის 28 მაისს. აღნიშნულ სხდომაზე გაიოზ რექტორს თემაზე—„მოკლედ ცხადჰყოფისათვის საღრამა-

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი S—966.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 85, 86.

ტიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა",—12 მუხლისაგან შემდგარი თეზისები წარუდგენია, რომლის გარშემო სემინარისტთა სიტყვა-პასუხით სათანადო განმარტება უნდა მომხდარიყო.[1] თითოეული თეზისის განმარტების შედეგად მსმენელის ცოდნა შემოწმდებოდა.

რაც შეეხება თბილისის სემინარიას, აქ დაყენებული სწავლების მაღალ აკადემიურ დონეზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა შორის თვით ანტონ კათალიკოსიც ჩანს, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული საგნების უმეტესს ასწავლიდა („ღრამატიკა, პიიტიკა, რიტორიკა, ლოღიკაჲ ბაუმესტრისა, ჭეშმარიტებანი ძველის სხოლასტიკისა არისტოტელესნი, ფისიკაჲ სხვა და სხვათაგან ფილოსოფოსთა ქმნილი. ფილოსოფოსთა მორალი მისიეე ბაუმესტრისა")[2].

ანტონი თავის დროისათვის ფართო ერუდიციის მქონე კაცი იყო. მას ყველა აღნიშნულ საგანში ღრმა მეცნიერული ცოდნა ჰქონდა, კერძოდ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, რომელსაც სწორედ მისი ინიციატივით მიეცა განვითარება—როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელ დარგს, რამაც განაპირობა კიდეც სასულიერო სემინარიაში მისი ცალკე საგნად სწავლების შემოღებაც.

ანტონის ერუდიციასა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე მის მიერ შედგენილი, ან თარგმნილი სახელმძღვანელო წიგნების ზოგადი ნუსხაც კი მიგვანიშნებს, კერძოდ: 1. მზამეტყუელება — ანტონის მიერ შედგენილი[3]. 2. ბაუმესტერი ქრისტიანის—„ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღვრებისა", თარგმანი ანტონის განმარტებითვე, „რომელნი შეიცუენ ბუნებითსა სამართალსა, ითიკასა და პოლეტიკასა"[4]. 3. „გორლიციუსის ღიმნაზიისა — რეკტორისა" **„ბაუმესტერისავე** ლოღიკა — „სარგებლად ყმათა სხოლის შინათა ქმნილი წიგნი, განსაზღურება ფილოსოფიისა, მპყრობელი თვის შორის საზღუართა, 1263, ქართულსა ხმასა ზედა გარდმოღებით შრომილი ანტონის მიურ არქიეპისკოპოსისა დავითიან ბაგრატოვანისა" — 1762 წელს.[5] 4. მეტაფიზიკა, ანტონის თარგმანითა და განმარტებების თანდართვით, რომელიც შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. ონტოლოგია, ანუ ფილოსოფია პირველი

[1] ა. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, იხ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, 1, თბილისი, 1937, გვ. 51—65.

[2] ანტონ პირველის წერილი ასტრახანის ეპისკოპოსისადმი მიწერილი გაიოზ არქიმანდრიტის საქმის გამო, იხ. საქართველოს მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი, H—2510.

[3] იხ. კარბელოვის გამოც. ტფ. 1892.

[4] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი S — 7.

[5] იქვე, ფონდი Q — 825.

(5—52) 2. კოზმოლოღია. (63—81) 3. პნევმალოღია, პიხოლოგიისა და ბუნებითისა ღ~თის მეტყუელებისა გარემცუელი (82—156) 4. ღ~თის მეტყუელება ბუნებით" (150—171) და სხვა[1]. 5. ერეკლე II-ის დაკვეთით 1767 წელს ანტონს უთარგმნია, ასევე, „კატიღორია სიმეტნე" (არისტოტელეს მიხედვით).[2] 6. 1772 წელს—კატეხიზმო. 7. 1774 წელს მხითარ სებასტიელის რიტორიკა.[3] 7. 1762 წელს „გადმოუღია" ბაუმესტერის ფილოსოფიური თხზულებანი, რომელშიც შედის — „ნაწილი პირველი ლოღიკისა სათეორეტიკო ანუ სამთათვის მოქმედებათა გონებისათა, მოგონებათათვის ანუ იდეათათვის და სხვა.[4] 8. ანტონის შედგენილია ღვთისმეტყველება სამნაწილედი, სამ ტომად[5]. 9. 1762 წელს ანტონს უთარგმნია კვინტოს კურციუსის, საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მაკედონელისათა."[6] 10. ანტონსავე ეკუთვნის საქართველოს ისტორიის მოკლე აღწერა, რომელიც უფრო გვიანაა გაკეთებული[7] და სხვა.

ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ანტონის თხზულება „სპეკალი", რომელიც თანადროული ფილოსოფიური სკოლის შეხედულებებს გამოხატავს და გარკვეულად ორთოდოქსალური ეკლესიის შეხედულებებს უპირისპირდებოდა. თავისთავად, აღნიშნული ნაშრომი ანტონის დიდი ერუდიციისა და მეცნიერული კვლევის უნარის მაჩვენებელია. გამოყენებული აქვს მას მაქსიმე აღმსარებელის, ნემესიოს ემესელის, იოანე პეტრიწის და სხვათა ფილოსოფიური ნაშრომები.

ანტონის მოღვაწეობის მეორე პერიოდში (1764—1788 წწ.) ბუნებისმეტყველებისა და სხვადასხვა ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომების თარგმანებზე გაკეთებული კომენტარები აშკარად მეტყველებს სქოლასტიკური ფილოსოფიისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე. მაგალითად, ანტონი აღიარებს, რომ ცოდნის, „სიბრძნის" მიღება მხოლოდ სწავლის გზითაა შესაძლებელი. მაგრამ თვით ეს სწავლა ემპირიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. კერძოდ, ბუნების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება დაკვირვებასა და ცდას უნდა ემყარებოდეს, ასევე, ფილოსოფიური ცოდნის მიღება გარკვეულ გამოცდილებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი A — 1302.

[2] იქვე, ფონდი S—41

[3] იქვე, ფონდი S—48.

[4] იქვე, ფონდი S—251.

[5] იქვე, ფონდი S—3657, 3658,3659,3660.

[6] იქვე, ფონდი S—3673.

[7] იქვე, ფონდი S—3670.

ამდენად, სქოლასტიკური ფილოსოფიისადმი კრიტიკულ პოზიციაზე მდგომი ანტონი მეცნიერების შემეცნების ახალ გზებსა და მეთოდებს ეძიებს.[1]

სამწუხაროდ, თბილისის სემინარიაში არსებული სწავლების გეგმისა და მეთოდების შესახებ ცნობები არაა შემონახული, თუმცა ამ საკითხსაც ანტონის ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებანი ერთგვარად ნათელს უნდა ჰფენდეს.

როგორც ჩანს, თბილისის სემინარია 1795 წლის სექტემბრის თვემდე არსებულა, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვანი ჯარი თბილისში შემოიჭრებოდა და ყველაფერს ნანგრევებად აქცევდა. შემდგომ ხანაში მის მაგივრობას თელავის სემინარია სწევდა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801 წ.), რის შემდეგ მასაც შეუწყვეტია არსებობა.

ქვეყნის მმართველთა მიერ სწავლა-განათლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ და ამასთან დაკავშირებით ჩატარებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა საზოგადოებრივი აზრი განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, განათლებული კადრის შექმნამ თავისთავად, კერძო ხასიათის სკოლებისა და კერძო მასწავლებლების გამრავლებას შეუწყო ხელი. ამიერიდან არავის შეეძლო ეთქვა — „არა მყონდა მომველიო“, ე. ი. მასწავლებელი ვერ ვიშოვეო, როგორც ეს არჩილის დროს ყოფილა. საზოგადოების ყოველი წოდების წარმომადგენელს საშუალება ჰქონდა საზოგადოების კმაყოფაზე მყოფ კერძო სასწავლებელში ესწავლა. ასეთ კერძო სასწავლებლებში იმხანად ასწავლიდნენ — საღმრთო სჯულს, ქართულ ენას, გრამატიკასა და არითმეტიკას, ასევე, ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალ სასწავლებლებში, რომლებიც ყოველ ეპარქიაში არსებობდა და რომლებშიც სასულიერო წრის წარმომადგენელთა შვილებთან ერთად სხვა, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა შვილებსაც ღებულობდნენ. აღნიშნულ სასწავლებელში ასწავლიდნენ — წერა-კითხვას, გალობას, ანტონის კათეხიზმოს, ხოლო მაღალ საფეხურზე — ღვთისმეტყველებას, ძველსა და ახალ ფილოსოფიას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ერეკლე მეორის დროის ქართლ-კახეთში მცხოვრებ სხვა, არაქართველ ხალხის შვილებსაც ჰქონდათ სწავლის მიღების საშუალება. თბილისში მცხოვრებ სომხებსა და მაჰმადიანებს ისევე ჰქონდათ კერძო სასწავლებლები, როგორც ადგილობრივ მკვიდრთ.[2] აღსანიშნავია ისიც, რომ გაიოზ არქიმანდრიტის

[1] ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1959, გვ. 259—304.

[2] იქვე, როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 75, 81.

ინიციატივით რუსული ენის შესასწავლადაც დაარსებულა სკოლა. ეს ღონისძიება, აშკარაა, იქიდან გამომდინარეობდა, რომ ერეკლეს დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ განსაკუთრებული ცხოველი ხასიათი მიიღო. ერეკლე მეორე ისწრაფვოდა ირანსა და თურქეთის აგრესიისაგან თავის დაცვისა და მათ მიერ მიტაცებული მიწების (სამცხე-ჯავახეთის და სხვ.) უკან დაბრუნებისათვის ერთმორწმუნე რუსეთის საბით ძლიერი მოკავშირე ეპოვა. იგივე რუსეთი ევროპულ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი გზა უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი საჭირო იყო რუსული ენის მცოდნე კადრის აღზრდა, რომელიც რუსეთის გზით საქართველოს „ევროპეიზაციას“ ხელს შეუწყობდა. ამგვარი მუშაობა ნაწილობრივ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში უფრო ფართოდ გაიშალა. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებულ სახელმძღვანელოთა უმეტესი ნაწილი რუსულიდან იყო თარგმნილი, ხოლო საქართველოში გახსნილი პირველდაწყებითი და საშუალო სკოლები ძირითადად რუსული სკოლების გავლენას განიცდიდა.

აშკარაა, წარმოდგენილ პერიოდში საქართველოს საერთო კულტურული აღმავლობა, თავისთავად, სხვა ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობას მოითხოვდა. გარდა რუსეთისა ამ დროისათვის შესაძენია კულტურული ურთიერთობის გაცხოველება სომხეთთან და ირანთან, რაც განსაკუთრებით ლიტერატურის დარგში გამოიხატა.

კერძოდ, განათლების დარგისათვის სომხურიდან ითარგმნა, მაგალითად, ანტონ I-ის მიერ მხითარ სებასტიელის „რიტორიკა“ (1774 წელს). ამის შესახებ აღნიშნული თარგმანის თავფურცელზე ვკითხულობთ — მხითარ ბრძნისა მოძღუარის სომეხთასა სევასტიელის ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ბჭასა ზედა, გარდმოღებით ანტონის მიერ არქიეპისკოპოზისა ყოველისა საქართველოსა“.[1]

1754—1776 წლებს შორის ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ნეკრესელის მიერ სომხურიდანვე ითარგმნა ფილოსოფიურ თხზულებათა კრებული, სადაც არის — „პორფირის შეყვანილობაჲ“, ლევმოაკელის—„ნაცვალსიტყუაობა“, რაც ლოღიკად ანუ დიალექტიკადაა განმარტებული—„წოდებულ ლოღიკად, ანუ დიალექტიკად, იგი არს ნაცვალსიტყვაობა.“[2]

ფილიპე ყაითმაზაშვილს სომხურიდან სვიმეონ ჯულფელის „დიალექტიკა“ უთარგმნია და სხვა.[3]

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი S—48.

[2] იქვე, ფონდი S—250

[3] იქვე, ფონდი S—255.

შესამჩნევია, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროს, განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებდა ქამთა სიავისაგან გადარჩენილი წიგნების აღდგენა, რაც ფაქტიურად, ვახტანგ VI-ის კულტურული დასის მუშაობის გაგრძელება იყო, აგრეთვე, ახალი წიგნების თარგმნა, რომლებსაც ძველად არსებული და დაკარგული წიგნების მონაცვლეობა უნდა გაეწიათ. იქმნებოდა ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნებიც.

ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ იყო მიმართული ანტონის, მის გარშემო შემოკრებილ თუ სხვა ქართველ მოღვაწეთა ინტენსიური საქმიანობა. ყოველივე ამის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც ამ დიდი შემოქმედებითი მუშაობის ნაწილი აღვნიშნოთ. მაგალითად, ამვროსი წილკნელ. მანგლელ ყოფილ ნეკრესელს შეუდგენია „სწავლანი", რომლის შესახებ თავად ამბობს—„გამოვკრიბენ მცირედი ესე სწავლანი წილკნელ, მანგლელ ყოფილმან, ნეკრესელმა ყრმათა სასწავლელად. მცირედი ესე და პირველ ამისსა სხვა უვრცესი ითქვა მადლითა ღ~ სათა კმა — საყოფელად სწავლად და, რომელთა არ უწყიან, მცირედიც არის ესე, ისწავლონ და გულისხმიერებით ისმენდნენ.[1]

1784 წელს დავით ალექსიშვილს (რექტორს) კითხვა-მიგების სახით დაწერილი ნაშრომი გაუკეთებია, რომელსაც აგრეთვე „სწავლანი" ჰქვია.[2] მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში თარგმნილია, ასევე, ფილოსოფიური, თეოლოგიური, ლიტერატურული, საყოფაცხოვრებო თუ სამხედრო საქმის შემცველი თხზულებები, რომლებსაც საგანმანათლებლო დანიშნულება ჰქონდა. ასეთი თხზულებებია მაგალითად, ძველი ფილოსოფოსების ცხოვრებათა მოკლე თხრობანი—ბიოგრაფიული ხასიათისა, „სიტყვანი მეცნიერებისანი ფილოსოფოსთა ბრძენთა გამოკრებული", მარკუს ავრელიუსის „საყოფაცხოვრებო ჰსჯა", „მოკლედ სიტყვის გება სოკრატისა და სხვა ფილოსოფოსთა," სადაც „აპოფეგმატას" პირველი წიგნია წარმოდგენილი (ერასტი თუმანიშვილის თარგმანი). გიორგი ავალიშვილს 1794 წელს ა. მარკოვის დრამატული თხზულებებიც კი უთარგმნია. გაიოზ რექტორს 1792 წელს მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონის მიერ დაწერილი ღვთისმეტყველება უთარგმნია, მასვე უთარგმნია „ქრისტიანებრი სწავლა ანუ ჰემარიტი სიტყვა ღ~ისა" და სხვ.[3]

[1] საქართველოს სსრ. მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი H—974 (კრებული—9).
[2] იქვე, ფონდი Q — 204 (ბ).
[3] იქვე, ფონდი H — 976, 1283, 2206, ფონდი Q — 204, ფ. S — II, 28,29.

ამ დროისათვის უთარგმნიათ მოზრდილთათვის გამოსაყენებელი სამხედრო საქმის შესასწავლი თხზულება. აღნიშნული თხზულების თარგმნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „აწ ლათინურის ენისაგან, სლავენო-რუსული ენაზედ გადმოთარგმნილი არს საყოველთაოდ შესასწავლად მარტვილთა და უმეტესად კეთილშობილთათვის. და კეთილშობილნი განისწავლებიან, თუ როგორ საომრად განემზადნენ, სამგზავროდ დაისადგურინ და შეიჭურვის, საომრად დაისადგუროს და ციხეს შემოადგეს და იერიში განემზადოს ციხის შემოსადგომად" და სხვ.[1]

ყველა ამ საქმიანობათა წამახალისებელი და შემწე, როგორც ადრეც აღვნიშნავდით, ერეკლე II და ანტონ კათალიკოსი იყვნენ. არაერთ დოკუმენტს ვხვდებით, სადაც აღინიშნება, რომ ესა თუ ის თარგმანი ერეკლე II-ის მითითებით შესრულებულა. თავად ანტონი ხომ ამ შემოქმედებითი მუშაობის ცენტრში იდგა და საგანმანათლებლო საქმეთა ყველა უბანს უშუალოდ ხელმძღვანელობდა, დოსითეოზ ნეკრესელის, ფილიპე ყაითმაზაშვილის, დავითისა და გაიოზის (რექტორების) დახმარებითი და ინტენსიური შრომით. თარგმანის საქმეში, სხვათაშორის, აღსანიშნავია ფილიპე ყაითმაზაშვილის მოღვაწეობა, რომლის შესახებ ერთ-ერთი თარგმანის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ იგი იყო „ფრიად ვრცელ მაღალი და კეთილ-მეცნიერი პლატონურთა, არისტოტელეს და პითაღორებთა სიბრძნის-მეტყუელებთა ჰარმანულთა ენათა. ხოლო ესე ფილიპე იყო ღ~მისაგან ქართუელთასა, ტომისაგან აზნაურთასა, და ამისთვის ქართუელთა ენისა ქცევისაცა ფრიად მეცნიერ იყო, რომელ ჰარმანთა ენათა თხზვასა ესრეთ გადმოთხზევდა ქართუელთა ენასა ზედა, ვითარ მის შორის ბრუნუაჲ, პითენებაჲ და სახელზმნათ ძიებათ წყობილებაჲ, რამეთუ ესე მაღალ არს თარგმანთა შეცნობასა შორის".[2]

ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიგვანიშნებს ერეკლე II-ის, ანტონ კათალიკოსისა და მათ გარშემო შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო მუშაობის ფართო ხასიათს. აშკარად ჩანს ერეკლესა და ანტონის მიზანი — რომ ქვეყანაში განათლება საყოველთაო და ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო. სკოლების რიცხვის გამრავლება ამ საქმის მოგვარებისათვის უპირველესი ღონისძიება იყო. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, შეიქმნა და ითარგმნა ახალი სასკოლო სახელმძღვანელოებიც. უპირველეს ამოცანად დაისახა, ასევე, განათლებულ მასწავლებელთა, ეკლესიის მსახურთა თავმოყრა, რომლებიც უო-

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q — 24.
[2] იქვე, ფონდი H—69 („წიგნი საზღუართა დავითისი უძლეველი ფილოსოფოსისა", იხ. ბოლოსიტყვა).

ველ ეპარქიაში შეძლებდნენ საგანმანათლებლო საქმისადმი ხელშეწყობას. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფილიპე ყაითმაზაშვილი და დოსითეოზ ნეკრესელი მათ მიერ თარგმნილი თხზულების — „წიგნი საზღაურთა დავითისი უძლეველი ფილოსოფოსისა“—ბოლოსიტყვაობაში, სადაც ნათქვამია, რომ ერეკლემ—„შეკრიბა ყრმანი საბრძანებლისა თვისისანი, ხოლო ყრმად ვიტყვი უმეცრების ძალით და არა ჰასაკით, რომელნიმე ეპისკოპოსნი, რომელნიმე მღუდელნი და რომელნიმე ახალმოსწავლენი ეკლესიის მსახურნი და ინება გამრავლებად ქრისტიანეთა შეცნობისა.

იწყო სწავლებად ძეთა თვისთა და სხუათა ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელთა ინებეს და ეტრფიალეს სიბრძნის მოყუარებასა...“[1]

ამდენად, ზემოთ გაკეთებული ზოგადი მიმოხილვის შედეგად ნათელი უნდა გახდეს, რომ (ერეკლეს და ანტონ კათალიკოსის მთელი საგანმანათლებლო საქმიანობა ფაქტიურად მათი წინამორბედი ქართველი განმანათლებლების—არჩილის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, დავით გურამიშვილის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკული განხორციელება იყო. ეს იყო მეორე ეტაპი ქართული აღორძინების ხანაში წამოწყებული მუშაობისა, საგანმანათლებლო საქმის მოგვარებას რომ ემსახურებოდა.)

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი H—69.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი პირველი

სწავლა-განათლება საქართველოში უძველესი დროიდან მე-11 საუკუნემდე

1. სწავლა-აღზრდის საქმე 9

ნაწილი მეორე

სწავლა-განათლება მე-11—12 საუკუნეების საქართველოში

1. „მოძღუარი“. განათლების სისტემის საერთო მიმოხილვა. სახელმძღვანელო წიგნები 35
2. უძაღლესი განათლების კერები. „მოძღუართ-მოძღუარი 44
3. გიორგი მთაწმიდელი და გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) . . . 54
4. იოანე პეტრიწი 63
5. სწავლა-განათლების საკითხები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ . 72
6. ქალთა განათლების საკითხი 87
7. ძირითადი პედაგოგიური იდეები ადრინდელი შუასაუკუნეების საქართველოში 90

ნაწილი მესამე

სწავლა-განათლება მე-13—15 სს. საქართველოში

სწავლა-აღზრდის მდგომარეობა 100
ა) სკოლები მონღოლობის პერიოდში 100
ბ) საერო-სარაინდო აღზრდა ძველ საქართველოში 105

ნაწილი მეოთხე

სწავლა-განათლება და პედაგოგიური იდეები

მე-16—17 სს. და მე-18 ს. პირველი ნახევრის საქართველოში

1. სწავლა-განათლების მდგომარეობის საერთო მიმოხილვა. კათოლიკე მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობა 115
2. ხელოსნობის სწავლება 125
3. ქართული აღორძინების ხანის საერთო საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ვახტანგ IV-ის კულტურული საქმიანობა. სახელმძღვანელო წიგნები . . 129
4. არჩილი 142
5. სულხან-საბა ორბელიანი 160
6. ვახტანგ VI 177
7. დ. გურამიშვილი 184
8. სწავლა-განათლება მე-18 ს. მეორე ნახევრის საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა) 196

რედაქტორი ა. ქორდანია
მხატვრული რედაქტორი ელ. სულთანიშვილი
ტექრედაქტორი მ. ოსიტაშვილი
კორექტორი ნ. ბოკერია

გადაეცა ასაწყობად 25/IX-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-75 წ.
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 3, ნაბეჭდი თაბახი 12.
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,94
უე 10125 ტირაჟი 2.000 შეკვ. 12 345
ფასი 38 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის, 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.
1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

СВИМОН ВИКТОРОВИЧ ГАМСАХУРДИА.
ПРОСВЕШЕНИЕ В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ
(На грузинском языке)